ქართული ემიგრაცია

10/2022-2023

სარედაქციო
კოლეგია:

ოთარ ჯანელიძე
რედაქტორი

ლაშა ბაქრაძე
რუსუდან დაუშვილი
გიორგი მამულია
მალხაზ მაცაბერიძე
პაატა ნაცვლიშვილი
დავით ყოლბაია

© ქართული ემიგრაცია

შინაარსი

ქართული ემიგრაციის ისტორია 7

პაატა ნაცვლიშვილი /ვეფხისტყაოსანი – ვიკტორ ნოსკეს უნუგეშო მდგომარეობის სანუგეშოდ 7

რუსუდან დაუშვილი /მეორე მსოფლიო ომი და ქართველი ემიგრანტი ქალები 24

ოთარ ჯანელიძე /გიორგი გვაზავას პოლიტიკური პორტრეტისათვის 34

გოჩა კუჭუხიძე / ზოგიერთი ეპიზოდი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებიდან (ალექსანდრე სულხანიშვილის რამდენიმე უცნობი პირადი წერილი) 48

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი /ქართველ ემიგრანტთა ბიზნეს საქმიანობის ისტორიიდან (რაჟდენ დათეშიძისა და ნიკოლოზ ელიავას მცდელობა კურორტ ბად ლანგენაუ / დუოგოპოლე-ზდრუის შესაძენად) 60

ქართული ემიგრანტული მწერლობა და ჟურნალისტიკა 75

ავთანდილ ნიკოლეიშვილი /ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა საკითხები ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნის“ ფურცლებზე 75

რუსუდან ნიშნიანიძე /ვაჟა ფშაველა და ეროვნული იდეალის აქცენტები ემიგრანტი ავტორების თვალით 86

მაია ცერცვაძე / აკაკი ბელიაშვილის არქივიდან – ამერიკული შეხვედრების კიდევ ერთი ფოტომატიანე 95

მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის 101

ლალი ცომაია / ივანე (ვანო) ნანუაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან 101

ბელა გზირიშვილი / კონსტანტინე გვარჯალაძის მიმოწერა: ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის 174

სტუდენტური დებიუტი 189

ვასილ დუმბაძე, კავკასიის რესპუბლიკები – პატარა დემოკრატიები, რომლებიც მსოფლიომ დაივიწყა. თარგმნა **ლუკა ჯინჭარაძემ** 191

ქართული ემიგრანტული მემკვიდრეობა.....199
ქაქუცა ჩოლოყაშვილი – 135
შალვა ამირეჯიბი /ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილი. 1888-1930 წწ. 199

ახალი წიგნები ქართულ ემიგრაციაზე.....202

ჟურნალის ავტორები 203

პაატა ნაცვლიშვილი

ვეფხისტყაოსანი – ვიკტორ ნოსკეს უნუგეშო მდგომარეობის სანუგეშოდ

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მოღვაწე ვიკტორ ნოზაძე, მისი მრავალმხრივი ინტერესებისა და საქმიანობის მიუხედავად, ყველაზე მჭიდროდ ვეფხისტყაოსანთან არის დაკავშირებული. არავინ მიიჩნევს გადაჭარბებულად, თუ ვიტყვით, რომ იგი ალბათ ყველაზე დიდი რუსთველოლოგია ისტორიაში.

ვიკტორ ნოზაძე საქართველოს ისტორიაში პირველ ყოვლისა იმ ექვსი მონუმენტური ტომით შევიდა, რომლებიც დღემდე ითვლება ყველაზე მნიშვნელოვან გამოკვლევებად რუსთველოლოგიაში.

1953 წელს ბუენოს-აირესში გამოსცა ამ თავისი გამოკვლევების პირველი ტომი – „ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება“.

1957 წელს სანტიაგო-დე-ჩილეში გამოსცა „ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება“.

შემდგომი ორი წიგნი ისევ სანტიაგო-დე- ჩილეში გამოსცა 1959 წელს: „ვეფხისტყაოსნის მზისმეტყველება“, და „ვეფხისტყაოსნის საზოგადოებათმეტყველება“.

შემდეგი ორი წიგნი კი პარიზში გამოვიდა – „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“ (1963) და „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება“ (1975). ეს უკანასკნელი უკვე მისი სიკვდილის მერე გამოიცა.

ამ ყველაფრის მერე, არავის გაუკვირდება, თუ ვიტყვით, რომ ხანდახან ის სწორედ ვეფხისტყაოსნის ენით მეტყველებდა: ვიკტორ ნოზაძემ ზეპირად იცოდა ვეფხისტყაოსანი და მის სტრიქონებს ისე ხმარობდა საკუთარ ტექსტებში, როგორც ჩვენ ვხმარობთ რომელიმე ზედსართავსა თუ მეტაფორას. განსაკუთრებით საინტერესოა, რომ საკმაოდ ხშირად მოიხმობს იგი რუსთაველის სტრიქონებს პირად წერილებში. ერთი ასეთი წერილი უკვე გამოვაქვეყნე 1998 წლის 14 მაისს „ახალ ქართულ გაზეთის“ საპილოტე ნომერში, როგორც ეპისტოლური ხელოვნების ნიმუში.

ამ წერილისა და ვიკტორ ნოზაძის მოგონებების გარდა თავის მასწავლებლის იოსებ ოცხელის შესახებ, ყველაფერი, რასაც ამ ნარკვევშია დამოწმებული, პირველად ქვეყნდება.

კიდევ ერთ შენიშვნა წინასწარ: ვიკტორ ნოზაძე თავის სახელს სწორედ ასე წერს – „კ“-თი. ეს დაახლოებით იგივე კანია, რაც გალაკტიონის შემთხვევაში. თუმცა ვიკტორ ნოზაძის შემთხვევაში ჯერ ამას ბევრი ვერ ჰგუობს. „ვიკტორი“ აწერია მის ყველა წიგნს, თუ მისი გარდაცვალების შემდეგ გამოსულ „ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველებას“ არ ჩავთვლით, რომელსაც ტიტულზე კი აწერია „ვიკტორი“, მაგრამ გარეკანზე „ვიქტორი“ გაპარულა. ხოლო, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ ჩვენ ასეთ შემთხვევაში, ყველაზე უკეთ გალაკტიონი გვეტყვის: „ავტორს უფლება აქვს, მოაწეროს თავისი სახელი და გვარი ისე, როგორც სურს, – არავის უფლებას არ მივცემ ჩემს სახელთან თამაშისა“.

და კიდევ ერთი: ამ ნაშრომს რომ ქვესათაური ჰქონდეს, იგი ალბათ ასეთი იქნებოდა: ზოგიერთი ახალი მასალა ვიკტორ ნოზაძის ბიოგრაფიიდან.

ჩვენს მიერ განხილული საბუთებიდან პირველად გავიგებთ, რომ თურმე ვიკტორ ნოზაძე ომის შემდეგ სავსებით სერიოზულად ფიქრობდა მონასტერში წასვლას.

გავიგებთ იმასაც, რომ ის სხვა გვარით მონაწილეობდა იმ ომში.

ამასთან ერთად, გავიგებთ იმასაც, თუ რატომ აირჩია 50-ს გადაცილებულმა პოლიტიკურმა ემიგრანტმა ვეფხისტყაოსნის განჩხრეკანი, როგორც თავად უწოდებს თავის გამოკვლევებს, მთელი მისი დარჩენილი ცხოვრების მთავარ საქმედ.

დაბოლოს გავიგებთ მისი პირადი ცხოვრების ზოგიერთ დეტალს და მის პირად დამოკიდებულებას ქართული ემიგრაციის ამა თუ იმ წარმომადგენელთან...

ვეფხისტყაოსანი მუდამ მნიშვნელოვანი იყო ვიკტორ ნოზაძისთვის, ისევე როგორც ბევრი სხვა ქართველი ინტელექტუალისთვის, ვისაც ასე თუ ისე კავშირი ჰქონდა ლიტერატურასთან, მაგრამ თუ ეს მისი ცხოვრების მთავარი საქმე იქნებოდა ათწლეულების განმავლობაში, ამას თავადაც ვერ წარმოიდგენდა. ძნელი სათქმელია, როდიდან შეისწავლა მან ვეფხისტყაოსანი ზეპირად და ესოდენ დეტალურად, მაგრამ მისი პირველი ნაწერი, რომელიც ვეფხისტყაოსანს შეეხება, 1938 წელს მისივე ხელმძღვანელობით გამომავალ ჟურნალ „ქართლოსში“ დაბეჭდილი წერილი უნდა იყოს ასეთი სათაურით: „ვეფხის ტყაოსანი – ეროვნების კავშირი“.

მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ვეფხისტყაოსანი ვიკტორ ნოზაძის მთავარი ინტერესი გახდა და ყველაფერი მას დაუკავშირდა. ამ ფონზე არც ის გაუკვირდება ვინმეს, თუ ვიკტორ ნოზაძე პირად წერილს საერთოდ რუსთველური შაირით გააწყობს, სადაც ფორმა კი არის რუსთველური, მაგრამ შინაარსი ვიკტორ ნოზაძისეულია – წერილისთვის დამახასიათებელი პირადი პრობლემებით აღსავსე. სწორედ ასეთი წერილი გაუგზავნია ვიკტორ ნოზაძეს 1946 წლის 8 იანვარს ავსტრიის საზღვართან მდებარე გერმანულ სოფელ რუპოლდინგიდან თავისი მეგობრის მიხაკო წერეთლისათვის, რომლის კვალისთვის ომისგან იავარქმნილი გერმანიის ერთ-ერთ ზონაში მიუგნია. წერილის ვეფხისტყაოსნური ფორმა მერე და მერე რამდენადმე მოხშირდა ქართველ სინამდვილეში – ძირითადად საიუბილეო სახალისო მიძღვნებში თუ სატირულ-იუმორისტულ ოპუსებში, მაგრამ მათგან განსხვავებით, ეს, ჩვენი აზრით, პირველი ასეთი ნიმუში, მოკლებულია ყოველგვარ სალაღობო განწყობას და დრამატულ ავტობიოგრაფიულ აღსარებას წარმოადგენს. წერილი ომის შედეგებით იმედგაცრუებული თეთრგიორგელის ერთგვარი თათბირია თავის მეგობართან თუ თანამოაზრესთან იმ ყველაფერზე, რაც მოხდა და იმაზე რაც შეიძლება მოხდეს, ან უფრო უკეთ – სად შეიძლება იყოს გამოსავალი უიმედო ემიგრანტული ცხოვრების ამ გარდამტეხ მომენტში:

„წელსა ჩშმვ, იანვრის დღესა 8.

წიგნი ვიკტორისაგან მიწერილი მიხეილის წინაშე

ბატონ მიხეილს მივუწერ გულ-ამოსკვნილი მტირალი,
თვი ბედისგან დამხობილ, დამარცხებული, მყვირალი.
დავწერე წიგნი, მსმენელთა გულისა გასაგმირალი,
მსოფლიო ომის შედეგად სულს მოდებული გვაქვს ალი...

ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები.
ფანქარ კალმად მაქვს, სიტყვანი ნაღველთა ამონაწები,
მე გული ჩემი დაკარგულ იმედსა დიდხანს ვაწები,
გული, შავ-გული, დალახვრულ, უბედობასთან ნაწები...

ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია?
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია...
ქართველნი სცნობენ, სწუნობენ მით, მათგან საწუნელია,
უქართვლოდ ჩემი სიცოცხლე, ვამე, რა დიდი ძნელია!

ჰხედავ, ჩემო, ვით დაგვსაჯა სოფელმან და ჟამმან კრულმა
ველარ ვნახეთ ჩვენ სამშობლო მხიარული მხიარულმან!
ნეტარ რა ჰქმნას უსამშობლოდ გულმან, მისგან დალახვრულმან,
გაგიცხადა დამალული გონებამან დაფარულმან.

შენმან მზემან, ამ ზონაში დასახლებულ არ მეგონე.
გეძებდი და ძლივ გიპოვე, მოვიხმარე ყოვლი ღონე,
აწ რა მესმა, შემომქმედი ვადიდე და ღმერთსა ვმონე,
ჩემი ყველა ძებნის ჭირი ეხლა ლხინსა შევაწონე.

შენი აქ ყოფნა მეყოფის ჩემად იმედად გულისად,
გულისა ერთობ წყლულისა და ასრე დადაგულისად?
მომიგონებდე, გახსოვდე ძველებურ მეგობრულისად,
ვზი რუპოლდინგსა სოფელსა, ღარიბად, დაკარგულისად.

სხვად, ჩემო, ჩემი ამბავი ჩემგან არ მოიწერების,
ენა დაშვრების, მოსმენით არვისგან დაიჯერების...
გადავრჩი ნგრევას საშინელს, ღმერთიცა მათ ემტერების...
აწ კვლავ ჰქმნა იგი სოფელმან, რაცა მას შეეფერების...

აწ სოფელმან უარესი ჭირი ჭირსა მოგვისართა,
ოცდახუთი წლის ხეტიალს და პატიჟთა მრავალ-გვართა
ვერ მოვუღეთ ბოლო, ჩემო, უარესი დაგვემართა...
გამოგვგლიჯეს ჩვენ იმედიც, მტერთა ძნელად საომართა.

უიმედოდ ვზი, იმედსა თვალნი ვერ გადასწვდებიან...
გამიშრა ყოვლი სურვილი, ცეცხლი აღარა გვდებიან,
დღისით და ღამით მოფიქრალს სევდა და ჭმუნვა გვდევნიან,
ამ სოფლად საქმე წამხდართა გულთ ჭირნი მოედებიან.

ნუთუ ეს ჟამნი გეგონენ ცხრაასთვრამეტის წესითა!
ნუცა მოელით ხარებას ბედითგან უარესითა...
ვერ მივუბრუნდით სამშობლოს, ვიწვი აბედი კვესითა
მოვშორდით მშობელთა მარად, სული ამევსო კვნესითა.

შენც, ჩემო, ალბად ქე სჭმუნავ ჭმუნვითა ამისთანითა, –
ოცდახუთი წლის მანძილზე ნატანჯი ბედით ავითა,
არამც სიცოცხლე უქართველოდ, ვარ აქამდისცა ნანითა,
აღარა ძალმიძს ამ სოფელს ყოფნა ბედითა შავითა.

რაცა ვიჩივლე ბედისა ჩემისა, კმა საჩივარად.
სცან, აღარა ჰღირს ამ სოფლად დარჩენა თავ-სატკივარად.
მონასტერს წავალ, არ ვრჩები სოფლისა დასაყივარად,
ვეწვევი ათონს, ვრდომილი, ბერად გავხდები მჩივარად.

აჰა, ინიშნე ეს სიტყვა საკრძალავი და რიდისა, –
გადმიწყვეტია ეს ბედი ბერად შედგომის მშვიდისა, –
ესე-ღა დამრჩეს სანაცვლოდ ჩემი სამშობლოს დიდისა, –
რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა!

ესე წიგნი მიხეილთან გულით წრფელით მინაწერი,
რა დავწერე, – მოგიწოდე... ჩემგან ვლიდე ათონს ბერი!
მე მგონია... დაგიმშვენდეს სიცოცხლე და ნიჭთა ფერი, –
ათონითგან სული მოჰქრით, ძველ ქართველთა მონაბერი!

მერმე ვიშიშვი, მიხეილ, თქვენად კადრებად ამისად...
სცდების და ხვდების, სიკვდილსა ვინ არ მოელის წამისად!
გიჟად ნუ ჩამთვლი, გეაჯი, ნუცა ნაფიქრად ღამისად,
დავგმოთ საგმობი ევროპა, ათონს ვეწვიოთ ჟამისად!

მიხეილ, ესე თათბირი, მომკალ, ვინ დამიწუნოსა!
ნუთუ წასვლამან შენ ჩემმან ჩემზედა დაგაჭმუნოსა?!
ვერ ვეცრუვები... მივეცი ფიქრთა მე საძაბუნოსა...
სამშობლოს აწ ვერ ვიხილავთ ამ ბედკრულ საუკუნოსა...

გასრულდა ჩემი უსტარი, ჩემგან ნაწერი ხელითა.
თუ არ წამოხვალ, გშორდები. წავალ გულითა ხელითა.
ნუ იტყვი... გიჟი იყოო, – ენითა ტკბილ და ნელითა.
სუფევითმცა ხარ თავითა. ვიყო სიცოცხლე ხმელითა!

ვართ უმოყვრესნი მე და შენ ყოველთა პატრონ-ყმათასა, –
ამისთვის გნუკავ სმენასა, შენ ამა ჩემთა ხმათასა, –
გამიგონებდე, მისმენდე, გრძნობის ძახილსა ათასსა...
ყურს ნუ მიუპყრობ, ნუ ისმენ კარგთა დანაპირთ სხვათასა.

ვიკტორ ნოზაძე.
რუპოლდინგ, ობერბაიერნ. 1946 წ. იანვრის 8."

ეს ლექსი თამარ და აკაკი პაპავების პირად არქივში იყო დაცული და იგი მათმა ქალიშვილმა მზია პაპავა-ჭეიშვილმა გადმოგვცა იმ უნიკალურ მასალებთან ერთად, რომლებიც 1997 წელს ჩამოვიტანეთ საქართველოში. ამ ლექსიდან ჩანს, რომ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რომელიც ვიკტორ ნოზაძეს, მრავალ სხვა ქართველ ემიგრანტთან ერთად საქართველოს საბჭოთა ოკუპაციისაგან განთავისუფლების გზად ეგულებოდა, მისთვის სულ სხვა შედეგი მოიტანა. ამით გულგატეხილი ქართველი ემიგრანტი ათონის მონასტერში წასვლას აპირებს. განა სხვას რას შეიძლება ნიშნავდეს მისი ეს სიტყვები.

„ვეწვევი ათონს, ვრდომილი, ბერად გავხდები მჩივარად“...

ან ესენი.

„გადმიწყვეტია ეს ბედი ბერად შედგომის მშვიდისა, –
ესე-ღა დამრჩეს სანაცვლოდ ჩემი სამშობლოს დიდისა“...

ან კიდევ.

„რა დავწერე, – მოგიწოდე... ჩემგან ვლიდე ათონს ბერი!“

ბოლოს კი წერილის ავტორი – დავგმოთ საგმობი ევროპა და ათონს წავიდეთო, მეგობართაც მოუწოდებს:

„დავგმოთ საგმობი ევროპა, ათონს ვეწვიოთ ჟამისად!“

არადა, თითქოს მთელი აქამომდელი ცხოვრება ნაკლებად იჩენდა ბერობის სურვილს – სხვა რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, ნახევარ საუკუნეს მიახლოებული ვიკტორ ნოზაძე იარაღით ხელში ებრძოდა საბჭოთა წითელ არმიას.

იმდენად მოულოდნელი იყო მისგან ომში წასვლა, მის ამ საქციელს მისი მეგობრებიც გაუკვირვებია. აი, რას წერს თავის ჯერ გამოუქვეყნებელ მემუარებში თამარ პაპავა 1942 წლის სოფელ ფელდენში გაკეთებულ ჩანაწერში:

„დღეს შევიტყვეთ, რომ ჩვენი საყვარული მეგობარი ვიკტორ ნოზაძე ომში წასულა მოხალისედ... გვეწყინა მე და კაკიჩს, რომ არ მოგვწერა ეს თავისი გადაწყვეტილება... და საერთოდ, დიდი ხნით მიგვატოვა უსალამოდ და არც გვიკითხა. ჩვენი სულიერი ვითარება კი მეტათ აფორიაქებულია. რა გველის, სად და როგორი სიკვდილი, ეს ჯერ არ ვიცით“.

არა თავისი მეომრული წარსულით, ვიკტორ ნოზაძე საქართველოს ისტორიაში სწორედ იმ ექვსი მონუმენტური ტომით შევიდა, რომლებიც თავადვე ააწყო, როგორც დამკაბადონებელმა და რომლებითაც ისე განერიდა ემიგრანტული ცხოვრების მწარე ბედს, როგორც მონასტერში წასული უნუგეშო ადამიანი გაურბის გარემომცველ სინამდვილეს.

დიახ, ვეფხისტყაოსნის ასეთი გამოწვლილვითი შესწავლა ვიკტორ ნოზაძისგან არავის გაუკვირდება, მაგრამ ის კი ალბათ არავის ეცოდინება, რომ 53 წლის ემიგ-

რანტმა, რომელიც ძირითადად პოლიტიკური და ჟურნალისტური საქმიანობით იყო ცნობილი, ვეფხისტყაოსნის კვლევა უნუგეშო მდგომარეობიდან თავდასაღწევად შეიგულა.

1946 წლის 19 თებერვალს იგი აკაკი პაპავას წერს:

„ასეთია საერთოდ ქართველთა მდგომარეობა უცხოეთში, – მდგომარეობა უნუგეშო, მაგრამ რა ვქნათ: „ასრეა ესე სოფელი არვისგან მისანდობელი“, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რასაც ძველი ბრძენი გვირჩევს: „მაგრა ღმერთი არ გასწირავს კაცსა მისგან განაწირსა“...

და არც ის ეცოდინება ვინმეს, რომ ვიკტორ ნოზაძე შალვა მაღლაკელიძესთან ერთად ომის მერე ათონის მთაზე აპირებდა წასვლას და რომ მანამდე, ომის დროს, ვიკტორ ნოზაძე კი არა, ვიკტორ ნოსკე ერქვა.

ამის შესახებ ვგებულობთ თამარ პაპავას ჯერ გამოუქვეყნებელ მემუარებში, სადაც იგი ვიკტორ ნოზაძესთან და სხვა მათ თანამოაზრეებთან ერთად, ემიგრანტთა შორის ცნობილ პოეტს სიმონ ბერეჟიანს ახსენებს და წერს:

„ერთი უნიჭიერესთაგანი მაშინდელ ქართველ ახალგაზრდობაში იყო სიმონიკო ბერეჟიანი (თაყაიშვილი). საწყალი, რას არ ჯახირობდა, რომ თავი გაეტანა ამ გრძელ და მწარე წლეების გასწვრივ. მიუხედავათ ამ მწარე გაჭირვებისა ის მაინც ახერხებდა წერას ნიჭიერ ლექსებისას, მოთხრობებისას, და მრავალი მაშინდელი ყოფიდან ფელეტონები ეკუთვნის მის მადლიან კალამს. იყო ნიჭიერი მხატვარიც, განსაკუთრებით კარიკატურების ხატვა ემარჯვებოდა. მაგრამ სწავლა ვერ დაამთავრა. დიდი გაჭირვება ეტყობოდა მთელ მის არსებას, როგორც გარეგნულად, ისე სულიერადაც. როცა მე ის უკანასკნელად ვნახე 1937 წ. პარიზში ჩემი წიგნის კორექტურას ასწორებდა... საფრანგეთი რომ გერმანელებმა აიღეს, მაშინ გერმანელებთან მუშაობდა უბრალო მუშათ (საერთოდ დიდი თაყვანის მცემელი იყო გერმანელების). მერე, როცა გერმანელებმა მოხალისეთა რაზმები შედგენა დაიწყეს, დატრიალდა მიშა კედია, მოუწოდა ჩვენებს. ქართველთ ახალგაზრდობაში სიმონიკა პირველი ჩაეწერა ამ მოხალისეთა რაზმში და ისინი რუმინეთის ფრონტზე გაგზავნეს, მითომ იმ აზრით, რომ, როცა გერმანიის ჯარი საქართველოში შევიდოდა, ისიც სხვებთან ერთად უნდა შესულიყო... გვესმოდა, რომ რუმინიაში ამ რაზმს წვრთნიდნენ გერმანელი ოფიცრები და ამზადებდნენ მოწინავე ფრონტისათვის – დადგებოდა თუ არა ამის დრო, ისინიც წავლენ საბრძოლველათო... ათას ნაირი ხმები იყო, ნამდვილად კი არავინ იცოდა, სად და რათ მიჰყავდენ. ჯერ კი ქართველებს გერმ. ფორმა ჩააცვეს და გერმანელი გვარები მისცეს. ასე გახდა ვ. ნოზაძე – ნოსკეთ... მრავალმა თავი მოტყუებულად ჩასთვალა და უკან დაბრუნდა, სიმონიკა კი დარჩა თავის მეგობარ ვ. ნოზაძესთან და რამოდენიმე სხვა ახალგაზრდებთან ერთად სადარაჯოზე“...

თამარ პაპავას ამ ჩანაწერიდან ვიგებთ, და ეს სრულიად ახალი იქნება ჩვენი საზოგადოებისათვის, რომ ვიკტორ ნოზაძე მეორე მსოფლიო ომში ვიკტორ ნოსკეს სახელით იბრძოდა.

სწორედ იმ პერიოდში, 1942 წლის 17 ივლისს, ვიკტორ ნოსკე, იგივე ვიკტორ ნოზაძე, დაღონებული ლადო ახმეტელის გარდაცვალებით, თავისი შენაერთის საველე ფოსტიდან წერდა კაკიჩებს – თამარ და აკაკი პაპავებს:

„ძვირფასო თამარ, აკაკი და მთელო ჯალაბო,

დღეს მივემგზავრებით აღმოსავლეთისაკენ, იმ იმედით, რომ ახლო მომავალში ყველა თავს მოვიყრით თბილისში. ძლიერ დამაღონა ძია ლადოს გარდაცვალებამ: ბევრს ბობოქრობდა ამ ბოლო დროს და ალბად ამან დაასწრაფა მისი ბოლო: მწყინს: ვერ მოესწრო საქართველოში დაბრუნებას. მომწერეთ წერილი შემდეგი მისამართით: V-N. Feldpost 39180 (A).

შალვა მაღლაკელიძე უკვე აქ არის მთელი თავისი ჯარით.

სალამით ვ. ნოზაძე

P. S. „შეფიცულების“ თაობაზე ლექციებს კითხულობენ, – მე: იარაღი მაქვს ხელში!“

მერე იყო ის ხუთი წელიწადი, საიდანაც ვიკტორ ნოზაძე მონასტერში წასვლის სურვილით დაბრუნდა. მისთვის მონასტრული პერსპექტივა არც პირველი იყო და არც რამდენადმე მოულოდნელი. თუმცა ამას კი ბევრი ვერ წარმოიდგენდა.

რელიგიური გრძნობები და მონასტრული სულისკვეთება, როგორც ჩანს, სულაც არ იყო უცხო ვიკტორ ნოზაძისათვის. ჯერ კიდევ მეექვსეკლასელმა, როცა ის თავის შვიდ თანაკლასელთან ერთად სვანეთში მოგზაურობდა, მან ბესარიონ ნიჟარაძე გააოცა, როცა ადიშის ოთხთავის ხუცური ტექსტის კითხვა დაიწყო. ვიკტორ ნოზაძე ამ შემთხვევას იხსენებს იოსებ ოცხელზე თავის მოგონებაში, რომელიც ჟურნალ „კავკასიონის“ XII ნომერში დაიბეჭდა 1967 წელს:

„მესტიაში ვესტუმრეთ ჩვენ ამხანაგს რაფო ნიჟარაძეს. მამა-მისი აქ მღვდელი იყო. და რაც აქ ვნახეთ, ეს ჩემთვის დაუვიწყარი დარჩა. რაფოს მამა ცნობილი ეთნოგრაფოსი და მწერალი იყო, – ეს ჩვენ ვიცოდით.

მოდით, შვილებო აქ! რა გაჩვენოთ!

მან მიგვიყვანა ვეებერთელა ზანდუკთან; ჭრიალით გააღო იგი ვეებერთელა გასაღებით; გადასწია იქ ჩალაგებული სამოსელი და ამოიღო რაღაც შეხვეული. მოხსნა მას შესამოსი და რა ვნახეთ!? ოქროთი მოჭედილი დიდი წიგნი.

— შვილებო! ეს არის ცნობილი სახარება, ადიშის სახარება! მე მას თვალის ჩინივით ვინახავ! ნახეთ!

მღვდელმა გადაგვიშალა სახარება. თვალდაჭყეტილი ჩავჩერებოდით ამ ხუცურ შესანიშნავ ნაწერს.

აბა ვინ წაიკითხავს.

საჩხერის სკოლაში ხუცურს ვსწავლობდით. თავი გამოვიჩინე და დავიწყე კითხვა. მღვდელს გაუკვირდა ჩემი ხუცური და გამომკითხა, თუ საიდან ვიცოდი იგი. შემდეგ იგი მოგვიყვა ადიშის სახარების ისტორიას, და საერთოდ ქართულ ხელნაწერებზე გვესაუბრა... განცვიფრებული ვიყავით... მოწიწებით შეახვია მღვდელმა ეს ძვირფასი სახარება და ისევ მოისმა ჭრიალი და გასაღების გადატრიალების დაჟანგებული ხმა.“

მერე იქიდან წამოსულები იოსებ ოცხელთან ერთად ბავშვები ჯრუჭის მონასტერს წვევიან და ადიშის ოთხთავს ჯრუჭის ოთხთავიც დაურთეს:

„გზაზე შევიარეთ ჯრუჭის მონასტერში. აქ ბერებმა დიდი პატივი გვცეს. მუშაობდნენ ვენახში და როცა დაგვინახეს, მოგცვივდნენ და აღარ გაგვიშვეს. აქ ჩვენ ვნახეთ ცნობილი ჯრუჭის სახარება და სხვა ძველი ხელნაწერები. მოგვითხრეს ჯრუჭის მონასტრის ისტორიაც“.

ადიშისა და ჯრუჭის ოთხთავი ბავშვობაში დარჩა, მაგრამ მერეც, როგორც ჩანს, ვიკტორ ნოზაძეს არ ტოვებდა მონასტრული სულისკვეთება და აკი ამიტომაც გადაუწყვეტიათ მას და შალვა მაღლაკელიძეს ათონის მონასტრებში წასვლა.

აქ კიდევ ერთხელ უნდა გამოვაქვეყნო ის წერილი, რომელიც, უკვე ვთქვი, 25 წლის წინათ, როგორც ეპისტოლარული ხელოვნების ნიმუში, ისე დავბეჭდე. ამ წერილის კი კვლავ ვაქვეყნებ, რადგან ახლა მასში სხვა რამ გვაინტერესებს, კერძოდ ის, თუ როგორ გადაუწყვეტიათ ვიკტორ ნოზაძესა და შალვა მაღლაკელიძეს ათონის რომელიმე მონასტერში წასვლა. საინტერესოა, რომ რუპოლდინგიდან 1946 წლის 4 იანვარს ვიკტორ ნოზაძის გამოგზავნილ წერილს, ბოლოში თავისი ხელმოწერით ადასტურებს შალვა მაღლაკელიძე:

„4.I.46
D. V.Nosadze
Ruhpolding, Oberbayen
Zellerstt. 28 1`14

„აწ საყვარელთა მივუწერ გულ-ამოსკვნილი მტირალი“...
ძვირფასო კაკიჩებო,
„ჰე, ჩემო, ესე უსტარი არს ჩემგან მონაღვაწები“...

თქვენი მონაღვაწები კნინი წერილებიც მივიღე და ვისიამოვნე. მიხარია: ყველანი კარგად ბრძანდებით: დიდიდან პატარამდე, ბერიდან ყრმამდე. ხანდაზმულობა და სიბერე! „სიბერე მჭირს, ჭირთა უფრო ძნელია“... შალვა მაღლაკელიძე შფოთავს და ბრდღვინავს: – ასრე ვით შემოგვეპარა სიბერე, – ვერაფერს მივაღწიეთო!

მეოთხედი საუკუნისა გარდავიდა წარსულისაკენ და თან გადაჰყვა მას ჩვენი სიჭაბუკე და აღმაფრენა, – ვქანაობთ და ვბარბაცებთ ამჟამად უფსკრულის პირას და

„არ ვიცი ღმერთი რას მიზამს, ანუ ცა მიწყივ მბრუნავი“!

გვქონდა „გზა გრძელი, საქმე სასწრაფო“, მაგრამ

„აწ გამიამრმდა სიცოცხლე მეტად ყოვლისად ჟამისად“,

ვინაიდან არ გველირსა აღსრულება უკვდავი თქმისა:

„ბედი, ცდა და გამარჯვება, ღმერთსა უნდეს, მოცაგხვდების“.

ბედმა გაგვიყვანა ბრძოლაში. ვეცადეთ ვაჟკაცურად. ოღონდ ღმერთმა არ ინება ჩვენი გამარჯვება და ხშირად ვიმეორებთ შალვა და მე:

„აწცა ვცან საქმე სოფლისა ზღაპარია და ჩმახია!“

რასაკვირველია: კარგად გვესმის:

„არას გარგებს სწავლულობა, თუ არა იქმ ბრძენთა თქმულსა:
არ იხმარებ რა ხელსა ჰხდის საუნჯესა დაფარულსა?!“

ვიხმარეთ იგიც, განვიცადენით,

„მაგრა საქმე არ მოხდების, ჟამი ასრე დამემტერა“,

და ვინაიდან:

„სდევს ფათერაკი მიჯნურსა, – გასჭვრიტეთ, გაიცადენით“. –

დაგვრჩა დამწვარ ხელში იავარქმნილი ჩვენი საუნჯე-იდეალი – სამშობლოს თავისუფლება: დავმარცხდით.

„ჰხედავცა, ჩემო, სოფელი რათა საქმეთა მქმნელია!
რაზომცა ნათობს სინათლე, ჩემთვის ეგრეცა ბნელია!..“

და ამ სიბნელემ ისე მოიცვა გული და სული, რომ ხანდახან ვფიქრობ: –

„ან თავსა კლდეთა ჩავიქცევ, ანუ მოვიკლავ დანითა!“

ვინაიდან:

„რისხვით მობრუნდა ბორბალი ჩვენზედა ცისა შვიდისა“...

თქვენ არ უნდა გამიწყრეთ, ვინაიდან

„შენცა გჭირან ჭირნი ჩემნი, არ მამართლო, არ მიკვირდეს?“

ოღონდ დასატუქსავად ყოველთვის შეგიძლიათ მითხრათ:

„წესი არის მამაცისა მოჭირვება, ჭირთა თმენა,

არვის ძალ-უძს ხორციელსა განგებისა გარდავლენა“...

მესმის და გამეგება ესეც, გარნა მართლაც

„საწუთრომან დამაღრიჯნა, ცქაფნი მისნი კვლავ მეცქაფნეს“...

ამიტომაც :

„ჩემად ღონედ სიკვდილისა მეტსა არას არ ვეცდები“...

მაგრამ მართალი ხართ:

„უბოროტო ვის ასმია, რაც ა საქმე საეშმაკო,

რად ემდურვი საწუთროსა, რა უქმნია უარაკო?“

მართალი ხართ:

„სიკვდილამდის ვის მოუკლავს თავი კაცსა მეცნიერსა?

რა მისჭირდეს, მაშინ უნდა გონებანი გონიერსა“...

სწორედ ამიტომაა, გულის გადასაყოლებლად და საწუთროს ბედითობის დასავიწყებლად, თავი ჩარგული მაქვს ვეფხისტყაოსანში, რომლიდან ორმოცამდე სხვადასხვა თემა დავამუშავე, ჯერჯერობით შავად (სამის გარდა), რადგან ზოგიერთი მასალა მაკლია. მჭირდება ვეფხისტყაოსანი, რომელს ლექსიკონი აქვს დართული და ს. ს. ორბელიანის ლექსიკონი. იქნებ ინგლისური ან ფრანგული თარგმანებიც გაქვთ? თუ კეთილს ინებებთ და მათხოვებთ ძალიან დაგიმადლებთ, იგულისხმება ამასთან, ცხადია, მე რომ წიგნი მიყვარს და მისი მოვლა ვიცი, – მაშ:

„მიშველე რა, გული ცეცხლმან არ დამიჭრას, არა ჰსრასა“...

თამარ მწერს: ჩამოვიდე თქვენთან. მართალია:

„უშენოდ მყოფსა ღამე და დღეცა მესაღამოების,

დავხსნილვარ ლხინსა ყოველსა, მით გული ჭირსა მოების“...

მაგრამ ვერ დაგპირდებით, ვინაიდან

„ვგმობ კაცსა აუგიანსა, ცრუსა და ღალატიანსა!“

ისე ძნელია მგზავრობა რომ თავი ვიწყევლე აქ გადმოსახლების დროს. დიდი მადლობა მოწვევისათვის და პასუხად მოგიწერთ:

„წადი, უსტარო, ისწრაფე, თუ მუხლი გქონდეს მალები;

დაგნატრი, მიხვალ, დაგხვდების ბროლი, სათი და ლალები“ – თქვენ ყველანი!

შალვა ..... სალამს გიძღვნით და ჩემთან ერთად გთხოვთ ქართული სახარება და ლოცვანი, საერთოდ წირვის წიგნები გვათხოვოთ. გაგიკვირდათ?

„ტერფით თხემთამდის გაუხდა მას მეტი საკვირველობა“..?

ვინაიდან გგონიათ:

„ოდეს სიტყვა უმეცრული უალაგოდ დაიყბედნეს?!“

არა.

ოდეს საბოლოოდ გამოირკვევა, მართალი არა ყოფილა რომ ამ საწუთროში

„ბოროტსა სძლია კეთილმან – არსება მისი გრძელია!“

როცა გამოირკვევა (და სულ მოკლე ხანში), რომ აღარ შეგვეძლება ვთქვათ:

„ვცან სიმოკლე ბოროტისა, კეთილია მისი გრძელი“...

როდეს დავრწმუნდებით საბოლოოდ,

„ესე ასეთი სოფელი, არვისგან მისანდობელი“.

მისატოვებელი და დასაკრულია, დასაგმობი, – მოვძებნით მაშინ უკანასკნელ თავშესაფარს: ვეწვევით ქართულ მონასტერს, სადაც დავსადგურდებით და ვიტყვით:

„ღმერთო, ღმერთო, მოწყალეო, არვინ მივის შენგან კიდე“... არჩეული გვაქვს ათონი, რომლის საყუდელი მგონი მალე გადაშენდება ქართველთათვის და ჩვენ გვსურს არ დარჩეს იგი უპატრონო და ცარიელი.

გისურვებთ ყოველივე კარგს და ბედნიერებას, გაისად შინ დაბრუნებას. ებრაელებს აქვთ ერთი წესი: პასექზე ერთმანეთს რომ მიესალმებიან, ეტყვიან ხოლმე: გაისათ იერუსალიმშიო. ორი ათასი წელიწადია იმეორებენ ამას და დღესაც ვერ ჩასულან იერუსალიმში! ჩვენ ოცდახუთი წელიწადია მხოლოდ ვიმეორებთ: გაისად საქართველოშიო და ოცდახუთმა გაისმა ფუჭად ჩაიარა. ვინ იცის კიდევ რამდენი ჩაივლის, მაგრამ სურვილი გაისისა მაინც უნდა გამოვთქვათ.

„თქვენვე გნახე მხიარულნი, დადებით და დავლა-მრავლად“...
სალამით და გამარჯვებით,
„მე ვირე ამას წიგნისა პასუხი მიმივიდოდეს“...
დავშთები თქვენი მარად და მარად, და მარადის იქითაც ვიკტორ ნოზაძე
ვადასტურებ: შალვა“.

მალე ამას მოსდევს ვიკტორ ნოზაძის კიდევ ერთი წერილი თამარ და აკაკი პაპავებს, რომელშიც ისეა მიმოხილული და განხილული ომის შემდგომი ქართული ემიგრაციის მდგომარეობა მსოფლიოს არაერთ ქვეყანაში, რომ ერთ კარგ დისერტაციას უდრის. მე ვფიქრობ, ის პერიოდი არავის აქვს ასე მოკლედ და ასე ადეკვატურად ასახული. ვეფხისტყაოსნის მჩხრეკელი მეცნიერის, როგორც ის თავის თავს უწოდებდა, დაკვირვებული თუ ანალიზური ბუნება აქ სრულიად სხვა ასპარეზზე ვლინდება.

და ეს წერილი პირველად ქვეყნდება და მასში ბევრ ახალს და საინტერესოს ნახავს არათუ რიგითი მკითხველი, არამედ ემიგრაციის კვლევა-ძიებით დაკავებული მეცნიერიც კი. თუნდაც სიტყვა „გერმანმშრომლობა“ რად ღირს.

„რუპოლდინგ, 19 თებერვალი, 1946

დიდი ხანია წერილი არ მომიწერია, რადგან მიუნჰენში ჩასვლასა და ახალი ამბების გაგებას ვაპირებდი. ეს მგზავრობა მოვათავე და დღეს შემიძლია ცოტა ცნობა მოგაწოდოთ ქართველთა მდგომარეობის შესახებ უცხოეთში. დავიწყოთ საფრანგეთით. ჩვენები იქ მეტად შეძრწუნებული ყოფილან. თითქმის ყველა შემძვრალია სოროში და მხოლოდ ცალი, შეშინებული თვალით იჭვრიტება გარეთ. მოკავშირეთა ძალების შემოსვლის შემდეგ მთელი ხელისუფლება არალეგალურ ხალხს ჩაუვარდა ხელში, რეზისტანსის და მაკიზარების ხალხს, რომელიც ასამართლებდა და კიდეც ხვრეტდა თავის მოწინააღმდეგეთ, ეგრეთწოდებულ კოლობორასიონისტებს – გერმანელთან თანამშრომლებს. ცხადია, ასეთ ვითარებაში თავისუფალი გასაქანი მიეცა ბოროტ ვნებას და კერძო შურისძიების ნიადაგზე ბევრი ფრანგი დაღუპულა. საბედნიეროდ მათ შორის მოხვედრილა მხოლოდ ორი ქართველი. მონიავა პარიზში და ერთი უბრალო კაცი პროვინციაში. მონიავა წაუყვანიათ, მოუკლავთ. მერმე მობრუნებულან. წაუყვანიათ მისი ცოლი ფრანგი, უჩვენებიათ მისი მკვდარი ქმარი და შემდეგ ზედ დაუკლავთ. მათი პაწია ბავშვი საობლო სახლში მიუციათ. დანარჩენ ქართველ-

თა უმრავლესობა პარიზში დაჭერილი ყოფილა. დღესაც ბევრი ზის. ფრანგები სამართლიანათ გაბრაზებული არიან ოდიშარიას ჯგუფის მოქმედების გამო და ამიტომ არავინ დაუზოგავთ. ნოე ჟორდანიაც კი ორი კვირით ყოფილა დატუსაღებული. ვინ იყო ქართველების პატრონი და დამცველი? დადიანის ოჯახი, სახელდობრ, ამ ომში მოკლულ გენერალ ბაზორკა ამილახვარის ქვრივი, ფრანგული ჯარის ოფიცრები ჩხენკელი და ვაჩნაძე. მაგრამ ამათ მაინც იმდენი არაფერი შეძლებიათ, რამდენიც ძველ ემიგრანტ კვაჭი გეგელიას, რომელიც ყოფილა ფრანგული არალეგალური ჯარის კაპიტანი. იგი შემდეგ დაუნიშნავთ მთელი აღმოსავლეთის უცხოელთა საქმეების გამომრკვევათ. ამ ნიადაგზე იგი დაკავშირებია საბჭოთა საელჩოს და საბჭოთა კონსულს; ხოლო შემდეგ საქართველოდან ჩამოსული პროფესორი შარიას მხურვალე მონაწილეობით შესდგომია ქართველების პატრონობას და დახსნას იმ ანარქიულ მდგომარეობაში. ამ ნიადაგზე შექმნილა მჭიდრო ურთიერთობა საბჭოელთა და არა საბჭოელთა შორის. ასეთი დახმარების მიუხედავათ სასტიკათ უცემიათ ვასო ციცქიშვილისათვის, რომელიც ამის შედეგათ გარდაცვლილა, ხოლო მის ქალიშვილს, გერმანიაში კაცეტში რომ იჯდა, დაბრუნებისას თურმე დიდი ზეიმით შეხვდნენ. მწარეთ გაულახავთ ოთარ ჯავახიშვილი, თორნიკე ლაღიძე, რომელსაც ორი კბილი ჩაამტვრიეს, თემო თაქთაქიშვილი და სხვა. საერთოდ თითქმის ყველას ცოტათ თუ ბევრად დიდი გაჭირვება განუცდია. მალე კოტე კობახიძეს დაუქირავებია რეზენსტანსის მონაწილე ერთი ვექილი, რომლისთვისაც გაუცვნია ქართველთა მდგომარეობა და ეს უბრალო კაცი დღეს უკვე ცნობილია – იგი ეხლა ქართველების ადვოკატია. ოდიშარიას პროცესში არც ერთი ქართველი სიკვდილით არ დაუსჯიათ. შვიდს გადაუწყვიტეს ციხე და მათ შორის ლეონტი ბალანჩივაძეს – მართლა ბანდიტს, 15 წელი. საერთოდ ისეთი მდგომარეობა შექმნილა, რომ ქართველებს სიხარულით მიუღიათ საბჭოთა დახმარება და დაცვა. ბ-ნი ექვთიმე თაყაიშვილი დიდის ამბით წაუყვანიათ და თან წაუღია არა მარტო მუზეუმების ქონება, არამედ მთავრობის არქივი და მისი ბიბლიოთეკაც. თბილისში მისთვის ბანკეტი გაუმართავთ, რომელზედაც ბ-ნი ექვთიმე თამადათ ყოფილა. ფოსტა მუშაობს და საქართველოსთან მიწერ-მოწერა სწარმოებს. პარიზში ქართული ოფისი აღდგენილია და განაგებს მას ისევ ჭიჭიკო ასათიანი. საერთო მეთვალყურეობა კი კვაჭი გეგელიას ეკუთვნის. ყოფილან საგარეო სამინისტროში სადაც დირექტორს განუცხადებია, ჯერ კიდევ მოთმენა და მოცდაა საჭირო, მერმე მოვაგვარებთ ქართველების საკითხს და გერმანიიდან აქეთ გადმოვიყვანთო.

როდესაც ფრანგები და ამერიკელები მიახლოვებიათ ქართულ ლეგიონს კასტრში, იქ იმ დროს ყოფილან ციცქიშვილი და ა. ასათიანი, რომელნიც მაშინვე გამოცხადებულან შტაბში და უთქვამთ, აქ არის გერმანელთა მიერ მოყვანილი ქართველთა ჯარი და ჩაიბარეთო. შტაბში ძალიან გახარებიათ და უთქვამთ ხელს არ ვახლებთო. მერმეთ ეს ახალგაზრდობა გაბნეულა სოფლებში და თავი აქვთ შეფარებული გლეხებთან სოფლებში. ამბობენ მათი რიცხვი ორი ათასზე მეტიაო.

გარდაცვლილან პარიზში – ვანდა ღამბაშიძისა, მექი კედია, პლატონ ფაჩულიას დაბლა დაცემია. დანარჩენები ასე ვთქვათ კარგად არიან. დიდია სიძვირე და უმუშევრობა. როგორც აღვნიშნე, ჩვენი ხალხი ძალიან დაშინებულია და რაიმე პოლიტიკურ მუშაობაზე ფიქრიც კი არავის არა აქვს. არც ნიადაგია. ერთად-ერთ ა. ასათიანს დაუწერია მემორანდუმი, სადაც სხვათა შორის ერთი ადგილი ამართლებს

ქართველების ერთი ჯგუფის თანამშრომლობას, გერმანმშრომლობას რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ ხელი არავის მოუწერია, და ბოლოს თვითონ გადაუცია იგი სამინისტროში. შედეგი? დაუჭერიათ იგი. გაუნთავისუფლებიათ გ. კვინიტაძე და ს. ქორქია. აქედან ახლათ ჩასულებს დაწვრილებით დაკითხვას უხდენენ და კარტდიდანტიტეს არ აძლევენ არამედ რესიპისეს რამოდენიმე თვით. ჯარში წასვლის გამო ამჟამად პასუხს არავის სთხოვენ ვინაიდან ეს საქმე უკვე მოუსპიათ. ყველა, საერთოდ გაჭირვებულია და თავი როგორმე გაიტანონ ფეხზე ვაჭრობას ეწევა. საბჭოელებს მოუტანიათ ქართული ფილმი და უჩვენებიათ „დარიკო“. ხალხი ბევრი დასწრებია, პარიზში ემიგრაცია რასაკვირველია გაზრდილა მაგრამ ძველებური მკაცრი გაყოფა ემიგრაციასა და საბჭოელთა შორის დღეს უკვე აღარ არსებობს. ყველა ერთმანეთში არეულია და შინ დაბრუნებას ჯერ-ჯერობით არავინ აპირებს, არც თვით საბჭოელნი. გერენალ კონიგს წერილი დაუსტამბავს, ქართველი ოფიცრები და ჯარისკაცები ჩვენთან ერთად იბრძოდნენ, პარტიზანებიც იყვნენ და რამოდენიმე მტრულად განწყობილი ქართველის გამო ქართველებს საერთო ცუდათ არ უნდა მოვეპყრათო. ამ განცხადებით ყველა კმაყოფილია თუმცა ეს მდგომარეობას არსებითად არა სცვლის. ლონდონიდან ჩამი-ჩუმი არ ისმის, ჩვენები ვერც იქ აკეთებენ რამეს. ჩეხიაში, პრაღაში დაუჭერიათ დათვებს ძველი ემიგრანტები ე. ლომთათიძე, დოლიძე და ს. მაღნარაძე. ვ. ინწკირველი დაჭერის დროს ფანჯრიდან გადამხტარა და დაღუპულა. დანარჩენები მიმალულნი არიან.

იტალიაში – ჩრდილოეთით იყო ერთი ათასეული მ. დადიანის ხელმძღვანელობით და ამას გარდა ფრ. წულუკიძის ხალხი. გახსოვთ ომის დასასრულს შინ დაბრუნების ფსიქოზმა შეიპყრო ხალხი და თითქმის ყველა წასულა. მაგრამ შემდეგ ბევრი გზიდან გამოქცეულა და იტალიაში დაბრუნებულა. ქართველების რიცხვი რომში ორასზე მეტია. სოფლებშიდაც ბევრი ყოფილა გაფანტული. ა. გომართელი დეიდით, მ. დადიანი ცოლით და შვილით ცოტნეთი, ა. დადიანი, ო. დადეშკელიანი, ზ. ახვლედიანი, ს. გვარამაძე და სხვა მილანოში არიან. მ. ქავთარაძე, კოტე იმნაძე, ზურაბ ციციშვილი და სხვა ბარი-ში არიან. სინჯიკაშვილი მიტო, მარგველაშვილის ასული, ნინო დადიანი და სხვანი რომში არიან. ინგილო ავადმყოფობს. ელოდენ ირაკლი ბაგრატიონის ჩასვლას ესპანეთიდან. ინჟ. [გვარი ამოღებულია ჩემს მიერ – **ჰ.ნ.**] პირადი ინტერესის დაბეზღების გამო დაუჭერიათ სინჯიკაშვილი, რომელიც რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოუშვიათ, მაგრამ დაუკარგავს მთელი ქონება. აგრეთვე მილანოში დაუჭერიათ თითქმის ყველა, რადგან პირველათ ფრანგებათ გაუსაღებიათ თავი. რამოდენიმე ხნის შემდეგ გაუნთავისუფლებიათ. ს. გვარამაძეს ამ ამბავში დაუკარგავს ყველაფერი. გარდაცვლილა რომან მკურნალი და მისი დიდი ქონება დაკარგულა, უპატრონობის გამო. ფრ. წულუკიძე თავისი ოფიცრებით ტყვეთა ბანაკშია ცალკე და თვითონ ფრიდონია კომენდანტი და თავს კარგად გრძნობენო. იტალიაში დუქნებში საქონელი იშოვება ოღონდ ცეცხლის ფასად. დიდი უმუშევრობაა. საერთოდ ჩვენი ხალხი გაჭირვებულია და თავი გააქვთ ფეხზე ვაჭრობით. ამას გარდა, ფულიანნი უფულოებს ეხმარებიან. ყოფილი ჩვენი პოლონელი ოფიცრები აღუდგენიათ თავის ხარისხში და ზოგი კიდეც მსახურებს პოლონელებთან. ხოლო მომხდარა ერთი მეტად ცუდი ამბავი – ერთს მათგანს, [გვარი ამოღებულია ჩემს მიერ – **ჰ.ნ.**] ყველა დაუბეზღებია – ეგენი გერმანელებთან თანამშრომლობდნენო. ამას დიდი აღშფოთება გამოუწვევია მოუთხოვიათ პოლონელებისათვის, იგი სასამართლოში მისცენ. სასამართლო შესდგება (და მე მანქანა გამიფუჭდა – ავტორის შენიშვნა; აქამდე მანქანაზე დაბეჭდილი

ტექსტი ამის მერე ხელით გრძელდება – **პ.ნ.**). საერთოდ იტალიელები ქართველებს კარგად ექცევიან, მაგრამ ეს მკვდარი მკვდარს აეკიდას ამბავია! გერმანიაში, მიუნჰენში ქართველთა რიცხვი ნელ-ნელა იზრდება. ყველა დაძმარებულია ბნელი მომავლის გამო. ჩავედი, შემენძრია უმოქმედობის ჭაობური მდგომარეობა. საჭიროდ დავინახე რაიმე ორგანიზაციის შექმნა, რომელიც ჩვენს ხალხს უპატრონებდა. და რასაკვირველია, აქედან გახიზვნის მიზნით. არავითარი საიმედო ნიშანი აქ დარჩენის შემთხვევაში ახალგაზრდობისათვის არ არსებობს, და არც ძველგაზრდები იქნებიან, ცხადია, დალხინებული. ამ მხრივ ფსიქოლოგიურად კარგად მომზადებული ნიადაგი დამხვდა და ყველა სიხარულით შეხვდა ჩემს პროექტს. ჩემი გეგმა იყო დაარსებულიყო იმმიგრაციის კომიტეტი. კრების მოწვევა შეუძლებელი იყო, ამიტომ თავი მოვიყარეთ ყავახანაში მხოლოდ ცხრა კაცმა, უმთავრესად ძველებმა. და ჩემი მცირე მოხსენების შემდეგ უკამათოდ გადაწყდა ეს საკითხი. ავირჩიეთ „საიმიგრაციო კომისია“, რომელშიც წევრებად არიან: დათა ვაჩნაძე, სანდრო კორძაია, კალე სალია, შოთა მარგველაშვილი. მივეცით კოოპტაციის უფლება. კომისიის საზრუნავი იქნება სათანადო ხელისუფლებას დაუკავშირდეს და ქართველების გახიზვნა მოაწყონ, სადაც შესაძლებელი იქნება. ამას გარდა ამ კომისიას, თუ დაამტკიცეს, და იმედია ეს მოხდება, სხვა დანიშნულებაც ექნება, ვინაიდან ზოგი სრულიად უქაღალდოთ არის. ვნახოთ, რა გამოვა.

ჩემს იქ ყოფნის დროს ჩამოვიდა ერთი უკრაინელი პროფესორი, ყოფილი თავმჯდომარე ყოფილი პრომეთეუსის ფრონტისა. შევხვდით გოგი ნაკაშიძის მეოხებით. და მოვისმინეთ მისი მოხსენება. მან მეტად შავად დაახასიათა თანამედროვე ვითარება და ახლო მომავალის შესახებ სრული უიმედობა გამოსთქვა. და ჩვენ შეგვეკითხა: რა ვქნათ, რას ფიქრობთო. ერთადერთი გამოსავალი, მისი აზრითაც, არის ხალხის გაყვანა ევროპიდან და ამ მიმართულებით საჭიროა მუშაობაო. სხვა აქ არაფრის გაკეთება არ შეიძლება, თუმცა ლონდონში დაარსდა ორგანიზაცია ინტერმარე – ზღვიდან ზღვამდე, – რომელშიც შედიან შემდეგი ემიგრაციის წარმომადგენელნი: ფინეთი, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია, ალბანეთი. ორგანიზაციის მიზანია თავისი ქვეყნების გათავისუფლება. მისი განყოფილება არის რომშიც. ჩვენ ეს საკითხი გადავდეთ, რადგან პირველ რიგში ეხლა იმმიგრაციის საკითხია. ასევე ფიქრობენ რუსებიც, ესენი კიდევ ქართველებს აწუხებენ: რა ვქნათო. არას სრული სულიერი დაბნევა და ზნეობრივი დამბლა. შედარებით უკეთესად არიან სომხები. 2500-მდე თავი აქვთ მოყრილი შტუტგარტთან, უნრა (UNRA – გაერთიანებული ერების დახმარებისა და რეაბილიტაციის ადმინისტრაცია – **პ.ნ.**) დახმარებას აძლევს, ყველა ჩაწერილა ამერიკაში წასასვლელად და ორი სომეხი გაუგზავნიათ ნიუ-იორკში ამ საქმის მოსაგვარებლად და დასაჩქარებლად.

ნიუ-იორკში ქართული კოლონია ამოძრავებულა. მისი ეხლანდელი თავმჯდომარეა – ჩხოტუა-გურიელი, რომელსაც კოლონიისათვის საკუთარი სახლი უყიდია, ამბობენ, ნახევარი მილიონის ფასადო. ამ კოლონიას გაუგზავნია სასურსათო დახმარება ქართველებისათვის საფრანგეთში და დაპირება გამოუთქვამთ, გერმანიაში მყოფ ქართველებსაც დავეხმარებითო. ჩვენს საიმიგრაციო კომისიას დავავალეთ ნიუ-იორკის ქართულ კოლონიას დაუკავშირდეს.

მიუნჰენში ჩემი ყოფნის დროს ჩამოვიდა ბაგრატ ჭანტურაია, რომელიც ბერგმანში იყო და ორივე ფეხში დაჭრილა სამი დღით ადრე განიარაღებამდე. მისი თქმით, ბერგმანში დარჩენილა კიდევ 120 კაცი და უკანასკნელ შეტაკებაში დაჭრი-

ლა 25. თვითონ გადაუყვანიათ გერმანიაში, ერთ-ერთ ლაზარეთში, მერმე მოხვედრილა შტუტგარტში და იქიდან მოაგნო ქართველებს მიუნჰენში.

იუგოსლავიიდან ჩამოვიდა ვიღაც რუსი, რომელსაც უთქვამს, მიხაილოვიჩის პარტიზანულ ჯარში ქართველები იმყოფებიანო. ვიფიქრეთ, – ალბად ბერგმანელები იქნებიანო. ვცდილობთ, გამოვარკვიოთ ეს ამბავი. ვასო შალამბერიძე, აკაკი კვიტაიშვილი და საშა ტარასაშვილი იუგოსლავიიდან პარიზს ჩასულან, ფრანგებს გაყოლიან.

ასეთია საერთოდ ქართველთა მდგომარეობა უცხოეთში, – მდგომარეობა უნუგეშო, მაგრამ რა ვქნათ: „ასრეა ესე სოფელი არვისგან მისანდობელი“, თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რასაც ძველი ბრძენი გვირჩევს:

„მაგრამ ღმერთი არ გასწირავს კაცსა მისგან განაწირსა“...

კაკიჩო ჩემო,

დიდი მოკითხვა ჩემს რაიბერებს – დიდათ მოხარული რომ ხანცი ჩემი პარტიის კაცი გამხდარა დიდი მოკითხვა ორივეს.

ვ. ნოზაძე.“

როგორც ჩანს,სწორედ ამ წერილს გულისხმობს თავისი გამოუქვეყნებელ მემუარებში თამარ პაპავა, როცა წერს, რომ ვიკტორ ნოზაძის წერილი მივიღეთო. სრულიად ბუნებრივია, რომ იმთავითვე მას მნიშვნელოვნად ჩაუთვლია მისი ეს წერილი, რომლის მნიშვნელობა დღეს კიდევ უფრო მეტია:

„1946 წ. თებერვალი 23.

საშინელი ქარი ქრის ეს სამი დღეა და ღამეა. ეს განუწყვეტელი ზუზუნი გულს გმირავს და ადგილს ვერსად ვპოულობთ, ყველგან დაგვდევს, თითქოს ეშინია არ დავივიწყოთ, რომ ის რაღაც საშინელების და სიკვდილის შიკრიკია... რისი მერე. ვიცი, მე ეს არ დამვიწყებია და ეს ზმუილი ჩემს გულში არ შეჩერებულა... ვერც იმის ცეცხლმა და ათასმა უბედურებამ დაჩრდილა ის...

ხვალინდელ დღის მოახლოებას დასტირის ეს ქარი და გვაგონებს ის შავ-ბნელ 24 თებერვლის თბილისი რომ დავტოვეთ 1921 წ. ამას შიკრიკი არ უნდა. ეს გლოვის ზარი უშენოდაც სდევს ჩემს გულში – მთელს არსებაში. სხვებს უთხარი, მოაგონე ეს ზუილი, მე ხომ ის არ მომწონებია არც ერთ კუთხეში, სადაც ამ ქარმა მას შემდეგ გადამაქროლა.

კაკიჩი და ლეო უკვე კვირაზე მეტია ჰამბურგში წავიდნენ. რა ვიცი, რა ნახეს იქ? ფოსტას კვირა აგვიანდება. დღეს მივიღე ვ. ნოზაძის წერილი. მეტად უიმედო ამბებს იწერებოდა ჩვენს ხალხზე. ემიგრაცია დაეცა სულით, დაიქსაქსა და ვინ იცის – ვინ საით წავიდა. საქართველოში დგება ბნელი და მძიმე დღეები, უფრო მეტი უკუნეთი“...

ვიკტორ ნოზაძის კიდევ ორი წერილი და ამჯერად გამოუქვეყნებელი მასალების პუბლიკაცია ამის დავამთავროთ. სხვათა შორის, ორივეში იგი ისევ თავის მონასტრულ განწყობილებას ეხმიანება – პირველში ქართველ ბერების მიერ ქართული საეკლესიო გამომცემლობის დაფუძნების შემოთავაზებაზე წერს, მეორეში კი – თავისი ათონური გეგმების შეცვლაზე.

„7.IV.47

ძვირფას კაკიჩებს,

ვულოცავ ქართულ აღდგომას და ვუსურვებ ჯანმრთელობას, სიმხნეს და ვაჟკაცობას, რომელიც ამჟამად ძალიან გვჭირდება. იმედია, თამარი ეხლა სავსებით ყოჩაღად არის, – და თუ ცოტა მოისვენებს საოჯახო საქმეთაგან, კარგს იზამს. ჩვენ ვართ დამწყვდეული ამ უზარმაზარ სატუსაღო გერმანიაში და ველით ფანჯრის გაღებას. ბატონიშვილი ირაკლი მადრიდიდან იმედს გვაძლევს და გვპირდება იქ გადაყვანას. ეს საერთოდ. მე პირადათ მეპატიჟებიან რომს ქართველი ბერები ქართული საეკლესიო გამომცემლობის დასაარსებლად. დასტურით კი ვუპასუხე, მაგრამ არც პასპორტი მაქვს ჯერ და არც ვიზა.

ვნახოთ, იქნებ მოგვარდეს რამე და თუ ეს გამომცემლობა მოვაწყეთ, – იქნებ თამარ ქალის შრომასაც ვანახოთ მზის სინათლე. მე უკვე დავასრულე ვეფხის ტყაოსანის გამოკვლევისათვის ერთი წიგნი და მოვნათლე კიდეც იგი – ფერთა სიმბოლიზმი ვეფხისტყაოსანში. ვიმედოვნებ – საყურადღებო იქნება, – სხვა არა იყოს რა – ახალი საკითხი მაინცაა აღძრული.

კვლავ გისურვებ ყოველივე კარგს ყველას, ყველას, ყველას

თქვენი ვიკტორი

ეხლა, ჩემო კარგო, მინდა სულ სხვა რამეზე მოგახსენოთ. გაგიგიათ ალბად, ბერლინში მყავდა მე ერთი მეგობარი ქალი (ლილიან) ყოფილი ქვრივი, ებრაელის მეუღლე, რომელიც კაცეტში დაიღუპა, ჩამომავლობით ამერიკელი. თითქმის ორი წლის შემდეგ დავშორდით ერთმანეთს, სწორედ ცუზამენბრუხის წინ (თებერვალში). მე წავედი ვარბურგში, იგი წავიდა ზალცბურგში. საშა ცომაიას და მიშა ალშიბაიას მოუნახავთ ეს ქალი, გადაუყვანიათ მიუნჰენში და შესანიშნავ ბინაში მოწყობილან, – არ აკლდათ არც ლილიანის ამერიკიდან, ნათესავებიდან მოსული პაკეტები, და არც წითელი ჯვრის პაკეტები. მოკლედ: ცხოვრობდნენ ამ ხანაში მეფურად. მე ეს ამბავი გავიგე ვარბურგიდან აქ რომ გადმოვსახლდი. და ამას შემდეგ, მე იმ ქალთან აღარ მივსულვარ და არც ეს ვაჟბატონები მინახავს. ამ ამბავის გაგრძელებას თვითონ ამ ქალის ლილიანის წერილი მოგითხრობს...

.....

მე, რასაკვირველია, ამის შესახებ თქვენ არაფერს არ მოგწერდით და არც შეგაწუხებდით, მაგრამ გავიგე, ეგ ვაჟბატონი ცომაია, დაგმეგობრებიათ და თქვენს ბიბლიოთეკაშიც მოკალათებულა. მართალია, თქვენ მეტად გულკეთილი და ამტანი ხართ, იქნებ მპატივებელიც, მაგრამ ასეთ პიროვნებასთან მეგობრობა, მაინც სასიამოვნო არაა. მე მხოლოდ გაგაფრთხილეთ ამით. ჟიგოლოები გვყოლია პარიზში, მაგრამ ასეთი უმორალო კი არც ერთი. ესაა ჩემი შეხედულება მისი, ცომაიას შესახებ.

ვიკტორი

ლილიანის წერილი, გთხოვთ, უკან დამიბრუნოთ.“

მერე წერილიდან ჩანს, რომ ვიკტორ ნოზაძისა და შალვა მაღლაკელის გეგმა შეიცვალა და ისინი ათონის მთაზე ვერ წასულან და ვიკტორ ნოზაძეს სანუგეშოდ ვეფხისტყაოსანიღა დარჩა. ვინ იცის, იქნებ ამ გეგმის ჩაშლას უნდა ვუმადლოდეთ, რომ ჩვენ მისი ვეფხისტყაოსნის განჩხრეკვანი დაგვრჩა.

„1 XII 48


ძვირფასო

ჩვენი გეგმა ჩაიშალა. მოულოდნელად და სასწრაფოდ გაგვიწვიეს ფრანკფურტში და დღესვე მივდივართ მარსელში. მაგრამ 21 დეკემბერს წავა 15-მდე ქართველი და მათ გავატანეთ ბაგაჟი. აქ ვხედავ ხალხს ძალიან ბევრი ბაგაჟი აქვთ. ნახვამდის.“

ჯერჯერობით არ ჩანს არავითარი დოკუმენტი, იყო თუ არა ვიკტორ ნოზაძე ათონზე, მაგრამ დანამდვილებით არის ცნობილი, რომ 1963 წელს ათონს ალექსანდრე კინწურაშვილთან ერთად სწვევია მისი ძმა გიორგი ნოზაძე. ჟურნალ „კავკასიონის“ მე-9 ნომერში დაიბეჭდა მისი მოგზაურული შთაბეჭდილებანი „ივერიელთა მონასტერი ათონზე“, ხოლო ამ ჟურნალის რედაქტორი სწორედ ვიკტორ ნოზაძე იყო.

ვიკტორ ნოზაძე მარსელიდან ბუენოს-აირესში წავიდა თამარ და აკაკი პაპავებთან. აქ იგი თავისი ვეფხისტყაოსნის განჩხრეკანის პირველ ტომს გამოსცემს, ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე გახდება, ბუენოს-აირესში ქართულ ჟურნალს დააარსებს და თავისი ბიოგრაფიის სამხრეთამერიკულ ისტორიას დაიწყებს.

თუმცა ეს უკვე სულ სხვა ამბავია.



სურათებზე: მიხაკო წერეთლის ნახატები, ეს ნახატები დაცულია თამარ და აკაკი პაპავების არქივში მათი ქალიშვილების – ტურფასა და მზიასადმი მიმართვით. ფურცლის ერთ მხარეს მიხაკო წერეთლის კარიკატურა უნდა იყოს, რომელიც ათონზე წასვლა-წაუსვლელობაზე ფიქრობს. მეორე მხარეს კი ალბათ წლების წინ საქართველოში წყალქვეშა ნავით შემოტანილი იარალის გახსენებაა. კალიგრაფია ვიქტორ ნოზაძისაა, უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მშვენიერი კარიკატურაც მასვე ეკუთვნის.

PAATA NATSVLISHVILI

The Knight in the Tiger's Skin – as the comfort of the inconsolable state of Viktor Noske

Summary

The article contains new material about the famous Georgian scientist Viktor Nozadze, who left a significant mark on the legacy of the Georgian emigration of the XX century. In addition to multi-faceted political, journalistic, and publishing activities, many of the important studies in Rustvelology belong to his pen – published in 6 books at different times in Buenos Aires, Santiago de Chile, and Paris.

From the newly revealed material, which is introduced in the article we can know that Viktor Nozadze was going to go to the monastery at Mount Athos after the Second World War. We will also learn that he participated in the Second World War under a different surname — Noske, which was unknown to us before, as well as why the politician and journalist was interested in Rustaveli's masterpiece in general.

The article reveals Viktor Nozadze's personal relationship with some representatives of the Georgian emigration and paints a vivid picture of the Georgian emigration after the Second World War.

There are first introduced Viktor Nosadze's verses on his troubles in the stile of Rustaveli, as well as the quotations of some private letters by him and to him, and the quotations of the unknown diaries of Tamar Papava

მეორე მსოფლიო ომი და ქართველი ემიგრანტი ქალები

საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1921 წლის მარტში, ემიგრაციაში ოჯახებით წავიდნენ მთავრობის წევრები, დამფუძნებელი კრების დეპუტატების ნაწილი, სამხედრო, პოლიტიკური, კულტურული, საქმიანი წრეების წარმომადგენლები. სტამბოლიდან ლტოლვილები გადაანაწილეს ევროპაში. ბევრი მათგანი, მათ შორის პოლიტიკოსები, საფრანგეთმა მიიღო, 80-მდე სამხედრო პირი და იუნკრები – პოლონეთმა. ლტოლვილები ასევე მიიღეს ჩეხოსლოვაკიამ, იტალიამ და გერმანიამ. 1922-1923 წლებში მათ მიემატნენ ბოლშევიკთა მიერ დაპატიმრებული და მეტეხის ციხიდან ემიგრაციაში გაძევებული უნივერსიტეტის 94 პროფესორ-მასწავლებელი და ინტელიგენტი, 1924 წლის აჯანყების დამარცხების მერე – გადარჩენილი მეამბოხეები. მათმა ნაწილმა საქართველოდან ოჯახების გაყვანა მოახერხა. მომდევნო წლებში საქართველოს ტოვებდნენ რეპრესიებს გარიდებული საზოგადო მოღვაწეები, კოლექტივიზაციით, ქონებისა და მიწების ჩამორთმევით დაზარალებული ქართველები. მათი უმრავლესობა საზღვარზე საიდუმლოდ გადადიოდა. ისინი ოჯახის წევრებს სამშობლოში ტოვებდნენ მომავალში მათი გაყვანის იმედით, თუმცა ეს უმეტესობამ ვეღარ მოახერხა და საბჭოთა კავშირში აგორებული რეპრესიები სწორედ მათ ახლობლებს დაატყდათ თავს. ასე რომ, 1924-1930 წლებში ემიგრაციაში ძირითადად მამაკაცები წავიდნენ – პირველი ტალღის ემიგრანტთა შორის ცოტა იყვნენ ქალები.

მძიმე ემიგრანტულ ყოფას ქალები მედგრად შეხვდნენ. ყოველდღიური საზრუნავისა და საოჯახო საქმეების შემდეგ გვიან ღამემდე მუშაობდნენ სახლში მოტანილ შეკვეთებზე – ქსოვდნენ, კერავდნენ და ოჯახებს ასე ეხმარებოდნენ. პროფესიულ ასპარეზზე წარმატების მიღწევა პირველი მსოფლიო ომის შემდგომი პრობლემებით დატვირთულ ევროპაში ძალიან ცოტამ თუ მოახერხა. ამაში ხელს უშლიდათ ლტოლვილთა სტატუსიც, ვინაიდან პირველი ტალღის ემიგრანტთა უმეტესობამ დაიტოვა დამოუკიდებელი საქართველოს მოქალაქეობა და არ მიიღო იმ ქვყნების ქვეშევრდომობა, რომელშიც ცხოვრება მოუწიათ. მიუხედავად ამისა, დაბრკოლებების გადალახვა მაინც მოახერხეს და საინტერესო კვალი დატოვეს მსოფლიო, ქართული ემიგრაციის თუ საქართველოს ისტორიაში. ქართულ ემიგრაციაში მოღვაწე ქართველ ქალთაგან ჩვენი საზოგადოებისათვის მცირე ნაწილია ცნობილი, უფრო მეტია ისეთი, რომელთა სახელი უცნობია არა თუ ჩვენთვის, არამედ ხშირად ემიგრაციის ახალი თაობისათვისაც. არადა, მათი ღვაწლი ღირსია იმისა, რომ გავაცნოთ საზოგადოებას.

პირველი ტალღის ემიგრაციის წარმომადგენელი ქალბატონები სხვადასხვა გზით აღმოჩნდნენ ემიგრაციაში. განსხვავებულია მათი ცხოვრების გზა, საქმიანობა, ბედი. ისინი სხვადასხვა კონტინენტსა და ქვეყანაში ცხოვრობდნენ. მათ შორის არიან: მეცნიერები, მწერლები, გამომცემელ-რედაქტორები, პო-

ლიტიკოსები, ოპერის მომღერლები, ქორეოგრაფები, ბალეტის მოცეკვავეები, კინომსახიობები, პიანისტები, მოქანდაკეები, მხატვრები, მოდელები და მოდელიორები, ქართველი ემიგრანტი ქალები ხელმძღვანელობდნენ სხვადასხვა ფონდსა და საზოგადოებას, კულტურულ-საგანმანათლებლო და საქველმოქმედო ორგანიზაციებს, სათვისტომოებს; მხარში ედგნენ მეუღლეებს პროფესიულ თუ საზოგადოებრივ საქმიანობაში; მონაწილეობდნენ სათვისტომოების, ემიგრაციაში არსებულ ორგანიზაციათა საქმიანობაში; იყვნენ რელიგიური და საერო დღესასწაულების, ზეიმების, საიუბილეო ღონისძიებების, კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობის ორგანიზატორები და მონაწილეები; სამშობლოში დაბრუნების იმედად ზრდიდნენ შვილებს, ზრუნავდნენ ახალგაზრდებისა და ემიგრაციაში დაბადებული თაობისათვის შეენარჩუნებინათ სამშობლოს ხატი, ქართული ენა და ტრადიციები; იმ ქვეყნებში, სადაც ცხოვრება მოუწიათ, მათ შექმნეს „პატარა საქართველოები“. სამწუხაროდ, ემიგრაცია გაგრძელდა. საბჭოთა რეჟიმმა ემიგრანტებს უკანდასაბრუნებელი გზა მოუჭრა.

მეორე მსოფლიო ომი კიდევ ერთი დიდი განსაცდელი იყო ქართული ემიგრაციისა და ემიგრანტი ქალებისათვის.

„საბჭოთა ქართველებისაგან“ განსხვავებით, ომი ემიგრანტებისათვის 1941 წლის 22 ივნისს არ დაწყებულა, – 1939 წლის 1 სექტემბერს დაიწყო და მათ სავსებით გაინაწილეს მასპინძელი ერების ხვედრი. „ბევრი ჩვენი ქართველი და კავკასიელი თანამემამულე, ზოგი ვალდებულებისა გამო, ზოგი მობილიზაციის წესით, იძულებული იყო ომის მონაწილე გამხდარიყო“, – აღნიშნავდა გაზეთი „ახალი დროება“.[1] ომამდე ქართველები მსახურობდნენ პოლონურ და ფრანგულ ჯარში. საფრანგეთში მცხოვრები ბევრი ქართველი უცხოურ ლეგიონში მსახურობდა. ომის დაწყების მერე კი საფრანგეთმა მობილიზაციის წესით გაიწვია სამოქალაქო პირები, მათ შორის ქართველი ემიგრანტებიც. გერმანიის მიერ საფრანგეთის ოკუპაციის დროს ქართველი ემიგრანტები ფრანგების გვერდიგვერდ იბრძოდნენ საფრანგეთის დასაცავად. პოლონეთში ქართველებს მობილიზაცია არ შეხებიათ, საკუთარი ინიციატით ჩაებნენ ბრძოლაში, რათა ამგვარად გამოეხატათ თავიანთი სიყვარული ახალი სამშობლოსადმი. 80-მდე ქართველი მხედარი პოლონეთის არმიასთან ერთად თავგამოდებით ებრძოდა რიბენტროპ-მოლოტოვის პაქტის საფუძველზე პოლონეთს შესეულ ერთის მხრივ რუსეთს და მეორე მხრივ – გერმანიას. ვარშავის უკანასკნელი დამცველიც ქართველი იყო – გენერალი ზაქარიაძე.[2] ქართველი ქალებიც მამების, ძმების, მეუღლეების მსგავსად, ჩართული აღმოჩდნენ ომის ქარცეცხლში. ომამდე არსებული „ქართველ ქალთა კომიტეტები“ ომის დროს ზრუნავდნენ ლტოლვილებსა და ტყვეებზე. აღსანიშნავია ფრანგულ წინააღმდეგობაში „რეზისტანსში“ და პოლონელ პარტიზანთა რიგებში ან გერმანიის მხარეს მყოფი ქართველი ქალები.

„რეზისტანსის“ „პატარა ხელებს“ უწოდებს რეზო ნიკოლაძე წინააღმდეგობის მონაწილეთა დამხმარე ქართველ ქალებს.[3] უმეტესობა ძალიან ახალგაზ-

---

1 ამირეჯიბი შ., აგვისტო, 1940 წელი, ჟურნ. „ახალი დროება“, ბერლინი, 1940, N1, გვ. 6.

2 დაუშვილი რ., უტიაშვილი შ., ალექსანდრე ზაქარიაძე, საქართველო-დასავლეთი. ნარკვევები სამხედრო ურთიერთობათა ისტორიიდან, თბ., 2014, გვ.144-145.

3 ნიკოლაძე ფ., ნიკოლაძე რ., ქართველები საფრანგეთისათვის ბრძოლებში 1939-1945 წლებში, თბ., 2009, გვ. 80.

რდა იყო, თუმცა გაბედულად ასრულებდა თითქოსდა უნიშვნელო საქმეებს გესტაპოს ცხვირწინ: ინახავდნენ პროკლამაციებს, ასრულებდნენ კურიერების როლს, მონაწილეობდნენ საპროტესტო აქციებში და ა.შ. მათ შორის იყვნენ ქეთევან ჯინჭარაძე და ქეთევან ბარნოვი.

ქეთევან ჯინჭარაძის მამა ალექსანდრე ჯინჭარაძე 1921 წელს გაგზავნეს ოთხ იუნკერთან ერთად (ივანე ვაჩნაძე, ნიკოლოზ თოხაძე, გიორგი ოდიშელიძე, ალექსანდრე კინწურაშვილი) საფრანგეთში, სენ-მექსენის სამხედრო სკოლაში. ალექსანდრე შემდეგ ფონტენბლოს საარტილერიო სკოლაში გადავიდა, 1926 წელს კავალერიის ოფიცრის წოდებით დაამთავრა და ჩაირიცხა უცხოურ ლეგიონში. 1935 წელს მას მიენიჭა საფრანგეთის უმაღლესი ჯილდო საპატიო ლეგიონის კავალერის ორდენი. ფლობდა მრავალ სხვა ჯილდოსაც. მეორე მსოფლიო ომის დროს, კაპიტანი ალექსანდრე ჯინჭარაძე იბრძოდა გერმანელთა წინააღმდეგ. ტყვედ ჩავარდა. მძიმედ დაავადების გამო გაათავისუფლეს, გადარჩა და საფრანგეთის გათავისუფლების მერე ლეგიონს დაუბრუნდა.[4]

ქეთევანის დედა იყო ცნობილი პარფიუმერული ფირმა „Prince Matchabelli“ დამაარსებლის გიორგი მაჩაბლის და ნინო მაჩაბელი. ქეთევანი იზრდებოდა პარიზთან ახლოს კლამარში, სადაც მაჩაბლის ფირმის ფრანგული ფილიალი მდებარეობდა. იქ გაიცნო თავისი საქმრო გი ემერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს ებრძოდა გერმანელ ოკუპანტებს. შეიპყრეს, აწამეს და ციხეში გამოკეტეს. გათავისუფლების მერე დაუკავშირდა პარტიზანებს, ჩუმად დაბრუნდა პარიზში და ჩაება იატაკქვეშა წინააღმდეგობაში. ქეთევანი ეხმარებოდა ემერის ჯგუფს საიდუმლო ინფორმაციის გადაცემასა და სამალავებში მოთავსებაში. მოღალატის მიერ გაცემული ჯგუფი გესტაპომ ხელთ იგდო და დახვრიტა, მათ შორის 21 წლის გი ემერიც. ამ ტრაგედიას დაემტა ცნობა, რომ ქეთოს მამა ალექსანდრეც ტყვეთა ბანაკშია. გოგონას სასოწარკვეთილებით შეწუხებულმა გენარალმა კოენიგმა (შემდეგ სამხედრო მინისტრი დე გოლის მთავრობაში) ქეთევანი ალჟირში წაიყვანა, სადაც მამამისი გათავისუფლების მერე იმყოფებოდა. ავადმყოფი მამის მოვლამ ცოტათი მაინც შეუმსუბუქა მწუხარება.[5] ქეთევან ჯინჭარაძეს, როგორც ომის ვეტერანს, საფრანგეთის სახელმწიფომ პენსია დაუნიშნა.

ქეთევან ბარნოვის მამა ნიკოლოზ ბარნოვი სოციალ-დემოკრატი იყო. დამოუკიდებელ საქართველოს მმართველობაში გარკვეული თანამდებობა ეკავა და ოკუპაციის მერე ოჯახით ემიგრაციაში წავიდა. ქეთევანი მაშინ სულ რამდენიმე თვის ჩვილი იყო.[6] იზრდებოდა ქართული სულისკვეთებით, ენაც კარგად შეისწავლა, თუმცა სკოლაში ფრანგულად სწავლობდა. მეორე მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ქეთევანმა სანიტრად წასვლა მოინდომა, მაგრამ ასაკის გამო არ მიიღეს. 1940 წლის 18 ივნისს ინგლისის რადიოთი გენერალ დე გოლის მოწოდებას წინააღმდეგობისკენ, გერმანელების მიერ ოკუპირებლ საფრანგეთში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. ამის საპასუხოდ, 11 ნოემბერს – პირველი მსოფლიო ომის დასრულებისას, კომპიენის ტყეში, მარშალ ფოშის სალონ-ვაგონში

---

4 დაუშვლი რ., უტიაშვილი შ., ალექსანდრე ჯინჭარაძე, დასახ.ნაშრ. გვ. 163.

5 ნიკოლაძე ფ., ნიკოლაძე რ., ქართველები საფრანგეთისათვის ბრძოლებში 1939-1945 წლებში, გვ. 88.

6 ახალაია ი., რა განძს უფრთხილდება რუდუნებით ემიგრანტი ქეთევან ბარნოვი? გაზ. „ივერია“, თბ., 27 IX, 2004, N73, გვ.16.

გერმანიის მიერ კაპიტულაციაზე ხელმოწერის სიმბოლურ დღეს, ოკუპირებულ პარიზში, ეტუალის მოედანზე მოეწყო პატრიოტ სტუდენტთა მანიფესტაცია. მასში მონაწილეობდა ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლე ქეთევან ბარნოვი. ბევრ მათგანს ხელში ეჭირა ორი გრძელი ჯოხი, რაც ფრანგულად ჟღერს როგორც „დეუს გოლეს“, მინიშნება დე გოლის მოწოდებაზე. 1941 წელს ქეთევანი დეკორატიული ხელოვნების უმაღლესი სკოლის სტუდენტი გახდა და ჩაება „რეზისტანტელთა“ ქსელში კურიერად. იღებდა მონაწილეობას ანტიჰიტლერულ და საპროტესტო აქციებში. არაერთხელ გადაურჩა მახეს, დაპატიმრებას, უვნებლად გაიარა ოკუპაციის წლები, დაასრულა უმაღლესი, ცოლად გაჰყვა ბასკ არქიტექტორ შედოს. თავის დამსახურებაზე მოკრძალებულად საუბრობდა, რადგან თვლიდა, რომ საფრანგეთის მადლობელი უნდა ყოფილიყო.[7] გარდაიცვალა 2015 წელს, დაკრძალულია ლევილის ქართველთა სასაფლაოზე.

1940 წლის გაზაფხულზე, 20.000 პოლონელ სამხედრო ტყვესთან ერთად, სტალინის ბრძანებით, კატინში დახვრიტეს პოლონეთის არმიის რამდენიმე ქართველი ოფიცერი, მათ შორის, ყოფილი ქართველი იუნკერი, მფრინავი, კაპიტანი არკადი სხირტლაძე.[8]

კაპიტან სხირტლაძის უფროსი ქალიშვილი ირინა სხირტლაძე დაიბადა 1928 წელს ლვოვში. მამის დაღუპვის შემდეგ, 1943 წლის ბოლოს, ირინა დედასთან და უმცროს დასთან ერთად ვარშავაში გადავიდა. გერმანელთა მიერ ოკუპირებულ ვარშავაში ირინამ მოძებნა ქართველი ქალი და მასთან დაიწყო ქართული ენის უკეთ შესწავლა.ქართველი ოფიცრის ქალიშვილი არ იყო ვალდებული მონაწილეობა მიეღო ვარშავის აჯანყებაში. მიუხედავად ამისა, იგი აქტიურად ჩაება ანტიფაშისტურ მოძრაობაში.

1944 წლის აგვისტოში, ვარშავის აჯანყების დაწყების პირველივე დღეებში, ირინა სხირტლაძე ფსევდონიმით „ირკა“, პოლონეთის წინააღმდეგობის არმიაში მოხალისედ ჩაეწერა და „პარასოლის“ ბატალიონის მეკავშირე და სანიტარი გახდა. 1944 წლის 14 სექტემბერს, ლუდნას ქუჩაზე, სადაც აჯანყებულები გააფთრებით ებრძოდნენ გერმანელებს, ირკა ცდილობდა მძიმედ დაჭრილი ბატალიონის უფროსის დახმარებას, იგი გერმანელთა ტყვიამ იმსხვერპლა. ბრძოლის ველზე გამოჩენილი სიმამაცისთვის ირინა სხირტლაძე დაჯილდოებულია მედლით „მამაცთა ჯვარი“, დაკრძალულია ვარშავის პოვონზკის ცნობილ სამხედრო სასაფლაოზე.

2011 წლის 14 სექტემბერს, ირინა სხირტლაძის დაღუპვიდან 67 წლის შემდეგ, ვარშავის პოვონზკის სამხედრო სასაფლაოზე გაიმართა ვარშავის აჯანყების გმირი ქართველი გოგონას ხსოვნისადმი მიძღვნილი ცერემონია. დებლინის საავიაციო სკოლის „არწივის მართვეების“ კურსანტებმა, სადაც ირინას მამა კაპიტანი სხირტლაძე პოლონელ მფრინავებს წვრთნიდა, ყვავილებით შეამკეს „ირკას“ საფლავი და მის ხსოვნას სანთლები აუნთეს.[9]

---

7 ნიკოლაძე ფ., ნიკოლაძე რ., ქართველები საფრანგეთისათვის ბრძოლებში 1939-1945 წლებში, გვ. 80.

8 უშუალოდ კატინში ქართველთა დახვრეტის ფაქტი არ დასტურდება. პოლონურ ისტორიოგრაფიაში სმოლენსკის, კალინინის (ტვერი), კიევის, მინსკის, კოჟელსკის, სტარობელსკისა და სხვ. ტყვეთა ბანაკებში დახვრეტილი ყველა ტყვე კატინის მსხვერპლად მიიჩნევა (რედ.).

9 ტოროტაძე ქ., კატინის ტყეში დახვრეტილი ქართველი ოფიცრები და ვარშავის აჯანყების გმირი ქართველი გოგონა, ჟურნ. „ისტორიანი“, თბ., 2012, N2, გვ. 38.

1977 წლის ივლისში ირინას დედა იანინა და უმცროსი და ქრისტინა მეუღლესა და ვაჟთან ერთად საქართველოს ეწვივნენ. მათ გაიცნეს ქვეყანა, რომლის ნახვა ირინას აუხდენელ ოცნებად დარჩა, ირინა სხირტლაძის სახელი კი ისე, როგორც არქიმანდრიტ გრიგოლ ფერაძის, გაახმაურა ენათმეცნიერმა, ქართველოლოგმა, „ვეფხისტყაოსნის“ პოლონურ ენეზე მთარგმნელმა, ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორმა იან ბრაუნმა. მან აღმოაჩინა ირინას საფლავი პოვონზკის სასაფლაოზე, პოეტმა ჯანსუღ ჩარკვიანმა კი მიუძღვნა ლექსი „ირინოლა“ რეფრენით „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა, შვილი დასა კარგავი...“.

ქართველები მოხალისეებად სხვა ევროპული ქვეყნების ჯარშიც იბრძოდნენ – დიდი ბრიტანეთის, ბელგიის, აშშ-ს არმიებში. ქართველ ემიგრანტთა მნიშვნელოვანი ნაწილი კი გერმანიის არმიაში შექმნილ ქართულ ბატალიონებში ჩაეწერა. ქართული ემიგრაციის დაყოფა ორ ბანაკად მეორე მსოფლიო ომის წინ, ევროპაში შექმნილმა სიტუაციამ გამოიწვია. პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწილი ანტიგერმანულ ბანაკში აღმოჩნდა, ერთმა ჯგუფმა კი საქართველოს გათავისუფლება ომში გერმანიის გამარჯვებას დაუკავშირა. მათ კარგად ახსოვდათ გერმანიის როლი 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადებისა და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვის საქმეში. საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, საქართველოს მოქალაქეთა ნაწილი გერმანიამ შეიფარა. ისინი გამოირჩეოდნენ მიღწევებით კულტურის სფეროში. ჰიტლერის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სხვადასხვა ქვეყნებში გაფანტულ პროგერმანულად განწყობილ ქართველ ემიგრანტებს, თანამშრომლობის პირობით, გერმანიის ხელისუფლებამ, სამშობლოს განთავისუფლების საქმეში დახმარება აღუთქვა. პოლიტიკურ მოღვაწეთა ნაწილი ამ მწოდებას გამოეხმაურა და გერმანიაში ჩავიდა. საფრანგეთის ოკუპაციისა და უმუშევრობის გამო კი მას ქართველთა ნაწილმა სამუშაოდ მიაშურა. გერმანიისაკენ დაიძრნენ ჩეხოსლოვაკიის და პოლონეთის ინვაზიის შემდეგ აქ მცხოვრები ქართველებიც. ასე რომ, მეორე მსოფლიო ომის წინ გერმანიაში ქართველთა დიდი დიასპორა არსებობდა, რამაც მნიშვნელოვნად განსაზღვრა კიდეც მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიის მხარეზე ქართველთა მონაწილეობა. [10]

გერმანიაში მცხოვრენ ემიგრანტ ქართველ ქალთაგან ერთ-ერთი საინტერესო სახელია თამარ რევია-ბერეჟიანი. მისი პირველი ქმარი პირველ საბჭოურ რეპრესიებს შეეწირა. თამარი რომ არ გადასახლებინათ, უცხოელზე, ახალგაზრდა გერმანელ სამხედრო ინჟინერ კარლ ტიცზე გათხოვდა, რომელიც საქართველოში მუშაობდა. ტიცი გერმანიაში დაბრუნდა და ცოლიც წაიყვანა. ხალისიანი, ენერგიული, მშვენიერი თამარი ბერლინის ქართული სათვისტომოს აქტიური წევრი გახდა. 1931 წელს ემიგრაციაში წასულ გრიგოლ რობაქიძეს, რომელმაც 1932 წელს გამოსცა წიგნი „მეგი – ქართველი გოგონა“, 1933 წელს სათვისტომოს მოწყობილ „თამარობაზე“, „ცოცხალ სურათებში“ თამარ მეფის როლში პირველად უნახავს თამარ რევია და აღტაცებით უთქვამს: „აი, ჩემი მეგიო“.

10 დაუშვილი რ., 8 ეპიზოდი ქართულ-გერმანული ურთიერთობების ისტორიიდან, თბ. 2014, გვ. 44-45.

მეორე მსოფლიო ომის დროს თამარმა „ქართულ შტაბში“ დაიწყო მუშაობა. ამ დროს კარლ ტიცი სმოლენსკთან ავარიაში მოხვდა და დასახიჩრდა. თამარს გაეყარა და ბავშვებიც წაართვა, რადგან თავის ხეიბრობას ქართველს, სტალინს აბრალებდა.

1944 წლის ივნისში, მეორე ფრონტის გახსნის შემდეგ, როცა რუსების შეტევა დაიწყო, დასავლეთს პოლონეთიდან და ჩეხოსლოვაკიიდან ლტოლვილი ქართველები მიაწყდნენ. საჭირო იყო მათთვის ბინის შოვნა. ქართულმა შტაბმა ავსტრიაში ბავშვებისა და ავადმყოფი ტყვეებისათვის ბანაკის მოწყობა თამარ რევიას მიანდო. მას ემიგრანტი შოთა ბერეჟიანიც გააყოლეს, რომელიც თბილისში თამარის მეზობლად ცხოვრობდა და ბავშვობიდან იცნობდა. ზალცბურგში, სოფელ მიტერზინში ორ სკოლაში მოაწყვეს ბანაკი, რომელსაც თამარი „მადამ ტიცის“ სახელით განაგებდა. ყველა გაოცებული იყო თამარის უნარით: იმ გაჭირვებაში სად შოულობდა დეფიციტურ წამლებს, ჩვილ ბავშვთა საკვებს ან ტანსაცმელს. თამარი ყველას ეხმარებოდა და ბევრის შეუნარჩუნა ჯანმრთელობა და სიცოცხლე.[11]

1945 წლის 8 მაისს გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ ბანაკის მცხოვრებთა ნაწილი იტალიაში გადაიყვანეს, ნაწილი მიტერზინში დარჩა. ორმა საბჭოთა ქართველმა ოფიცერმა ტყვეების ნაწილი სამშობლოში წაიყვანა, რომლებიც შემდეგ ციმბირსა და შუა აზიაში გადაასახლეს. თამარიც აპირებდა სამშობლოში დაბრუნებას, მაგრამ შოთამ გადააფიქრებინა, რომელიც 1929 წელს წავიდა ემიგრაციაში და შეესწრო სსრკ-ში აგორებულ რეპრესიებს. 9 მაისს მიტერზინი ამერიკულმა ნაწილმა დაიკავა. 1945 წლის იალტის ხელშეკრულებით ყველა იქ უნდა წასულიყო, საიდანაც იყო ჩამოსული. შოთა პარიზში უნდა დაბრუნებულიყო, თამარი – ბერლინში. ბერლინში ჩასვლა საშიში იყო – იქ რუსები იყვნენ. თამარმა და შოთამ ხელი ფიქციურად მოაწერეს, პატარა ქორწილიც გადაიხადეს და პარიზში წავიდნენ. თამარმა თავისი სამკაულები გაყიდა და დუქანი იყიდეს. ამასობაში ერთმანეთი შეუყვარდათ და „ნამდვილი ცოლ-ქმარი გავხდით“-ო, – წერდა შოთა ბერეჟიანი. 6 წლის მერე პარიზში რესტორანი „ფრანკო-ჟორჟიენ“ გახსნეს, მაგრამ ვერ ამუშავეს. გაყიდეს. თამარმა შვილებიც მოძებნა. ლევილში ერთ ოთახში ცხოვრობდნენ და ძალიან უჭირდათ. მიწას ამუშავებდნენ და კიტრი მოჰყავდათ. მერე შოთამ მუშაობა დაიწყო. ეკონომიკურად რომ მომაგრდნენ, ლევილთან ახლოს, ლინაში სახლის მშენებლობა დაიწყეს, რომელიც ლატარიაში მოგებული 600 ათასი ფრანკით 1962 წელს დაამთავრეს. ბერეჟიანების სტუმართმოყვარე სახლი ყველას იზიდავდა. სტუმრობდა გრიგოლ რობაქიძეც, რომელიც თამარის ქალიშვილის, ვივიანის ნათლია გახდა, გოგონას „მედეა“ უწოდა და თავის წიგნებს უგზავნიდა.[12] აღნაგობა, ხალისიანი ბუნება და ახალგაზრდული იერი თამარმა 70 წლის ასაკშიც შეინარჩუნა. 1983 წელს ოპერაციის მერე გართულებით გარდაიცვალა. ქართულმა სათვისტომომ გულით დაიტირა „მშვენიერი თამარი“ და რობაქიძის „მეგი“, ყოფილმა ტყვეებმა და ლტოლვილებმა დიდი პატივი მიაგეს მათი მხსნელ „მადამ ტიცსს“, რომლის ნეშტიც ლევილის ქართულმა სასაფლაომ მიიბარა.

---

11 აბდუშელი ლ., თამარ ბერეჟიანის გამოსათხოვარი, ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1984, N42, გვ. 17.

12 ბერეჟიანი შ., მოგონებები, ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, N5 (8), თბ., 2018-2019, გვ. 112-140.

ცნობილ იურისტს, სამხედრო და პოლიტიკურ მოღვაწეს გენერალ ლეო კერესელიძესა და შვეიცარული საათების ცნობილი ფირმის „ჟაეგერ-ეჩოულტრეს“ დამაარსებლის ქალიშვილს მარტა ეჩოულტრეს საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, 1922 წელს ემიგრაციაში, სტამბოლში, შეეძინათ ქალიშვილი მარიამი. 1924 წელს ოჯახი პარიზში დასახლდა. ლეო სათავეში ჩაუდგა ეროვნულ დარაზმულობა „თეთრ გიორგის“.[13] მარიამმა განათლება რომში წმ. მარიამის მონასტერში მიიღო. მას ლეო ქართული სულისკვეთებით ზრდიდა, აჩვევდა სპარტანულ წესებს, ცხოვრების სირთულეებთან გამკლავებას. ქართული რომ ესწავლა, ხშირად დაჰყავდა „თეთრგიორგელებთან“. მარიამი ძლიერი, მიზანსწრაფული, განათლებული, ენების მცოდნე ქალი დადგა. მამას მხარში ედგა, მისი მრავალი პატრიოტული საქმის თანამონაწილე იყო. 1929-1933 წლების მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის, „დიდი დეპრესიის“ ჟამს კერესელიძეები მაროკოში გადასახლდნენ, სადაც ლეოს ცხენსაშენი ჰქონდა. მარიამი იქ ისე გაიწაფა ცხენოსნობაში, რომ 17 წლის ასაკში მაროკოს ტრადიციულ, უდაბნოს 5-დღიანი ჯირითი მოიგო. ცხენზე ამხედრებული მისი ფოტო ცნობილ ჟურნალებში გამოქვეყნდა. მომხიბლავი, ჭკვიანი, ენერგიული და ერუდირებული მარიამი მუდამ ყურადღების ცენტრში იყო. ტანჟერში ბევრი ეტრფოდა მშვენიერ ამორძალს, შვეციის დესპანზეც იყო დანიშნული, ცოლად კი გიბრალტარში მოღვაწე ინგლისელს გაჰყვა, თუმცა ქორწინებამ დიდხანს არ გასტანა. ტანჟერში ის მეგობრობდა გერინგის ბიძაშვილთან, მაროკოში მოქმედი გერმანიის დაზვერვის ხელმძღვანელთან. მაშინ დაუკავშირდა გერმანიის დაზვერვას. მას ევალებოდა დაზვერვისათვის საინტერესო პირების გადაბირიება და მათი მეშვეობით ინფორმაციის მოპოვება. ამის წყალობით გერმანელები სამი წელი ზუსტად ბომბავდნენ გიბრალტარის ინგლისურ ბაზებს. მარიამის დამსახურებად მიიჩნევა ტანჟერიში აკრედიტებულ ამერიკელ და პორტუგალიელ ელჩებს შორის საიდუმლო მოლაპარაკებების გამჟღავნებაც. ამ საქმიანობით მას მატა ჰარის ადრიდნენ, თუმცა აღნიშნავდნენ, რომ ის უფრო ჭკვიანი და საზრიანი იყო.[14]

მეორე მსოფლიო ომის დაწყებისას კერესელიძეები საფრანგეთში დაბრუნდნენ. ქართველთა ძველმა მეგობარმა, თბილისში გერმანიის კონსულმა და ომამდე გერმანიის ელჩმა სსრ კავშირში, რაიხის საგარეო საქმეთა სამინიტროს აღმოსავლეთ საქმეთა კომისარმა გრაფმა შულენბურგმა ბერლინში მიიწვია ქართველები, მათ შორის ლეო კერესელიძე და „პოლიტიკური კომიტეტის“ შექმნა შესთავაზა. დამოუკიდებელი საქართველო უნდა გამხდარიყო გერმანიის აღმოსავლური პოლიტიკის საყრდენი.[12]

1942 წელს მარიამი დედასთან ერთად ბერლინში ჩავიდა. სხვა ქართველებთან ერთად უსტრაუში ქართველ ტყვეთა შორის ანტისაბჭოთა აგიტაციას ეწეოდა და გამოჰყავდა ბანაკიდან. ტყვეების და ემიგრანტებისგან შექმნილი ქართული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, რომელშიც მარიამი შესანიშნავად ასრულებდა ქართულ ცეკვებს, კონცერტებს მართავდა მებრძოლების, გათავისუფლებული ტყვეების, გერმანელი ოფიცრე-

13 შარაძე გ., ლეო კერესელიძე და „თეთრი გიორგი“, „უცხოეთის ცი ქვეშ“, ტ. 3, თბ. 1993, გვ.132-148.

14 დაუშვილი რ., გრაფი შულენბურგი ქართულ პოლიტიკაში, „ქართული დიპლომატია“, ტ. 10, 2003, გვ.190-205.

ბისთვის. ეს ეროვნული გრძნობების გაღვივების საუკეთესო პროპაგანდა იყო.

1943 წელს, მოკავშირეთა მიერ ბერლინის პირველი დიდი დაბომბვისას, ლეო დაიღუპა. მარიამი აღმერთებდა მამას და ეს დიდი ტრაგედია იყო მისთვის, თუმცა სამშობლოს გამოხსნის იმედი არ დაუკარგავს და გააგრძელა ქართველებთან ურთიერთობა. 1944 წელს ის „ქართულ შტაბთან“ თანამშრომლობდა და ქართველ ტყვეთა გათავისუფლების კამპანიაში ჩაერთო. გერმანიის დამარცხების მერე შტაბმა ლტოლვილები, ტყვეები და გერმანიის ჯარში მებრძოლები საბჭოელებს გაარიდა და იტალიაში გადაიყვანა. ოპერაციაში მონაწილეობდა მარიამიც. 600 ქართველი ჩაიყვანა იტალიაში. იქ ისინი გერმანელებთან მებრძოლ პარტიზანებს შეუერთდნენ. ამის გამო მარიამი ნაცისტებმა კინაღამ დახვრიტეს. 1945 წელს ბიძამ, დედის ძმამ, მარიამი და დედამისი შვეიცარიაში წაიყვანა. 1948 წელს მარიამმა უნივერსიტეტში ჩააბარა, პარალელურად ევროპულ ენებს ასწავლიდა სკოლაში.[15]

ომის შემდეგ უმძიმეს ვითარებაში აღმოჩნდნენ საქართვლოს გამოსახსნელად საბჭოელთა წინააღმდეგ გერმანელთა მხარეს მებრძოლი ყოფილი ტყვეები და ემიგრანტები. სსრ კავშირი მათ მთელ ევროპაში ეძებდა, იჭერდა, ხვრეტდა ან ციმბირში გზავნიდა. მარიამზე ნადირობდნენ ინგლისის დაზვერვა და საფრანგეთის პოლიცია, ამიტომ ევროპას ისიც გაერიდა და თავი პერუს შეაფარა. ლექციებს კითხულობდა ლიმის უნივერსიტეტში. მარიამს მამის სამწერლო ნიჭიც გამოჰყვა. მას ეკუთვნის ფრანგულ ენაზე დაწერილი მოგონებანი და ორი ესპანურენოვანი პიესა. მისი პიესა „მაიტა“ „ლეო კერელის“ ფსევდონიმით ლიმაში სცენაზეც დადგეს. მარიამი პერუში მიმდინარე რევოლუციურ პროცესებშიც ჩაერთო და ოდესღაც საბჭოთა რეჟიმის მოწინააღმდეგე, კომუნისტებს უჭერდა მხარს, პატივს სცემდა ფიდელ კასტროს. სამხედრო გადატრიალებების გამო 1948 წელს მარიამი მეუღლე მანუელ ჰერერა ასპაუზასთან ერთად პერუდან ისე გამოიქცა, რომ მხოლოდ ერთი ჩანთის წაღება მოასწრო, არქივის დიდი ნაწილი – ლიმაში დარჩა.

სიცოცხლის უკანასკნელი წლები ქმართან ერთად პარიზში გაატარა. „მარიამ ჰერერას“ სახელით ლექციებს კითხულობდა სორბონის უნივერსიტეტში. საფრანგეთის პოლიცია ფაშისტებთან თანამშრომლობისათვის მარიამს ომის დასრულებიდან 20 წლის მერეც ეძებდა. ფრანგები ალმაცერად უყურებდნენ ყველა ქართველს, ამიტომ მასთან კავშირი გაწყვიტეს პარიზელმა ნათესავებმა – ბიძის, გიორგი კერესელიძის შთამომავლებმა. ნათესავ-მეგობრებთან ურთიერთობის გაწყვეტა ყველაზე მძიმე განსაცდელი აღმოჩნდა, ამიტომ საქართველოში მოძებნა მამიდა, მამიდაშვილები და მიმოწერა მათთან გააბა. მერე ეს კავშირიც გაწყდა – მამიდის შთამომავლები სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა დააშინა, მარიამი კი მათ მაინც წერდა წერილებს და პასუხებს ელოდა. 80 წელს გადაცილებული მარიამ კერესელიძე, „დაკარგული ქართველი ქალი“, როგორც ერთ წერილში უწოდა საკუთარ თავს, გარდაიცვალა საფრანგეთში 2002 წელს ისე, რომ სამშობლოში ფეხის დადგმაც არ ეღირსა. 2013 წელს 100 წელს მიღწეულმა მანუელ ჰერერამ მეუღლის ანდერძი შეასრულა და მარიამის

15 მარჯანიშვილი მ., მარიამ კერესელიძე: „მე სულ საქართველოში დაბრუნებაზე ვოცნებობ“, ჟურნ. „ისტორიანი“, თბ. №6, (78), 2017, გვ. 45.

ფერფლი საქართველოში ჩამოიტანა. მარიამი ოცნებობდა, რომ მისი ფერფლი გორში, კერესელიძეების საგვარეულო სასაფლაოს შერეოდა. ჰერერამ საფლავს ვერ მიაგნო, ვერც ეკლესიისგან მიიღო ნებართვა, ამიტომ ყველაზე ცნობილი ქართველის, მარიამისა და მისი ოჯახისათვის კი – სამშობლოს დამაქცევარის – იოსებ ჯუღაშვილ-სტალინის სახლ-მუზეუმის ეზოში მოძებნა ადგილი და ფერფლი მოაბნია, ეროვნულ ბიბლიოთეკას – მარიამის არქივის ნაწილი გადასცა.[16]

ამ ხუთი ქალბატონის ცხოვრება და მინაწილეობა მეორე მსოფლიო ომში განსხვავებულია და საინტერესო. ომმა კიდევ უფრო მიმოფანტა ქართველობა მთელ მსოფლიოში. პირველი თაობის ემიგრანტთაგან ცოტას თუ ეღირსა სამშობლოს ხილვა. მესამე თაობიდან კი ცოტამ თუ შეინარჩუნა იდენტობა. ჩვენი ვალია დავიწყებასა არ მივცეთ, მოვძებნოთ, დავაბრუნოთ და ჩვენს საზოგადოებას გავაცნოთ იმ ქალთა ვინაობა და ღვაწლი, ვინც თავის დროზე დიდი საქმეები აკეთა თავისი ოჯახის, ხალხისა და იმ ქვეყნების საკეთილდღეოდ, სადაც ცხოვრება მოუწიათ.

16 გაფრინდაშვილი ბ., მარიამ კერესელიძე დაკარგული ქართველი ქალი, თბ., 2018, გვ. 69.

RUSUDAN DAUSHVIIL

The Second World War and Georgian immigrant women

Summary

The article talks about Georgian women living in exile and their participation in the Second World War. "Georgian women's committees" in European countries took care of prisoners and refugees. Girls helped the French "Resistance": played the role of couriers, kept proclamations, participated in anti-German protests, etc. Among them were Ketevan Jincharadze and Ketevan Barnov.

1940 Pilot Captain Arkady Skhirtladze was among the Georgian officers shot by the Soviets along with 20,000 Polish prisoners of war at Katyn. His 16 years Daughter Irina Skhirtladze "Irka" 1944 During the Warsaw Uprising, he enlisted in the Polish Resistance Army as a liaison officer and nurse. While helping the seriously wounded commander, he was killed by a German bullet. He was awarded the "Cross of the Brave" medal and was buried at the Povonzki Military Cemetery in Warsaw. Apart from the countries of the anti-fascist bloc, Georgian immigrants also fought on the side of the Germans. 1944 After the opening of the second front and the attack of the Russians, Georgian refugees from Poland and Czechoslovakia faced the West. Tamar Revia, an emigrant living in Germany, organized a camp for them and sick prisoners in the village of Mitterzin in Salzburg, Austria, on the instructions of the "Georgian Headquarters". Tamar ruled it under the name of "Madame Titz" and saved many people's health and lives. Mariami, the daughter of the famous lawyer, military and political figure, General Leo Kereselidze, took care of the evacuation and rescue of Georgian prisoners of war from the camps and cooperated with German intelligence. After the war, Mariam also avoided Europe and took refuge in Peru. He escaped from Peru to Paris during the 1948 military coup. Under the name "Mariam Herrera", she gave lectures at Sorbonne University. In order to cooperate with the Germans, his relatives cut ties with him in Paris, with the intervention of the Kagebe in Georgia. Mariami Kereselidze, "The Lost Georgian Woman". He died in 2002. Her husband Manuel Herrera fulfilled his will and brought Mariam's ashes to Georgia, and gave part of the archive to the National Library.

ოთარ ჯანელიძე

გიორგი გვაზავას პოლიტიკური პორტრეტისათვის

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცნობილი ქართველი იურისტი, პოლიტიკური მოღვაწე, პუბლიცისტი და მთარგმნელი გიორგი ბეჟანის ძე გვაზავა 1868 წელს, მაშინდელი სენაკის მაზრის სოფელი სუჯუნაში დაიბადა.[1] პირველდაწყებით განათლება ნოქალაქევსა და მარტვილში მიიღო, შემდეგ სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიასა და მეორე გიმნაზიაში გააგრძელა. გიმნაზიის ოქროს მედალზე დამთავრებისთანავე, 1889 წელს შე ვიდა მოსკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. იყო „კავკასიის სტიპენდიანტი“.

იმ წლებში მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებს ჩამოყალიბებული ჰქონდათ თავიანთ წრე, რომელიც 30-ზე მეტ წევრს აერთიანებდა. ახალგაზრდები წერდნენ და განიხილავდნენ რეფერატებს აქტუალურ თემებზე, მსჯელობდნენ, კამათობდნენ, რაც ბევრი მათგანისათვის ერთგვარი წრთობა აღმოჩნდა სამომავლო საზოგადოებრივი თუ პოლიტიკური მოღვაწეობის გზაზე. გიორგი პირველი კურსიდანვე ჩაება ამ წრის მუშაობაში და მისი ერთ-ერთი აქტიური წევრი გახდა. მან 1892-1893 წლებში მონაწილეობა მიიღო ქართული სტუდენტური გაერთიანება „თავისუფლების ლიგის“ შექმნაში, რისთვისაც სისხლის სამართლის პასუხისგებაშიც მისცეს, მაგრამ, ბრალდების სიმცირის გამო, არ დაუსჯიათ, – საქმე წარმოებით შეწყდა. მომავალი პოლიტიკოსი საპყრობილეს გადაურჩა და მას საშუალება მიეცა, დაესრულებინა უმაღლესი სასწავლებელი. გიორგი არ დასჯერდა მიღწეულს, სწავლის გასაღრმავებლად საფრანგეთს გაემგზავრა და სორბონის უნივერსიტეტში თავისუფალ მსმენელად ჩაირიცხა.

ერთი წლის ბეჯითი მეცადინეობის შემდგომ, 1895 წელს გვაზავა სამშობლოში დაბრუნდა და, მისივე სიტყვებით: „ჩაეწერა ნაფიც ვექილთა წოდებაში და აგრეთვე, მონაწილეობას იღებდა ქართულ მწერლობაში“.

ახალგაზრდა იურისტი თანამშრომლობას იწყებს ქართულ პრესასთან და გაზეთ „ივერიას“ უკავშირდება. წერს ლექსებსა და პოემებს, რომლებსაც ცალკე წიგნებად აქვეყნებს. მაგალითად: „ბატონიშვილი ლევანი“ (1895 წ.), „ჯაბა ჯაიანი“ (1897 წ.) „ლანდი“ (1904 წ.) და სხვა. გიორგი გვაზავა კალამს ცდის მხატვრულ თარგმნაშიც და პირველად ფრანგი პოეტის პიერ ჟან ბერანჟეს ლექსებს გადმოაქართულებს, თუმცა მის ძირითად საქმიანობად ადვოკატობა რჩება, რომელშიც მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს.

1903 წლის სექტემბერში გიორგი გვაზავამ სცადა დაეფუძნებინა ყოველთვიური ლიტერატურულ-საზოგადოებრივი ჟურნალი, რომელსაც „ლამპარი“ უნდა რქმეოდა,[2] მაგრამ ეს წამოწყება ვერ განხორციელდა.

---

1 ამ თარღს უთითებს თვითონ გიორგი გვაზავა 1918 წელს საკუთარი ხელით დაწერილ ავტობიოგრაფიაში. იხ. საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1836, ანაწ. 1, საქმე # 107, ფურც. 16; საქმე # 108, ფურც. 64.

2 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 480, ანაწ. 1, საქმე 1898, ფურც. 1-2.

1905-1906 წლებში ქართველ მოღვაწეთა ჯგუფმა ილია ჭავჭავაძის მონაწილეობით ეროვნულ-პოლიტიკური ორგანიზაციის დაარსება განიზრახა და საამისოდ პროგრამაც შეიმუშავა, რომელიც ბეჭდურად გამოიცა სახელწოდებით „საქართველოს დემოკრატია და მისი პროგრამა“. გამოქვეყნდა ასევე, მომავალი პარტიის წესდებაც. არსებობს ცნობა, რომ ამ ფუძემდებლური დოკუმენტების შედგენაში ქმედითი მონაწილეობა მიიღო გიორგი გვაზავამ.[3]

თვით გიორგი გვაზავას სიტყვებით: „დავბეჭდეთ 10 ათასი ცალი... პროგრამისა და გავავრცელეთ ხალხში. ავირჩიეთ პრეზიდიუმი. პარტიის ბეჭედზე ამოჭრილი იყო საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტია. ამით დაიწყო პარტიული მუშაობა“.[4] ეს იყო სამზადისი საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დასაარსებლად, რაც მაშინ ვერ მოხერხდა და მხოლოდ მოგვიანებით გახდა შესაძლებელი.

რუსეთის პირველი სახალხო რევოლუციის წლებში გიორგი გვაზავა, როგორც პუბლიცისტურ წერილებში, ისე საჯარო გამოსვლებში, დიდ ადგილს უთმობდა საქართველოს ავტონომიის საკითხს. ერთ-ერთ საჯარო ლექციაში მას მაგალითებად მოჰყავდა ავსტრალიისა და ახალი ზელანდიის დამოკიდებულება დიდ ბრიტანეთთან და მოითხოვდა რუსეთსაც ასეთივე უფლებები მიენიჭებინა საქართველოსათვის.[5]

საგულისხმოა ისიც, რომ საქართველოს ავტონომიის ზოგადი მოთხოვნა გიორგი გვაზავამ კონკრეტული შინაარსითაც შეავსო, როდესაც საქართველოს ავტონომიის სტატუტი შეიმუშავა.[6] მისი პროექტის თანახმად, საქართველოს ავტონომიას შეადგენს 12 კანტონი: ქიზიყი, კახეთი, ქართლი, ფშავ-ხევსურეთი, მთიულეთი, მესხეთი, იმერეთი, სამეგრელო, გურია, აჭარა, სვანეთი და აფხაზეთი. საქართველოს ავტონომია მოიცავს როგორც კანონმდებლობის, აგრეთვე მმართველობის იმ სფეროებს (ადმინისტრაცია, სარწმუნოება, საერო განათლება, მართლმსაჯულება, ეკონომიური საკითხები), რომლებიც არ შედის ცენტრალურ მთავრობის კომპეტენციაში. საკანონმდებლო უფლება საქართველოში ეკუთვნის თბილისში მოქმედ სეიმს, რომლის დეპუტატები საყოველთაო, პირდაპირი, თანასწორი და ფარული კენჭისყრით აირჩევიან; ავტონომიის ხელისუფლების სათავეში დგას უმაღლესი ბრძანებით დანიშნული მთავარმმართებელი – ხელმწიფე-იმპერატორის წარმომადგენელი;

იმპერიის სახელმწიფო საბჭოში ავტონომიას უნდა ჰყავდეს „უპორტფელო მინისტრი“, „ჩამომავლობით უსათუოდ საქართველოს მკვიდრი“, არჩეული სეიმის მიერ და დამტკიცებული იმპერატორის ბრძანებით“.[7]

გიორგი გვაზავას ეკუთვნოდა იდეა 1906 წელს ქართული გაზეთის „ავტონომიური საქართველოს“ დაარსების შესახებ, რომლის რედაქტორი თვითონვე უნდა ყოფილიყო, სათანამშრომლოდ კი ნიკო ნიკოლაძეს, ელისაბედ ჯამბაკურ-ორბელიანს,

---

3 ივ. ზურაბიშვილი, კარგ ქართველთა ხსოვნისათვის, პარიზი, 1962, გვ. 14-15.

4 გ. გვაზავა, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე), პარიზი, 1928, გვ. 17.

5 გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1906 წ., 14 მარტი; გაზ. „პატარა გაზეთი“, 1906 წ., 28 მარტი.

6 გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, გიორგი გვაზავას ფონდი, საქმე # 1799 -ხ.

7 გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, გიორგი გვაზავას ფონდი, საქმე # 1799 -ხ.

დიმიტრი ხოშტარიას (დუტუ მეგრელი), პროფესორ ალექსანდრე ხახანაშვილსა და სხვებს იწვევდა. გაზეთს უნდა დაეცვა და გაეტარებინა პრინციპი: „შინაური თავისუფლება და რუსეთთან ერთობა“. როგორც თავად გვაზავა წერდა, გაზეთი ვერ გამოიცა, „სახელმა „ავტონომიურმა საქართველომ“ ასტეხა ალიაქოთი აქაურ უმაღლეს მმართველობაში და ხულიგნურ წრეებში. შემომითვალეს – უნდა სახელი გამოუცვალოთო“.[8]

1907 წლის მარტში გიორგი გვაზავას თაოსნობითა და რედაქტორობით თბილისში მოხერხდა ეროვნულ-დემოკრატიული მიმართულების გაზეთის „Грузинская Мысль“-ის გამოშვება. ეს 12 გვერდიანი, ყოველკვირეული ორგანო სპეციალურად რუსულ ენაზე გამოსცეს, რათა „ქართველთა პოლიტიკური მოთხოვნილება დაეყენებინათ რუსეთის წინაშე“. ხელისუფლებამ გამოქვეყნებული სტატიები დანაშაულებრივად მიიჩნია, გაზეთი პირველივე ნომრის გამოცემისთანავე ცენზურამ აკრძალა, ხოლო რედაქტორი გადაასახლეს.[9]

გიორგი გვაზავა ერთ-ერთი იყო იმ მცირერიცხოვან ქართველ მოღვაწეთა შორის, რომლებმაც წინა პლანზე წამოწიეს საქართველოს ეროვნული უფლებები და ცადეს მათზე საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის ყურადღების მიპყრობა. ამ კუთხით აღსანიშნავია ერთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქცია, რომელიც გიორგი გვაზავას, ვარლამ ჩერქეზიშვილისა და მიხაკო წერეთელის მიერ იყო ორგანიზებული. 1907 წელს ამ სამეულმა ჰააგის საერთაშორისო კონფერენციაზე გასაგზავნად შეადგინა პეტიცია „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“, რომელსაც ხელს სხვადასხვა სოციალური ფენის წარმომადგენელი სამი ათასამდე ადამიანი აწერდა.

პეტიცია განმარტავდა საქართველოს უფლებრივ სტატუსს რუსეთის იმპერიაში, აღწერდა იმ არნახულ დევნა-შევიწროებას, რასაც ქართველი ხალხი ცარიზმისაგან განიცდიდა და მოითხოვდა, აღდგენილიყო საქართველოს ტერიტორიის მთლიანობა და ეროვნული ავტონომია, რომლის გარანტიას 1783 წლის ტრაქტატი იძლეოდა. „თქვენი თანაგრძნობის გამოწვევა დაგვეხმარება, რომ ჩვენი უფლებები აღდგენილ იქმნენ 1783 წლის ხელშეკრულების თანახმად, რომელიც გარანტიას იძლევა ჩვენი ტერიტორიის მთლიანობისა და ეროვნული ავტონომიისათვის“, – ნათქვამი იყო მემორანდუმის დასასრულს.

ინგლისურ და ფრანგულ ენებზე გადათარგმნილი და დაბეჭდილი პეტიციის ტექსტი ჰააგაში ჩაიტანა და კონფერენციის დელეგატებისათვის ჩამოარიგებინა ლონდონში არსებული ინგლისურ-ქართული კომიტეტის წევრმა, ცნობილმა ინგლისელმა ჟურნალისტმა და მწერალმა ჰენრი ნევინსონმა, რომელიც ვარლამ ჩერქეზიშვილთან მეგობრობდა.

კონფერენციაზე დასასწრებლად ჰააგაში საგანგებოდ ჩავიდა გიორგი გვაზავა. ამას მოწმობს 1907 წლის 30 ივლისით დათარიღებული მისი ლაკონური ბარათი ალექსანდრე ყიფშიძისადმი: „ჰააგაში ვარ. ბევრი საინტერესო ამბებია. მოკითხვას გითვლი. ნახვამდის. შენი გ. გვაზავა“.[10] სამწუხაროდ, გიორგი გვაზავა კონფერენციას ვერ დაესწრო, მას ოფიციალური მიწვევა არ გააჩნდა. იგი შეხვდა მხოლოდ

---

8 გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, დუტუ მეგრელის ფონდი, საქმე # 6369 -ხ.

9 გ. გვაზავა, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე), პარიზი, 1928, გვ. 4; 7.

10 გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, ალექსანდრე ყიფშიძის ფონდი, საქმე # 244-ხ.

ჩაგრული ხალხების წარმომადგენლებს (ეგვიპტელებს, კორეელებს), რომლებიც ჰააგაში ასევე თავიანთი ერების უფლებების დასაცავად იყვნენ ჩასულნი.

კონფერენციის დელეგატები გაეცნენ პეტიციას, მაგრამ რადგან დღის წესრიგი რამდენიმე თვით ადრე იყო დამტკიცებული, საქართველოს საკითხზე საგანგებო მსჯელობა არ გამართულა. მიუხედავად იმისა, რომ ჰააგის კონფერენციას არ განუხილავს, „საქართველოს ხალხის მემორანდუმი“ მაინც ფართოდ გავრცელდა და გახმაურდა. პეტიციის სრული ტექსტი გამოქვეყნდა ბელგიის, აშშ და ინგლისის პრესაში. ინფორმაციები დაბეჭდეს ესპანეთისა და სხვა ქვეყნების ჟურნალ-გაზეთებმა.

პეტიცია განათლებული ქვეყნების წინაშე ნიკოლოზ II-ის მთავრობისათვის „სილის გაწვნად“ შეფასდა. „მთელი საუკუნის განმავლობაში თითქმის პირველად იყო, რომ განათლებულმა კაცობრიობამ ჩვენ შესახებ ლაპარაკი დაიწყო“.[11]

ყურადღებას იქცევს გიორგი გვაზავას ერთი სტატია, რომელიც 1909 წელს გამოქვეყნდა გაზეთში „ივერია“. მასში ავტორი შეეცადა დაესაბუთებინა საქართველოს ავტონომიის სარგებლიანობა რუსეთის იმპერიისათვის. რაც შეეხება ავტონომიის მიღწევის გზას, გვაზავა გამორიცხავდა აჯანყება-შეიარაღებული ბრძოლის იდეას და აქცენტი მშვიდობიან ფორმებზე გადაჰქონდა: „ჩვენ ბაირაღად უნდა გავშალოთ საქართველოს რუსეთთან ხელშეკრულება 1783 წლისა, რომელსაც დღემდე სრული უფლებრივი ძალა აქვს და რომლის გაუქმება კანონიერად შეუძლებელია“; „დაგვრჩენია სახელმწიფო სათათბირო და საერთაშორისო პოლიტიკა. ...ჩვენი ეროვნული უფლება უნდა იქნას გამოფენილი ქვეყნიერების წინაშე და დაცული ისე, როგორც შეეფერება ჩვენს მაღალსა და კეთილშობილ მისწრაფებას. ეს ჩვენი მოთხოვნა უნდა გავიტანოთ ევროპაში და გავხადოთ საერთაშორისო საკითხად“, – ხაზგასმულია სტატიაში.

ქართველი მოღვაწე ასეთ რჩევას აძლევდა რუსეთის იმპერიის მმართველ რეჟიმს: „რუსეთი აღმოსავლეთისაკენ იწევა. მიდის მცირე აზიაში და ოდესმე უნდა შეიძინოს გასავალი ინდოეთის ოკეანეში. ამ მოძრაობისათვის საჭიროა რუსეთმა გაითქვას სახელი თავისუფალ სახელმწიფოსი, უნდა დაიმსახუროს სიყვარული და ნდობა აღმოსავლეთის ერებისა, რომლებიც უფრო მუსულმანები არიან. ამის მიხედვით საქართველოს თავისუფლება დიდ სახელს გაუთქვამს რუსეთს და ასწევს მის პრესტიჟს აღმოსავლეთში. ამავე დროს საქართველო გახდება მართლა საიმედო ბაზა მთელი რუსეთის სამერმისო მოძრაობისა აღმოსავლეთში“.[12]

გიორგი გვაზავას აზრით, ამ დიდმნიშვნელოვან პერსპექტივას აუცილებლად უნდა მოეხდინა ზეგავლენა რუსეთის „შეგნებულ პოლიტიკაზე“, მაგრამ მისი ეს რჩევა არავის გაუთვალისწინებია.

გიორგი გვაზავამ 1910 წელს ჟურნალში „ერი“ დაბეჭდა წერილების სერია „ჩეხია“, რომელიც ცალკე ბროშურადაც გამოიცა. წიგნი 500 ეგზემპლარად დაისტამბა და სწრაფადაც გავრცელდა. როდესაც ამ ნაშრომით სათანადო უწყებები დაინტერესდნენ, პოლიციამ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ბროშურის მხოლოდ 32 ცალი აღმოაჩინა და მაშინვე „დააპატიმრა“.

ავტორი ნაშრომში ერთმანეთს ადარებდა ორ იმპერიას – რუსეთსა და ავსტრია-უნგრეთს. მიუთითებდა, რომ ორივე მათგანში საერთო იყო ცენტრალიზმის

---

11 ვ. ჩერქეზიშვილი, საქართველოს პეტიცია საერთაშორისო კონფერენციისადმი ჰააგაში 1907 წ. ჟურნ. „პრომეთე“, 1918, # 2-3, გვ. 92-93.

12 გაზ. „ივერია“, 1909 წ., 5, 12 იანვარი.

პრინციპი და დაპყრობილ ხალხთა გარუსება და გერმანიზაცია. ამ მხრივ ავსტრიის მფლობელობაში მოქცეული ჩეხეთის ისტორიული ბედი დიდად წააგავდა საქართველოსას. იქაც ჩეხური ენა განდევნილი იყო დაწესებულებებიდან, მაგრამ „გაღვიძებულმა და შეგნებულმა ეროვნულმა მისწრაფებამ გამოაფხიზლა ხალხი, განსაკუთრებით მას შემდგომ, რაც ავსტრიის ჯარებმა სამარცხვინო მარცხი განიცადეს იტალიაში გარიბალდის მოხალისეებთან. ჩეხებმა თანდათან მოიპოვეს ადგილობრივი თვითმმართველობა და ახლა ითხოვენ უფრო მეტს – სახელმწიფოებრივ თავისუფლებას“.

გიორგი გვაზავას სტყვებით, ჩეხებმა კარგად შეიგნეს, რომ „მარტო თეორიული დავა და უფლებრივი მოსაზრება ვერ უშველის უსახელმწიფო ერს, რომელსაც არა ჰყავს მეთაური, მართებლობა, ჯარი“. ამიტომაც გადაწყვიტეს და დაარსეს ეროვნული სამხედრო ძალა „სოკოლი“. გარეგნულად „სოკოლი“ ახალგაზრდობის ფიზიკურ განვითარებასა და ჯანმრთელობაზე ზრუნავდა, სინამდვილეში კი იგი ეროვნული სამხედრო ორგანიზაციის ჩანასახი იყო. „სული ამ ვარჯიშობისა, შიგ დამარხული წმინდა იდეა გახლავთ სამშობლო და მისი სამსახური. ...ყველამ იცის, რომ... ერთადერთი და უმთავრესი დანიშნულება „სოკოლისა“ არის მხოლოდ ეროვნული ინტერესების დაცვა მთელი ჩეხიისა, როცა საჭიროება მოითხოვს“, – მიუთითებდა გიორგი გვაზავა[13] და სურვილს გამოთქვამდა, რომ ამგვარი საზოგადოება საქართველოშიც დაფუძნებულიყო. სწორედ ამ განზრახვამ დააფრთხო ხელისუფლება. „სახელმწიფოში არსებული წესწყობილების დარღვევისაკენ მიმართული თხზულების გავრცელებისათვის“ გიორგი გვაზავას ერთი წლით მეტეხის ციხეში პატიმრობა მიესაჯა.[14]

გიორგი გვაზავა კიდევ უფრო აქტიურად ჩანს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ასპარეზზე 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდგომ. ამ წელს მან თბილისში რუსულ ენაზე გამოსცა წიგნი „საქართველო საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით“, რომელიც ქართული სახელმწიფოს აღდგენის ისტორიულ და იურიდიულ დასაბუთებას მიეძღვნა. ავტორის აზრით, უფლებისა და სამართლიანობის იდეები ომის შემდგომ მოწვეულ საერთაშორისო კონფერენციას აიძულებდნენ, დეტალურად გადაეხედათ მსოფლიო რუკისათვის, რათა ამ რუკაზე ახლად წარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულებისათვისაც დაეთმოთ ადგილი. ამ ჭრილში საქართველოს საკითხი ერთ-ერთი პირველი უნდა გადაწყვეტილიყო, რადგან ქართველ ხალხს, თითქმის მთელ დედამიწის ზურგზე, ვერავინ შეედრებოდა 1783 წლის გეორგიევსკის ხელშეკრულებით ფორმირებული და განმტკიცებული უფლების სიცხადეში.

გიორგი გვაზავა აღწერდა საქართველოს ისტორიულ და მომავალი სახელმწიფოს ტერიტორიას, მის ეთნიკურ და სავარაუდო პოლიტიკურ საზღვრებს. იგი ასაბუთებდა აზრს, რომ საქართველო ეროვნულად ერთიანი იყო. ძველთაგანვე მომდინარე ერთიანობის შეგნება, რომელსაც საერთო რელიგია, ენა, ლიტერატურა და კულტურული ცხოვრება განაპირობებდა, არ დარღვეულა, მიუხედავად იმისა, რომ ფეოდალიზმის ხანაში ქვეყანა სამეფო-სამთავროებად დაიშალა.

მთავარი დასკვნა, რომლის დასაბუთებასაც ხსენებული წიგნი მიეძღვნა ასეთია: 1. საქართველოს თავისუფლება და მისი ტერიტორიული მთლიანობა გარანტირე-

13 ჟურნ. „ერი“, 1910, # 10, გვ. 10.

14 გ. გვაზავა, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე), პარიზი, 1928, გვ. 7.

ბულია 1783 წლის ტრაქტატით და 2. საქართველოს საკითხი არის არა რუსეთის საშინაო პოლიტიკის, არამედ საერთაშორისო საკითხი.[15]

1917 წლის მარტში, გაზეთების „სამშობლოსა“ და „საქართველოს“ ირგვლივ შემოკრებილი წრეების ბაზაზე, თბილისში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საორგანიზაციო კომიტეტი ჩამოყალიბდა. მასში შევიდნენ: სპირიდონ კედია, გიორგი გვაზავა, ვასილ წერეთელი, დავით ვაჩნაძე, რევაზ გაბაშვილი და სხვ. კომიტეტის ძალისხმევით, საქართველოს ყველა კუთხეში პარტიის ადგილობრივი რგოლები აღმოცენდა. მალე საორგანიზაციო კომიტეტის მთავარ კომიტეტად გარდაიქმნა, რომელმაც შეიმუშავა პარტიის ფუძემდებლური დოკუმენტების – პროგრამისა და წესდები პროექტები, რომლებიც 1917 წლის მარტ-აპრილში განსახილველად გამოქვეყნდა. ამ პროცესში აქტიურად იყო ჩართული გიორგი გვაზავაც.

1917 წლის ივნისში, პარტიის დამფუძნებელ ყრილობაზე, გიორგი გვაზავა, როგორც ყრილობის თავმჯდომარის მოადგილე, პრეზიდიუმში აირჩიეს. მანვე გააკეთა ვრცელი მოხსენებაც საკითხზე „საქართველოს ავტონომიის შესახებ“ (ტექსტი სრულად დაიბეჭდა გაზეთ„საქართველოს“ სამ ნომერში[16]).

მოხსენების ძირითადი დებულებები ასე იყო ჩამოყალიბებული: ქართველი ერი წარმოადგენს მთლიანს ერთეულს მთლიან ტერიტორიაზე; რუსეთთან გაფორმებულმა 1783 წლის ტრაქტატმა „საერთაშორისო განწყობილების სფეროში“ შეზღუდა ქვეყნის სუვერენიტეტი, მაგრამ ყველა დანარჩენი პოლიტიკური უფლებანი (საკუთარი კანონმდებლობა და მთავრობა, საკუთარი ხაზინა, ჯარი, სამართალი, ეკლესია) რჩებოდა საქართველოს ხელში; 1801 წელს რუსეთმა დაარღვია გეორგიევსკის ხელშეკრულება და სრულიად გააუქმა ქართული სახელმწიფოებრიობა; როდესაც მიმდინარე ომის დასრულდება და ერთა შორის ისევ უფლებრივი განწყობილება დამყარდება, მაშინ ჩვენი ხელშეკრულებაც იქცევა თავისებურ ძალად, რომელსაც ყველამ ანგარიში უნდა გაუწიოს. როგორც მატერიალურად, ისე უფლებრივად, საქართველოს ავტონომია აუცილებელია, ყოველ დავისა და ეჭვს გარეშე; პოლიტიკურმა წეს-წყობილებამ საქართველოში უნდა მიიღოს თანამედროვე დემოკრატიული სახე და ხასიათი.

გიორგი გვაზავას გამოსვლაში დახასიათებულია აგრეთვე, მომავალი ავტონომიური საქართველოს ხელისუფლების ორგანოები: ეროვნული კრება (დემოკრატიულად არჩეული საკანონმდებლო ორგანო), აღმასრულებელი ძალა (ავტონომიის არჩეული თავმჯდომარე, 6 სამინისტრო) და სასამართლო სისტემა (მომრიგებელი მოსამართლე, საოლქო სასამართლოები, სამოსამართლო პალატა და სენატი).

განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია რუსეთისა და საქართველოს ურთიერთდამოკიდებულების საკითხმა, რომელიც ამ მოხსენების ფარგლებში გამოიკვეთა. გიორგი გვაზავას თვალსაზრისი პოლიტიკურ რეალიზმს ემყარებოდა. მისი სიტყვებით: „ყველანი საქართველოს ბედს დავსტირით. მაგრამ ძლიერ შორსაც ნუ წავალთ. ეს არ ვარგა. ნუ დავემსგავსებით განთავისუფლებულს მონებს. სიბრძნე გვმართებს. გვაქვს დამოკიდებულება, რომელიც არ არღვევს რუსეთის მთლიანობას და ანიჭებს საქართველოს თავისუფლებას“.

ვიდრე რუსეთში დემოკრატიული გარდაქმნის მოლოდინი არსებობდა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იზიარებდა და იცავდა ძირითადად გიორგი გვაზა-

15 Г. Гвазава, Грузия с точки зрения международного права, Тбилиси, 1917, с. 60.

16 გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 5, 6, 8 ივლისი.

ვას მიერ შემუშავებულ საქართველოს პოლიტიკური მოწყობის შემდეგ მოდელს: თუ რუსეთში დამფუძნებელი კრება ფედერაციულ წყობილებას დაამკვიდრებდა, საქართველოს უნდა მიეღო ავტონომია უაღრესად ფართო უფლებებით (პარლამენტით), ხოლო იმ შემთხვევაში, თუ რუსეთში უნიტარული რესპუბლიკა შეიქმნებოდა, საქართველოს 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენისათვის უნდა ებრძოლა, ე.ი. საქართველოს უნდა აღედგინა საკუთარი სახელმწიფოებრიობა (პარლამენტი, პრეზიდენტი), მაგრამ დარჩენილიყო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ.[17]

გიორგი გვაზავას მოხსენების საფუძველზე ყრილობამ დაადგინა: „უნდა დამყარდეს პოლიტიკური ავტონომია (თვითკანონმდებლობა) დემოკრატიულ რესპუბლიკურ საფუძველზე აგებული“. ყრილობამ გიორგი გვაზავა პარტიის მთავარი კომიტეტის წევრად აირჩია, მთავარმა კომიტეტმა კი მას პრეზიდიუმის წევრობა და პარტიის თავმჯდომარის მოადგილეობა დააკისრა.[18]

გიორგი გვაზავა, როგორც ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის წარმომადგენელი, შედიოდა ამიერკავკასიის სეიმშიც. 1918 წლის აპრილ-მაისში მან მონაწილეობა მიიღო ტრაპიზონის სამშვიდობო კონფერენციაში ამიერკავკასიასა და ოსმალეთს შორის და ბათუმის მოლაპარაკებებში ოსმალეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის.

ტრაპიზონის მოლაპარაკების პროცესში ყოველდღიურად იმართებოდა ამიერკავკასიის დელეგაციის სხდომები და თათბირები. საარქივო მასალები, რომლებიც ახლა დოკუმენტების კრებულის სახითაა გამოცემული,[19] ცხადყოფენ, რომ გიორგი გვაზავა აქტიურად იყო ჩართული ამ მუშაობაში. იგი ხშირად გამოთქვამდა თავის მოსაზრებებს და დელეგაციას სთავაზობდა ცალკეულ შესწორებებს კონკრეტული დოკუმენტების შედგენა-განხილვისას. ამიერკავკასიის დელეგაციამ გვაზავა შეიყვანა დელეგაციის წევრთა მანდატების შემმოწმებელ კომისიაში, არჩეული იყო ასევე ცალკეული რეზოლუციის შემმუშავებელი კომისიის შემადგენლობაში და სხვ.

გიორგი გვაზავა დელეგაციას ურჩევდა, მიეღოთ ზომები სამშვიდობო მოლაპარაკებებში გერმანიის წარმომადგენელთა ჩასართველად. რადგანაც ოსმალეთი დაკავშირებულია გერმანიასთან, ამ უკანასკნელის მთავრობის წარმომადგენლების მონაწილეობა მოლაპარაკებებში ჩვენთვის სასარგებლო იქნება, – ირწმუნებოდა იგი. არ არის გამორიცხული, რომ გვაზავა ინფორმირებული იყო ევროპაში მოქმედი საქართველოს განთავისუფლების კომიტეტის საქმიანობის თაობაზე და იცოდა იმ შეთანხმებების შესახებაც, რომლებიც ამ კომიტეტს გერმანიასთან და მის მოკავშირე სახელმწიფოებთან ჰქონდა გაფორმებული. ამ საკითხზე აკაკი ჩხენკელმა განაცხადა, რომ ამიერკავკასიის დელეგაციას საამისო მანდატი არ გააჩნია, მაგრამ არ გამორიცხა გერმანელებთან დაკავშირების შესაძლებლობა.[20]

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ გიორგი გვაზავას კიდევ ერთხელ მოუწია დიპლომატიურ მოლაპარაკებებში

---

17 ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 291.

18 გაზ. „საქართველო“, 1917 წ., 17 ივნისი.

19 Трапезундская и Батумская мирные конференции. Февраль-Май 1918 года. Документы и материалы. Ответственный редактор Ир. Якобашвили, Тб., 2018,

20 Трапезундская и Батумская мирные конференции. Февраль-Май 1918 года. Документы и материалы. Ответственный редактор Ир. Якобашвили, Тб., 2018, с. 56.

მონაწილეობა, ოღონდ ამჯერად ბათუმში და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლის სტატუსით. ახლად წარმოშობილი ქართული სახელმწიფოს მთავრობამ, მისი პირველი თავმჯდომარის ნოე რამიშვილის მეთაურობით, შეადგინა საზავო დელეგაცია, რომელიც ოსმალეთის მხარესთან მოსალაპარაკებლად და ხელშეკრულების დასადებად 1918 წლის 30 მაისს ბათუმში გაიგზავნა.[21] დელეგაციაში გიორგი გვაზავა, გრიგოლ რცხილაძე და გენერალი ილია ოდიშელიძე შედიოდნენ.

ოსმალეთ-საქართველოს მოლაპარაკებები 1918 წლის 4 ივნისს „ზავისა და მეგობრობის ხელშეკრულებაზე“ ხელმოწერით დასრულდა. ამ 12 პუნქტის შემცველი დოკუმენტის ძალით, ოსმალეთს, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით მისთვის მიკუთვნებული ბათუმისა და არტაანის გარდა, დამატებით, ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც უნდა დათმობოდა.[22] ხელშეკრულების პირობებში, რომელიც საქართველოსათვის დიდად საზიანო იყო,[23] მაინც აისახა ქართული დელეგაციის შესწორებები და აბასთუმანი და აწყური საქართველოს იურისდიქციაში დარჩა. მიღწეული შეადგენდა მაქსიმუმს, რაც ძალთა უთანასწორობის პირობებში დიპლომატიური საშუალებით იყო შესაძლებელი.[24] ამაში საქართველოს პრემიერისა და დელეგაციის წევრების, მათ შორის, გიორგი გვაზავას წვლილიც უნდა დავინახოთ.

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის გიორგი გვაზავას საქართველოს ეროვნული საბჭოს ფორმირებაში. იყო საქართველოს ეროვნულ-ინტერპარტიული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი. 1917 წლის ნოემბერში საქართველოს ეროვნულ ყრილობაზე აირჩიეს ეროვნული საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის წევრად. შედიოდა საბჭოს საკონსტიტუციო და სამანდატო სექციების, ასევე, ტერიტორიული გამიჯვნის დროებითი კომისიის წევრად. მან მონაწილეობა მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის მომზადებაში და 1918 წლის 26 მაისს საკუთარი სახელიც უკვდავყო მასზე ხელმოწერით.

გიორგი გვაზავას სიტყვებით, დამოუკიდებლობის ისტორიული აქტის მიღებით საქართველო „ამაღლდა თავის ეროვნულ ღირსების შეგნებამდე და გადაწყვეტით შეუერთდა კულტურულ კაცობრიობას“.

გიორგი გვაზავა წინადადებას აყენებდა, რომ ეროვნული საბჭოსათვის ეწოდებინათ „სათათბირო“,[25] თუმცა, მისი მოსაზრება სოციალ-დემოკრატებმა არ გაიზიარეს და სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან რამდენიმე თვეში, საბჭოს პარლამენტი დაერქვა.

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია საქართველოს ეროვნულ საბჭოსა და პარლამენტში მემარჯვენე ოპოზიციად ჩამოყალიბდა. მმართველ პარტიასთან მისი დაპირისპირება აშკარა იყო საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის საკითხებში, სა-

---

21 გაზ. „საქართველო“, 1918 წ., 31 მაისი; Газ. „Борьба“, 1918 г., 1 июня.

22 Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии, Тифл., 1919, с. 343-360.

23 ბათუმის ხელშეკრულება ოფიციალურად ძალაში არ შესულა (მისი რატიფიცირება არ მომხდარა), მაგრამ ოსმალურ ოკუპაციას „სამაჰმადიანო საქართველოდან“ მოსაზღვრე ქართულ რაიონებში 60 ათასი ლტოლვილის გახიზვნა მოჰყვა.

24 ო. ჯანელიძე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის პირველი პრემიერი, თბ., 2015, გვ. 42.

25 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე # 4, ფურც. 3-4.

ხელმწიფოებრივი სიმბოლიკის (გერბი, დროშა) მიღებისას, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებაზე მსჯელობისას და სხვ.

გიორგი გვაზავამ დიდი ძალისხმევა გასწია დამფუძნებელი კრების იდეისა და მნიშვნელობის განმარტების, მოსახლეობაში მისი პოპულარიზაციის მიზნით. არაერთი საგაზეთო პუბლიკაცია მიუძღვნა მან კრების საარჩევნო პროცესს, არჩევნების დებულების ცალკეული მუხლების საზოგადოების ფართო ფენებისათვის მარტივი და გასაგები ენით ახსნასა თუ გაცნობას.

1919 წლის თებერვალში გიორგი გვაზავა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით საქართველოს დამფუძნებელი კრების დეპუტატად აირჩიეს, სადაც სათავეში ედგა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციას. მისი დაჟინებული მოთხოვნით, კრებაში შეიქმნა საგარეო საქმეთა მუდმივი კომისია.[26] გიორგი გვაზავა არჩეულ იყო დამფუძნებელი კრების სარეგლამენტო, საკონსტიტუციო და საგარეო საქმეთა კომისიებში. იყო საკონსტიტუციო კომისიის მდივანი და კონსტიტუციის სარედაქციო კომისიის წევრიც.

გიორგი გვაზავა და მისი პარტია დამფუძნებელ კრებაშიც ოპოზიციაში ედგნენ საქართველოს მმართველ პოლიტიკურ ძალას – სოციალ-დემოკრატიას და მის საქმიანობას ხშირად აკრიტიკებდნენ. კრიტიკა სოციალისტური იდეოლოგიის გაფეტიშებას, ქვეყნის სოციალური თუ ეკონომიკური ცხოვრების სხვადასხვა მხარეს შეეხებოდა და პრობლემებს ეროვნული პოზიციიდან წარმოაჩენდა. გიორგი გვაზავა წერდა: „სოციალ-დემოკრატებმა სამშობლოს სახელი ამოშალეს თავიანთი პროგრამიდან და განდევნეს სიტყვიერი ხმარებიდან“, მათ „სამშობლოს უწოდეს დემოკრატია, პოლიტიკურ თავისუფლებას – რევოლუციის მონაპოვარი“, თავიანთი კლასობრივი და ინტერნაციონალური იდეოლოგიით შეასუსტეს ქვეყნის „ეროვნული ორგანიზმი, მისი მილიტარული ძლიერება და ფინანსური ძალა“ და დასძენდა, რომ საჭირო იყო გამოფხიზლება „სოციალისტური ბურანისაგან“.[27]

ოპოზიციურ ფლანგზე დგომას გიორგი გვაზავასათვის ხელი არ შეუშლია, ფართოდ ყოფილიყო ჩართული სახელმწიფოებრივ აღმშენებლობაშიც. თავის საგაზეთო პუბლიკაციებში თუ მოსახლეობასთან უშუალო შეხვედრებისას იგი ცდილობდა განემტკიცებინა დამოუკიდებლობის სულისკვეთება და მომავლის იმედი, რადგან სჯეროდა: „ჩვენს წესწყობილებას ისეთი საფუძველი აქვს ჩაყრილი, რომ იგი მალე გამოიღებს ნაყოფს“.[28]

საქართველოს დამფუძნებელი კრების სტენოგრაფიულ ანგარიშებში გიორგი გვაზავას მრავალი გამოსვლა, სიტყვა თუ რეპლიკაა დაფიქსირებული, რომლებიც სახელმწიფოებრივი აღმშენებლობის სხვადასხვა ასპექტს ეხება. გავეცნოთ ზოგიერთ მათგანს:

გიორგი გვაზავა არ იზიარებდა ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობის იდეას, მიაჩნდა იგი შეცდომად და აცხადებდა: რაც უფრო ნაკლებად ჩაერევა ხელისუფლება ქვეყნის ცხოვრების ეკონომიკურ სფეროში, მით უკეთესია სახელმწიფოსათვის. მისი სიტყვებით: „სრული თავისუფლების ნიადაგზე შედგება მრავალი ამხანაგობა, კომპანიები, კოოპერატივები, რომლებიც თავისუფლად და შეთანხმებულად აამოძრავებენ მთელს საწარმოო ენერგიას და ადვილად დააკმა-

---

26 საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. I, 1919 წლის 12 მარტი – 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 344-345.

27 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 7, 13 თებერვალი.

28 გაზ. „საქართველო“, 1919 წ., 26 მაისი.

ყოფილებენ მთელ ეროვნულ მოთხოვნილებას. აქ სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედება უნდა ამოიწუროს მხოლოდ წესიერების და კანონიერების დაცვით, ე.ი. დაცვით კონსტიტუციით უზრუნველყოფილი თავისუფლებისა. გარეგანი სიმტკიცე და შინაგანი თავისუფლება – აი იდეალი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა".[29]

საყურადღებოა გიორგი გვაზავას თვალსაზრისი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატის ქცევასა და თავისუფლების ხარისხზე. „სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს, რომ დამფუძნებელი კრების თითოეული წევრი თავის მოქმედებაში იყოს ზნეობრივად თავისუფალი. იგი არც მსჯელობისას და არც კენჭისყრისას არ უნდა განიცდიდეს ვინმეს გავლენას. დეპუტატმა უნდა შესძლოს „თავის სინდისის ქვეშ გადაწყვიტოს ყოველი საკანონმდებლო საკითხი",[30] – მიაჩნდა მას.

გიორგი გვაზავა განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა საქართველოში სასამართლო სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას და ადმინისტრაციის გავლენისაგან მის გათავისუფლებას. „თუ ქვეყანაში სამართალი არ არის, – მაშინ სახელმწიფოც არ არის. ...ჩვენ ვიცავთ ჩვენ სუვერენობას, მაგრამ თუ სასამართლოს სფეროში იგი დაცული არ არის, ლაპარაკი სუვერენობაზე ზედმეტია",[31] – მიუთითებდა იგი.

გიორგი გვაზავა ასაბუთებდა, რომ საქართველოს ინტერესები მოითხოვდა პრეზიდენტის თანამდებობის დაწესებას. მისი სიტყვებით, „საქართველო განსაკუთრებულ პირობებშია. იგი გარს შემოხვეულია მტრებით. მან უნდა აწარმოოს ფხიზელი და ენერგიული პოლიტიკა და დაიცვას თავისუფლება და წესიერება შიგნით. ამისათვის საჭიროა, რომ სათავეში იდგეს ერთი ვადით არჩეული პირი, აღჭურვილი სათანადო უფლებით ...ასეთი პირი არის პრეზიდენტი რესპუბლიკისა".[32] გვაზავამ დამფუძნებელ კრებაში დააყენა საკითხი, რომ მთავრობის თავმჯდომარე აერჩიათ საყოველთაო არჩევნების გზით, მაგრამ დეპუტატთა მხარდაჭერა ვერ ჰპოვა.

გიორგი გვაზავას წვლილი მნიშვნელოვანია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუციის შემუშავებასა და მიღებაში. თავისი კონსტიტუციური შეხედულებანი მან გააერთიანა წიგნში „ძირითადი პრინციპები საკონსტიტუციო უფლებისა", რომელიც 1920 წელს თბილისში გამოიცა.

1921 წლის 21 თებერვალს, ხანგრძლივი და საფუძვლიანი განხილვის შემდეგ, დამფუძნებელმა კრებამ დაამტკიცა საქართველოს კონსტიტუცია. ამასთან დაკავშირებით გიორგი გვაზავა მოგვიანებით წერდა: „დამფუძნებელ კრებაში თითქმის ყველა გრძნობდა თავის პასუხისმგებლობას. ყველა გრძნობდა, რომ უფლებრივი შემოქმედება სახეა ეროვნული ნებისყოფის... დამფუძნებელი კრება მუშაობდა თავგამოდებით მაშინაც კი, როცა ქალაქს მოაწვა რუსეთის ლაშქარი, ისროდა ზარბაზანი და ცაში სკდებოდა ყუმბარები... ჩვენ დავიშალენით მხოლოდ გათენებისას, როცა საბოლოოდ დავამტკიცეთ ჩვენი კონსტიტუცია –

---

29 ო. ჯანელიძე, ნარკვევები საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორიიდან, თბ., 2002, გვ. 352.

30 საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. I, 1919 წლის 12 მარტი – 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 128.

31 საქართველოს დამფუძნებელი კრება, სხდომის ოქმები, ტ. I, 1919 წლის 12 მარტი – 27 მაისი, თბ., 2019, გვ. 488.

32 საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1833, ანაწ. 1, საქმე # 859, ფურც. 45. მ. მაცაბერიძე, 1921 წლის კონსტიტუციის პოლიტიკური კონცეფცია, თბ., 1996, გვ. 89.

ძირითადი კანონი საქართველოს რესპუბლიკისა. მტერმა დაგვიდგა ცეცხლის აპოთეოზი, მაგრამ ამ ცეცხლიდან გამოვიტანეთ მაინც უმშვენიერესი ფურცლები ჩვენი ისტორიისა".[33]

1921 წლიდან გიორგი გვზავა ემიგრაციაშია და გვევლინება საქართველოს უფლებათა აქტიურ დამცველად. მას მიაჩნდა, რომ იმგვარი პარტიული დაპირისპირება, რომელიც 1918-1921 წლბში საქართველოში არსებობდა ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, საზღვარგარეთ აღარ უნდა გაგრძელებულიყო. მიუთითებდა: „პარტიობას აქვს თავისი ფასი და ღირებულება მხოლოდ მაშინ, როცა სახელმწიფო თავისუფალია. მაგრამ, როცა ქვეყანა დამხობილია და იქ ბატონ-პატრონია უცხო ძალმომრეობა, როცა ფეხით გათელილია საერთაშორისოდ ცნობილი დამოუკიდებლობა, მაშინ მიზანი ერთია ყველასათვის, განურჩევლად პარტიისა: აღდგენა დამოუკიდებლობისა".[34]

ცნობილია რომ ემიგრაციაში ეროვნულ-დემოკრატიული პარტია რამდენიმე ჯგუფად დაიშალა. თითოეულ ჯგუფს თავისი ლიდერი და იდეოლოგი გამოუჩნდა. პარტიის წიაღში წარმოშობილ დაპირისპირებასა და ჯგუფებრიობას ვერც გიორგი გვაზავა ასცდა. 1929 წელს ივანე ზურაბიშვილთან ერთად მანაც ჩამოაყალიბა პარტიისაგან გამოყოფილი თანამოაზრეთა ჯგუფი (ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე თუმანიშვილი, ნიკო ჯაყელი, იოსებ სარჯველაძე და სხვ.), რომელმაც პარიზში „საქართველოს გაერთიანებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთული კომიტეტის ორგანო" – გაზეთი „საქართველო" დააარსა და 1935 წლამდე გამოსცემდა. გიორგი გვაზავა გაემიჯნა როგორც სპირიდონ კედიას, ისე ალექსანდრე ასათიანს და მათ კრიტიკას შეუდგა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის პირველი თავმჯდომარის სპირიდონ კედიას შესახებ იგი შემდეგს წერდა: „ჩვენ ვიცოდით, რომ ბატონმა კედიამ დიდი ხანია მიატოვა დემოკრატიზმის ნაპირები, მაგრამ არ გვეგონა, რომ წავიდოდა აგრე შორს. ახლა დაბრუნება არ შეუძლია: ჩააქრო ყველა მაიაკები". კიდევ უფრო რადიკალურად იყო განწყობილი გიორგი გვაზავა ჟურნალ „სამშობლოს" ირგვლივ გაერთიანებული ალექსანდრე ასათიანის ჯგუფის მიმართ. მისი სიტყვებით: „პარიზში დაარსებული „სამშობლოს" ჯგუფი, რომელიც თავის თავს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას უწოდებს, არც ეროვნულია და არც დემოკრატიული. ...ის არ არის ეროვნული, რადგან უარს ჰყოფს ეროვნულ მომენტს ისტორიულ პროცესის დაფასებაში და შეაქვს განხეთქილება ქართველობაში. ის არ არის დემოკრატიული, რადგანაც „დემოსი" იმას მხოლოდ საკუთარი თავი ჰგონია და არა ერი. ...ამისთანა „პარტია" ჩვენთვის ახალია. იმას წარსული არა აქვს, მომავალიც არ ექნება".[35]

გიორგი გვაზავა ემიგრაციაშიც აგრძელებდა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ საქმიანობას, კითხულობდა საჯარო ლექციებს, წერდა პუბლიცისტურ სტატიებსა და სხვ. აქტიურად თანამშრომლობდა გაზეთთან „დამოუკიდებელი საქართველო". მისი რედაქტორობით 1938-1939 წლებში პარიზში გამოდიოდა „ეროვნული თავდაცვის ორგანო" ფრანგულენოვანი ჟურნალი „საქართველო".

---

33 გ. გვაზავა, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე), პარიზი, 1928, გვ. 8.

34 გ. გვაზავა, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მეორე), პარიზი, 1928, გვ. 12.

35 გ. გვაზავა, საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (წერილი მესამე), პარიზი, 1929, გვ. 18.

გიორგი გვაზავა ემიგრაციაშიც აქტიურად იყო ჩართული ჯერ კიდევ 1920 წელს თბილისში ჩამოყალიბებული ერთა ლიგის დამხმარე ასოციაციის „ქართული საზოგადოება ერთა ლიგისათვის“ მუშაობაში. სხვადასხვა წლებში იგი არაერთხელ სიტყვითაც გამოსულა ერთა ლიგის დამხმარე საზოგადოებათა საერთაშორისო კონგრესებსა თუ ყრილობებზე საფრანგეთში, ბელგიასა და ინგლისში. 1931-1932 წლებში გიორგი გვაზავა მოხსენებებით წარსდგა პარიზში, ჟენევასა და ამსტერდამში გამართულ განიარაღების კონგრესებზე და სხვ.

გიორგი გვაზავა იყო ქართული ეროვნული ცენტრის წევრი, „პარიზში მცხოვრებ ქართველ მწერალთა და ჟურნალისტთა ასოციაციის“ ერთ-ერთი დამაარსებელი და თავმჯდომარე. ასოციაციამ სპეციალური ღონისძიებები მიუძღვნა ვაჟა-ფშაველასა და ილია ჭავჭავაძის საიუბილეო თარიღებს. 1935 წელს ვაჟას გარდაცვალებიდან 20, ხოლო 1937 წელს ილიას დაბადებიდან 100 წლისთავისათვის გამართეს სალიტერატურო დილა. განსაკუთრებით ფართოდ აღნიშნა შოთა რუსთაველის 750 წლის იუბილე, რომელზეც მოხსენებით „რუსთაველი და მისი შემოქმედება“ გიორგი გვაზავაც გამოვიდა.[36]

ქართული პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებმა ემიგრაციის პირველ წლებში დაძლიეს ურთიერთუნდობლობა და ანტისაბჭოთა ნიადაგზე მუშაობის კოორდინაცია მოახერხეს. სამწუხაროდ, ერთიანობა არ იყო მყარი და უფრო მოჩვენებით ხასიათს ატარებდა. პარტიათა შორის გაფორმებული შეთანხმება-ხელშეკრულებების მიუხედავად, მათში მაინც გაუტანლობის, მუდმივი ეჭვისა და უნდობლობის ატმოსფერო იყო გამეფებული. მით უფრო, რომ საბჭოთა სპეცსამსახურები და საქართველოს ბოლშევიკური ხელისუფლებაც ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რათა ისედაც მტკიცე კავშირს მოკლებული ქართული პოლიტიკური ემიგრაცია სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაეკიდებინა ერთმანეთისათვის, რომ მას ერთიანი ძალით აღარ შესძლებოდა ბრძოლა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოს აღსადგენად.

ცალკე აღნიშვნას იმსახურებს გიორგი გვაზავას მონაწილეობა „პრომეთეულ მოძრაობაში“. პრომეთეიზმი წარმოადგენდა პოლიტიკურ და ინტელექტუალურ მოძრაობას XX საუკუნის 20-30-იანი წლების ევროპაში, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა იმპერიის დასუსტებას სსრ კავშირში მცხოვრები არარუსი ხალხების განმათავისუფლებელი ბრძოლის მხარდაჭერის გზით. პრომეთეიზმის კონცეპციის ავტორი, მოძრაობის სულის ჩამდგმელი და მთავარი მხარდამჭერი პოლონეთის ლიდერი იოზეფ პილსუდსკი იყო.

გიორგი გვაზავა იყო „პრომეთეს“ ლიგის ერთ-ერთი დამფუძნებელი და აქტიური მონაწილე. 1926-1938 წლებში იგი სათავეში ედგა ამ ორგანიზაციის ჟურნალს „პრომეთეს“ – კავკასიის, ასევე უკრაინისა და თურქესტანის ხალხების ეროვნული თავდაცვის ყოველთვიურ ორგანოს, რომელიც პარიზში ფრანგულ ენაზე გამოიცემოდა. „პრომეთეს“ უმთავრეს მიზანს კავკასიის თავისუფლება წარმოადგენდა. ჟურნალის ძალისხმევაც სწორედ კავკასიის ხალხების კრემლისაგან დამოუკიდებლობისა და მომავალში მათ კონფედერაციად გაერთიანების პროპაგანდისაკენ იყო მიმართული.

1935 წლის იანვარ-თებერვალში პარიზში გამართულ კავკასიის კონფედერაციის კონფერენციაზე, რომელმაც მოისმინა გიორგი გვაზავს ანგარიში ჟურნალის

---

36 რ. დაუშვილი, ქართული ემიგრაცია 1921-1939 წლებში, თბ., 2007, გვ. 222.

სარედაქციო კოლეგიის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ, „პრომეთეს“ მოღვაწეობას დადებითი შეფასება მიეცა.[37]

გიორგი გვაზავა ქმედით მონაწილეობას იღებდა ანტისაბჭოთა ღონისძიებებსა და აქციებში. მაგალითად, მან, როგორც ჟურნალის რედაქტორმა, 1934 წელს ერთა ლიგაში საბჭოთა კავშირის მიღების პროტესტის ნიშნად, ამ ორგანიზაციის გენერალურ სამდივნოს ჟენევაში კავკასიის ემიგრაციის ლიდერთა მიერ ხელმოწერილი პეტიცია გადასცა.

გიორგი გვაზავა ემიგრაციაშიც განაგრძობდა მთარგმნელობით მუშაობას. მის კალამს ეკუთვნის რასინის „მითრიდატის“, ესქილეს „მიჯაჭვული პრომეთეს“ და სხვ. თარგმანები, რომლებიც პარიზში, ქართველი ემიგრანტის ა. ხელაძის სტამბაში დაიბეჭდა. 1938 წელს პარიზში გამოიცა გვაზავას მიერ ანი მარსელ-პაონისთან ერთად ფრანგულად თარგმნილი „ვეფხისტყაოსანი“ (სრული პროზაული ვარიანტი). ფრანგულად თარგმნილ „ვეფხისტყაოსნის“ გამოქვეყნებას ჟურნალი „ქართლოსი“ გამოეხმაურა. თარგმანი ჟურნალ „კავკაზში“ გააკრიტიკა ზურაბ ავალიშვილმა, რასაც „დამოუკიდებელ საქართველოში“ გვაზავას პასუხი მოჰყვა.

მომდევნო წელს პარიზში დაიბეჭდა გიორგი გვაზავას პოეტური კრებულიც „ჩემი ლექსები“. წერდა ფსევდონიმებით: „Politicys“, „X“, „გ. გ“, „მეთვალყურე“, „მკითხველი“, „სტამბოლელი“, „წკიპურტი“.

გიორგი გვაზავას მწერლური ნიჭი არა მხოლოდ მის მხატვრულ შემოქმედებაში გამოსჭვივის, არამედ პუბლიცისტურ ნარკვევებშიც ძალუმად იგრძნობა. სანიმუშოდ შეიძლება დავიმოწმოთ მცირე ნაწყვეტი სტატიიდან „საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“, რომელშიც ვკითხულობთ: „საქართველო მდებარეობს აზიის და ევროპის შუა, მაგრამ უფრო ევროპაა, ვიდრე აზია. აქ არ არის რუსეთის სტეპი, არაბეთის უდაბნო, ინდოეთის ჰიმალაი. აქ სამუმი არ ჰქრის, მზე არა გწვავს, ზამთარი არა გყინავს. აქ ადამიანიც არ არის დაშინებული და დამონებული ბუნების ძალებით. აქ ბუნება იცინის, მდინარე მღერის, მთები და კორდი თითქო თაიგულია. აქ ადამიანი ახლო არის ბუნებასთან, მისი გული ღიაა, მისი გონება ფხიზელი...“

1928-1931 წლებში პარიზში ქართულ ენაზე გამოქვეყნდა გიორგი გვაზავას ხუთი წერილი საერთო სათაურით: „საქართველო და ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“. ამ მოკლე ნარკვევებიდან ყველაზე საყურადღებო მეორე წერილია. მასში გადმოცემულია ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ისტორია მისი დაარსებიდან 20-იანი წლების შუა ხანებამდე. ავტორი მიზნად არ ისახავდა საკითხის სრულყოფილ გამოკვლევას. მას, როგორც ამ ორგანიზაციის ერთ-ერთ ხელმძღვანელსა და აღწერილი მოვლენების თვითმხილველს, სურდა მოეთხრო ეროვნულ-დემოკრატთა განვლილი გზის შესახებ. ნაშრომს დამაჯერებლობას მატებს ის ფაქტი, რომ გვაზავა მის მიერ გაშუქებული ბევრი მოვლენის არა მხოლოდ მოწმე, არამედ უშუალო მონაწილეც იყო.

გიორგი გვაზავა გარდაიცვალა 1941 წელს პარიზში, დაკრძალულია ბატინიოლის სასაფლაოზე.

37 Г. Мамулиа, Генезис журнала Прометей, `Nowy Prometeusz', Warszawa, 2010, # 0, p. 87.

OTAR JANELIDZE

For a political portrait of Giorgi Gvazava

Summary

The article tells about the famous Georgian political figure of the first half of the 20th century, one of the founders and leaders of the National Democratic Party of Georgia, Giorgi Gvazava (1868-1941), who lived in emigration 1921 and gets acquainted with his political portrait.

Giorgi Gvazava was a well-known representative of the political elite of the Democratic Republic of Georgia, a writer, translator, publicist, and qualified lawyer. He was a member of the National Council and Parliament and was also elected a member of the Constituent Assembly of Georgia. He headed the parliamentary faction of the National Democratic Party.

Giorgi Gvazava was in opposition to the ruling political force – the Social Democratic Party of Georgia, but this did not prevent him from participating widely in state building. Gvazava made a special contribution to the proclamation of the state independence of Georgia and the development of the constitution of 1921.

In 1926-1938 Georgy Gvazava headed the French-language magazine of the Promethean movement "Prometheus"; In 1929-1935 he edited the newspaper "Georgia" published in Paris and in 1938-1939 – the French-language magazine "Georgia" in Paris. He continued his writing and translation activities. He is the author of translations of Mithridates by Racine, Prometheus in Chains by Aeschylus, and others. In 1938, together with Anie Marcel-Paon, Gvazava produced a French translation of the prose epic The Knight in the Panther's Skin by Shota Rustaveli.

გოჩა კუჭუხიძე

ზოგიერთი ეპიზოდი ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ცხოვრებიდან

(ალექსანდრე სულხანიშვილის რამდენიმე უცნობი პირადი წერილი)

წინამდებარე წერილში გვინდა, მკითხველს გავაცნოთ 1924 წლის აჯანყების ერთ-ერთი ლიდერის, ქაიხოსრო (ქაქუცა) ჩოლოყაშვილის თანამებრძოლის, მემუარისტის, საქართველოში კარგად ცნობილი პიროვნების – ალექსანდრე სულხანიშვილის რამდენიმე პირადი წერილი.

ალექსანდრე სულხანიშვილს ასევე ემიგრაციაში (დასავლეთ გერმანიაში) მცხოვრები მწერლის (ლიტერატურული ფსევდონიმები: მინდია ლაშაური, ლაშა ეგრისელი, ი. დურუჯელი, იმერიძე, ალეკო ლორია...), ფილოსოფიის დოქტორის, *რადიო თავისუფლების* ერთ-ერთი პირველი თანამშრომლის (რაჟდენ არსენიძესა და დავით ურატაძესთან ერთად), მიუნხენის უნივერსიტეტში ქართული ენის პედაგოგის – ილია კუჭუხიძისათვის (1901-1992) 1987 წლის ზაფხულში სან-ფრანცისკოდან მიუნხენში სამი წერილი გაუგზავნია.[1]

პირველი წერილი ხსენებული წლის 26 აპრილით არის დათარიღებული; მოგვყავს იგი მთლიანად:

„სანფრანცისკო
26 აპრილი[,] 1987 წ.
ბატონო ილია!

ალბათ გაგიკვირდებათ ჩემი წერილის მიღება, მაგრამ აქ[,] უცხოეთში გადმოხვეწილ ქართველებს, ასე გვიხდება ძებნა ერთმანეთისა. მე ძალიან გვიან გავიგე თქვენი ყოფნა გერმანიაში და აგრეთვე თქვენი წიგნის შესახებ ქება, რამაც დიდად გამახარა. მე მოკლეთ მოგახსენებთ[,] ვინა ვარ. მე ერთი თანაშემწეთაგანი გახლავართ ქაქუცა ჩოლოყაშვილისა შეფიცულთა რაზმიდან. დღეს ჩვენი რაზმიდან მეღა დავრჩი ცოცხალი 91 წლისა. ბატონო ილია, მე მაქვს დაწერილი ოთხი წიგნაკი ჩვენი რაზმის მოქმედებაზე და ორივე ამბოხების სვლაზე. ეს ყველაფერი

---

1 წერილები ინახება საქართველოს ეროვნულ არქივში (უახლესი ისტორიის განყოფილება, ილია კუჭუხიძის /მინდია ლაშაური/ ფონდი); ეს და სხვა მასალები ილია კუჭუხიძემ პროფ. გურამ შარაძეს 1989 წელს თავად გადასცა საქართველოში წამოსაღებად. ილია კუჭუხიძის პირადი არქივი, ეროვნული არქივის გარდა, ემიგრაციის მუზეუმსა და სხვა კოლექციებშია დაცული... ეროვნულ არქივში ილია კუჭუხიძის ფონდის შექმნაში უშუალო წვლილი მიუძღვის ბ-ნ ვახტანგ გურგენიძეს... მეორე ჯერზე უკვე მწერლის გარდაცვალების შემდეგ დაბრუნდა სამშობლოში მისი არქივის დარჩენილი ნაწილი, რაშიც, გურამ შარაძესთან ერთად, დიდი წვლილი გაიღო საქართველოში გერმანიის იმჟამინდელმა ელჩმა – კოტე გაბაშვილმა... ჩვენ, ცხადია, უკლებლივ ყველა იმ პიროვნების მიმართ ვართ უღრმესი მადლიერების გრძნობით განწყობილნი, ვინც საქართველოში ხსენებული არქივის ჩამოტანაში თავისი წვლილი შეიტანა.

ჩვენი რაზმის მოძრაობის და ორივე ამბოხების მსვლელობაზე დიდი ხანია[,] დაწერილი მქონდა, მაგრამ მრავალი მიზეზების გამო ვერ შევძელი 1981 წლამდის გამოშვება ჩემი მოგონებისა. დიდი სიამოვნებით გიგზავნით ჩემ პირველ წიგნს „ჩემი მოგონებანი“ და როდესაც გავიგებ[,] რომ მიიღეთ ჩემი წიგნი, სიამოვნებით გამოგიგზავნით დანარჩენებსაც. ვერ გამოგიგზავნი სუყველა ერთად,[2] რადგან არ ვიცი[,] თუ სწორეა თქვენი მისამართი[,] რომელიც მე ვიშოვნე. მაშ ასე[,] კეთილი იყო[ს] ჩვენი გაცნობა წერილებით მაინცა. გისურვებთ ყოველივე კეთილს ოჯახობით.

პატივისცემით ალექსანდრე სულხანიშვილი.“

წერილს მეორე გვერდზე აქვს მინაწერი:

„ბატონო ილიკო, თუ კიდევ ვინმე არიან მანდ ქართველები? დიდი მადლობელი ვიქნები[,] თუ თქვენ წიგნს გამომიგზავნით[.] ნაფასურს მაშინვე მოგართმევთ[,] რამდენიცა ღირს.

ჩემი მისამართი A. Sulkhan
145 Terra Vista
S. V. Cal. 94115
USA“

მისამართის გვერდით მიწერილია: *„ჩემი ნამდვილი გვარი სულხანიშვილია“* და ბოლოს კი ვკითხულობთ:

„ბატონო ილიკო! მანდ[,] გერმანიაში[,] აკეთებენ ქართულ საბეჭდ მანქანებს[.] ძალიანა გთხოვთ[,] გამიგოთ მისამართი და რა ელირება და ან რამდენ ხანში შეიძლება მიღება. უწინარეს დიდ მადლობას გიხდით.“

სხვა გარემოებებთან ერთად ჩვენს ყურადღებას ის ფაქტიც იქცევს, რომ ქართული საბეჭდი მანქანის შოვნის სურვილი ჰქონია ალექსანდრე სულხანიშვილს (ისეთი შთაბეჭდილება გვექმნება, რომ ერიდება პირდაპირი თხოვნა და მინაწერში, სულ ბოლოს, ამიტომ ახსენებს ამ მანქანას, რაც მის პიროვნულ სახეს კარგად გვიჩვენებს; წიგნის საფასურის შეთავაზებაც, რა თქმა უნდა, ეტიკეტის გამო ხდება, თორემ ეცოდინებოდა ბ-ნ ალექსანდრეს, წიგნის საფასურს რომ არ გამოართმევდნენ...); ცხადია, საყურადღებო ის არის, რომ, როგორც ამ წერილიდან ირკვევა, მოგონებების ახალი წიგნის დაწერის სურვილი ჰქონია ალექსანდრე სულხანიშვილს... ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით.

მეორე წერილი ასეა დათარიღებული: *„1987 წ. ივნისი“*; ავტორი ბოდიშს იხდის, რომ დაუგვიანდა საპასუხო წერილის გაგზავნა, მადლობას ეუბნება ილია კუჭუხიძეს მოთხრობა –„ოდიშის მთავარი ცოტნე დადიანის“ გაგზავნისათვის, შემდეგ დადიანების გვარზე გადააქვს სიტყვა, ამბობს, რომ ბევრი მეგობარი ჰყავდა „დადიანებში“ (ამ და სხვა ფაქტებსაც ქვემოთ შევეხებით შედარებით ვრცლად) და მერე კი ისევ თავის მემუარებზე წერს:

---

2 ხელნაწერში შეცდომაა, ჩანს, უნდა ეწეროს – „ვერ გამოგიგზავნეთ სუყველა ერთად“, ან – „ვერ გამოგიგზავნით სუყველას ერთად“.

„ბატონო ილიკო, ჩემი მოგონებანი თუმცა ვერ გამოვეცი სათანადო ღირებულებით, მაგრამ პატრიოტი ქართველები ოდესმე ღირსეულათ დაბეჭდავენ“...

მესამე, ანუ 1987 წლის 27 ივლისით დათარიღებულ წერილში, პირად ამბებზე, საკუთარ მძიმე სულიერ განცდებზეა საუბარი; წერილის ამ მონაკვეთებს ასევე ქვემოთ წარვუდგენთ მკითხველს, ამჯერად კი ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნებზე ვიტყვით მოკლედ.

1981 წლამდე სულხანიშვილის ერთი წიგნი გამოიცა, ეს არის მიუნხენში, არჩილ მეტრეველის ქართულ სტამბაში 1962 წელს დაბეჭდილი – *„ხმა სიმართლისა: წითლების მოქმედება ნიუ იორკის ქართულ სათვისტომოში“*, 1981 წლის შემდეგ კი სან-ფრანცისკოში გამოვიდა მისი ოთხი წიგნი: *„მოგონებანი შეფიცულთა რაზმზე, 1921-1924“* (1981); *„რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებს შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“* (1985); *„ჩემი პასუხი ნოე ჟორდანიას მემკვიდრეებს“* (1985); *„შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წლის ნოემბრიდან“* (1987); ცხადია, ილია კუჭუხიძესთან გაგზავნილ წერილში ნახსენებ ოთხ წიგნს შორის 1962 წელს მიუნხენში დაბეჭდილი ნაშრომი არ იგულისხმება, – ავტორი გარკვევით ამბობს, რომ შეფიცულთა რაზმის შესახებ „ოთხი წიგნაკი“ აქვს დაწერილი, რომ 1981 წლამდე ვერ მოახერხა მათი გამოცემა და 1981 წელს გამოცემულ მოგონებებს კი *(„მოგონებანი შეფიცულთა რაზმზე“)* შეფიცულთა რაზმის შესახებ დაწერილ პირველ წიგნად იხსენიებს; უეჭველია, რომ 1981 წლის შემდეგ გამოქვეყნებული ნაშრომები იგულისხმება ამ „ოთხ წიგნაკში“, არ გვაქვს საფუძველი, ვივარაუდოთ, რომ რაიმე მექანიკური შეცდომა მოუვიდა წერილის ავტორს და 1961 წელს გამოსული ნაშრომიც იგულისხმება მის მიერ ხსენებულ ოთხ წიგნს შორის; ავტორი გარკვევით წერს, რომ შეფიცულთა რაზმზე ოთხი წიგნი აქვს დაწერილი და რომ 1981 წლამდე არ გამოქვეყნებულა ისინი: *„მე მაქვს დაწერილი ოთხი წიგნაკი ჩვენი რაზმის მოქმედებაზე“... „ეს ყველაფერი [...] დიდი ხანია[,] დაწერილი მქონდა, მაგრამ მრავალი მიზეზების გამო ვერ შევძელი 1981 წლამდის გამოშვება“.*

წერილის კონვერტზე ილია კუჭუხიძეს წარწერა გაუკეთებია: *„გაეგზავნა პასუხი.“*

არ არის გასაკვირი, რომ ისეთ ადამიანს, როგორიც ალექსანდრე სულხანიშვილი გახლდათ, 91 წლის ასაკშიც ჰქონდა სურვილი, განეგრძო მოგონებების წერა. მას ბევრი რამ ახსოვდა და სურდა, თანამემამულეებს სცოდნოდათ ის, რაც ნახა; როგორც ლალი ცომაია აღნიშნავს, ალექსანდრე სულხანიშვილმა *„85 წლის ასაკში შეისწავლა რემინგტონზე ბეჭდვა, რათა მომავალი თაობისათვის გადაეცა ის, რამაც მის თვალწინ გაიარა და რაც იცოდა“*;[3] ბევრი რამ მოასწრო ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის თანამებრძოლმა და ბევრი კიდევ დარჩენია სათქმელი და, როგორც ქვემოთ ვნახავთ, იმის მიახლოებით მაინც მიხვედრა, თუ რის შესახებ აპირებდა მომავალში თხრობას, აქ წარმოდგენილი წერილებიდანაც არის შესაძლებელი.

---

3 იხ. ალექსანდრე სულხანიშვილის მიმოწერიდან, ახალი მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის; პუბლიკაცია მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლალი ცომაიამ; – ჟურნ. „ქართული ემიგრაცია“, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, გიორგი მაჩაბლის ფონდი; 9/2021, 2022; გვ. 145.

ილია კუჭუხიძისათვის გაგზავნილ მეორე წერილში (1987 წლის ივნისით დათარიღებულში) ალექსანდრე სულხანიშვილი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისა და მისი მეგობრების ცხოვრების ბოლო წლებს იგონებს, როგორც ითქვა, წერს, რომ *„პატრიოტი ქართველები ოდესმე ღირსეულათ დაბეჭდავენ“* მის ნაშრომს და შემდეგ კი განაგრძობს:

„გულახდილათ უნდა მოგახსენოთ[,] მე არავინ დამხმარებია და აქ ძალიან ძვირი ჯდება ქართულის დაბეჭდვა, ნამეტნავათ ევროპაში დაგზავნა საჰაერო ფოშტით ძვირი ჯდება და ნორმალური ფოშტით თითქმის ორ თვემდის უხდება მგზავრობა. მოკლედ[,] ჩემი წიგნები[...] ძალიან[,] ძალიან ღარიბად მომიხდა გამოცემა, მაგრამ ხომ არ დაიკარგება ჩემი ნაწერი? შეიძლება კიდევ რამე მოვასწრო ჩემი ასაკისდაგვარად, თუმც ბევრი რამე გამომრჩა და ვერ დავწერე.“

შემდეგ ვკითხულობთ:

„ქაქუცას გარდაცვალების შემდეგ თუმც ჩვენი რაზმელები ყველა მუშაობდნენ, მაგრამ ზოგიერთნი დაავადმყოფებულები იყვნენ და მე მიხდებოდა მათი რჩენა. ამის გარდა[,] პარიჟის ერთ ძვირფას რაიონში გვქონდა შეფიცულებს მშვენიერი ვილა კარგა მოზრდილი ბაღით. აქ ცხოვრობდა თვით ქაქუცა სამიოდე შეფიცულით. და როდესაც ქაქუცას მოუხდა საავადმყოფოში[,] სანატორიუმში[,] დაწოლა, მაშინ მე მომიხდა იქ გადასვლა და დაბინავება. აქ ვიყრიდით თავს ყველა შეფიცულები კვირა უქმით, და ამნაირად ჩვენი რაზმი არ იყო დაშლილი, ველოდით[,] შეიძლება[,] დრო გამოცვლილიყო, ისევ გვებრძოლა რუსეთის უჯიშობისათვის, მაგრამ საუბედუროთ ეს არ მოხდა და სტალინმა ყველას აჯობა ჭკუით. ამერიკელები, ინგლისელები არ მოიქცნენ ჭკვიანათ, თავიანთი წინდაუხედაობით გააღონივრეს მხეცი რუსეთი და ეხლა ცხვირში ირტყავენ და როგორ დამთავრდება ასეთი პოლიტიკური ბრძოლა, ალაჰმა იცის. ჩვენ უბედურ ქვეყანას ჩვენი მეზობელი ერები[:] სპარსეთი და თურქეთი არ გვასვენებდნენ და მუდამ გვძიძგნიდა. ამისათვის მეფე ერეკლემ[,] როგორც ქრისტიანული სახელმწიფო[,] რუსეთთან ირჩია მეგობრობა. მაგრამ რუსეთმა[,] მეგობრობის მაგივრათ, ყველაზე მეტი მტრობა გაგვიწია, და იმასვე აგრძელებს დღესაც“.

ჩანს, საფრანგეთში მცხოვრები თანამემამულეების ბოლოდროინდელი წლების შესახებ აპირებდა მოგონებების წერას ალექსანდრე სულხანიშვილი, დაახლოებით ამდროინდელი და სხვა ძველი ამბებიც იქნებოდა ალბათ გახსენებული... ცხადია, საყურადღებოა ის ფაქტები, რომ დაავადმყოფებული ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის მისახედად პარიზის ვილაში გადასახლებულა ალექსანდრე სულხანიშვილი და დანარჩენ ქართველებსაც ეხმარებოდა მატერიალურად და მიუხედავად იმისა, რომ „სამიოდე შეფიცული“ იყო დარჩენილი, რაზმი დაშლილად არ მიაჩნდა; ეს ყოველივე მის პიროვნებას უკეთ წარმოგვიჩენს და იმასაც გვაფიქრებინებს, რომ იურიდიული თვალსაზრისითაც ანგარიშგასაწევად მიაჩნდა ის ფაქტი, 80-იანი წლების ბოლოს კვლავაც რომ განაგრძობდა არსებობას „შეფიცულთა რაზმი“...

ხსენებული წერილიდან დაახლოებით მაინც გასაგები ხდება, რის შესახებაც აპირებდა ალექსანდრე სულხანიშვილი თხრობას და ამიტომ წერილზე საუბრისას

პირდაპირ ამ საკითხზე გავამახვილეთ ყურადღება, ამჯერად კი წერილის დასაწყის ნაწილზე გადავიტანთ სიტყვას:

„გამარჯვება პატივცემულო პატრონო ილიკო!
ბოდიშს ვიხდი[,] რომ ასე დაგვიანებით გწერთ პასუხს. მიზეზი იყო ის[,] რადგან რამდენიმე დღით ვიყავი წასული პროვინციაში“.

შემდეგ, როგორც ითქვა, მადლობას უხდის ილია კუჭუხიძეს, რომ წიგნები გაუგზავნია მას, ერთ-ერთი წიგნის – „ცოტნე დადიანის“ შესახებ წერს: *„ეხლავე დავეწაფე ცოტნე დადიანის ისტორიულ მოთხრობას“* და შემდეგ კი განაგრძობს:

„საერთოდ დადიანებში ბევრი მეგობრები მყავდა, აქაც ამერიკაში და საფრანგეთშიც, ჯონჯი (იგივე ლევან – გ. კ.) *დადიანი განუყრელი დიდი ხნის მეგობრები ვიყავით. აგრეთვე მიშა დადიანიც; კოკის შვილი, ჩემი ძვირფასი მეგობარი იყო. საუბედუროთ[,] ორივენი ადრე დაიხოცნენ. იცით თუ არა, მიშა დადიანს ორი ქალვაჟი ჰყავს. ვაჟს ცოტნე ჰქვია[,] რომელიც დაახლოებით 35 წლისა უნდა იყოს. ცოლიანია. დავკარგე მისი მისამართი, ალბათ ვიპოვნი, ვაშინგტონში უნდა ცხოვრობდეს“.*

აქ მოხსენიებული მიშა დადიანი პუბლიცისტისა და პოეტის, სამხედრო მოღვაწის და 1921 წლის შემდეგ საფრანგეთში მცხოვრები ემიგრანტის – კონსტანტინე (კოკი) დადიანის ვაჟია, იგი ქართველ იუნკრებთან ერთად იბრძოდა 1921 წელს, იმავე წელს ემიგრაციაში წავიდა; წერდა ლექსებს *მიხა წყემელის* ფსევდონიმით, იყო *„ამერიკის ხმის“* ერთ-ერთი რედაქტორი.

ცნობილია, რომ კონსტანტინე დადიანმა თავისი წერილით, რომელიც გაზეთ ***“Петроградские Ведомодсти”***-ში 1904 წელს გამოქვეყნდა, მტკიცედ გაილაშქრა დეკანოზ ვოსტორგოვის წინააღმდეგ, რომელიც მეგრული ანბანის შემოღებასა და მეგრელთათვის ავტონომიის მიცემას ცდილობდა,[4] როგორც ჩანს, დადიანებზე საუბრისას სწორედ ეს ფაქტი გაახსენდა ალექსანდრე სულხანიშვილს, შემდეგ კი ამ საკითხებთან დაკავშირებული გაცილებით ადრინდელი, – მსგავსი მოვლენები ამოტივტივდა მის მეხსიერებაში და ილია კუჭუხიძეს ამიტომ სწერს:

„მოგეხსენებათ[,] რუსეთმა თავისი ანბანი შეუქმნა სამეგრელოს, რომ საქართველოსთვის ჩამოეშორებინა ეს მშვენიერი კუთხე. ამისათვის დიდი ჩოჩქოლი შეიქმნა თურმე ქართულ მოწინავე საზოგადოებაში. ალბათ ესეც გეცოდინება[,] რომ ამის თაობაზე თვით ი. ჭავჭავაძე წავიდა თურმე სამეგრელოში[,] რომ თვითონ დარწმუნებულიყო სინამდვილეში. ილია დიდის პატივით მიიღო სამეგრელოს მოწინავე საზოგადოებამ. და როდესაც დაბრუნდა თბილისში ილია და შეეკითხნენ, როგორი გარემოებააო ან როგორ დაჰხვდნენ მეგრელების მოწინავე საზოგადოებაო, ილიამ უპასუხა[, –] სამეგრელოში ჩავედი და საქართველო დავინახეო. ამნაირათ[,] რუსებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. სამეგრელოს საზოგადოებას ქართველობა-

4 ძირითადი ცნობები და ლიტერატურა ხსენებულ პიროვნებათა შესახებ იხ. ინტერნეტმასალაში – ქართველები უცხოეთში http://www.nplg.gov.ge/emigrants/en/00000944/; http://www.nplg.gov.ge/bios/ka/00012782/ (ნანახია: 14. 05.2023)

ზე ხელი ვერ ააღებინეს, და პირიქით [–] იქ უფრო მეტი ქართული პატრიოტობა სუფევს დღესაც. ასე ჩემო ბატონო ილიკო[,] ბევრი რამეა სათქმელი და დასაწერი ჩვენი უბედური ქვეყნი[ს] შესახებ".[5]

ამ სიტყვების შემდეგ ოდნავ გაუმართავი წინადადება წერია, მაგრამ გასაგებია, რისი თქმაც სურს ავტორს, – წერს, რომ უნდა, მოასწროს და კიდევ მოგვითხროს თავისი სამშობლოს შესახებ (ჩანს, სამეგრელოში ილია ჭავჭავაძის გამგზავრებასთან დაკავშირებულ და სხვა მსგავს საკითხებზეც იქნებოდა მის წიგნში საუბარი):

---

5 როგორც ცნობილია, სამეგრელოში 1885 წელს ილია ჭავჭავაძის გამგზავრების ოფიციალური მიზეზი ნიკო დადიანის მიერ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის გადაცემული ბიბლიოთეკის მიღება იყო, თუმც ცნობილი არის უფრო რეალური მიზეზიც, რომელიც, ჩანს, ასევე საქართველოს დანაწილების საფრთხეს უკავშირდებოდა (იხ. ზვიად კვარაცხელია, ილია ჭავჭავაძის მოგზაურობა სამეგრელოში, არტანუჯი, 2009) და კოკი დადიანის ხსენების შემდეგ ილია ჭავჭავაძეზე ყურადღების გადატანისას ილიასდროინდელი მოვლენების გარშემო საქმის ძირითადი არსის კარგი ცოდნით საუბრობს ალექსანდრე სულხანიშვილი; 1885 წელს ქუთაისის სახალხო სკოლების დირექტორის განკარგულებით, სამეგრელოში სწავლების მეგრულად შემოღებას აპირებდნენ (ამ საკითხების შესახებ იხ. თინათინ ბოლქვაძე, კვლავ მეგრული „კუდიანი" ანბანის შესახებ, – კონფერენცია „ტოგო გუდავა – მეცნიერი და მასწავლებელი", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 20 XII, 2022; გვ. 14) და სამეგრელოში ილიას ჩასვლას სულხანიშვილი სავსებით სწორად აკავშირებს ამ ფაქტთან... საერთოდ, ქართული ეროვნული სულისკვეთების წინააღმდეგ ბრძოლის სურვილი (რაც ქართველთა გათიშვის სურვილს თავისთავად გულისხმობს), ჩანს, XIX ს-ის 80-იანი წლებიდან განსაკუთრებით ძლიერდება, 60-70-იან წლებში ქართველების მიმართ ამგვარი პოლიტიკა იმდენად ძლიერი არ არის (ხსენებული საკითხებზე იხ. ჩვენი წერილი – „კავკასიის საცენზურო კომიტეტის ზოგიერთი ტენდენციის შესახებ /XIX ს-ის 70-იანი წწ/"; სამეც. კრებული – „XIX საუკუნე – ეპოქათა მიჯნა"; ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; 2022-1923, № 3; გვ. 75-112)... რამდენადაც ილია ჭავჭავაძისა და საქართველოში ურთიერთგანხეთქილების არსებობის შესახებ ჩამოვარდა სიტყვა, გვინდა, მკითხველს გავაცნოთ ფართო საზოგადოებისათვის უცნობი კიდევ ერთი დოკუმენტი, რომელიც საქართველოს ეროვნულ არქივშია დაცული; – საყოველთაოდ არის ცნობილი დუელი, რომელიც ილია ჭავჭავაძესა და ნიკო ნიკოლაძეს შორის იყო დანიშნული და, საბედნიეროდ, არ გაიმართა. კავკასიის საცენზურო კომიტეტის მასალებში შეგვხვდა ცნობა (საქართველოს საისტორიო ფონდი 480, 1, 335), რომლიდანაც ირკვევა, რომ 1878 წელს ნიკო ნიკოლაძეს გადაუწყვეტია, ქართველ ისტორიკოს დიმიტრი ფურცელაძესთან გაემართა დუელი (აქ აუცილებლად უნდა ითქვას, რომ, მართალია, საცენზურო კომიტეტის თამჯდომარე იყო დიმიტრი ფურცელაძე, მაგრამ უპირველესად ეროვნული პატრიოტი გახლდათ და, როგორც საცენზურო კომიტეტის მასალების შესწავლიდან ირკვევა, ეროვნული მწერლობის განვითარების, ქართველ მწერალთა ნაწარმოებების გამოქვეყნების საქმეში დიდი წვლილი აქვს შეტანილი... ჩვენს ზემოხსენებულ სტატიაში ამ გარემოებაზე განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული); არქივში შეგვხვდა დიმიტრი ფურცელაძის მიერ ზემოხსენებულ წელს დაწერილი რუსულენოვანი წერილი, რომელშიც იგი ტფილისის გუბერნატორს სწერს, რომ ნიკოლაძემ მას დუელში გამოწვევის მიზნით სახლში სეკუნდანტები გაუგზავნა და რომ ფურცელაძემ უარი განაცხადა დუელზე... ეს არის ერთ-ერთი ფაქტი, რომელიც ქართველ მოღვაწეთა იმ გათიშულობაზე მეტყველებს, რასაც შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობაც უწყობდა ხელს... კონფლიქტის მიზეზი გასაგებია, – არქივში დაცულია საიდუმლო დოკუმენტები, რომლებშიც აღნიშნულია, რომ ნიკოლაძე სტუდენტობის დროიდან რევოლუციურ ცხოვრებაშია ჩართული, ჟანდარმერიიდან აგზავნიან შეტყობინებას, რომ მასზე ზედამხედველობაა დაწესებული და ამ პიროვნებასთან დაკავშირებით საცენზურო კომიტეტს სიფრთხილისკენ მოუწოდებენ; მასალებში ძალზე ბევრი გვხვდება ცნობა, რომლიდანაც ჩანს, რომ ნიკოლაძეს ან ჟურნალის დაარსების, ან სტატიის გამოქვეყნების ნებას არ აძლევენ, გამომდინარე ყოველივე აქედან, გასაგებია, რომ რევოლუციური იდეებით გატაცებულ ნიკო ნიკოლაძეს დიმიტრი ფურცელაძე დამხმარედ ვერ გამოადგებოდა, ვხედავთ, რომ პირიქით, – ხელს უშლიდა მას სტატიის დაბეჭდვასა თუ საგამომცემლო საქმიანობაში, რაც, ცხადია, ამ უკანასკნელის გაღიზიანებას იწვევდა.

„ბევრი რამეა სათქმელი და დასაწერი ჩვენი უბედური ქვეყნი[ს] შესახებ[,] მაგრამ მოვასწროფ მოვასწო ამას ყველას“...

აქვე ვკითხულობთ:

„ბატონო ილიკო, საბეჭდი მანქანის შესახებ გამიგეთ რამე? ძალიან გამიგძელდა ჩემი წერილი. მიიღეთ ჩემი გულითადი სალამი და, აგრეთვე[,] გადაეცით თქვენ მეუღლეს და ქალიშვილს. მე უნდა ვთქვა გულახდილათ[,] დიდი პატივისმცემელი ვარ გერმანიისა. საუბედუროთ[,] ისე მოეწყო ჩემი ცხოვრება[,] რომ მანდ დარჩენა სახიფათო იყო ჩემთვის.

გამარჯვებით ა. სულხანიშვილი.

დიდი მადლობა თქვენი წიგნებისათვის.“


ალექსანდრე სულხანიშვილი პირადი ცხოვრების შესახებაც წერს, ვხედავთ, რომ ამ მხრივაც მძიმე მდგომარეობა ჰქონია შექმნილი, – 1987 წლის 27 ივლისით დათარიღებულ მესამე წერილში შემდეგი წერია:

„პატ. ბატონო ილიკო!

მაპატიეთ[,] რომ აქამდისინ ვერაფერი მოგწერეთ თქვენი წიგნების მიღების შესახებ. დიდი სიამოვნებით წავიკითხე „ოდიშის მთავარი“[.] მშვენივრათ არის მის[ი] ცხოვრებ[ა] და მოქმედება გაშუქებული. მეორე წიგნი მოთხრობებით ზოგადათ გადავათვალიერე [,] მაგრამ დრო არა მქონდა გადამეკითხნა. ისეთი გარემოება შემექმნა[,] რო[მ] ველარაფერს ვასწროფ. ბატონო ილიკო[,] მოკლეთ მოგახსენებთ ჩემ[ი] მოხუცებულების ცხოვრებას. ოჯახობა არ გავიჩინე თავის დროზე და ამ მოხუცებულების დროსღა შევირთე ცოლი ამ ცხრა წლის წინათ, თუმცა რაღა ეშმაკათ მინდოდა ცოლი, მაგრამ რომ გადაგეკიდებიან, რას იზავ. ჩემი მეუღლე ჩიქოვანის ქვრივია, ოთხი ბიჭი ყავს[.] უფროსი 55 წლისა არი. ჩემი მეუღლე რუსის ქალია. ეს წელიწადზე მეტია[,] რაღაც დაემართა, ძალიან მშრომელს და ჩემზე ბევრა[თ] ახალგაზრდა და ჯანმთელ ადამიანს. თავის ჭკვაზე აღარ არის. მე მეგონა[,] რომ ჩემზე ბევრათ ახალგაზრდა მე მომივლიდა[,] მაგრა[მ] უკუღმა მოხდა. დღითი-დღე უფრო ძნელი გასაძლისია და მოსავლელი, უფრო და უფრო ემატება. მოკლეთ[,] ამის მოვლას უნდები და ველარაფერს ვაკეთებ, წარმოიდგინეთ[,] წერილებზე ველარავის ვპასუხობ. აპირობენ ამი[სი] შვილები[,] რომ სადმე მო[ა]წყობენ. ეძებენ შესაფერ ადგილს ამ საწყალ ქალისათვის. ვერ აგიწერთ ჩემს ფიზიკურს და სულიერ ტანჯვას. ამის შვილები მეშველებიან და ცდილობენ[,] სადმე რიგიანათ მოაწყონ[,] მაგრამ, ნათქვამია [–] „მანამ პეტრე მოვიდა[,] პავლეს ტყავი გააძრესო, მგონი ისე დამემართება საქმე. რაც შეეხება პირად ჩემ ასაკში მყოფ ადამიანს[,] ხვთის მადლით ჯერ არა ვარ დაჩაჩანაკებული, მთავარია[,] ჯერ კიდე კარგათ ვაზროვნობ. აი[,] ჩემო ბატონო ილიკო[,] მოკლედ გაგაცანით ჩემ[ი] უბედურება, იმის მაგივრათ[,] რომ მე მივლიდეს ვინმე, მე მიხდება ამ საცოდავი ადამიანის მოვლა, და აი[,] ასე ჩემი ცხოვრება მთლიანათ გაჭირვებაში და უბედურებაში გავატარე. ბატონო ილიკო[,] ამისა გამო გთხოვთ[,] უზრდელობაში არ ჩამომართოთ[,] რომ თავის დროზე ვერ ვერ მოგწერე მადლობა თქვენ[ი] წიგნებისათვის.“

როგორც ვხედავთ, ისევ მოთხრობა *„ოდიშის მთავარს“* ახსენებს ალექსანდრე სულხანიშვილი, ვხედავთ, რომ აუწყობელი პირადი ცხოვრების გამო სხვა წიგნის წაკითხვა ვერ მოუხერხებია და ნაწერიდან ისიც ჩანს, აღელვებული რომ წერს წერილს, – აქ ორჯერ წერია სიტყვა „ვერ“ *(„რომ თავის დროზე ვერ ვერ მოგწერე“)*... მართლწერასთან დაკავშირებით, ყურადღებას ის ფაქტიც იქცევს, რომ ერთ ადგილას დაუწერია „რო“ და შემდეგ სიტყვის თავზე თავადვე მიუწერია „მ“; ჯერ დაუწერია „მოხუცებულობის“ და შემდეგ *„ო“ „ე“* ასო-ბგერით შეუცვლია *(„ამ მოხუცებულების დროსღა შევირთე ცოლი“);* არის სხვა ჩანამატებიც... მკითხველს ვთხოვთ გაითვალისწინოს, რომ წერილებს ტექსტოლოგიაში მიღებული ნორმების მეტ-ნაკლები დაცვით ვაქვეყნებთ, ამასთან, ავტორის მიერ დაშვებული გრამატიკულ ნორმათა დარღვევების უცვლელი სახით წარმოჩენა, ვფიქრობთ, იმისთვისაც არის აუცილებელი, რომ იგი კარგად გვიხატავს კოლორიტს ემიგრაციაში მცხოვრები კაცისა, რომელიც ზოგჯერ კუთხურად მეტყველებს, ზოგჯერ კი, როგორც ჩანს, ოჯახში შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო აღელვებულია და გაუმართავად წერს... პირად წერილებში დაშვებული შეცდომები და თავისუფალი მეტყველება იმითაც არის საინტერესო, რომ ეს ყოფითი, სასაუბრო ენაა და ამ დროს იმ ადამიანის მიმართ დამოკიდებულებაც კარგად ჩანს ხოლმე, ვისაც სწერს იგი წერილს; საინტერესოა, რომ ხან თქვენობით მიმართავს წერილის ადრესატს ალექსანდრე სულხანიშვილი, ხან – შენობით; შინაურულად არის თანამემამულისადმი განწყობილი და თანაც ეტიკეტს ყოველთვის იცავს; ხან ილიას უწოდებს, ხან – ილიკოს... პიროვნების და მისი მდგომარეობის წარმოსაჩენად ყოველი დეტალია საინტერესო (აქვე დავძენთ, რომ პუნქტუაციის ნიშნები და ასო-ბგერები, რომლებიც ჩვენ ჩავამატეთ, კვადრატულ ფრჩხილებშია ჩასმული)... მისალმების ასეთი ფორმა – „გამარჯვება“ მოხუცებულ, მაგრამ ყოფილ მეომარში მაინც შემორჩენილ მებრძოლურ ხასიათსაც ამჟღავნებს თითქოს...

ალექსანდრე სულხანიშვილი ამ წერილების დაწერიდან სამიოდე წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ პაატა ნაცვლიშვილის შემწეობით საქართველოში დაბრუნდა; ალბათ არაერთ ადამიანს ახსოვს მისი სიტყვები, რომ „ქართულ მიწაში თავისი ძვლების ჩასაყრელად“ დაუბრუნდა სამშობლოს, ახსოვთ, როგორ ჩამოიტანა ქართული მიწა (რომელსაც მთელი ცხოვრება ინახავდა), ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ხმალი და ქართული დროშა; სამ კვირაზე ნაკლები იცოცხლა საქართველოში და ბოლოს აწყურში თეთრი გიორგის ეკლესიის ეზოში მიებარა მიწას მისი სხეული; ალბათ მართლაც ბევრი რამ დარჩა *„სათქმელი და დასაწერი“*, ვერ მოასწრო ბევრის თქმა, მაგრამ შემორჩენილი წერილები ოდნავ მაინც ავსებს ამ დანაკლისს, თითქოს მაინც ახერხებს და იმ ქვეყნიდანაც გვაწვდენს ხმას ალექსანდრე სულხანიშვილი და რამდენიმე სიტყვას იქიდანაც გვეუბნება ქაიხოსრო ჩოლოყაშვილისა და, ცხადია, თავისი სათაყვანებელი სამშობლოს შესახებ.



P.S. სტატია უკვე გაგზავნილი მქონდა ჟურნალ *„ქართული ემიგრაციის“* რედაქციაში, როცა ბ-ნებმა: ოთარ ჯანელიძემ და პაატა ნაცვლიშვილმა შემატყობინეს, რომ არსებობს ილია კუჭუხიძის საპასუხო წერილები, რომლებიც მას ალექსანდრე სულხანიშვილისთვის გაუგზავნია; ცხადია, უღრმეს მადლობას მოვახსენებ ბ-ნ ოთარს, ბ-ნ პაატას (რომელმაც ჩამოიტანა საქართველოში ალექსანდრე სულხანიშვილის მდიდარი არქივი...), საქართველოს ეროვნული არქივის ლიტერატურის, ხელოვნებისა და უახლესი ისტორიის განყოფილების უფროსს, ქ-ნ მარინა სხირტლაძეს და არქივის ყველა თანამშრომელს გამოჩენილი ყურადღებისა და მასალების გადმოცემისთვის.

ვარჩიე, არ გადამეკეთებინა სტატია, არც სათაური შემიცვლია მისი; ილია კუჭუხიძის წერილებს ქვემოთ, მინაწერში, წარვუდგენ მკითხველს, – ვფიქრობ, ამგვარად უფრო ცოცხალი სურათი გამოჩნდება ხსენებულ სტატიაზე მუშაობისა და ამ შემთხვევაში ასე სჯობს; ერთ-ერთი წერილი, რომელიც **1987** წლის **5** მაისით არის დათარიღებული, ილია კუჭუხიძე ალექსანდრე სულხანიშვილს სწერს:

„ღრმად პატივცემულო [,] ბ-ნო ალექსანდრე!

მივიღე თქვენი წერილი და წიგნი „ჩემი მოგონებანი“, რითაც უზომოდ გავიხარე. რა კარგია [,] რომ დამყარდა ჩვენს შორის ნაცნობობა. მე თქვენ გიცნობთ შორიდან, როგორც ჩვენი დიდი მებრძოლი მამულიშვილის[,] ქაქუცა ჩოლოყაშვილის[,] თანამებრძოლსა და შეფიცულს. ქაქუცას სურათი ჰკიდია ჩემს ოთახში საპატიო ადგილზე.

თქვენი წიგნი ჯერ არ დამიმთავრებია, ვკითხულობ და ჩემს აზრს მასზე მოგწერთ. წიგნი უსათუოდ კარგია და მდიდარ მასალას წარმოადგენს ჩვენი ერის უახლესი ისტორიის შესასწავლად... იგი ისტორიული დოკუმენტია და დიდ ღირებულებას წარმოადგენს.

კვლავ დიდი მადლობა ყურადღებისათვის და [რომ] უკვე ილიკოს მეძახით; ეს იმას ნიშნავს [, რომ] ჩვენი გ ზა ერთია... დიდი მადლობა.

ეხლა ამ წერილთან ერთად გიგ ზავნით ჩემს ორ წიგნს: 1) [„]ოდიშის მთავარი ცოტნე დადიანი["] და ბ) [„]მინიატურები და მინიატურული მოთხრობები["]. მიიღოთ თუ არა[,] გთხოვთ[,] მილება დამიდასტუროთ და მომწეროთ მოკლედ თქვენი აზრი ამ ორ წიგნზე.

ვწუხვარ, რომ ჩემი მოგონებების წიგნი არ გაქვთ. სამწუხაროდ[,] ისეთ პირებს მივეცი[,] რომლებსაც არც კი ჩაუხედავთ შიგა; და უბრალოდ მადლობაც კი არ გადაუხდიათ. ზრდილობა კი მოითხოვდა ამას, მე მგონი.

ეხლა მინდა ის ჩემი მოგონებები რომელიმე მათგან[ს] გამოვართვა (წიგნი იმას ეკუთვნის[,] ვინც მას კითხულობს მგონი), და თუ შევსძელი და „დავითრიე" როგორმე, უსათუოდ გამოგიგ ზავნით.

მგონი იქ[,] სადაც ცხოვრობთ, მანდ ცხოვრობს ბ-ნი ალექსანდრე მანველიშვილი; მას აქვს ჩემი წიგნები ([„]მოგონებები["], [„]ქართული სული["] და სხვა) და გთხოვთ[,] დროებით წასაკითხავად გამოართვათ.

მიიღეთ მოკითხვა ჩემი ოჯახისგან, ჩემი მეულლე წარმოშობით გერმანელია და ძალიან აფასებს და პატივსცემს ქართველობას!

რაც შეეხება ქართულ საწერ-მანქანას, გავიკითხავ და შეგატყობინებთ.

ერთხელ კიდევ დიდი მადლობა წერილისა და წიგნისათვის... უზომო მადლობა.

იყავით მზეგრძელი!

პატივისცემით ილია კუჭუხიძე

(მინდია ლაშაური)

ილია კუჭუხიძის მეორე წერილში ვკითხულობთ:

«2 ივნისი[,] 1987 წ[.]

მიუნხენი

გამარჯობათ[,] ალექსანდრე ბატონო!

მივიღე თქვენი წერილი, რომელმაც უზომოდ გამახარა... რა თქმა უნდა, ჩვენ[,] ორივენი[,] იდეოლოგიურად ერთნი ვართ... ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ჩემი საყვარელი ეროვნული გმირია. მისი სურათი ჰკიდია ჩემს ოთახში საპატიო ადგილზე, დიდი ილია ჭავჭავაძის გვერდით.

ეხლა ქაიხოსროსთან გვერდში დავკიდებ თქვენს სურათს, და მაშინ უკვე შინ მეყოლება ორი შეუდრეკელი მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობისათვის.

მართალი უთქვამს ქაიხოსროს:

„მე არ ვიბრძვი ძალაუფლებისათვის, მე ვიბრძვი საქართველოს დამოუკიდებლობისათვისო; თუ რაგვარი ხელისუფლება იქნება იქ, ამას თვით ქართველი ერი გადასწყვეტსო."

ჭეშმარიტება... აქედან „რეცეპტის" დაწერა ჩვენ[ს] ერს არ ესაჭიროება, ის კარგად მოუვლის თავის თავს.

ეხლა ახლოვდება ილიას დაბადების 150 წლისთავი, და ალბად დიდ ილიას ბოლშევიკად გამოაცხადებენ იქ, საქართველოში, აქ[,] ევროპაში[,] ალბად მენშევიკად.

მარქსიზმი უცხო მოძღვრებაა, ის უცხოდ ჩათესლილია ჩვენს ეროვნულ წიაღში და მისგან უნდა განიკურნოს ქართული ეროვნული სხეული, [–] ერთხელ და სამუდამოდ.

ჩვენ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენს ეროვნულ ძირებს, ჩვენი ლოზუნგი უნდა იყოს: „საქართველო უპირველეს ყოვლისა“ და არა „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა[,] შეერთდით!“ ჩვენ არასდროს პროლეტარი არ გვყოლია საქართველოში. ჩვენი ეროვნული ძირებად (ჩანს, უნდა ეწეროს – „ჩვენს ეროვნულ ძირებად“; გ. კ) *დიდ ილიას მიაჩნდა ჩვენი მშრომელი გლეხობა...*

მოდით, დავანებოთ თავი „პროპაგანდას“, თქვენ ჩემი პროპაგანდა არ გჭირდებათ.

თქვენი წიგნები მივიღე და დავეწაფე მათ კითხვას... მოვრჩები თუ არა[,] მოგწერთ ჩემს აზრს...

რა გაგჭირვებიათ ოჯახში? ავად ხომ არ არის ვინმე.

მოკითხვა ჩემებისგან.


იყავით მზეგრძელი.

ილიკო“

ბოლოში ფურცელზე მიწერილია: *„ალბად ჩემს წიგნებს მალე მიიღებთ“.*

სხვა წერილი არ ჩანს ილია კუჭუხიძისა. ალბათ არ არის იმის აღნიშვნა საჭირო, თუ როგორ ჰყვარებია მას ალექსანდრე სულხანიშვილი... რასაც ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის სურათის შესახებ წერს, ამან გამახსენა, – 1991 წელს ილია კუჭუხიძის ოთახის კედელზე საკუთარი თვალით ვნახე წმიდანთა ხატები, ეროვნულ მოღვაწეთა სურათები, ქართული სამფეროვანი დროშა... ცხადია, უამრავი ქართული წიგნი...

ხატებში, წიგნებსა და სურათებში დავანებული ქართული სული, ერთმანეთთან ურთიერთობის საშუალება აძლებინებდათ უსამშობლოდ დარჩენილ იმდროინდელ ქართველებს...



GOCHA KUCHUKHIDZE

Some Episodes of Georgian Political Emigration Life

(Unknown Personal Letters of Alexander Sulkhanishvili)

Summary

The work presents to the readers several personal letters of Alexander Sulkhanishvili, military and author of memoires, companion in arms of Kaikhosro (Kakutsa) Cholokashvili, leader of 1924 rebellion for liberation of Georgia against the Soviet Union, sent to Georgian Scientist and publicist Ilia Kuchukhidze (Mindia Lashauri), in summer 1987, from San Francisco to Munich. The mentioned persons were political emigrants and hence, in their letters, there are numerous facts of Georgian emigrant life that attract our attention.

The author of letters wrote that he was 91 and only he has survived of the "Squad of Sworn Men" and that he has published four books about actions and that he had written these books long ago, but only 1981 he had the opportunity to publish these books due to various causes; in one of the letters he asked Ilia Kuchukhidze to help him to get Georgian typing machine; the author said that he had many memories about the Sworn Men.

Alexander Sulkhanisshvili has published five books abroad, one of them ("Voice of the Truth, Actions of the Reds in Georgian Diaspora of New York") was published in 1961 and it does not directly deal with the "Squad of Sworn Men"; apparently, "Voice of the Truth" was not among four books published after 1981 and hence, we can offer that in 1987, Sulkhanishvili intended to write the new, fifth book of memoires about the "Sworn Men"...

In his letters Sukhanishvili memorized last years of life of the members of "Sworn Men", he wrote about history of Georgia, policies, personal life... His letters enriches the history of Georgian political emigration with the new facts...

In the article we publish the written answers by Ilia Kuchukhidze to Aleksandre Sulkhanishvili.

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი

ქართველ ემიგრანტთა ბიზნეს საქმიანობის ისტორიიდან
(ნიკოლოზ ელიავასა და რაჟდენ დათეშიძის მცდელობა კურორტ ბად ლანგენაუ /დუოგოპოლე-ზდრუის შესაძენად)

საქართველოს ეროვნულ არქივის საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში ინახება გასული საუკუნის 20-იანი წლების ორი, რუსულენოვანი დოკუმენტი (ფონდი: 1864, ანაწ. 2, საქმე 700), რომელიც საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ ქართული ემიგრაციის ბიზნეს საქმიანობას ასახავს და, ამასთანავე, ქართულ-გერმანულ და ქართულ-პოლონურ ურთიერთობებში კიდევ ერთ საინტერესო ფურცელს შლის.

პირველი, მანქანაზე ნაბეჭდი დოკუმენტი, რომელიც ბერლინში არის შედგენილი, 1922 წლის 26 ოქტომბრით თარიღდება და არის კომერციული ხასიათის ორ გვერდიანი ხელწერილი რაჟდენ ყარამანის ძე დათეშიძისა ნიკოლოზ ზურაბის ძე ელიავასადმი. დათეშიძის ხელწერილი დამოწმებულია ბერლინში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგაციის ბეჭდით, რომელსაც დართული აქვს ნოტარიალური შენიშვნა გერმანულ ენაზე და ხელს აწერს ლეგაციის მდივანი ბრაუნი:

„საქართველოს წარმომადგენლობა ადასტურებს, რომ ზემოაღნიშნულ, რუსული ასოებით დასმულ ხელმოწერას: „რაჟდენ კ. დათეშიძე" – პირადად მოაწერა ხელი ბერლინში მყოფმა საქართველოს მოქალაქე რაჟდენ (ყარამანის ძე) დათეშიძემ, რომელსაც პირადად იცნობს საქართველოს წარმომადგენლობა. ბერლინი, 1922 წლის 26 ოქტომბერი Nr 5361 საქართველოს წარმომადგენლობის მდივანი – ბრაუნი".[1]

როგორც რაჟდენ დათეშიძე, ასევე ნიკოლოზ ელიავა ცნობილი პიროვნებები იყვნენ. მეწარმის და ქველმოქმედის, რ. დათეშიძის მამა, ყარამან დათეშიძე იმერეთში შეძლებული ხე-ტყის მეწარმე იყო. მას ჰყავდა მეუღლე მართა, რომელთანაც ეყოლა ხუთი ვაჟი – რაჟდენი, ბესარიონი (კოწია, კონსტანტინე), პარმენი, ივანე, გრიგოლი და ორი ქალიშვილი – ელისაბედი და თამარი.[2] რაჟდენი 1879 წელს ქუთაისში დაიბადა.[3] 1902 წელს ის მიუნხენში ლუდის ხდის

---

1 Die Georgische gesandtschaft bescheinigt hiermit, dass die vorstehende, in russischen Lettern vollzogene Unterschrift: "Rashden K. Dateschidse" von dem in Berlin weilenden und der Georgischen gesandschaft persönlich bekannten Georgischen Staatsangehörigen Rashden (Sohn des Karaman) Dateschidse eigenhändig vollzogen ist. Berlin, den 26. October 1922 Nr5361 Der sekretär der Georgischen gesandtschaft – Braun.

2 „კომუნისტი", 1926 წ., 25 ივნისი.

3 რ. დათეშიძის დაბადების წლად 1879 აღნიშნულია ქართულ წყაროებში, თუმცა, მისი საფლავის ქვის წარწერის მიხედვით იგი 1881 წლის 24 ნოემბერს დაბადებულა (იხ. ფოტო N1). საიტის – საიტის https://ancestry.co.uk/ გვერდზე კი მისი დაბადების წლად 1874 წელია მითითებული: https://www.ancestry.co.uk/search/categories/34/?name=_Dateshidze&location=3253&priority=german&record_f=1900-1999

აკადემიის სტუდენტი იყო და საგამოცდოდ კავკასიაში ოსებისა და ფშავ-ხევსურების მიერ ლუდის გამოხდის წესებსა და ტრადიციებზე ნაშრომს ამზადებდა.[4] 1908 წელს საქართველოში დაბრუნებულმა რაჟდენმა,[5] ძმასთან, ბესარიონთან ერთად განაგრძო მამის საქმიანობა. ამავე დროს, საბანკო და საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა: იყო ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი, ქუთაისის „საურთიერთო ბანკის“ დირექტორი, ქართულ-გერმანული სავაჭრო პალატის გამგეობის წევრი, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის კომიტეტის წევრი, თბილისში ამიერკავკასიის ბანკის დირექტორი. მატერიალურად ეხმარებოდა საისტორიო საეთნოგრაფიო საზოგადოებას, თბილისის ოპერის თეატრს, გამოსცემდა ქართველ ავტორთა თხზულებებს, ხელი შეუწყო პირველი ქართული მხატვრული ფილმის „ქრისტინეს“ გადაღებას და სხვა. საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რაჟდენ დათეშიძე გერმანიაში წავიდა და იქ განაგრძო თავისი საქმიანობა. მჭიდროდ თანამშრომლობდა დევნილებაში მყოფ საქართველოს მთავრობასთან და გერმანიაში საქართველოს დიპლომატიურ მისიასთან. გავრცელებული ცნობით, დაიღუპა 1926 წლის 6 ივნისს[6] ავტოკატასტროფაში, ბერლინთან ახლოს.[7] უცნაურია, მაგრამ მისი ნეკროლოგი გაზეთ „კომუნისტშიც“ კი დაიბეჭდა. რაჟდენ დათეშიძეს დარჩა ხუთი შვილი: თამარი, ქეთევანი, მაგდანა, ყარამანი და არჩილი.[8]

რაც შეეხება ნიკოლოზ (ნიკო) ელიავას, იგი იყო ცნობილი სოციალ-დემოკრატი, პროფესიით იურისტი და ჟურნალისტი, ადვოკატი. დაიბადა ქუთაისის მაზრის სოფ. ღანირში 1874 წელს, აზნაურის ოჯახში. დაასრულა მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. რევოლუციური საქმიანობისთვის რამდენჯერმე დაიჭირეს და გაასამართლეს, გადაასახლეს სამჯერ. სოციალ-დემოკრატიული პარტიის კვოტით იყო დემოკრატიული საქართველოს ეროვნული საბჭოსა და დამფუძნებელი კრების წევრი, თბილის-ქალაქის მოურავი და ქალაქთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ასევე, იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი. 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპირების შემდეგ დატოვა სამშობლო და წავიდა ემიგრაციაში. ცხოვრობდა სტამბოლში, შემდეგ გერმანიასა და საფრანგეთში. 1926 წლის 29 სექტემბერს

---

4 გაზ. „ივერია“, 1902 წ., 26 ივლისი.

5 თანამედროვე ქართულ პრესაში აღნიშნულია, თითქოს რაჟდენი საქართველოში დაბრუნებულიყოს მისი მამის, ყარამანის გარდაცვალების შემდეგ, 1909 წელს, რაც არასწორია. ყარამან დათეშიძე მართლაც 1909 წლის ნოემბერში გარდაცვლილა (გაზ. „იმერეთი“, 1912 წ., 20 ნოემბერი), მაგრამ როგორც საარქივო მასალებიდან ჩანს, 1908 წელს რაჟდენი უკვე საქართველოშია, 16 ნოემბერს ის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ქუთაისის განყოფილების დამფუძნებელ სხდომას ესწრება და სარევიზიო კომისიის წევრადაც იქნა არჩეული (იხ. საქართველოს პროსოპოგრაფია https://prosopography.iliauni.edu.ge/persons/8734-razhden-yaramanis-dze-dateshidze, წყარო: ქშწკგ საზოგადოების საარქივო ფონდი).

6 გარდაცვალების თარიღად 1926 წლის 6 ივნისი აღნიშნულია მისი საფლავის ქვაზე. თუმცა, საიტის https://ancestry.co.uk/ გვერდზე მისი გარდაცვალების თარიღად მითითებულია 1936 წელი: https://www.ancestry.co.uk/search/categories/34/?name=_Dateshidze&location=3253&priority=german&record_f=1900-1999

7 მის შესახებ იხ. დავიდოვი, რემ. აღვადგინოთ პატიოსანი სახელები: მზის წვეთი გულში. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1997 წ., 23 თებერვალი.

8 გაზ. „კომუნისტი“, 1926 წ., 25 ივნისი.

დაბრუნდა საქართველოში. მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებაში. იყო დამცველთა (ადვოკატთა) კოლეგიის წევრი. 1937 წლის 15 აპრილს პენსიონერი ნ. ელიავა „კონტრრევოლუციური მენშევიკური ცენტრის“ წევრობის ბრალდებით დააპატიმრეს. 1937 წლის 12 ივლისს სსრკ უზენაესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელმა სესიამ დახვრეტა მიუსაჯა. დახვრიტეს 13 ივლისის ღამეს. დახვრიტეს ასევე მისი ვაჟიც.[9]

ზემოთ ნახსენები ხელწერილი ეხება რაჟდენ დათეშიძისა და ნიკოლოზ ელიავას მიერ ერთობლივად კურორტ ლანგენაუს (გერმ. Bad Langenau) შეძენას. ვაიმარის რესპუბლიკის (Weimarer Republik / Deutsches Reich) დროს, 1919-1933 წლებში, კურორტი ლანგენაუ ტერიტორიულად „პრუსიის თავისუფალი სახელმწიფოს“ (Freistaat Preußen) ქვემო სილეზიის პროვინციის (Provinz Niederschlesien) ბრესლაუს ადმინისტრაციულ ოლქს (Regierungsbezirk Breslau) ეკუთვნოდა. იგივე ვითარება იყო შემდგომში, მესამე რეიხის (1933-1945) დროსაც. 1945 წელს ქვემო სილეზია, ბრესლაუს ოლქითურთ, პოლონეთის რესპუბლიკას გადაეცა, სადაც ვროცლავის სავოევოდოს (Województwo wrocławskie) ტერიტორიული ერთეული შეიქმნა. 1946 წლიდან კურორტს გერმანული Bad Langenau-ს ნაცვლად ოფიციალურად ეწოდა პოლონური სახელი Długopole-Zdrój.[10]

დღეს, მინერალური წყლებით ცნობილი ბალნეოლოგიური კურორტი დუოგოპოლე-ზდრუი (Długopole-Zdrój) პოლონეთის ქვემო სილეზიის სავოევოდოს[11] (Województwo dolnośląskie) კუოძკოს პოვიატის[12] (Powiat kłodzki) ბისტრიცა კუოძკას (Bystrzyca Kłodzka) გმინაში[13] შედის. მისი სიგრძე სულ 1 კილომეტრია, მდებარეობს ზღვის დონიდან 370–400 მეტრზე და 2001 წლის აღწერით იქ 568 ადამიანი ცხოვრობს.

იმ დროს, როდესაც რ. დათეშიძე და ნ. ელიავა ლანგენაუს ყიდვას აპირებდნენ, კურორტს 140-დან 160 მორგენამდე[14] (1869 წელს დაფიქსირებული საზომით – 35-დან 40 ჰექტარამდე) მიწა ეკავა. მასზე განლაგებული იყო აბანოები, ელექტრო სადგური, სასტუმროები, კურზალი (გერმ. Kursaal)[15] და ავეჯითა

---

9 საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი (მთ. რედ. დ. შველიძე) თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018, 134-5; ჯანელიძე ო., დაუშვილი ა., ხოსიტაშვილი მ. თავისუფალი საქართველოს დედაქალაქი თბილისი 1918-1921 წლებში. თბილისი, 2019, გვ. 25; ნიკოლოზ ელიავა http://firstrepublic.ge/ka/biography/117 ; გაბუნია ე. ერთი ქართული ოჯახის ისტორია – ელიავები, ნიკოლოზ (ნიკო) ელიავა https://archive.ge/ka/blog/101 .

10 Zarządzenie Ministrów: Administracji Publicznej i Ziem Odzyskanych z dnia 7 maja 1946 r. (M.P. z 1946 r. nr 44, poz. 85) https://isap.sejm.gov.pl/isap.nsf/DocDetails.xsp?id=WMP19460440085

11 სავოევოდო – უმსხვილესი ადმინისტრაციული ერთეული პოლონეთში.

12 პოვიატი – მეორე დონის თვითმმართველობის ერთეული პოლონეთში.

13 გმინა – სასოფლო ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული პოლონეთში.

14 მორგენი – მიწის საზომი ერთეული შუასაუკუნეების ევროპაში. სახელი მომდინარეობს გერმანული Morgen-იდან (დილა).გავრცელებული იყო გერმანიაში, ჰოლანდიაში (კოლონიებითურთ), პოლონეთში, ლიეტუვაში, ასევე ბალკანეთში, ნორვეგიასა და დანიაში. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყანაში მისი მიმართება ჰექტართან ვარირებდა. 1869 წელს ჩრდილოეთ გერმანიის კონფედერაციამ მორგენი დააფიქსირა და ის უდრიდა 0,25 ჰექტარს, ანუ 2500 მ²-ს.

15 სპეციალური მრავალფუნქციური საზოგადოებრივი შენობა კურორტზე, რომელიც კულტურული და გასართობი ღონისძიებებისათვის არის განკუთვნილი. მასში განთავსებულია კინო და საკონცერტო დარბაზი, ბიბლიოთეკა და სხვა. აქ იმართება გამოფენები, თეატრალური სპექტაკლები, მუსიკალური საღამოები და ა.შ.

და ყოველგვარი საჭირო ინვენტარით უზრუნველყოფილი სხვა შენობა-ნაგებობები. ლანგენაუს მთელი ქონება დაწვრილებით ყოფილა აღწერილი მისი იმდროინდელი მფლობელის, ბანკის დირექტორ ბ-ნ შულცე-ერფურტის[16] მიერ ბ-ნ შორისგან[17] კურორტის ყიდვის აქტში, რომელიც ბერლინელ ნოტარიუსს, დოქტორ სკორჩევსკის[18] 1922 წლის 27 აგვისტოს დაუმოწმებია.

დოკუმენტის თანახმად, კურორტის შეძენის ყველა პროცედურული აქტის დასრულებაზე უფლებამოსილი იყო რ. დათეშიძე. ამასთან, იგი იღებდა ვალდებულებას, შეეძინა ნ. ელიავას კუთვნილი წილი შემდეგი პირობებით:

1. ელიავას წილი შენაძენის ფასი არ უნდა აღემატებოდეს 8 მილიონ გერმანულ ქაღალდის მარკას;

2. ელიავას წილის გადასახდელ 8 მილიონ გერმანულ ქაღალდის მარკის გადახდის ვალდებულებას იღებდა დათეშიძე, ხოლო ელიავას ეს თანხა უნდა აენაზღაურებინა ყველა ფორმალური პროცედურის დასრულების შემდეგ;

3. დათეშიძე ვალდებული იყო, კურორტზე ფაქტობრივი შესვლიდან ორ კვირაში, ბანკის დირექტორ ბ-ნ შულცე-ერფურტის მეშვეობით, ჩამოეყალიბებინა სააქციო საზოგადოება კურორტის სამართავად. სააქციო საზოგადოებას გადაეცემოდა მთელი შეძენილი ქონება, გარდა სახლისა, რომელშიც იმ დროს განთავსებული იყო საფოსტო კანტორა და მისი მიმდებარე 4 მორგენი (1 ჰექტარი) მიწა, რადგან მას დათეშიძე იტოვებდა, როგორც თავის პირად საკუთრებას. სააქციო საზოგადოების კაპიტალის ოდენობა და აქციების რაოდენობა დათეშიძისა და ელიავას ურთიერთშეთანხმებით განისაზღვრებოდა დამატებით;

4. ელიავას მიერ გამოყოფილი თანხიდან კურორტის შეძენისა და დამაგრებისთვის გაწეული ხარჯების ოდენობად განისაზღვრა 400 000 გერმანული ქაღალდის მარკა. თუ ამ საქმისთვის საჭირო გახდებოდა დამატებითი თანხები, მას დათეშიძე თავის თავზე იღებდა. სააქციო საზოგადოების შესაქმნელი ხარჯები თანაბრად უნდა გაეღოთ დათეშიძესა და ელიავას და ის ამ 400 ათასში არ შედიოდა;

5. ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას დათეშიძე თავისი და ელიავას სახელით ხელს მოაწერდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც შულცე-ერფურტი, როგორც გამყიდველი, „ბერლინერ ბანკ“-იდან[19] წარმოადგენდა თავდებობასა და გარანტიებს, რომ მისი მხრიდან ყველა ვალდებულება ზუსტად შესრულდებოდა. პირობების დარღვევის შემთხვევაში კი, ბანკს უნდა გადაეხადა დათეშიძისა და ელიავასთვის პირგასამტეხლო 32 000 000 გერმანული მარკის ოდენობით;

6. დათეშიძის მიერ ზემოთ ნახსნები პირობების დარღვევის, ან უფლებამოსილების გადამეტების შემთხვევაში, იგი იღებდა ვალდებულებას პასუხი ეგო ქვეყნის (გერმანიის) კანონმდებლობით და ელიავასთვის ყველა მიყენებული ზარალი დაუყოვნებლივ აენაზღაურებინა.

---

16 დედანში ბანკის დირექტორის (Банк-директор) სახელი ხუთჯერ იხსენიება სამნაირი ფორმით: Шульце-Эрфурт, Шульце-Эруфурт, Шульце-Эрфорт. სავარაუდოდ, გერმ. ფორმა იქნებოდა Schulze-Erfurt.

17 დედანში: Шор. გერმ. Schor (ან Schorr?)

18 დედანში: Скорчевский.

19 დედანში: Берлинеръ Банк. გერმ. Berliner bank.

არქივში დაცული მეორე, 22 გვერდიანი ხელნაწერი დოკუმენტი წარმოადგენს ანგარიშს, რომელიც შედგენილია 1923 წლის 11 თებერვალს. მისი ავტორია რუსი ექიმი ნიკოლაი ნიკოლაევიჩ ტუგარინოვი (Тугаринов Николай Николаевич). იგი დაიბადა 1876 წლის 9 თებერვალს მოსკოვის გუბერნიაში, საშუალო განათლება მიიღო მოსკოვის რეალურ სასწავლებელში. 1901 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტი, რის შემდეგაც სწავლა განაგრძო ვენაში, ბერლინსა და პარიზში. 1902-1904 წლებში ის ესენტუკის ერთ-ერთი სანატორიუმის დირექტორი იყო. 1906 წელს დააარსა სანატორიუმი „აზაუ“ (Азау) ესენტუკიში, ხოლო 1907 წელს – ფიზიოთერაპევტიული ინსტიტუტი კისლოვოდსკში, იმავე სახელწოდებით. უკვე 1913 წელს, მისი თანამედროვენი ტუგარინოვს აფასებენ, როგორც ერთ-ერთ გამორჩეულ ექიმს და საზოგადო მოღვაწეს, კავკასიის მინერალური წყლების (Кавказские Минеральные Воды) საკურორტო რეგიონში, რომელმაც ბევრი გააკეთა საკურორტო საქმის განვითარებისათვის.[20] მოგვიანებით ნ. ტუგარინოვი ემიგრაციაში წავიდა და ნიცაში გააგრძელა თავისი კერძო საექიმო პრაქტიკა. ცნობილია, რომ ტუგარინოვს მიმოწერა ჰქონდა ანტონ ჩეხოვთან, ჯერ კიდევ სტუდენტობის დროიდან.[21] გარდაიცვალა 1937 წლის 14 ივნისს, ნიცაში.

ნ. ტუგარინოვს თავისი ანგარიში ბად ლანგენაუზე დაუწერია ვინმე გ. პ. ვანეცოვის[22] დაკვეთით. ეს უნდა იყოს რუსეთიდან ემიგრირებული გრიგორი პეტრეს ძე ვანეცოვი (Григорий Петрович Ванецов), ნავთობმწარმოებელი კომპანია Grivan Trading Co Ltd-ს დამფუძნებელი და გამგეობის თავმჯდომარე, კომპანიების – „Терская нефть“, „Сура ханы“ და „Рыбак“ გამგეობის თავმჯდომარე. გარდაიცვალა 1928 წლის 31 ოქტომბერს ჰამბურგში. დაკრძალულია ბერლინში, ტეგელის რუსულ სასაფლაოზე (Russischer Friedhof Berlin-Tegel).[23]

ტუგარინოვის მიერ შედგენილი ხელნაწერი დოკუმენტი დაყოფილია თავებად, სადაც აღწერილია ბად ლანგენაუს ადგილმდებარეობა და კლიმატი, საკომუნიკაციო გზები, მოსახლეობა და საბინაო საკითხები, სამკურნალო საშუალებები, წყაროები. შემდეგ დაწვრილებით არის განხილული მიწის ნაკვეთი და მასზე მდგარი შენობები, წყალმომარაგება, კანალიზაცია, ინვენტარი, დამსვენებელთა რაოდენობა 1920-1922 წლების განმავლობაში (ეროვნებების დაზუსტებით), ქონების დაახლოებითი ღირებულება 1923 წლისთვის, შემოსავალ-გასავალი ხარჯების პროექტი, წინადადებები კურორტის რენტაბელობის გაზრდისთვის და სხვა. ანგარიშს დართული აქვს ბად ლანგენაუს ხელით შედგენილი

---

20 Юбилейное историческое и художественное издание в память 300-летия царствования державного Дома Романовых. Изд. М. С. Гугеля, тип. В. М. Саблина. 1913 http://elib.shpl.ru/ru/nodes/44831-tugarinov-nikolay-nikolaevich-erlanger-vladimir-maksimovich-postnikov-petr-ivanovich

21 Богданова О. В. Публицистический и художественный дискурс А. Чехова в восприятии личности и творчества. Н. Некрасова. XLI Международная научно-практическая конференция, посвященная 100-летию со дня основания Дома-музея А.П. Чехова в Ялте: сборник научных трудов. Ялта, 2022, 39; Zvinjackovskij V. Ja. К полемической функции образов Треплева и Тригорина в Чайке А. П. Чехова. Revue des Études Slaves Année 1991 63-3, p. 601, n. 2.

22 დედანშია: Г. П. Ванецов.

23 Незабытые могилы. Российское зарубежье: некрологи 1917-1997 (Состав. В. Н. Чуваков). Том 1. А-В. Москва, 1999, 489.

რუკა (იხ. ფოტო N2) და ფოტო კურორტის ხედით (იხ. ფოტო N3). დოკუმენტს ხელს აწერს ნ. ტუგარინოვი, როგორც „კავკასიის მინერალური წყლების სამმართველოს“ ყოფილი მთავარი ექიმი (Бывший Главный Врач Управления Кавказских Минеральных Вод).

ჩვენს ხელთ არსებული ამ ორი დუკუმენტიდან გამომდინარე, რა კავშირია, ერთი მხრივ, დათეშიძე-ელიავასა და, მეორე მხრივ, ვანეცოვსა და ტუგარინოვს შორის, ნათელი არ არის. არც ის ჩანს, მოახერხეს თუ არა დათეშიძემ და ელიავამ კურორტ ლანგენაუს შეძენა. იქიდან გამომდინარე, რომ დათეშიძის ხელწერილი ელიავას მიმართ შედგენილია 1922 წლის 26 ოქტომბერს, ხოლო ვანეცოვის დაკვეთით შესრულებული ტუგარინოვის ანგარიში – სულ რაღაც სამ თვეში, 1923 წლის 11 თებერვალს, უფრო სავარაუდოა, რომ ქართველმა ემიგრანტებმა, რაღაც მიზეზის გამო, კურორტი ვერ თუ არ შეიძინეს. ასევე, ვვარაუდობ, რომ გარიგების ჩავარდნის შემდეგ, რაჟდენ დათეშიძემ, როგორც შუამავალმა, მისი ყიდვა შესთავაზა გრიგორი ვანეცოვს, რომელმაც, თავის მხრივ, საექსპერტო ანგარიში ნ. ტუგარინოვს დაუკვეთა. ვფიქრობ, სხვანაირად, ტუგარინოვის ანგარიში ბერლინში საქართველოს ლეგაციის არქივში ვერ მოხვდებოდა.

თუმცა არსებობს რიგი საინტერესო ფაქტებისა, რომელიც ირიბ წარმოდგენას გვიქმნის იმაზე, თუ რა შეიძლებოდა ყოფილიყო დათეშიძე-ელიავასა და შულცე-ერფურტს შორის გარიგების განუხორციელებლობის მიზეზი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდშივე ინახება დოკუმენტები, რომლებიც 20-იან წლებში ნიკო ელიავას ბიზნეს საქმიანობაზე და ქვეყნიდან ქვეყანაში მის გადაადგილებაზე გვიქმნის გარკვეულ წარმოდგენას.

დოკუმენტების ერთ ჯგუფში საუბარია (ფონდი: 1864, ანაწერი: 2, საქმე: 595) საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, ბათუმიდან სტამბოლში გამოტანილი საქართველოს რესპუბლიკის ქალაქთა კავშირის (რომლის პრეზიდიუმის თავმჯდომარეც ნიკოლოზ ელიავა გახლდათ) კუთვნილი საქონლის რეალიზაციაზე. ამ დიდძალი და მრავალფეროვანი ქონების გადმოზიდვა ორი გემით – „ფრანც ფერდინანდ“-ით და „ოლენ“-ით მოხდა. აქ იყო, როგორც ტექსტილი, ასევე მამაკაცის და ქალის ტანსაცმელი და აქსესუარები, ლოგინის თეთრეული, საკანცელარიო საქონელი, სხვადასხვა დანიშნულების ქაღალდი, საწერი მანქანები, საყოფაცხოვრებო და სამედიცინო დანიშნულების ნივთები, ათეულობით დასახელების მედიკამენტი, საკვები პროდუქტები და სხვა. თუმცა, ტვირთის დათვალიერების შედეგად აღმოჩნდა, რომ ყუთების საერთო რაოდენობიდან 60 პროცენტი დაზიანებული იყო, ხოლო ნაწილი საქონლისა – გამქრალი. 1921 წლის 25 აპრილს ნიკოლოზ ელიავამ და მელიტონ რუსიამ, რომელიც ქალაქთა კავშირის პრეზიდიუმში მისი მოადგილის (ამხანაგის) თანამდებობა ეკავა, ხელშეკრულება დადეს იმ დროს სტამბოლში მოღვაწე ცნობილ მეწარმესთან, აკაკი ხოშტარიასთან,[24] რომლის თანახმადაც ეს უკანასკნელი ვალდებულებას

24 მის შესახებ: მიქელაძე ლ. აკაკი ხოშტარია. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტ., ეთნ. და ხელ. ისტორიის სერია) N4. თბილისი, 1992, 169-176; ქარჩავა ლ. გამოჩენილ ბიზნესმენთა სამეწარმეო ცხოვრებიდან. ბიზნესის გარშემო, ტ. 1. თბილისი, 2006; ქართველები უცხოეთში, წიგ. 1 (დაუშვილი რ., კალანდაძე გ., კობახიძე რ., ჯაფარიძე გ., ტარტარაშვილი თ.). თბილისი, 2012, 217-218; ო. ჯანელიძე, ზუბალაშვილები, დავით სარაჯიშვილი, აკაკი ხოშტარია, მიტროფანე ლაღიძე და სხვანი, თბ., 2020, გვ. 257-324.

იღებდა მილერის სატრანზიტო საწყობში მოთავსებული ქალაქთა კავშირის კუთვნილი საქონელი, მისი სრულად აღწერისა და შეფასების შემდეგ, კონსტანტინოპოლის სატრანზიტო-საბითუმო ბაზრის ფასებით შეესყიდა. ელიავასა და რუსიას მიერ ხოშტარიასთვის მიყიდული საქონლის სიას ბოლოში სხვა ხელით მიწერილი შენიშვნა ერთვის: „ამ სიით მთელი საქონელი შეფასებულია თოთხმეტი ათას რვა ას ორმოცდა ცხრა თურქული ქაღალდის ლირათ და ორმოცდა თუთხმეტ პიასტრათ“. შენიშვნას ერთვის ხელშეკრულებაში მონაწილე სამივე პირის ხელმოწერა. 25 აპრილს დადებული ხელშეკრულებით, ა. ხოშტარია ვალდებული იყო შესყიდული საქონლის ფასის ნახევარი ელიავასთვის და რუსიასთვის გადაეხადა 1921 წლის 10 ივლისამდე, ხოლო დანარჩენი მეორე ნახევარი – 1921 წლის 1 სქტემბრამდე. თუმცა, იმავე დღით დათარიღებულ ხელშეკრულების დამატებით ა. ხოშტარია ასევე ვალდებულებას იღებდა, რომ მის მიერ შეძენილი საქონლის რეალიზაციიდან მიღებული მოგების (ხარჯების გამოკლებით) 40 პროცენტს გადაუხდიდა ნ. ელიავასა და მ. რუსიას, თბილისში, ან კონსტანტინოპოლში, მოგების მიღებიდან არაუმეტეს ერთი თვისა. თუ როგორ დასრულდა ელიავასთვის და რუსიასთვის (თუ ქალაქთა კავშირისთვის) ეს მეტად სარფიანი გარიგება, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვიცით, ამასთან დაკავშირებით საქმეში სხვა დოკუმენტები არ არის, მაგრამ იქიდან გამომდინარე, რომ ა. ხოშტარიასა და ნ. ელიავას შორის საქმიანი ურთიერთობა შემდგომ თვეებშიც გრძელდებოდა, უნდა ვივარაუდოთ, რომ მათ ამ საქმიდან გარკვეული მოგება მართლაც მიიღეს.

ამავე საქმეში არის კიდევ ერთი რუსულად შედგენილი დოკუმენტი, ისიც 1921 წლის 25 აპრილს დადებული ხელშეკრულება, ამჯერად უკვე აკაკი მეთოდეს ძე ხოშტარიასა და მეორე მხრივ კონსტანტინე ამბაკოს ძე (Аввакумович) სულაქველიძესა[25] (ქუთაისის ერობის თავმჯდომარე) და ნიკოლოზ ზურაბის ძე ელიავას შორის. ამ დოკუმენტიდან ირკვევა, რომ კონსტანტინოპოლში, სატრანსპორტო საზოგადოება „ტრიესტინოს“ საწყობში ინახებოდა, როგორც ჩანს, საქართველოს ქალაქთა კავშირის კუთვნილი საპნის სახარში ქარხნის მოწყობილობა და ნედლეული. სავარაუდოდ, ესეც ოკუპაციისას ბათუმიდან გემით გამოტანილი ქონების ნაწილი იყო. ხელშეკრულების თანახმად, სულაქველიძე და ელიავა ხოშტარიას გადასცემდნენ მთელ ტექნიკას და ნედლეულს, კონსტანტინოპოლში საპნის სახარში ქარხნის მოწყობის მიზნით, იქაური სატრანზიტო-საბითუმო ბაზრის ფასად. აკ. ხოშტარიას „ტრიესტინოსთვის“ უნდა გაესტუმრებინა ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები, ასევე, ყველა აუცილებელი გადასახადი და მოსაკრებელი. ამასთან, მასვე უნდა გამოეყო ქარხნის ასამუშავებლად საჭირო ფართი და გაეღო მისი ექსპლუატაციისთვის ყველა სხვა

25 კონსტანტინე (კონია) სულაქველიძე – სოციალ-დემოკრატი, 1918 წლიდან ქუთაისის ერობის თავმჯდომარე. ბოლშევიკური ოკუპაციის შემდეგ წავიდა ემიგრაციაში. საქართველოში სპეციალური დავალებით არალეგარულად დაბრუნდა 1925 წლის 15 მარტს. 7 ივნისს ჩეკამ ბათუმში დააპატიმრა. პატიმრობის დროს იგი იძულებული გახადეს საჯაროდ დაეგმო თავისი პოლიტიკური შეხედულებები, რის გამოც აღარ დახვრიტეს და შემდეგ, როგორც წარმატებული მათემატიკოსი, სიცოცხლის ბოლოდე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. იხ. ხვადაგიანი დ. ვალოდია სულაქველიძე დამნაშავეობის მტერი N1. ისტორიანი: ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნალი, N5 (89), მაისი 2018, 39-44; „ახალი საქართველო“ N12, პარიზი: 5 ოქტომბერი 1925.

აუცილებელი ხარჯი. ქარხნის მოწყობილობისა და ნედლეულის ღირებულების განსაზღვრისა და ხოშტარიას მიერ ქარხნის ექსპლუატაციისთვის გაღებული თანხის დადგენის შემდეგ, სხვაობას ხოშტარია გადაურიცხავდა სულაქველიძესა და ელიავას რომელიმე „სოლიდური ევროპული ბანკის“ კონსტანტინოპოლის ფილიალის ანგარიშზე. ქარხნის ექსპლუატაციიდან ერთი წლის შემდეგ, სულაქველიძესა და ელიავას შეეძლეოთ ან საერთოდ გაეწყვიტათ ხოშტარიასთან ამ საქმეში ურთიერთობა, ან მოეთხოვათ წარმოება საქართველოში გადატანილიყო, მასთან პარტნიორობის გაგრძელების პირობით (მაშინ ჯერ კიდევ იყო იმედი, რომ მთავრობა დევნილებიდან საქართველოში მალე დაბრუნდებოდა). წარმოებიდან მიღებული მოგება თანაბრად გაიყოფოდა ერთი მხრივ ხოშტარიასა და მეორე მხრივ – სულაქველიძე-ელიავას შორის. ყველა შესაძლო სადაო საკითხი, უნდა გარჩეულიყო თბილისის ან კონსტანტინოპოლის სასამართლო უწყებებში, ამასთან, კონსტანტინოპოლში ეს უნდა ყოფილიყო „საქართველოს საკონსულო სასამართლო“ (Грузинский Консульский Суд). ხელშეკრულება ქართულ ენაზე ნოტარიულად დამოწმებულია 27 აპრილს, კონსტანტინოპოლში საქართველოს რესპუბლიკის გენერალური კონსულის, იოსებ გოგოლაშვილის მიერ, კონსტანტინოპოლში საქართველოს რესპუბლიკის მისიის ბეჭდითა და ქართული „საღერბო მარკით“. სამწუხაროდ, არც ამ წარმოების შესახებ გვაქვს საგარეო საქმეთა სამინისტროს ფონდში სხვა, დამატებითი მასალები, რომ გაგვერკვია, მოხერხდა თუ არა ქარხნის ამუშავება.

ამავე ფონდის კიდევ ერთ საქმეში (ფონდი: 1864, ანაწერი: 2, საქმე: 602), რომელიც კონსტატინოპოლში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის მიმდინარე ანგარიშების წიგნს შეიცავს, აღნიშნულია, ქალაქთა კავშირის კიდევ ერთ საქმიანობაზე. კერძოდ, დოკუმენტიდან ჩანს, რომ ამ ორგანიზაციას, სავარაუდოდ, ისევ ბათუმიდან, გემით ჩამოუტანია და კონსტანტინოპოლში გაუყიდია 23 კასრი („ბოჭკა“) ხიზილალა, სულ 1200 ოყა (1 ოყა = 1,28 კგ-ს). ერთი ოყა ხიზილალის ფასი 10 თურქული ლირა ყოფილა, შესაბამისად, საქართველოს დიპლომატიური უწყების ანგარიშზე 12000 თურქული ლირა შესულა. სხვადასხვა შეწირულობიდან, საქონლის რეალიზაციიდან და სხვა ფინანსური ოპერაციებიდან შემოსული თანხები ლტოლვილთა დახმარების კომიტეტის საქმიანობას (ლტოლვილთა ევაკუაცია და შენახვა), დევნილი მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა ჯამაგირებს, საკანცელარიო ხარჯებს, კონსტანტინოპოლში დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულოს, პოლიტიკური კომისიის შენახვას და სხვა აუცილებელ საჭიროებებს ხმარდებოდა.

დოკუმენტების კიდევ ერთ ჯგუფში საუბარია საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების სახელით მისი გამგეობის ხელმძღვანელის, აკაკი მეთოდის ძე ხოშტარიას მიერ საქართველოს ქალაქთა კავშირის პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნიკოლოზ ზურაბის ძე ელიავასთვის და თავმჯდომარის ამხანაგის (ანუ, მოადგილე) მელიტონ ივანეს ძე რუსიასათვის[26] საქართველოს სატრანსპორტო საზოგადოების კუთვნილი გემის – „იმედის“ სამი წლით იჯარით გა-

26 მის შესახებ იხ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი (მთ. რედ. დ. შველიძე) თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018, 336.

დაცემის შესახებ.[27] საიჯარო ხელშეკრულებას ხელი მოეწერა ამ სამი პირის მიერ კონსტანტინოპოლში, 1922 წლის 15 მაისს. მეორე ხელშეკრულება მათ შორის დაიდო კონსტანტინოპოლშივე, 1922 წლის 20 ივლისს, რომლის თანახმადაც, აკ. ხოშტარია იძენდა 15 მაისის ხელშეკრულებით ქალაქთა კავშირის მიერ მოპოვებულ ყველა უფლება-მოვალეობის 50 პროცენტს. მესამე, ხელნაწერი დოკუმენტიდან, რომელიც დაწერილია ქალაქთა კავშირის პრეზიდიუმის სახელით,[28] ჩანს, რომ გემის რემონტი დასრულდა, ის სამი თვით გადაეცა კაპიტან ზადოროჟნის იჯარით, ხოლო ქალაქთა კავშირის პრეზიდიუმის წევრებმა 1922 წლის ოქტომბერში დატოვეს კონსტანტინოპოლი. სავარაუდოდ, იქიდან ელიავა ჩავიდა გერმანიაში, სადაც მასსა და რ. დათეშიძეს შორის შედგა მოლაპარაკება ბად ლანგენაუს შესყიდვის შესახებ, როგორც ჩანს, გემიდან შემოსავლის მიღების იმედით. თუმცა, როგორც იმავე საქმეში შენახული სოც.-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოლარის, ვასილ წულაძის[29] მთავრობის სახელზე გაგზავნილი ვრცელი ხელნაწერი ანგარიშიდან (დაწერილია 1924 წლის 2 აგვისტოს) ირკვევა, არასათანადო მართვა-ადმინისტრირების გამო, უკვე 1922 წლის დეკემბრიდან გემი „იმედი“ ვალებში ჩავარდა და მხოლოდ ზარალი მოჰქონდა. საბოლოოდ, წარმოშობილი ვალების დასაფარად, სტამბოლში საქართველოს მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენლობისა და ქალაქთა კავშირის პრეზიდიუმის რწმუნებულის, ივანე (ვანო) ჭავჭანიძის[30] გადაწყვეტილებით, გემი 8 000 თურქულ ლირად გაიყიდა. წერილში მოყვანილი ფაქტების სისწორეს ხელმოწერით ადასტურებენ სიმონ მდივანი (დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის მოადგილე) და დავით (დათიკო) შარაშიძე (დამფუძნებელი კრების წევრი).[31] იგივეს ადასტურებს 1924 წლის 3 აგვისტოთი დათარიღებულ ცალკე წერილით (ხელნაწერი) საქართველოს მთავრობის რწმუნებული კონსტანტინოპოლში, კონსტანტინე გვარჯალაძეც. ნ. ელიავას და მ. რუსიას მთავრობისადმი მიწერილ საპასუხო ორ წერილში (ორივე დათარიღებულია 1924 წლის 22 აგვისტოთი) ისინი აცხადებდნენ, რომ გემი „იმედი“ გაიყიდა მათი, როგორც ქალაქთა კავშირის პრეზიდიუმის წარმომადგენლების წინასწარი ინფორმირების და შეთანხმების გარეშე და ითხოვდნენ მის გაყიდვაზე პასუხისმგებლობის მოხსნას.[32]

---

27 საქართველოს ეროვნული არქივი საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმე 705.

28 დოკუმენტს არ აქვს ხელმოწერა და არც ადრესატი უჩანს, მაგრამ, სავარაუდოდ, დევნილებაში მყოფი მთავრობისთვის იყო განკუთვნილი.

29 მის შესახებ იხ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი (მთ. რედ. დ. შველიძე) თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018, 522.

30 მის შესახებ იხ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი (მთ. რედ. დ. შველიძე) თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018, 526.

31 მის შესახებ იხ.: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921) ენციკლოპედია-ლექსიკონი (მთ. რედ. დ. შველიძე) თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2018, 478-79.

32 გემი „იმედის“ პრობლემის შესახებ ივანე ჭავჭანიძის ორი წერილი, ერთი უთარიღო, ნაკლული და ერთიც 1923 წლის 25 მაისის, დაცულია ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს იმავე ფონდში: ფონდი: 1864, ანაწ: 2, საქმე: 706.

შემდეგი საქმის ორი საარქივო დოკუმენტი ასევე დაკავშირებულია სტამბოლში, იმავე პერიოდში, ნ. ელიავას კიდევ ერთ მცდელობასთან, წამოეწყო კომერციული საქმიანობა.[33] პირველი დოკუმენტი არის 1922 წლის 11 აგვისტოთი დათარიღებული ხელშეკრულება (მანქანაზე ნაბეჭდი ქართულად), რომელიც სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე სააქციო საზოგადოების დაარსებას ითვალისწინებდა. ერთი მხრივ იყვნენ საქართველოს მოქალაქენი – აკაკი ხოშტარია, ალექსანდრე ჯაყელი,[34] ნიკო ელიავა და მელიტონ რუსია, ხოლო, მეორე მხრივ – კონსტანტინე ალექსანდრეს ძე ერმანსი.[35] საზოგადოების მიზანი იყო სააფთიაქო საქონლით ვაჭრობის საქმის მოწესრიგება უმთავრესად საქართველოში და შემდეგ საქმიანობის გავრცელება მთელ „ამიერკავკასიაში“, სამხრეთ რუსეთში, სპარსეთსა და ოსმალეთში. მეორე დოკუმენტი (მანქანაზე ნაბეჭდი), შესრულებულია რუსულ ენაზე და თარიღდება 1922 წლის 15 აგვისტოთი. ის შედგენილია ზემოთნახსენები ხელშეკრულების ქართული მხარის მიერ კონსტანტინე ერმანსის სახელზე, სადაც ნათქვამია, რომ სააქციო საზოგადოების წევრები თანახმა არიან, რომ მათ მიერ შექმნილი კომპანიის – „К. А. Эрманс и Ко“ მმართველ დირექტორად დაინიშნოს კ. ერმანსი. დოკუმენტის შემდგომ ნაწილში საუბარია მხარეების ფინანსურ ვალდებულებებზე ერთმანეთის მიმართ.

ამ დოკუმენტების გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ნიკოლოზ ელიავა ცდილობდა კონსტანტინოპოლში შეექმნა საწყისი ფინანსური ბაზა, რომელიც მას, შემდგომში, ევროპაში ბიზნესის გაფართოების საშუალებას მისცემდა. სწრაფი სავაჭრო (ხიზილალის და „ფრანც ფერდინანდ“-ით და „ოლენ“-ით გამოტანილი სხვადასხვა საქონლის რეალიზაცია) ოპერაციებიდან მიღებული თანხის ნაწილს ნ. ელიავა ოკუპაციის შემდეგ უსახსროდ დარჩენილი, გერმანიაში სასწავლებლად წასული მთავრობის სტიპენდიანტი სტუდენტების დაფინანსებას ახმარდა და მათთვის შემოწირულობათა შეგროვებას

---

33 საქართველოს ეროვნული არქივი საისტორიო ცენტრალური არქივი, ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმე 706.

34 ალექსანდრე ჯაყელი, ქართველი კომერსანტი. მანგანუმის მრეწველი და ექსპორტიორი.

35 Эрманс Константин Александрович – ცნობილი მეწარმე, ფარმაცევტი. ა. ჩეხოვის და ფ. შალიაპინის მეგობარი. დაიბადა 1868 წლის 21 სექტემბერს ვილნოში (ვილნიუსი). 1886 წელს დაამთავრა მოსკოვის უნივერსიტეტი. 1888-1890 წლებში იყო აფთიაქის მმართველი პოდმოსკოვიეში. მოსკოვში ჩამოაყალიბა სააქციო საზოგადოება „К. Эрманс и Ко“, რომელიც აწარმოებდა პარფიუმერიას და ქიმიურ-ფარმაცევტულ პროდუქტებს და ეწეოდა მათ ექსპორტს. მისი მეუღლე, ვარვარა სტრახოვა (Варвара Ивановна Страхова), ოპერის მომღერალი, დაიბადა თბილისში, 1873 წლის 28 დეკემბერს. 1891 წელს თბილისშივე დაიწყო თავისი საოპერო კარიერა. 1917 წლის შემდეგ ერმანსი მეუღლესთან ერთად ემიგრაციაში წავიდა. 1921 წელს კ. ერმანსი კონსტანტინოპოლში რუსი ექიმების საზოგადოების წევრი იყო. იქიდან ოჯახი ჯერ გერმანიაში, ხოლო შემდეგ საფრანგეთში გადასახლდა. კ. ერმანსი გარდაიცვალა საფრანგეთში 1957 წლის 20 დეკემბერს (Александров А. Т. Москва и москвичи. Часть II. Москвичи. Том Э https://proza.ru/2023/01/19/906; Волков С. В., База данных №2: „Участники Белого движения в России“, 2016 http://swolkov.org/2_baza_beloe_dvizhenie/pdf/Uchastniki_Belogo_dvizhenia_v_Rossii_26-EE.pdf; Провизор Константин Эрманс – У истоков российской парфюмерии https://pharmvestnik.ru/articles/provizor-konstantin-ermans.html; Воспоминания о С. В. Рахманинове. В 2 т. / Сост., ред., коммент. и предисл. З. Апетян. Москва, 1974. Т. 2, 21-5, 174; Гозенпуд А. А. Русский оперный театр на рубеже XIX—XX веков и Ф. И. Шаляпин: 1890-1904. Ленинград, 1974, 164-65)

უდგა სათავეში (ფონდი 1864, ანაწ. 2, საქმ. 579). ამ საკითხზე მას და კონსტანტინოპოლში საქართველოს საკონსულოს მიმოწერა ჰქონდა გერმანიაში საქართველოს მთავრობის დიპლომატიურ წარმომადგენელთან, ვლადიმერ ახმეტელთან.

1922 წლის 1 მაისით დათარიღებულ ერთ წერილში სტამბოლში საქართველოს კონსული, იოსებ გოგოლაშვილი ბერლინში ვლ. ახმეტელს ატყობინებდა:

„ამით მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ერთი წლით უზრუნველყოფილი არიან სტუდენტები: 1. რამიშვილი ბიძინა, 2. მიხელიძე სოფრომ, 3. ხუნდაძისა ფაცი, 4. იოსელიანი ჯვებე, 5. გაბილაია ნესტორ, 6. ჩხენკელი კიტა, 7. ფირცხალაიშვილი ნიკო, 8. ხუნდაძე მიხეილ, 9. ნოზაძე ბიქტორ, 10. პაპასკირი ლიდია, აგრეთვე უზრუნველყოფილია ნახევარი წლით სტუდენტი წულაძე არსენ.

მათ ფული ეგზავნებათ კონსტანტინეპოლიდან ნ. ელიავას სახელით ბერლინში ჩვენი წარმომადგენლობის მისამართით. გთხოვთ აცნობოთ ეს დაინტერესებულ სტუდენტებს“.

იმავე წლის 11 ივნისს გოგოლაშვილი წერდა ახმეტელს, რომ შვეიცარიის საელჩოს მეშვეობით მას გაუგზავნა 36 000 მარკა და 800 მარკის ჩეკი სტუდენტებისთვის. 29 ივნისით დათარიღებულ წერილში კი უკვე თავად ნ. ელიავა ვლ. ახმეტელს აცნობებდა, რომ კონსტანტინეპოლში მყოფმა ქართველებმა იკისრეს 31 სტუდენტის შენახვა ერთი წლით. წერილზე თანდართულ სტუდენტთა და შემომწირველთა სიიდან ჩანს, რომ ქალაქთა კავშირი 130-130 თურქული ლირით აფინანსებდა ორ სტუდენტს, ბიძინა რამიშვილსა და სოფრომ ხუნდაძეს. დანარჩენი სტუდენტების დაფინანსება გადაინაწილეს კერძო შემომწირველებმა, რომელთა შორის იყვნენ ცნობილი მეწარმეები – ალექსანდრე ჯაყელი, აკაკი ხოშტარია, დავით ბერკოვიჩი და ივანე ვარაზაშვილი.

1922 წლის 1 აგვისტოს ნიკო ელიავა ვლადიმერ ახმეტელს 27 სტუდენტისთვის 81 000 მარკის ჩეკს უგზავნიდა და წერდა, რომ ახალ შემომწირველებს ველარ იშოვიდა და უახლოეს დღეებში გერმანიაში გამგზავრებას აპირებდა:

„ახალ შემომწირველებს კი ველარ ვიშოვნით და დარჩენილი ათი კაცისათვის აქ მეტის გაკეთება აღარ შეიძლება. თვით სტიპენდიის გადიდებაზე ლაპარაკი მეტია. ახლა რომ სამ-სამ ათას ვუგზავნი თითოს, ეს მარკის კურსის დაცემამ შეგვაძლებინა. მომავალში ყოველ სტიპენდიანტს ექნება თვიურად ათითერთმეტი ლირა. რას მიიღებს მარკებით ეს კურსის საქმე იქნება. პირადად მე ვფიქრობ, რომ მარკების ყიდვა აქ უფრო ხელსაყრელი იქნება. მაგრამ ამას გარდა სხვა კითხვებზედაც პირადა[დ] მოგელაპარაკები, რადგან ამ დღეებში ვფიქრო[ბ] მაქეთ გამომგზავრებას“.

როგორც ჩანს, ნ. ელიავა გემი „იმედის“ მუშაობაზე დიდ იმედებს ამყარებდა და იქიდან საკმაო შემოსავალს ელოდა. იგივე შეიძლება ითქვას საპნის სახარში ქარხნის პროექტზე და სააფთიაქო სააქციო საზოგადოებაზეც, რომლის მართვაც გამოცდილ ფარმაცევტ-მეწარმეს ჩააბარეს. მას შემდეგ, რაც 1922 წლის მაის-აგვისტოში ნ. ელიავამ კონსტანტინოპოლში ეს საქმეები მოთავებულად მიიჩნია, ოქტომბერში გერმანიაში გაემგზავრა, სადაც უკვე რ. დათეშიძესთან ერთად ბად ლანგენაუს კურორტის შესყიდვაზე დაიწყო ზრუნვა. ელიავა კურორტის შესაძენად გათვალისწინებულ თანხის, 8 მლნ. გერმანულ მარკის შევსებას, სავარაუდოდ, სწორედ კონსტანტინოპოლში საფუძველჩაყრილი საქმეებიდან გეგმავდა. სამწუხაროდ, გემი „იმედის“ საქმე, როგორც ზემოთ ვნა-


ხეთ, არასახარბიელოდ წარიმართა და მხოლოდ ზარალი მოიტანა. უნდა ვივარაუდოთ, რომ სააფთიაქო სააქციო საზოგადოების საქმეც ვერ აეწყო, რადგან ერმანსი 1923 წელს უკვე პარიზშია და მას, გაკოტრებულს და არაფრის მქონეს, თავისი ახლო მეგობრის, ფიოდორ შალიაპინის სახლში მოუწია ცხოვრება მთელი 4 წლის განმავლობაში. რა ბედი ეწია საპნის სახარში ქარხნის პროექტს, როგორც ზემოთ ითქვა, გაურკვეველი რჩება.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, საფიქრებელია, რომ რაჟდენ დათეშიძისა და ნიკო ელიავას მიერ ბად ლანგენაუს კურორტის შეძენის გეგმა ამ უკანასკნელის ფინანსური პრობლემების გამო ჩაიშალა. გავრცელებული ინფორმაციით, რ. დათეშიძე 1926 წლის ივნისში ავტოკატასტროფაში გარდაიცვალა. 1926 წლის 29 სექტემბერს კი ელიავა თბილისში დაბრუნდა. ამავე წელს, ბად ლანგენაუ, რომელსაც 1906 წლიდან 20 წლის განმავლობაში ერთი მეპატრონე – კომპანია „Betriebsgesel – Shaft Bad Langenau G.M.B.H.“ ჰყავდა, შეიძინა ვინმე ლეო ლანგემ (Leo Lange), რის შემდეგაც ის მისი სიძის, პოლ პოლოკის (Paul Polloc) საკუთრებაში იყო 1945 წლამდე,[36] სანამ ქვემო სილეზია პოლონეთს გადაეცემოდა. ვფიქრობ, აღნიშნული თემა და დოკუმენტები საინტერესოა როგორც 20-იანი წლების ქართული ემიგრაციის ისტორიის (ეკონომიკური საქმიანობა, მთავრობის სტიპენდიანტი სტუდენტების დაფინანსება), ასევე კურორტ Bad Langenau/Długopole-Zdrój-ის ისტორიის შესასწავლად. ამ უკანასკნელისთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა კი ტუგარონოვის 22 გვერდიან ანგარიშს აქვს.



რაჟდენ დათეშიძის საფლავი.
ფოტოს მფლობელი – მარიკა დათეშიძე, ციფრულ ბიბლიოთეკა “ივერიელი”

36 Rybeczka-Gacek A., Piwkowski J., Muszyńska B. Długopole – The history of a Spa / Historia Uzdrowiska w Długopolu. Medicina Internacia Revuo, N-ro 2 (103), Brussels: Decembro 2014, 127 file:///C:/Users/Nikoloz/Downloads/D%C5%82ugopole_The_history_of_a_Spa.pdf



კურორტ ბად ლანგენაუს გრაფიკული გეგმა, რომელიც ერთვის ნ. ტუგარინოვის ანგარიშს



კურორტ ბად ლანგენაუს ფოტო, რომელიც ერთვის ნ. ტუგარინოვის ანგარიშს

NIKOLOZ NIKOLOZISHVILI

From the Business History of Georgian Emigrants (an attempt of Nikoloz Eliava and Razhden Dateshidze to purchase the Bad Langenau / Długopole-Zdrój Resort)

Summary

In the Georgian National Archive Fund of the Ministry of Foreign Affairs of the Democratic Republic of Georgia, there are several documents kept from the 20s of the past century that illustrate business activities of Georgian emigrants after the Bolshevik occupation of Georgia, and also, turn over one more interesting page in the history of Georgian-German and Georgian-Polish relations. These documents narrate about the Germany-based Georgian entrepreneur, Razhden Dateshidze and Nikoloz (Niko) Eliava, the Chair of the Presidium of the Union of Cities of Georgia, who emigrated after the Russian occupation, and their intention to purchase the Bad Langenau resort in the Lower Silesia, Germany (Polish Długopole-Zdrój since 1945), in 1922. Apparently, they did not manage to acquire the resort. The reason for that must have been the failure of several business projects that Nikoloz Eliava had started in Istanbul, aiming to carry out them together with some Georgian and Russian emigrants living in the city. Among these were: operation of the Georgian Transportation Society's ship "Imedi" within the Black Sea, the start of a soap factory in Constantinople (both in collaboration with Akaki Khoshtaria), and the foundation of a pharmaceutical joint-stock company (together with Akaki Khoshtaria and Constantine Ermans). Activities performed by the ship "Imedi" were unsuccessful and only brought loss; most probably, other two projects likewise failed. Nikoloz Eliava ran his business as the Chair of the Presidium of the Union of Cities of Georgia; his income was being spent on the evacuation and maintenance of the refugees, payment of wages to the members of the Georgian Government in exile and the Constituent Assembly of Georgia, caring and providing diplomatic and consular representatives and the Political Committee in Constantinople, providing scholarships for the government's stipendiary students, and for other essential needs. It seems that, due to the business failure in Istanbul, purchasing the Bad Langenau / Długopole-Zdrój and further activities became impossible. In 1926, Nikoloz Eliava returned to Georgia where he was executed on July 13, 1937, by the decision of the Court of Assizes of the Military Collegium of the Supreme Court of the USSR.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

ქართულ-ებრაულ ურთიერთობათა საკითხები ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნის“ ფურცლებზე

საქართველოში ქართველთა და ებრაელთა კეთილმეზობლურად თანაცხოვრების შედეგად მყარად დამკვიდრებული ოცდაექვსსაუკუნოვანი მეგობრობის ტრადიცია არსებითად შეიცვალა და თვისებრივად სრულიად ახალი სახით წარმოჩინდა ჩვენი ქვეყნიდან თავიანთ ისტორიულ სამშობლოში ქართველი ებრაელების გადასახლების შემდეგ. კერძოდ, ახალ გარემოში დამკვიდრებული ებრაელებისთვის საქართველოში ცხოვრების პერიოდი იმდენად მძაფრი ნოსტალგიის განმაპირობებელ ფაქტორად იქცა, რომ არა მარტო აქაურ გარემოსთან ფიზიკურად დაკავშირებული ებრაელებისთვის წარმოადგენს დღემდე დაუცხრომელი სიყვარულის გამომხატველ ფაქტორს, არამედ ისრაელში დაბადებული მათი შთამომავლობისთვისაც.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად მკითხველის ყურადღება ამჯერად იმ მასალებს მინდა მივაპყრო, რომლებიც აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით არის გამოქვეყნებული ჟურნალში – „თავისუფლების ტრიბუნა.“ ეს ქართულენოვანი პერიოდული ორგანო, რომელიც საქართველოს განთავისუფლებისათვის მებრძოლთა გამოცემას წარმოადგენდა, 1974-1983 წლებში გამოდიოდა პარიზში. 1974 წლის პირველი ნომრიდან მეოთხე ნომრის ჩათვლით მისი სარედაქციო კოლეგიის წევრები იყვნენ ლევან ზურაბიშვილი, მიხეილ გრიგოლია და გიორგი წერეთელი. სამწუხაროდ, ჟურნალის სარედაქციო კოლეგიას გარდაცვალების გამო იმავე წლის V ნომრიდან ჯერ მიხეილ გრიგოლია გამოაკლდა, VII ნომრიდან კი ლევან ზურაბიშვილი. 1975 წლის VIII ნომრიდან 1978 წლის XVIII ნომრამდე მათ ნაცვლად რედკოლეგიაში შეყვანილ იყვნენ გიორგი ნოზაძე და მიხეილ ქავთარაძე. 1978 წლის XIX ნომრიდან 1983 წელს ჟურნალის ბოლო, XL, ნომრის ჩათვლით კი „თავისუფლების ტრიბუნის“ ერთადერთი რედაქტორ-გამომცემელი იყო გიორგი წერეთელი (1917-1993 წწ.). 1984 წელს მან ჟურნალს სახელი შეუცვალა, „გუშაგი“ დაარქვა და მას ამ სახელწოდებით სცემდა 1984-1990 წლებში.

როგორც ცნობილია, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში მცხოვრებმა ებრაელებმა ოფიციალურად მოიპოვეს თავიანთ ისტორიულ სამშობლოში – ისრაელში გადასახლების უფლება. ხანგრძლივი დროის განმავლობაში

აქტიური მცდელობის შედეგად მიღებული ამ უფლებით მაშინ ქართველმა ებრაელებმაც ისარგებლეს და მათი უდიდესი ნაწილი მუდმივ საცხოვრებლად ისრაელში დამკვიდრდა.

ესოდენ მასშტაბური ეს მოვლენა უპირველეს ყოვლისა სამმა უმთავრესმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი, ისრაელისადმი, როგორც თავიანთი ისტორიული სამშობლოსადმი, ებრაელთა ფანატიკურმა სიყვარულმა და მის წიაღში სამუდამოდ დამკვიდრების იმ დაუცხრომელმა სურვილმა, რასაც ყოველ მორწმუნე ებრაელს ერთმნიშვნელოვნად განუმტკიცებდა მათ მიერ თავიანთ „ჯიბის სამშობლოდ“ სახელდებული ბიბლია; მეორე, საბჭოთა კავშირში არსებული პოლიტიკური რეალობა, რის შედეგადაც მნიშვნელოვანწილად იზღუდებოდა ამ ქვეყნის მცხოვრებთა მოქალაქეობრივი უფლებები და, მესამე, საბჭოთა რეალობასთან შედარებით, ისრაელში არსებული ცხოვრების მაღალი ეკონომიკური დონე და მეტი მოქალაქეობრივი თავისუფლება.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აქ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა ხელისუფლების მიერ ებრაელებისთვის ისრაელში გადასახლების უფლების მიცემა იძულებით მიღებული ის გადაწყვეტილება იყო, რომლის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ქართველ ებრაელთა მიერ გაეროში 1969 წლის 6 აგვისტოს გაგზავნილი წერილი იქცა. ხსენებული წერილის ხელმომწერნი გაეროს მესვეურებს დაბეჯითებით თხოვდნენ დახმარებას ებრაელთა ყოველი თაობის ამ ოცნების რეალობად ქცევის საქმეში.

არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ საბჭოთა კავშირში იმხანად არსებული პოლიტიკური რეალობის დროს ხსენებული წერილის ხელმომწერთა მიერ გადადგმული ეს ნაბიჯი მათთვის უაღრესად სარისკო იმ ქმედებას წარმოადგენდა, რასაც საბედისწერო შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა.

თუმცა მაშინ ეს ასე არ მოხდა, რადგანაც აღნიშნულ წერილს იმდენად დიდი რეზონანსი მოჰყვა, რომ გაეროს მესვეურთა აქტიური ჩარევის შედეგად საბჭოთა ხელისუფლების თავკაცები იძულებული გახდნენ, დათმობაზე წასულიყვნენ და ებრაელებისთვის მართლაც მიეცათ ისტორიულ სამშობლოში გადასახლების უფლება.

ხსენებული წერილის ხელისმომწერთა პერსონალური შემადგენლობა და საცხოვრებელი ადგილი კი ასეთი იყო: **ქუთაისადან**: შაბათა ელაშვილი, მიხეილ ელაშვილი, ისრაელ ელაშვილი, იაკობ ელუაშვილი, მორდეხ ხიხინაშვილი, მიხეილ ჩიკვაშვილი, მოშე ჩიკვაშვილი, მიხეილ ბებერაშვილი, იაკობ ელაშვილი, ხაიმ თეთრუაშვილი, ისრო წიწუაშვილი, ეფრემ წიწუაშვილი. **ფოთიდან**: ხაიმ მიხელაშვილი, ალბერტ მიხელაშვილი, არონ მიხელაშვილი. **თბილისიდან**: ბენციონ იაკობაშვილი. **კულაშიდან**: მიხაელ ბატონიაშვილი, მიხაელ თეთრუაშვილი.

ისტორიულ სამშობლოში ებრაელთა გადასახლება მაშინ უაღრესად მნიშვნელოვან მოვლენად რომ იქცა, ეს ამ პროცესთან დაკავშირებით იმდროინდელი პერიოდულ გამოცემებში მრავალად გამოქვეყნებული მასალებითაც თვალნათლივ ჩანს.

ხსენებულმა პუბლიკაციებმა მნიშვნელოვანი ადგილი „თავისუფლების ტრიბუნის“ ფურცლებზეც დაიკავა. კერძოდ, ჟურნალის გამომცემლებმა აღნიშნულ მოვლენასთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალების შედეგად მკითხველს ღრმად შთამბეჭდავი სახით მიაწოდეს მნიშვნელოვანი ინფორმაციები როგორც საქართველოში ებრაელთა ცხოვრების, ისე ისრაელში მათი მკვიდრობის შესახებ.

ისტორიულ სამშობლოში ქართველი ებრაელების გადასახლების არსებითად განმაპირობებელ ფაქტორს ეთნიკური ნიშნით მათი შევიწროება რომ არ წარმოად-

გენდა, ეს ღრმად შთამბეჭდავი ნოსტალგიის წარმომჩენი იმ დამოკიდებულებითაც თვალნათლივ ჩანს, რასაც საქართველოდან ემიგრირებული ებრაელები დღემდე გამოხატავენ ჩვენი ქვეყნისადმი. საყოველთაოდ ცნობილ ამ მოვლენას მკითხველის ყურადღებას აქ განსაკუთრებით იმიტომაც მივაპყრობ, რომ ამ თვალსაზრისს კიდევ უფრო მეტად განგვიმტკიცებს „თავისუფლების ტრიბუნაში“ ქართველ ებრაელებთან დაკავშირებით გამოქვეყნებული მასალები.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მნიშვნელოვან პუბლიკაციას წარმოადგენდა ჟურნალის 1976 წლის მეათე ნომერში დაბეჭდილი გიორგი წერეთლის წერილი „ქართველი ებრაელები ისრაელში. მნიშვნელოვანი ეროვნული მოვლენა.“ ხსენებული პუბლიკაციით სტატიის ავტორი პრინციპულად დაუპირისპირდა იმ ადამიანთა მოსაზრებას, რომელნიც ებრაელთა ამგვარ ქმედებას ჩვენი ქვეყნისადმი ღალატად მიიჩნევდნენ.

გ. წერეთლის აზრით, აღნიშნული მოვლენის ამგვარი შეფასება პრინციპულად მცდარი იყო, რადგანაც ისრაელში ქართველ ებრაელთა გადასახლების განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორს მათი რელიგიური რწმენა და ისტორიული სამშობლოსადმი გენეტიკური სიყვარული წარმოადგენდა და არა მათი დევნა ეთნიკური და რელიგიური ნიშნით. აქედან გამომდინარე, ქართველ ებრაელთა ამგვარი ქმედება არამც და არამც არ უნდა შეგვეფასებინა ჩვენი ქვეყნისადმი მათ ღალატად. გ. წერეთლის სიტყვებით, საგანგაშო ფაქტს ამ შემთხვევაში მხოლოდ ის გარემოება წარმოადგენდა, „გადასახლებული ქართველი ებრაელების ადგილს ჩვენი ერისათვის უცხო ელემენტი რომ იკავებდა“.[1]

რაც შეეხება საქართველოსადმი ქართველ ებრაელთა დამოკიდებულებას, ჩვენი ქვეყნის ისტორიიდან და თანადროული ყოფიდან ფრაგმენტულად დამოწმებულ ეპიზოდებზე დაყრდნობით გ. წერეთელი ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ სხვა უცხო ტომელებისაგან განსხვავებით, ჩვენს ქვეყანაში მკვიდრობის მთელი დროის განმავლობაში ისინი „ქართველების გვერდიგვერდ იბრძოდნენ და იღვწოდნენ საქართველოს სახელმწიფოს დასაცავად და ასაშენებლად. საბჭოთა რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაცია ქართველმა ებრაელებმაც ჩვენსავით განიცადეს“.[2]

იმის დასტურად, ეს მოვლენა ცალმხრივი რომ არ ყოფილა და თავის მხრივ ქართველ ხალხსაც ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ებრაელებისადმი მხოლოდ ტოლერანტული დამოკიდებულება რომ ჰქონდა, გ. წერეთელი საქართველოს ისტორიიდანაც იშველიებდა სათანადო არგუმენტებს და ამ მოსაზრებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად სხვა ქვეყნებში აღნიშნული თვალსაზრისით არსებულ რეალობასთან ავლებდა პარალელებს. კერძოდ, მისი ხაზგასმით, იმ დროს, როცა „ქართლის ცხოვრებაში“ ერთი შემთხვევაც კი არაა აღნიშნული ეთნიკური და რელიგიური ნიშნით ებრაელთა დარბევისა და დევნა-შევიწროებისა, „რუსეთში, უკრაინაში და პოლონეთში ებრაელთა „პოგრომებმა“ ტრაღიკული ხასიათი მიიღო.“

აღნიშნული მოსაზრებისთვის მეტი დამაჯერებლობის მისაცემად გ. წერეთელს კონკრეტული მაგალითებიც მოჰყავდა იმ თანამდგომი დამოკიდებულების წარმოსაჩენად, რასაც მეორე მსოფლიო ომში ნაცისტთა რეპრესიებისაგან ებრაელების გადასარჩენად იჩენდნენ ქართველები. კერძოდ, მისი ხაზგასმით, მეორე მსოფლიო ომის მიმდინარეობის დროს „ჰიტლერის გერმანიის ტყვეთა ბანაკებში არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა, რომ ქართველ ტყვეს მის გვერდით მყოფი ებრაელი გაეცა.“

---

1 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, #10, გვ. 13.

2 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, #10, გვ. 13.

თავისი ამ მოსაზრების არგუმენტირებისათვის, გ. წერეთელი გერშონ მეგრელიშვილის შემდეგ ჩანაწერსაც იმოწმებს: „ჰიტლერელების მიერ პარიზის ოკუპაციის დროს იოსებ ელიგულაშვილი ციხეში მოათავსეს, როგორც ებრაელი და დეპორტაციას უპირებდნენ. მაგრამ ნოე ჟორდანიას, ევგენი გეგეჭკორის და მიშა კედიას ენერგიული ჩარევის შედეგად იგი განთავისუფლებულ იქნა. ჩქარა ჰიტლერელებმა დაიწყეს ებრაელთა დეპორტაცია. მათ შორის ქართველებისაც. იოსებმა ასეთ ვითარებაში არაჩვეულებრივი უნარი და ენერგიულობა გამოიჩინა. მობილიზაცია უყო მთელ ქართველ ემიგრაციას და მათი თავგამოდებული ჩარევის შედეგად გერმანელებმა გააუქმეს განკარგულება საქართველოს ებრაელთა დეპორტაციის შესახებ. ქართული ემიგრაციის ხელმძღვანელობის წყალობით, განსაკუთრებით კი გერმანელების მიერ ნდობით აღჭურვილი პირის მიშა კედიას მეშვეობით, 70-მდე ქართველი ებრაელი პირდაპირ სიკვდილს გამოაცალეს ხელიდან. გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ იოსებმა ამდენივე პოლონელი და რუსი ებრაელის გადარჩენაც შეძლო კედიას მიერ გაკეთებული ყალბი დოკუმენტებით“.[3]

გიორგი წერეთლის წერილისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განაპირობებს ისიც, რომ თავის პუბლიკაციაში მან მკითხველის ყურადღება ებრაელთა ეთნიკური წარმომავლობის პრობლემასაც მიაპყრო. კერძოდ, პუბლიცისტმა ერთმნიშვნელოვნად უარყო ქართველთა და ებრაელთა ცალკეული წარმომადგენლების მოსაზრება, თითქოს ჩვენი ქვეყნისადმი ქართველ ებრაელთა სიყვარულის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად ის გარემოება იყო ქცეული, თავიანთი ეთნიკური წარმომავლობით ისინიც ქართველები რომ იყვნენ და მათგან მხოლოდ სარწმუნოებით განსხვავდებოდნენ.

როგორც ცნობილია, ეს მოსაზრება 1910-იანი წლების საქართველოში იმდენად ფართოდ იყო გავრცელებული, რომ იმდროინდელ ქართულ პრესაში („საქართველო“, „სამშობლო“, „სახალხო საქმე“, „ხალხის მეგობარი“, „ხმა ებრაელისა“, „ერთობა“...) ამასთან დაკავშირებით ცხოველი პოლემიკაც კი იყო გამართული. ამ პოლემიკის მთავარ წარმომადგენლებად მაშინ ქართველ ებრაელთა რელიგიური ლიდერი დავით ბააზოვი და „ახალგაზრდა ასიმილატორებად“ სახელდებული ძმები: მიხაკო და იოსებ ხანანაშვილები მოგვევლინენ. დავით ბააზოვმა ქართველ ებრაელთა ეთნიკურ კუთვნილებასთან არსებულ ზემოთ ხსენებულ მოსაზრებას „დიდი გაუგებრობა და შეცდომა“ უწოდა.[4]

როგორც უკვე ითქვა, პოლემიკური განსჯის საგნად ქცეულ ამ თვალსაზრისს „თავისუფლების ტრიბუნაში“ გამოქვეყნებულ თავის წერილში გიორგი წერეთელმაც მიაქცია ყურადღება და აღნიშნა: „ქართველი ებრაელების შესახებ ორი შეხედულება არსებობს: ერთნი იცავენ, რომ ისინი ქართველი წარმოშობის არიან და მხოლოდ მოსეს რჯულის აღიარებით განსხვავდებიან დანარჩენი ქართველებისაგან. მეორენი კი ამტკიცებენ, რომ ისინი სისხლითაც და რჯულითაც განსხვავებული არიან, რომ ისინი საქართველოში მოვიდნენ ისრაელის სახელმწიფოს განადგურების შემდეგ და ამიტომაც მათ შეინარჩუნეს ისრაელიტის სახელწოდება“.[5]

გ. წერეთლის ხაზგასმით, მისი პუბლიკაციის მიზანს ამ პრობლემის საბოლოოდ და ერთმნიშვნელოვნად გადაჭრა კი არ წარმოადგენდა, არამედ საბჭოთა საქართ-

---

3 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, #10, გვ. 13.

4 ამასთან დაკავშირებით იხ: ნიკოლეიშვილი ა., ნარკვევები ქართველ ებრაელთა ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობის ისტორიიდან, I, ქუთაისი, 2003, გვ. 63-70.

5 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, #10, გვ. 13.

ველოს ხელისუფლებისადმი მოწოდება იმისა, ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ იმ ებრაელებს, რომლებიც მათ ისტორიულ სამშობლოში დაბრუნების სურვილს გამოთქვამდნენ, არავითარი დაბრკოლებები რომ არ უნდა შექმნოდა.

მკითხველის იმაში დასარწმუნებლად, საქართველოსადმი ქართველ ებრაელთა სიყვარული ამ ადამიანთა ეროვნული თვალთახედვის არაკონიუნქტურულ გამოხატულებას რომ წარმოადგენდა, გიორგი წერეთელი ჩვენს ქვეყანასთან მათი მუდმივი განშორებით განპირობებული ნოსტალგიის მძაფრად წარმომჩენ ეპიზოდებსაც გვაწვდის. მაგალითად: ემიგრაციაში არსებული ქართული რადიოს – „თავისუფლების“ კორესპონდენტთან საუბრის დროს საქართველოდან ისრაელში გადასახლებულ ებრაელ გოგონას ასეთი რამ უთქვამს: „თუ ბავშვს ორი მშობელი ჰყავს – დედა და მამა, ჩვენთვის ეს ისრაელი და საქართველოა.“ მეორე რესპოდენტს კი საქართველოდან ისრაელში მისი ოჯახის გადასახლებისთვის ასეთი შეფასება მიუცია: „1973 წელს ჩვენი ოჯახი ისრაელისაკენ დაადგა გზას. ეს იყო ჩემთვის უდიდესი ტრაგედია. ვტოვებდი იმ ქვეყანას, სადაც დავიბადე და დავვაჟკაცდი. სამი წელია, აქ ვარ. დღე არ გავა საქართველოზე ფიქრის გარეშე“.[6]

როგორც გ. წერეთელი წერდა, ახალ გარემოში დამკვიდრებული ქართველი ებრაელები საქართველოსაგან განშორებით განპირობებული ნოსტალგიის განქარვებას თავიანთ ისტორიულ სამშობლოში მიკროქართული გარემოს მოწყობითაც ცდილობდნენ, რის ნათელ გამოვლინებასაც წარმოადგენდა მათ მიერ მრავლად შექმნილი ქართული სიმღერებისა და ცეკვის ანსამბლები, იქ გამოცემული ქართულენოვანი ჟურნალ-გაზეთები, წიგნები და ქართველოლოგიური ნაშრომები.

ქართველ ებრაელებთან დაკავშირებით „თავისუფლების ტრიბუნის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები თემატურად შემდეგ მიმართულებებად შეიძლება დავაჯგუფოთ: 1. საქართველოსადმი სიყვარულის გამომხატველი პუბლიკაციები; 2. წერილები, რომელთა ავტორებიც ქართველ ებრაელთა ცხოვრებიდან კონკრეტული ეპიზოდების დამოწმებით წარმოაჩენენ მათ აქტიურ მონაწილეობას ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში; 3. ქართველი ემიგრანტები ისრაელისა და იქ დამკვიდრებული ქართველი ებრაელების შესახებ.

აღნიშნულ საკითხებზე მსჯელობა მინდა დავიწყო „თავისუფლების ტრიბუნაში“ გამოქვეყნებული იმ ლექსების შეფასებით, რომელთა ებრაელი ავტორებიც ემოციური შთამბეჭდაობით გამოხატავენ სიყვარულს საქართველოსადმი. მათგან ყველაზე მეტ აქტიურობას როზა აბნერაშვილი იჩენდა. კერძოდ, ხსენებული ჟურნალის ფურცლებზე იგი საკმაოდ ხშირად აქვეყნებდა ლექსებსა და წერილებს საქართველოს შესახებ. როგორც ამ პუბლიკაციებიდანაც თვალნათლივ ჩანს, ფიზიკური განშორების მიუხედავად, ის და აქ ნაცხოვრები მისი თანამემამულენი კვლავაც რჩებოდნენ ჩვენს ქვეყანასთან სიყვარულით შესისხლხორცებულ მოქალაქეებად. მაგალითად, აი, როგორი სურვილებით მიულოცა პოეტმა ქართველ ხალხს ახალი წლის დადგომა „თავისუფლების ტრიბუნის“ 1978 წლის მე-19 ნომერში დაბეჭდილი ლექსით „საახალწლო:“

„ერო გულადო, ერო პურადო, შენ ჭირნანახო მრავალთ მრავალის,
გაგთენებოდეს ბედნიერების წელი ახალი აწ და მარადის.
რომ ყოფილიყვე მარად მღერალი ბედის შენისა, თავისუფალი!
არ დაეკვნესოს არსად შენს შვილთა ერის ტკივილით ცრემლად დაღვრილთა,

6 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, #10, გვ. 13.

ხელჩაკიდულნი წრფელ მეგობრებთან ხარობდნენ ნათელ მომავლის მზითა!“

1979 წლის 24-ე ნომერში გამოქვეყნებულ ლექსში კი თავისი საახალწლო სურვილები ამგვარი ფორმით გამოხატა:

„წელმა ახალმა სვებედნიერმა გახსნას საკეტი ხუნდ-ბორკილების
და შეანათოს ყველა საკნებში ზღვა სიხარულმა თავისუფლების!..
ფართოდ გაეხსნას ხშული საზღვრები სხვათა თანაბრად, შორს მყოფ ქართველთაც.
შეალონ კარი დიდხნის უნახავ ძველ მეგობართა და ნათესავთა!“

მიუხედავად იმისა, რომ სიტყვიერი ოსტატობის მხრივ როზა აბნერაშვილისა და „თავისუფლების ტრიბუნაში“ დაბეჭდილ სხვა ებრაელ ავტორთა ლექსების უმეტესობა მხატვრულად სრულყოფილ ქმნილებებს არ წარმოადგენს, ისინი მკითხველზე მაინც ახდენს საკმაოდ მძაფრ შთამბეჭდილებას, რადგანაც მათი ავტორები განზოგადებული ფორმით ახერხებენ გამოხატონ დაუცხრომელი სიყვარული საქართველოსადმი და მისგან ფიზიკური განშორებით განპირობებული სულიერი ტკივილი. როგორც ითქვა, „თავისუფლების ტრიბუნის“ ებრაელ ავტორთაგან ამ თვალსაზრისით ყველაზე მეტ აქტიურობას როზა აბნერაშვილი იჩენდა. ნათქვამის ნათელსაყოფად დავიმოწმებ კიდევ ერთ ლექსს მისი პუბლიკაციებიდან:[7]

„გემშვიდობები მიწავ ქართულო, აკვანო სიყრმის, გამზრდელო ჩემო,
მარად ვილოცებ ჩემს სულისდგმაში, იყავ დღეგრძელი შენ, საქართველო!..
გვესმა ყივილი მშობელი მიწის, ეს შენ შვილთათვის უცხო როდია?
მაშ, ნუ დამძრახავს მეც დედობილი, თუ სამშობლოსკენ გულმა წამძლია.
შენ დამძრახავდი უთუოდ მაშინ, სულს არ აღძვროდა გრძნობა შვილური,
ისე ვით ქეთოს ვაშლოვანელის დავიწყებოდა ზეცა ქართული.
მიტომ გშორდები გულისტკივილით, თვალებს მიბინდავს ცრემლი მალული,
ვებრძვი ამ ჩემ გულს, გრძონებებს შიგ აღძრულს, არ გავამჟღავნო ეს სინანული.
მაშ მომე ხელი შენი გულწრფელი, მიწოდე შვილი, გინდ შვილობილი,
ვიყო ერთგული, სულის ზიარი, ვით ისრაელის, შენიც ტრფიალი.
და მომავალში იქნება ბედმა კვლავ შეგვახვედროს დედა-შვილურად,
არ ვიგრძნო ზიზღი შენთან შეყრისას, ძმის გამყიდველმა ვითარც იუდამ.
გეწვიო ისევ, ვით ნაიბს ქეთო დედაშვილური სიამტკბილობით,
ვემთხვიო კალთას მამადავითის, აღსავსე გრძობით მადლიერების.
მაშ, ამასა გთხოვ, გზა დამილოცო, ლოცვა-კურთხევა გზად მითანამგზრო,
რომ ჩემი ღვაწლით, ცდით ვასახელო იქ ისრაელი, აქ საქართველო“.

როგორც დამოწმებული ლექსებიდანაც თვალნათლივ ჩანს, საქართველოსადმი ქართველ ებრაელთა სიყვარულის განმაპირობებელ უმთავრეს საფუძველს პირველ ყოვლისა ის გარემოება წარმოადგენს, რომ ამ ქვეყანაში ხანგრძილვად მკვიდრობის მიუხედავად მათმა წინაპრებმა უპრობლემოდ შეძლეს საკუთარი ეროვნული და რელიგიური იდენტობის შენარჩუნება და ბევრ სხვა ქვეყანაში მცხოვრები მოძმეებისაგან განსხვავებით, არასოდეს განუცდიათ ეროვნული და რელიგიური კუთხით დევნა და შევიწროება. მაგალითად:[8]

---

7 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1977, #17, გვ. 18.

8 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1978, #21. გვ. 9.

„მე საქართველოს მადლობელი ვარ, რომ ებრაელი კვლავ ებრაელობს,
არ აუღია ხელი რწმენაზე და ისევ მოშეს სჯულზე ლოცულობს...
მსურს გავდო ხიდი მე მეგობრობის ამ ორი ქვეყნის მტკიცე კავშირად,
მით გადვიხადო სამადლობელი ერთი ათასად, მხოლოდ კეთილად.
რაც რომ სიკეთე სულს დამაჩინა სულდიდი შოთას ტკბილმა ქართულმა,
მსურს შენ მოგიძღვნა სულ სასიკეთოდ, შენი სიცოცხლით გულაღგზნებულმა.
მსურს გავდო ხიდი მე მეგობრობის ამ ორი ქვეყნის მტკიცე კავშირად,
მით გადვიხადო სამადლობელი ერთი ათასად, მხოლოდ კეთილად.
მე მსურს მოგიზღო მადლისთვის მადლი დობილთ და ძმობილთ სიყვარულისა,
რომ ებრაელი იყოს სიმბოლო კაცთმოყვარების, სათნოებისა“.

როზა აბნერაშვილი გამონაკლისი არ არის და მსგავსი ნოსტალგიური სულისკვეთება გამჭოლ ნაკადად გასდევს ისტორიულ სამშობლოში გადასახლებული ყველა ქართველი ებრაელი შემოქმედის მხატვრულ ნააზრევს. ნათქვამისთვის მეტი სიცხადის მისაცემად, დავიმოწმებ ფრაგმენტს ქართველი მეგობრისადმი მიძღვნილი დავით აჯიაშვილის ლექსიდან, რომლის მეშვეობითაც ავტორმა ამგვარად გამოხატა თავისი ცხოვრების თბილისური პერიოდის მონატერებით განპირობებული ემოცია:[9]

„ალბათ თბილისში ახლა ღამეა და თეთრი თოვლის უჩუმრად თოვა,
ვერის ქარებიც განაწამია ვით გარდასული ვარდების გლოვა.
დოლი შემოდის მოგონებათა შენთან ხმაურით ფარფატა მედი:
მე და შენ, ძმაო, სხვა რა გვებადა საქართველოს და მისი ცის მეტი!“

ყოველივე ზემოთქმული ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქართველ ებრაელ ავტორთა მხატვრულ ნააზრევში საქართველოსთან განშორების შედეგად წარმოქმნილ ნოსტალგიასთან მიმართებით დამცრობილი ფორმით ვლინდებოდეს ისტორიული სამშობლოსადმი მათი სიყვარულის გრძნობა. რასაკვირველია, ეს ასე არ არის. კერძოდ, „თავისუფლების ტრიბუნის“ გამომცემლებმა ქართველ ებრაელებს იმის შესაძლებლობაც მისცეს, საქართველოსთან დაკავშირებით თავიანთი ნოსტალგიური გრძნობების გამოხატვასთან ერთად ისრაელისადმი სიყვარულიც რომ გამოეხატათ შეუზღუდველი სახით. სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ გამოვლინებას წარმოადგენს ქვემოთ დამოწმებული ფრაგმენტი როზა აბნერაშვილის იმ ლექსიდან, რომელიც მან ისრაელის სახელმწიფოს ცნობილი ლიდერის – გოლდა მეირის სახელმწიფოებრივი ღვაწლის განსადიდებებლად დაწერა:[10]

„გამოგაჩინა საქმემან შენმან, დედავ გრძნეულო ერის ტანჯულის,
ზეცად ატყორცნა შენი სახელი, მოგფინა უცხო ნათლისეული.
და აისვეტა ზეცის თაღამდე სახება შენი საკაცობრიო,
ხელქმნილმა მადლმა სულგრძელობისამ ძეგლი დაგიდგა სამარადისო“.

„თავისუფლების ტრიბუნის“ ფურცლებზე ებრაელ ავტორთა მიერ გამოქვეყნებული მასალების გაანალიზების დროს განსაკუთრებული ყურადღება დავით

9 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1978, #21. გვ. 23.
10 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1979, #25, გვ. 21.

აჯიაშვილის იმ პუბლიკაციასაც მინდა მივაქციო, რომლის მეშვეობითაც იგი უაღრესად საგულისხმო მოსაზრებებს გამოთქვამს გრიგოლ რობაქიძის შემოქმედებითი ინდივიდუალობის შეფასების დროს. ხსენებული სტატია ჟურნალის იმ ნომერში დაიბეჭდა,[11] რომელიც ქართული ემიგრანტული მწერლობის ამ წარმომადგენლის შემოქმედებისადმი იყო მიძღვნილი. დ. აჯიაშვილის პუბლიკაციისადმი ინტერესს არსებითად განაპირობებს ის გარემოება, რომ მასში უაღრესად მნიშვნელოვანი მოსაზრებებია გამოთქმული გრიგოლ რობაქიძის სტულურ და ენობრივ ინდივიდუალობასთან დაკავშირებით.

კერძოდ, მწერლის ცნობილი ნოველების – „ენგადისა“ და „იმამ შამილის“ გაანალიზების დროს ავტორი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს გრიგოლ რობაქიძის მკვეთრად გამორჩეულ სტილურ და ენობრივ ინდივიდუალობაზე და ამ მოვლენის პოზიტიურ მხარეთა წარმოჩენასთან ერთად, ჩემი აზრით, მართებულად კრიტიკულ შეფასებასაც აძლევს აღნიშნულ ტენდენციას.

ავტორისეულ თვალთახედვაზე უფრო ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად დავიმოწმებ შესაბამის ფრაგმენტებს ხსენებული პუბლიკაციიდან: „ჩემთვის ეს არის სავსებით უცხო და ახალი მანერა ქართული სიტყვაკაზმული მეტყველებისა. პირდაპირ გასაოცარია! რობაქიძის ზუსტი და ლაკონური ფრაზა, სასწაულებრივად ტევადი და ყოვლისმომცველია. რატომღაც ასე მგონია, მისი ამ ნაწარმოებების კითხვისას თითქოს მარულაში ვიღებდი მონაწილეობას და ყივილით, ყიჟინით მივქროდი დაუსრულებლივ... რობაქიძის ეს ორი ნოველა სავსეა ჰეროიზმით, სილამაზისადმი დაუსრულებელი სწრაფვით და, რაც მთავარია, მიუხედავად ავტორის ფანტაზიისა, რომელიც შეიძლება ადამიანს ერთი შეხედვით არაბუნებრივად და არანამდვილად მოეჩვენოს, ვრწმუნდებით, აქ არ არის არავითარი ხელოვნურობა... არა, აქ მჟღავნდება ქართული სულის სიამაყე, ძარღვის ძლიერი და ჯიშიანი ფეთქვა, სიყვარულით გახელებული სისხლის დაუდგრომელი დუღილი...

მაგრამ ერთიც უნდა ვთქვა: ჩემის აზრით, ხალხის მეტყველებასთან რობაქიძის წერის მანერა მოშორებით უნდა იდგეს შედარებით. ეს ენა არ არის ქართველი ხალხის არც ლიტერატურული და არც სასაუბრო ენა. აქ უფრო შეგნებული თეატრალობა უნდა ბატონობდეს, თუმცა ვხედავთ ერთგვარ მსგავსებას ნიკო ლორთქიფანიძის, კონსტანტინე გამსახურდიას და შალვა დადიანის სტილთან. არ ვიცი, ეს ხომ ჩემი პირველადი დაკვირვებაა“.

„თავისუფლების ტრიბუნის“ ფურცლებზე დავით აჯიაშვილის მიერ გამოქვეყნებული ტექსტების გაანალიზების დროს რამდენიმე სიტყვა მის იმ პუბლიკაციაზეც მინდა ვთქვა, რომლითაც მან, როგორც ებრაული ენის მცოდნე პოეტმა, პროფესიული თვალთახედვით შეაფასა ამ ენაზე შოთა რუსთაველის პოემის ბორის გაპონოვისეული თარგმანი. მისი ხაზგასმით, „ვეფხისტყაოსნის“ ხსენებული თარგმანის მხატვრულ სრულყოფილებას არსებითად განსაზღვრავს მთარგმნელის პოეტური ოსტატობის მაღალპროფესიული დონე და ებრაული ენის საფუძვლიანი ცოდნა. კერძოდ, დ. აჯიაშვილის შეფასებით, „ისეთ რაფინირებულ და უზადო ლექსთწყობას, როგორიც გაპონოვმა დაგვიტოვა, მკითხველი იშვიათად თუ შეხვდება ებრაულ პოეზიაში.“

ბორის გაპონოვის მთარგმნელობითი ხელოვნების ესოდენ მაღალი დონის განმაპირობებელ უმთავრეს ფაქტორად რეცენზენტი პირველ ყოვლისა იმ გარემოებას

11 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1982, #38, გვ.37.

მიიჩნევს, რომ „თარგმანი შესრულებული იყო ებრაული პოეზიისათვის სრულიად უცნობი ლექსური საზომით – ქართული შაირით, რომელიც გაპონოვმა ოსტატურად შეუსაბამა ამ ენის თვითმყოფად და თავისთავად ბუნებას“.[12]

„თავისუფლების ტრიბუნის“ ფურცლებზე გამოქვეყნებული მასალები ისრაელში დამკვიდრებულ ქართველ ებრაელთა ქართულ საქმიანობაზეც გვიქმნის ნათელ წარმოდგენას. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტს ჟურნალის 1977 წლის XVI ნომერში გამოქვეყნებული სარედაქციო წერილიდან – „სიბრძნის მარგალიტები“ და „ექსოდუსი“: „ქალბატონმა როზა აბნერაშვილმა ისრაელიდან გადმოგვიგზავნა მის მიერ ახლად გამოცემული ორი წიგნი. აქედან ერთი გახლავთ ვეფხისტყაოსნიდან ამოკრებილი აფორიზმების და რჩეული ადგილების რუსული და ინგლისური თარგმანი, რიცხვით ორასი. წიგნი ლამაზად არის გამოცემული... ხაზგასასმელია წიგნის ავტორის მიერ დაწერილი წინასიტყვაობა რუსულად და ინგლისურად, რომელშიც ლამაზად და მართებულად დახასიათებულია როგორც ვეფხისტყაოსანის, ისე ზოგადად ქართული კულტურის რაობა. ტექსტს წინ უძღვის შოთას ზიჩისეული პორტრეტი, ჩასმულია ლამაზ გარეკანში, რომლის შუაგულში ქართულად აწერია ვეფხისტყაოსანი, ზევით რუსულად და ქვევით ინგლისურად „სიბრძნის მარგალიტები.“

მეორე წიგნი არის ინგლისურიდან ლეონ იურისის სახელგანთქმული მოთხრობა „ექსოდუსის“ ქართული თარგმანი. თარგმანი შესრულებულია კარგი ქართულით“.[13]

ამავე წერილის მეშვეობით ჟურნალის გამომცემელნი მკითხველებს ისრაელში ებრაულ-ქართული ლექსიკონის გამოცემის შესახებაც აწვდიან შემდეგ ინფორმაციას: „გასულ წელს თელ-ავივში გამოიცა პირველი ვრცელი ებრაულ-ქართული ლექსიკონი. მისი ავტორები არიან დოქტორი იომ-ტოვ ლევინსკი (ებრაული ტექსტი), გერშონ მეგრელიშვილი (ქართ. ტექსტი), დოქტორი იცხაკ დავიდი (მეცნიერ კონსულტანტი და წინასიტყვაობის ავტორი). ლექსიკონში შესულია 14.000 სიტყვა. მას წამძღვარებული აქვს ებრაული სიტყვების ტრანსკრიფცია“.

ქართველ ებრაელთა აქტიურობა აღნიშნული მიმართულებით გამონაკლის შემთხვევას რომ არ წარმოადგენდა და ქართულენოვანი წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გამოცემას 1970-იანი წლების ისრაელში ნამდვილად ჰქონდა შეძენილი საკმაოდ დიდი მასშტაბები, ეს „თავისუფლების ტრიბუნის“ 1977 წლის #17-18-ში დაბეჭდილი იმ წერილითაც დასტურდება, რომლითაც ჟურნალის გამომცემელნი მკითხველს ბორის გაპონოვის სახელობის სამეცნიერო კავკასიოლოგიური კომიტეტის მიერ გამოცემულ იცხაკ დავიდის ნაწერების პირველი ტომის შესახებ აწვდიან შემდეგ ინფორმაციას: ხსენებული წიგნი „შეიცავს იცხაკ დავითაშვილის პოეტურ, ფილოსოფიურ და ისტორიულ ნაწარმოებებს... დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის წიგნის იმ ნაწილს, რომელსაც ავტორი უწოდებს „პალესტინიანას“ და რომელშიც განხილულია საქართველოს და პალესტინის ურთიერთობა უხსოვარ დროიდან დღემდე.

ჯვარის მონასტრის და მისი შემოგარენის არქეოლოგიური შესწავლა და იქ მინიშნებულ ქართულ სამაროვანის საკვლევად გაწეული მოსამზადებელი მუშაობა ძვირფასი სამსახურია ქართული ცივილიზაციისათვის“.[14]

---

12 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, #10, გვ. 15.
13 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, #10, გვ. 12.
14 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, #17-18, გვ. 38.

აღნიშნულ ინფორმაციასთან ერთად, ამავე პუბლიკაციის ავტორები მკითხველს ხსენებული კომიტეტის მიერ ისრაელში 1977 წელს სამენოვანი (ქართულ-ინგლისურ-ივრითულ ენებზე) მეცნიერულ-ლიტერატურულ-პოლიტიკური ჟურნალის – „კავკასიონის“ გამოცემის შესახებაც აწვდიან ინფორმაციას.[15]

ჩვენი ქვეყნისადმი განსაკუთრებულ სიყვარულს ქართველი ებრაელები იმ დამოკიდებულებითაც გამოხატავდნენ, რასაც ისინი ისრაელში სტუმრად ჩასულ ქართველებთან ურთიერთობის დროს ავლენდნენ. ნათქვამის დასტურად დავიმოწმებ ფრაგმენტებს ჟურნალში გამოქვეყნებული იმ პუბლიკაციებიდან, რომლებშიც საუბარია იმხანად ემიგრაციაში მყოფი ცნობილი ქართველი ხელოვანის – ნუგზარ შარიას ერთთვიან გასტროლებზე ისრაელში:

„ჩვენი თანამშრომლები ისრაელიდან და იქაური პრესა ნათლად მეტყველებს, რომ ბატონი ნუგზარ შარიას გასტროლებმა ისრაელში განვლილი წლის დეკემბერში მიიღეს ნამდვილად ტრიუმფალური ხასიათი... ეს წარმატება შედეგია როგორც თვით ნ. შარიას პირადი არტისტული ღირსებების, ისე ისრაელში გადმოსახლებული ქართველი ებრაელების ქართული პატრიოტიზმის“.[16]

ფრაგმენტი თავად ნუგზარ შარიას მიერ „თავისუფლების ტრიბუნის“ რედაქტორ გიორგი წერეთლისთვის გაგზავნილი წერილიდან: „ბატონო გიორგი! სულ რამდენიმე დღეა ჩამოვედი ისრაელიდან. ბენ-გურიონის აეროპორტიდან დაწყებული, ჩემი ისრაელში ერთი თვის გასტროლების დროს შესუნთქული ქართული სული ალბათ მრავალ წელიწადს მეყოფა. ტაშის გრიალით სამი ათას ორას კაციანი დარბაზიდან ყველა თორმეტ კონცერტის ჩათვლით თავს ვგრძნობდი, თითქოს სხვა პლანეტაზე ვიმყოფებოდი. რადიო, ტელევიზია, პრესა ივრითულ, ინგლისურ, რუსულ, ფრანგულ, არაბულ და ქართულ ენებზე თითქმის ყოველ ნახევარ საათში ასახელებდა ნუგზარ შარიას. 16 დეკემბერს იერუსალიმის ქალაქის მერმა გადმომცა ქალაქის საპატიო დროშა და დამასახელა ისრაელის საპატიო სტუმრად. ამის შემდეგ მიმიწვიეს მთავრობის სასახლეში, ქნესეტში, ანუ პარლამენტში, სადაც შევხვდი მთავრობის წევრებს. ყველაზე ამაღელვებელი იყო ჯვრის მონასტერში შესვლა. ჯვრის მონასტერი ვაივაგლახით, ქალაქის მერის ჩარევით, გაგვიღეს. ისიც იმიტომ, რომ მე ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქე ვარ. ბერმა თვითონ განმიცხადა: ჩვენ საბჭოთა კავშირის წარმომადგენლებს არ ვცნობ, ვინაიდან სახელმწიფო, რომელიც რელიგიას არ ცნობს, ჩვენ არც მის წარმომადგენლებს ვცნობთო“.[17]

საბოლოოდ, ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე, არ გადავაჭარბებთ, თუ ვიტყვით, რომ ქართველ ებრაელებთან დაკავშირებული საკითხებისადმი ჟურნალ „თავისუფლების ტრიბუნის“ გამომცემელთა მხრიდან გამოვლენილი ინტერესი უმთავრესად ორი მნიშვნელოვანი ფაქტორით იყო განპირობებული: პირველი, საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა უღალატო სიყვარულით მათ მიერვე თავიანთ მეორე სამშობლოდ სახელდებული ჩვენი ქვეყნისადმი, რამაც ისტორიულ სამშობლოში მათი დამკვიდრების შემდეგ კიდევ უფრო მეტი სიმძაფრე შეიძინა და, მეორე, ემიგრაციაში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების დაუცხრომელი ნოსტალგიით თავიანთი სამშობლოსადმი, სადაც საბჭოთა ხელისუფლებისგან არა თუ ცხოვრების უფლება ჰქონდათ აკრაძალული, არამედ დროებით სტუმრობისაც.

---

15 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1976, #17-18, გვ. 39.

16 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1977, #16, გვ. 11.

17 ჟურნ. „თავისუფლების ტრიბუნა“, პარიზი, 1977, #16, გვ. 11.

AVTANDIL NIKOLEISHVILI

Issues of Georgian-Jewish relations on the pages of the magazine "Liberty Tribune"

Summary

The emigrant Georgian magazine "Liberty Tribune" was the publication of the fighters for the liberation of Georgia and was published in Paris in 1974-1983. In addition to materials related to Georgian emigrants and Georgia, many materials about Georgian Jews were also published on its pages. This kind of interest shown by the publishers of the magazine "Liberty Tribune" to the issues related to Georgian Jews was primarily due to two important factors: first, the unfaithful love of the Jews living in Georgia for our country, which they call their second homeland, which gained even more intensity after their establishment in the historical homeland and secondly, by the nostalgia of our compatriots living in exile for their homeland, where they were not only denied the right to live, but also to visit temporarily by the Soviet authorities. The printed materials related to Jews in "Liberty Tribune" can be grouped thematically in the following areas: 1. Publications expressing love for Georgia; 2. Letters, the authors of which testify to specific episodes from the life of Georgian Jews and present their participation in the life of our country; 3. Georgian emigrants about Israel and Georgian Jews settled there.

ვაჟა ფშაველა და ეროვნული იდეალის აქცენტები ემიგრანტი ავტორების თვალით

ქართული ლიტერატურული სააზროვნო სივრცე დიდ დროს უთმობდა და ფიქრს ადევნებდა ეროვნული მნიშვნელობის და მასშტაბის პიროვნებებს: პროზაიკოსებს, პოეტებს, მხატვრებს, ფილოსოფოსებს. საქართველოში დაწერილი და ემიგრაციაში შექმნილი ტექსტები ერთი მთლიანობაა, თუმცა სხვადასხვაა თავისუფლების ხარისხი. უცხოეთში ხშირადაა მათი სახელების ხსენება ლექსებში, მოთხრობებში, ნარკვევებში, წერილებში. „ხსენება“ არაა თვითმიზანი, სწორედაც პირიქით, სერიოზული მიზანდასახულებაა – უცხოეთში გაზრდილმა ყმაწვილმა სათანადო სიღრმით იცოდეს მისი მშობლიური ქვეყნის ისტორია, ღირსეულ მამულიშვილთა თავგადასავალი, ბიოგრაფიული დეტალები და მათ მიერ დაწერილი არაერთი ლიტერატურული ტექსტი. წერილები სხვადასხვაგვარია და ეს ბუნებრივიცაა. ზოგი ავტორი საკუთარ, პიროვნულ დამოკიდებულებას გამოხატავს დიდი პოეტის მიმართ, სხვები არა მხოლოდ ამას, არამედ მის დამსახურებასა და გამორჩეულობას ქართულ და მსოფლიო ლიტერატურულ სივრცეში.

სიმონ ბერეჟიანს ეკუთვნის პოემა „პაემანი მთაწმინდაზე“, რომელიც ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 100 წლისთავს ეძღვნება. სიზმრის სიმბოლიკის გამოყენებით ავტორს სურს, დამაჯერებელი იყოს მისი მოგზაურობაც – საქართველოს სხვადასხვა კუთხეში და იმ პერსონაჟთა თავმოყრაც, რომელთა ხსენებაც უნდა. სიზმარი იტანს ამ დროისმიერ ანაქრონიზმს, აქ ეს დასაშვებია. პოემა იწყება სტრიქონებით:

ხელში ფანდური ავიღე,
ვაჟას ფანდური მზიანი;
ოდნავ ჩამოვკრავ სიმებსა,
არ მივაყენო ზიანი.[1]

„ოდნავ ჩამოვკრავ“, – იმ დიდ თავმოდრეკას გულისხმობს, თანამოკალმის მიმართ რომ გააჩნია. ქართულ პოეზიაში ვაჟა ფშაველა გამორჩეულად უყვარს. მოგვიანებით, უცხო ქვეყანაში მყოფი მოგონების წერას რომ შეუდგება, 10 წლის ყმაწვილის განცდებს გაიხსენებს: როგორ წარუდგინა ქართული ენის მასწავლებელმა და ამავე დროს, კლასის დამრიგებელმა ლუარსაბ ბოცვაძემ ბავშვებს შავჩოხიანი ვაჟა. მისი მეთვალყურეობით დაურგავთ ნორჩი ნერგები და მერე სურათიც გადაუღიათ. გულდაწყვეტილი იტყვის:

„ყველა სცდილობდა იმის გვერდით მოხვედრილიყო. დიდი მუჯლუგუნი და წაკვრა-წამოკვრაც იყო. მე, სამწუხაროდ, ყველაზე მაღალი ვიყავი და მეორე მწკრივში მოვხვდი, სულ ბოლოში. სურათი ერთი კვირის შემდეგ გვიჩვენა მასწავლებელმა.

1 ბერეჟიანი ს., ლექსები, „პაემანი მთაწმინდაზე“, „მოგონებანი ვაჟაზე“, პარიზი, 1982, გვ. 39.

ყველა თავის სახეს ეძებდა. ჩემი თავი რომ ვიპოვნე, დავკმაყოფილდი... და სურათი მასწავლებელს გადავეცი.

რომ მცოდნოდა, ვაჟა გახდებოდა ჩემი უსაყვარლესი მგოსანი, მხოლოდ იმის სახეს დავაცქერდებოდი, რათა ყოველი ნაკვთი იმის სახისა დამემახსოვრებინა.

თვალებს ვხუჭავ... ვიგონებ...

– მხოლოდ შავ ჩოხასა ვხედავ.

რომ მცოდნოდა ათი წლის ბავშვს, უცხოეთში ვაჟას სიტყვით გავითბობდი გაყინულ ცხოვრებას, აუცილებლივ მოვიპარავდი სურათს".[2]

იმ წუთებში პატარა ბიჭუნა ვერ აცნობიერებდა ამ შეხვედრის ფასს. ესეც ვთქვათ, მაშინ ალბათ, ვერც კი წარმოიდგენდა, რა შორს მოუხდებოდა ცხოვრება ვაჟასგანაც და სამშობლოდანაც... და მაინც, შავჩოხოსანი პოეტი დაამახსოვრდება! ბერეჟიანის მოგონებებში კიდევ ერთი ფრაგმენტია საინტერესო. შემოდგომის დამდეგს „სანიტრებად ჩაწერილ" ყმაწვილებს დიდი დარბაზის გათავისუფლებას დაავალებენ, ფანჯრების დაწმენდასაც. არცთუ უმიზნოდ:

„მეორე დღეს ვაჟა მოათავსეს ნათელ ოთახში".[3]

საავადმყოფოს თეთრი პერანგი. „ჩამოხეული" ცრემლიანი თვალი, პირველი გასაუბრება. შინ დაბრუნებული სასწრაფოდ კიდევ ერთხელ გადაიკითხავს „გველის მჭამელს". ახლაც ამ სტრიქონებს გაიხსენებს:

მთვარემაც გადმოაშუქა
საჯიხვეების სერითა,
და დააშტერდა თავის მკვლელს
მოზარე ქალის ფერითა.

მოწაფისათვის ამხელა ემოცია იოლი არ იქნებოდა. წლების შემდეგ, სამუშაო მაგიდასთან თავდახრილი შეეცდება, ზუსტად აღიდგინოს დეტალები:

„ფანჯარა გამოვაღე, წმინდა ნინოს საავადმყოფო ელექტრონით იყო გაჩაღებული და... ელექტრონის შუქზე რკინის ლოგინზე ლევდა სულს დაჭრილი მინდია".[4]

1934-1939 წლებში პარიზში გამოდიოდა სოციალ-დემოკრატთა ჟურნალი „სოციალისტური აზრი", სადაც ფსევდონიმით – ქუჩუკ ნაიბი დაიბეჭდა წერილების სერია ვასილ ბარნოვის, მიხეილ ჯავახიშვილის და ზოგადად, იმჟამინდელი მწერლობის შესახებ. მათ შორისაა „ვაჟა ფშაველა". ორიგინალურია წერის მანერაც, მოსაზრებებიც და საინტერესო წასაკითხი გეოგრაფიული არეალის, ურთიერთობების და შეფასების თვალსაზრისითაც.

წერილს ეპიგრაფად ალექსანდრე აბაშელის სტრიქონები უძღვის:

დღეს ხომ ქუხილი არ ისტამბება
და აღარ ყვირის ხარი მთებიდან
ლექსი დაჩრდილა ახალ ამბებმა
ამონაწერმა გაზეთებიდან.

---

2 ბერეჟიანი ს., ლექსები, „პაემანი მთაწმინდაზე", „მოგონებანი ვაჟაზე", პარიზი, 1982, გვ. 54.
3 ბერეჟიანი ს., ლექსები, „პაემანი მთაწმინდაზე", „მოგონებანი ვაჟაზე", პარიზი, 1982, გვ. 54.
4 ბერეჟიანი ს., ლექსები, „პაემანი მთაწმინდაზე", „მოგონებანი ვაჟაზე", პარიზი, 1982, გვ. 54.

ცოტა უჩვეულო კია ამგვარი დასაწყისი ვაჟა ფშაველასადმი მიძღვნილი ლიტერატურული წერილისათვის. უფრო საგაზეთო იმპულსი – სიტყვა: „ამბობენ“ და „ასე არ არის“ გარკვეულ ფორმატს განსაზღვრავს, მაგალითად, ამგვარს:

„ამბობენ: ვაჟა-ფშაველა ხალხთან მივიდაო. ეს ასე არ არის;“

ან: „ამბობენ: ვაჟა-ფშაველა, როგორც პიროვნება ხალხში გაითქვიფაო. არც ეს არის მართალი გაგება;“

ანდა: „ვაჟას თავისი „მე“ არასოდეს ჰქონია“;

ან კიდევ: „სამართლიანად ამბობენ: ვაჟა-ფშაველა მსოფლიო მნიშვნელობის ბუნების მგოსანიაო“.[5]

უფრო დეტალურად. ქუჩუკ ნაიბის აზრით, ვაჟას ხალხთან მისვლა არ დასჭირვებია, რადგანაც ის მის წიაღში დაიბადა; და თუკი მას პიროვნული, როგორც ითქვა, „მე“ არასოდეს ჰქონია, ამაში ხედავს ავტორი მთელ მის ღირსებას. უფრო შორსაც მიდის: „ყოველ მწერალს თავისი წერის ყაიდა აქვს. ვაჟა ისეა შედუღებული მთასთან, რომ მას თავისი წერის ყაიდა არა აქვს, ის მთის ყაიდაზე სწერს. ამით აიხსნება, რომ ვაჟას ლექსები მთიურ ხალხურსა ჰგავს“.[6]

ნაიბისათვის პოეტის პიროვნული თვისებებიც მნიშვნელოვანია. მისი მოსაზრებით, გარშემომყოფები თუ გეოგრაფიული გარემოს ცვლილება არცთუ იშვიათად ცვლის ადამიანს, მაგრამ ვაჟა ვერც ბარში ჩამოსვლამ, ვერც რუსეთმა და იქ გატარებულმა დრომ, ვერც ახალმა ცხოვრებამ ვერ შეცვალა, მასზე ზეგავლენა ვერ იქონია, ის „მთიულად დაიბადა და მთიულად მოკვდა.“ აქვე ცნობილ ფაქტსაც გაიხსენებს, მაშინ, როცა ყველას ეძინა, როგორ დამღეროდა კერიის წინ „ცრემლიანი ვაჟა ჩონგურს“. როგორც იტყვიან, „ცხრა მთას იქით მყოფს“ ძნელად წარმოუდგენია პოეტის სიკვდილი.

ქუჩუკ ნაიბი ლაპარაკობს საქართველოში მთის ისტორიულ დანიშნულებასა და მნიშვნელობაზე: იქნებოდა ეს მტრების შემოსევის დროს ფიზიკური გადარჩენის რეალური შესაძლებლობა, თუ მოსახლეობის მასიური გახიზვნის ან მატერიალური სიმდიდრის შენახვის საჭიროების შემთხვევები. წერილის ავტორის მოსაზრებით, „ვაჟას მნიშვნელობა ქართულ მწერლობის ისტორიაში იგივეა, რაც მთის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში... ქართულ ლიტერატურაში ვაჟამ შეინახა ქართული ზნე და ადათები, საოჯახო და სათემო, ხალხური სიბრძნე და იდეები, ბრძოლის წესები, გმირების სახეები, მათი ბრძოლის ხასიათი, ბრძოლის სურათები.“

ქუჩუკ ნაიბი გასაოცარ, სწორედ ემიგრანტულ ფრაზას დაწერს:

„ვაჟადან მოდის სამშობლოს აღვირ-აწყვეტილი სიყვარული“.[7]

და მაინც, როგორია ეს სიყვარული? ეგებ, ამგვარიც?! ნიმუშად ორ პოეტურ ტექსტს გავიხსენებდი: სხვადასხვა დროსა და სხვადასხვა ქვეყანაში დაწერილს:

თქვენ საჩუქარი მიიღეთ ჩემი:
მსურს სისხლი ჩემი დაფნად დაგფინო –
მკერდნატყვიარი ყვირის ირემი:
„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო“.

---

5 ქუჩუკ ნაიბი, ვაჟა ფშაველა“, ჟურნალი, „სოციალისტური აზრი“, პარიზი, 1937, VII, #6, გვ. 11.
6 ქუჩუკ ნაიბი, ვაჟა ფშაველა“, ჟურნალი, „სოციალისტური აზრი“, პარიზი, 1937, VII, #6, გვ. 11.
7 ქუჩუკ ნაიბი, ვაჟა ფშაველა, ჟურნალი, „სოციალისტური აზრი“, პარიზი, 1937, VII, #6, გვ. 12.

იცვალნენ დრონი, თქვენ კვლავ ძველნი ხართ –
ჭალებო, მთებო შვებით მომზირნო!
დახოცილ ლომთა სისხლით სველნი ხართ,
„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო“.
მსურს, თქვენ ვაზების ზედაშეს ვსვამდე:
მხურვალეს, მზიანს, ჩვენ ქართულ მირონს,
დიდება შენდა უკუნისამდე –
„ჰოი, ნაპირნო, არაგვის პირნო“.[8]

ან:

სადღაც მომივლის, წამაქცევს ბნედა,
განწირულ პოეტს ქუჩები მზრდიან,
ერთხელ მეც მყავდა სამშობლო დედა
მთა წმინდის ღამე და პოეზია.

ახლა კი ვამბობ სრულიად წყნარად:
ნუღარ მაკმარებ დღეებო სასჯელს,
მომეცით ხელში ნალესი დანა,
რომაელივით დავიჭრი მაჯებს.[9]

ისევ პირველთქმულს დავუბრუნდეთ. კრიტიკოს ნაიბის მოსაზრებით, ვაჟას მსოფლიო მნიშვნელობას მისი ბუნებისადმი დამოკიდებულება და გამოხატვის ინდივიდუალობა ანიჭებს. მოზრდილ ამონარიდს მოვიტან:

„ბუნების ცოდნაში მართლაც ვაჟას ტოლი არა ჰყავს. ვაჟა არ არის ბუნების მხოლოდ მგოსანი, ის ბუნების მეცნიერია. იგი ღრმად ჩასწვდა ბუნებას და მისი საიდუმლო თილისმურად ამოხსნა. აქ ის ჯადოქარია; მან იცის ბუნების ენა: ესმის მთების წუხილი, კლდეთა საუბარი, მდინარეების სევდა, მცენარეების, ცხოველების და ფრინველების ვარამი და სიამე... თვით ის ამბავი, რომ ვაჟა სიკვდილის დროს, მისივე თხოვნით, ფოთლებში შეახვიეს, ბუნების გაღმერთების ნიშანია“.[10]

ავტორი ამ მიმართებით არ იშურებს ეპითეტებს პოეტის მისამართით. ასახელებს ნაწარმოებებსაც: „შვლის ნუკრის ნაამბობი,“ „ჩხიკვთა ქორწილი“ და სხვებს. ფრაგმენტულად საუბრობს პოემაზეც „გველის მჭამელი“, უფრო ზუსტად, მინდიას პერსონაჟზე. ის აქ ორგანულ კავშირს ხედავს ადამიანსა და ბუნებას შორის. ბუნება, იგივ, მცენარეები ზრუნავენ ადამიანზე, წამლად ედებიან და როცა „მინდიამ თავის სიკვდილი არჩია ბუნების შეწუხებას. ამით თავისი თავი ბუნებას, როგორც ღმერთს მსხვერპლად მიუტანა და ბუნებამაც იგი ლამაზ ქალივით დაიტირა.“ მოულოდნელად ავტორი ამგვარ დასკვნას გვთავაზობს:

„ვაჟა მეტად ღრმაა და ძნელად ასახსნელი. ამით აიხსნება, რომ ვაჟას მიბაძვაში დამარცხდა ისეთი ხელოვანი, როგორიც არის გრ. რობაქიძე. მისი „ლამარა“ „გველის მჭამელის“ მკრთალი გამოძახილია“.[11]

---

8 გამყრელიძე გ., გვიანი რთველი, ძველი სიმღერა, სანტიაგო დე ჩილე, 1960, გვ. 41.
9 ყიფიანი გ., ლექსები1930-1965, „დღეს დაეფინა“, პარიზი, 1965, გვ. 48.
10 ქუჩუკ ნაიბი, ვაჟა ფშაველა, ჟურნალი, „სოციალისტური აზრი“, პარიზი, 1937, VII, #6, გვ. 17.
11 ქუჩუკ ნაიბი, ვაჟა ფშაველა, ჟურნალი, „სოციალისტური აზრი“, პარიზი, 1937, VII, #6, გვ. 17.

რასაკვირველია, ვრცლად ამ თემას აქ არ შევეხები, მაგრამ ერთი შენიშვნა მაინც მინდა გავაკეთო. „ლამარა“ დაიწერა 1924 წლის პოლიტიკური მოვლენების გამო და გრიგოლ რობაქიძეს, ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის ერთ-ერთ შეთქმულთაგანს, სრულიად სხვა სათქმელი ჰქონდა. თუკი ვაჟასთან მინდია თავს იკლავს, გრიგოლ რობაქიძესთან – თავს სწირავს. ეს სხვადასხვაა. რობაქიძის განმარტებით:

„თავისკვლა ბოლოს და ბოლოს ტრაგედიაც არაა, ესაა უბედურება. თავშეწირვა კი მისტერიის ხტილია“.[12]

ეს მისტერიაა პიესაში გაშლილი. და კიდევ, იმ ახლა უკვე ცნობილ წერილში, რომლის თაობაზეც 60-იან წლებში ჩუმად ლაპარაკობდნენ, გრიგოლ რობაქიძე საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარეს ასეთ რამესაც წერდა:

„ყალბი თავმდაბლობა სრულიად უცხოა ჩემთვის. ვიტყვი პირდაპირ: მე ვერ წარმომიდგენია, არა თუ ვაჟას, თვით ჰომერს „დავესესხო“.[13]

ქუჩუკ ნაიბი არაერთ ლექსსაც გამოარჩევს, ესენია: „იმერეთს“, „ფშაველის სიმღერა“, „ნუგეში მგოსნისა“, „ახალგაზრდა მეგობრებს“, „ათასნაირი ნაღველი“, „ამგლიჯა გული შავმა ყორანმა,“ „ჩვენება“, „ამირანის სიზმარი“... და იქვე, მისთვის სავსებით გამორჩეული:

„ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ ყველასაგან განსხვავებულია“, კომენტართან ერთად საილუსტრაციოდ სტროფებიც მოაქვს:

გულ-მკერდიც აგიყოვდება,
დედაო ია-ვარდითა,
თვალებს ნუ ითხრი ცრემლითა,
გულს ნუ ისერავ დარდითა.[14]

ბარემ აქვე გავიხსენებ, რომ სწორედ ამ სტროფებს და საერთოდ, მთელ ლექსს თავად ამბობს სცენაზე მდგარი ვაჟა ფშაველას პერსონაჟი გრიგოლ რობაქიძის პიესაში „ლამარა“. „ტიროდა გრიგოლ რობაქიძეც, როცა ვაჟას ამ ლექსს ჰკითხულობდა, ჰკითხულობდა და ტიროდა... მთელი დარბაზიც ჰტიროდა“, – იმ დღეებზე დაწერს მინდია ლაშაური პარიზში გამოქვეყნებულ მოგონებაში.[15]

„სოციალისტურ აზრში“ დასტამბული წერილი რამდენიმე გულდაწყვეტილი ფრაზით მთავრდება, რომელთაგან პირველი ვერა, მაგრამ ბოლო ორი ვფიქრობ, გამოსწორებადია:

პირველი „სამწუხაროა, რომ მან ვერ ნახა სანატრელი განთავისუფლებული საქართველო, ვერ მოისმინა სიმღერა თავისუფალი მთებისა, ვერ იხილა მორჩენილი არწივის პირველი ნავარდი.

მეორე სამწუხარო ის არის, რომ ვაჟას გვიან ელირსა საზოგადოების ყურადღება, როდესაც ვაჟა მწერლობაში გამოდიოდა; ვერ გაუგეს, ენა დაუწუნეს. ჩვენს კრიტიკოსებს ხომ სხვა ქვეყნების შეწუხება დასჭირდათ ვაჟას მიმართულების გა-

12 რობაქიძე გრ., კრებული „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, „ვაჟას ენგადი“, „ნიკო ფიროსმანი“, „ქართული გენია როკვით განფენილი“, თბ., 1996, გვ. 181.

13 რობაქიძე გრ., კრებული „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, „ვაჟას ენგადი“, „ნიკო ფიროსმანი“, „ქართული გენია როკვით განფენილი“, თბ., 1996, გვ. 246.

14 ქუჩუკ ნაიბი, ვაჟა ფშაველა, ჟურნალი, „სოციალისტური აზრი“, პარიზი, 1937, VII, #6, გვ. 18.

15 ლაშაური მ. „ქართველი ორფეოსი“, ისტ. ლიტ. სამეცნ. კრებული, „ბედი ქართლისა“, პარიზი, 1964, #47, გვ. 33.

მოსარკვევად, თუმცა ვაჟას ქართული ჩოხა აცვია და არც სჭირია უცხო ქვეყნის ტანსაცმელი“.

და მესამე – „სამწუხაროა, რომ ვაჟა-ფშაველას სახელი უცხოელებს არ გაუგონიათ“.[16]

არაერთგზის ვახსენეთ **გრიგოლ რობაქიძე**, რომლის ინტერესებიც სრულიად განსხვავებულია. მისი არაერთი დაკვირვება და სხვადასხვა ნარკვევში გაბნეული პარალელები თუ ლიტერატურული რემინისცენციები მოცემულ კონტექსტში ვაჟა ფშაველას არაერთ ენობრივ თუ მსოფლმხედველობრივ კონცეფციას გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებს. ის ლექსიც ვახსენეთ, რომელსაც თავის პიესაში გამოიყენებს და ცალკე წერილშიც აღნიშნავს:

„რომ შემეკითხონ, რომელ ნაწარმოებში უფრო ვგრძნობ ქართველობას, ვიტყვი: გიორგი მერჩულეს აღწერა – გადმოშლაში გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებისა. „უფრო“ – ვინაითგან აქ ჰაეროვნულ იფინება ზემიწიერი ქართულ მიწაზე. ხოლო თუ შემეკითხენ, თვითონ მიწას, ქართულ მიწას, რომელ ნაქმში უფრო განვიცდი, ვიტყვი: ვაჟას შაირში „ფშაველი ჯარისკაცის წერილი“ და არ გაგიკვირდეთ, უიარაღოს (თათარიშვილის) „მამელუკის“ ბოლო სცენაში“.[17]

თითქოს თვალის ერთი გადავლებით განსაზღვრავს „ქართველობას“ მწერლობაში. მხოლოდ მისთვის გამოკვეთილ ფუნქციას მიანიჭებს და ამასთან, არც „მიწის“ გამორჩეული ფენომენის ხაზგასმა დაავიწყდება. პირიქით, ამოსავალი სწორედ ის გახდება. დიდი ქართველი პრიმიტივისტისადმი მიძღვნილ წერილს „ნიკო ფიროსმან“, იგი ამგვარად დაიწყებს:

„მიწის საშო ევროპაში ამოიშრიტა. ყოველ შემთხვევაში იგი დამწირების ხანშია.....მიწის დასნეულებას თან სდევს მარტოობა უკანასკნელი და ევროპიულ ხასიათს მელანქოლია იფლობს“.[18] აქვე ახსენებს რუსსოს, ტოლსტოის, პოლ გოგენს და მის ტაიტურ თავგადასავალს, ხოლო უშუალოდ მხატვარზე საუბრისას წერს:

„მთავარი მოტივი ფიროსმანის არის „ქართული მიწა“. მე არ შემიძლია მეორე სახელი დავასახელო, გარდა ვაჟა ფშაველასი, რომელსაც ასეთი სიძლიერით ეგრძნოს მიწის „დედობა“.[19]

პარიზში 1926 წლიდან გამოდიოდა გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“, რომლის ფურცლებზეც სრულიად განსხვავებული ავტორები იბეჭდებოდნენ. ეს გასაგებიცაა, რადგანაც გაზეთი წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატიული, ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური, სოციალისტ-რევოლუციური პარტიების გაერთიანებული ფრონტის ორგანოს. ამდენად, ერთმანეთის გვერდით იბეჭდებოდნენ: ნოე ჟორდანია, შალვა ამირეჯიბი, გიორგი გვაზავა, ვიკტორ ნოზაძე, ნოე რამიშვილი, მიხეილ წერეთელი, რაფიელ ინგილო-ივანიცკი, ექვთიმე თაყაიშვილი, ივანე ზურაბიშვილი და სხვები. განსხვავებული ადამიანები, განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებებითა და ლიტერატურული გემოვნებით.

---

16 ქუჩუკ ნაიბი, ვაჟა ფშაველა, ჟურნალი, „სოციალისტური აზრი“, პარიზი, 1937, VII, #6, გვ. 20.

17 რობაქიძე გრ., კრებული „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, „ვაჟას ენგადი“, „ნიკო ფიროსმანი“, „ქართული გენია როკვით განფენილი“, თბ., 1996, გვ. 279.

18 რობაქიძე გრ., კრებული „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, „ვაჟას ენგადი“, „ნიკო ფიროსმანი“, „ქართული გენია როკვით განფენილი“, თბ., 1996, გვ. 184.

19 რობაქიძე გრ., კრებული „ჩემთვის სიმართლე ყველაფერია“, „ვაჟას ენგადი“, „ნიკო ფიროსმანი“, „ქართული გენია როკვით განფენილი“, თბ., 1996, გვ. 185.

ერთი წერილი მინდა გამოვყო. „დამოუკიდებელი საქართველოს“ №119 ნომერში 1935 წელს დაიბეჭდა **ისიდორე მანწკავას** „ვაჟა ფშაველა“, რომელიც პოეტის გარდაცვალების ოცი წლისთავზე დაიწერა. საინტერესო წერილში საუბარია დიდი პოეტის მნიშვნელობაზე და ხაზგასმულია ის განსხვავება, რომლითაც ის გამორჩეული ფიგურა იყო ქართულ მწერლობაშიც და შესაბამისად, ქართველი მკითხველისთვისაც. ვკითხულობთ:

„ვაჟა განსხვავებულია თავის შემოქმედებაში ისე, როგორც არც ერთი ქართველი მწერალი. და ეს შემოქმედება ათასწლოვან ქართულ მითოსის სინედლიდან მოდის. მისი პოემის გმირები გამოკვეთილია ამ მითიურ მასალიდან. ეს გმირები ხორციელად და სულიერად განუკვეთელია ვაჟას პიროვნებისაგან, თუ პირიქით: ვაჟაა მათგან განუკვეთელი. მისი პიროვნული ცხოვრება და მისი ლირიკა ამტკიცებს ამას“.[20]

ისიდორე მანწკავა ზოგად ჭრილში განიხილავს ვაჟას აზროვნების ე.წ. „გეოგრაფიას“, რომელმაც მისი აზრით, ლიტერატურათმცოდნეებიც შეცდომაში შეიყვანა. კრიტიკოსისათვის ფშავ-ხევსურეთი არაა საქართველოს ნაწილი, ის მთელი საქართველოა, რომლის ერთი დიდი მონაკვეთიც დროთა განმავლობაში გატყდა, დაძაბუნდა. ეს განსაკუთრებით მის ბარს დაეტყო. ბარმა დაკარგა ის, რაც მთაში შემორჩა. თავისი მოსაზრების განსამტკიცებლად მანწკავა იმოწმებს გერონტი ქიქოძის სიტყვებს, რომ „ფშავ-ხევსურეთი გადაურჩა როგორც ქართული ფეოდალიზმის, ისე უცხოელი დამპყრობლების შეტევას, როგორც ზურაბ ერისთავის, ისე შაჰ-აბაზის რაზმებს, მას არასოდეს არ უტარებია ბატონყმობის მძიმე უღელი და მოუდრეკელი, თავისუფალი სული მოიტანა მეცხრამეტე საუკუნემდე“.[21] ამ აზრს გააგრძელებს მანწკავა და დაასკვნის, რომ მართალია, გარეგნულად მშვიდობა იყო დამყარებული და ერთგვარი ეკონომიური წარმატებაც თითქმის მიღწეული, მაგრამ შინაგანად ეროვნული „დაჩიავების და გადაგვარების ხანა“ გახლდათ. ვაჟა ფშაველამ ეს საფრთხე მთელი სიმწვავით გააცნობიერა. ამისათვის მიმართა მან მითოსს, რომლის მთავარი არსი, „ფორმა“, როგორც ლიტერატორი მიიჩნევს, „ბუნებრივი მდგომარეობა“ იყო, რათა ავტორს ქართული გმირობა, ვაჟკაცობა, ერთგულება, თავისუფლებისადმი სწრაფვა (არა თვალშისაცემად) საკუთარი მკითხველისათვის შეეხსენებინა. მითოსი ძალიან დაეხმარა ამ სათქმელის მხატვრულ ტრანსფორმირებაში. მან ეს ფორმა წარმატებით გამოიყენა. კიდევ უფრო გაამკვეთრებს სათქმელს კრიტიკოსი, როცა დაწერს:

„იგი აკაკისავით გარემოების საყვირად არ გადაიქცა, ცრემლად არ დადნა, ილიასავით ღმერთს თავი არ დაანიშვნია ერის წინამძღოლად. ვაჟა მთიულეთის ქართულ მითოსში შეიჭრა, სადაც ჩვენი ეროვნული სულის მძლეობა ჯანსაღად იყო გადარჩენილი“.[22]

იქვე, ძალიან ზუსტად გააგრძელებს აზრს, როდესაც დაწერს:

„შემთხვევითი არაა ის გარემოება, რომ ილია ჭავჭავაძემ ეროვნული იდეოლოგიის დადგენისათვის პირველად მოხევე აალაპარაკა თავისი საკუთარი კილოთი და სულის შინაგანი მძლეობით. და თქვენ გრძნობთ, რომ მოხევეში ჩამორჩენილი

---

20 მანწკავა ი., ვაჟა- ფშაველა , გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ , პარიზი, 1935, #119, გვ. 13.
21 მანწკავა ი., ვაჟა- ფშაველა , გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ , პარიზი, 1935, #119, გვ. 20.
22 მანწკავა ი., ვაჟა- ფშაველა , გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო“ , პარიზი, 1935, #119, გვ. 15.

კუთხის წარმომადგენელი კი არ ლაპარაკობს, არამედ ქართული რასა, ქართული სისხლი, ქართული ნებისყოფა, ცინცხალი, შეურყვნელი, ანკარა."

ქართველი ემიგრანტის ყურამდე იმ აზრსაც მიუღწევია, როცა მავანნი ვაჟას „ჩამორჩენილად" მიიჩნევდნენ. ამაზეც თავისი პასუხი აქვს. როცა ნეოლოგიზმებით არეული ქართული ბარის მეტყველება ასე მოედო ქვეყანას, მან სწორედ ფშავ-ხევსურული კილო შემოიტანა, რადგანაც გმირობის, ჰეროიკის ჩვენება სხვა ფორმით ვერ წარმოედგინა, თორემ ის სრულყოფილად ფლობდა ქართულ სალიტერატურო ენას, რომელიც როცა დასჭირდა, პროზაში გამოავლინა.

ვაჟამ „რუსულ განათლებას – ქართული სულის სიმდიდრე, ხოლო ელექტრონის, ორთქლის, ფრაკის, რუსულ ფარაჯის და ჩინ-მენდლების ეპოქას – ჩაფხუტით, ჩოხით და ხანჯალით დაუდგა წინ. ეს იყო დიდი პროტესტი და არა ჩამორჩენა."

პოეტზე დაწერილი წერილი ვერ ასცდებოდა ბუნებისა და მისადმი დამოკიდებულების ხსენებას. ეს ჩვეულებრივი ფაქტია ვაჟასადმი მიძღვნილ სტატიებში. კრიტიკოსი პანთეიზმზე საუბრობს, ასევე, კომპოზიციის საოცარი შეგრძნების და ტექნიკის უნარზე. მისი მოსაზრებით, ვაჟა არც პრაქტიკული მოღვაწე გახლდათ და არც პოლიტიკოსი, ის ფილოსოფიური მჭვრეტელია. წერილში დამოწმებულია სტრიქონებიც; ვრცელ ამონარიდს მოვიტან ავტორისეული კომენტარითურთ:

„სამშობლოს არვის წავართმევთ,
ნურც ნურვინ შეგვეცილება,
თორემ ისეთ დღეს დავაყრით,
მკვდარსაც კი გაეცინება.

ვაჟა ამას ამბობს მაშინ, როცა ჩვენი სამშობლო უკვე წართმეული გვქონდა რუსების მიერ, მაგრამ იგი თვალს არიდებს ამ საშინელ სინამდვილეს, და ათასწლოვან მითოსის სტიგმატებით ატანილი ემუქრება მტერს... მთელ მეცხრამეტე საუკუნეში ყველაზე მეტად ვაჟა იყო დარწმუნებული საქართველოს აღდგენასა და გამარჯვებაში.

მასში ყველაფერი ქართული იყო და არაფერი არაქართული!

მისთვის ლეგენდა და მითი ნამდვილად მომხდარი ამბებია. კიდევ მეტი, თითქო ვაჟა მონაწილეობას ღებულობდეს მასში".[23]

როგორც ვთქვი, ეს წერილი 1935 წელს დაიწერა. საფრანგეთში მყოფი ემიგრაცია თითქმის ყველაფერს ადევნებდა თვალ-ყურს: როგორც პოლიტიკურს, ასევე, კულტურულ სფეროსაც. აკი სულ რამდენიმე წლის წინ ჩამოერთვათ პოლიტიკური დევნილების ოფიციალური სტატუსი. მათთვის ბევრი რამ ბუნდოვანია და გასარკვევი. ყველაზე მშვიდი წასაკითხი მაინც ლიტერატურული წერილებია, თუნდაც ისიდორე მანწკავას წერილი, რომელსაც ავტორი კატეგორიული ფრაზით დაასრულებს:

„დღეს ჩვენი ერის ყველაზე მძიმე, კრიტიკულ ხანაში ვაჟა განსაკუთრებული ყურადღების ღირსი უნდა იყოს, რადგან მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსებიდან ყველაზე უფრო მთლიანია მისი შემოქმედება".[24]

მთლიანობა და გაძლება სჭირდებოდა ქართველობას...

---

23 მანწკავა ი., ვაჟა- ფშაველა , გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო" , პარიზი, 1935, #119, გვ. 16.

24 მანწკავა ი., ვაჟა- ფშაველა , გაზ. „დამოუკიდებელი საქართველო" , პარიზი, 1935, #119, გვ. 16.

RUSUDAN NISHNIANIDZE

Vazha Pshavela and Accents of the national ideal through the Eyes of immigrant authors

Summary

It is common knowledge that in history everything gradually finds its place – this is an objective process. In parallel, however, the reappraisal of many facts and events takes place. There are persons who have played an important and often decisive role in the history and culture of a country. Much has been written about them.

Vazha Pshavela is a great poet. It was written both in Georgia and abroad. Literary studies actively discussed his literary legacy. The article talks about opinions printed in different foreign countries.

მაია ცერცვაძე

აკაკი ბელიაშვილის არქივიდან – ამერიკული შეხვედრების კიდევ ერთი ფოტომატიანე

ჟურნალ „ქართული ემიგრაციის“ წინა ნომერში (№9 2020/2021) დაიბეჭდა ჩვენი პუბლიკაცია „აკაკი ბელიაშვილის არქივიდან – ამერიკული შეხვედრების ფოტომატიანე“, რომელიც მიეძღვნა მწერალ აკაკი ბელიაშვილის (1903-1961) საოჯახო არქივში დაცული ფოტოების გამოქვეყნებას. ეს ფოტოები, როგორც აღვნიშნავდით, გადაღებულია 1960 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში, როცა იქ მწერალმა კინემატოგრაფისტთა საკავშირო დელეგაციასთან ერთად იმოგზაურა. საქართველოდან მას ახლდნენ კოლეგები – კინორეჟისორი კონსტანტინე (კოლია) პიპინაშვილი (1912-1969) და კინოოპერატორი ფელიქს ვისოცკი (1909-1982).

დასახელებული ფოტოები ასახავს ნიუ-იორკში აკაკი ბელიაშვილისა და მისი თანამგზავრების შეხვედრის ეპიზოდებს ამერიკის შეერთებულ შტატებში ემიგრირებულ ორ ცნობილ ქართველთან: პროფესიონალ მოჭიდავე, მოჭადრაკე და მსახიობ ნიკოლოზ (კოლა) ქვარიანთან (1903-1980) და ქართველ მწერალსა და მოქანდაკესთან, ცნობილი ბესტსელერის ‘Anything Can Happen’ (1944) ავტორთან ჯორჯ (გიორგი) პაპაშვილთან (1898-1978).

იმავე მცირე ზომის ფოტოალბომში, რომელიც ჩვენ მწერლის შთამომავლებმა გვისახსოვრეს, მოთავსებულია პოლაროიდით გადაღებული სხვა ფოტოებიც, რომლებიც ამჯერად გვინდა გავუზიაროთ და გავაცნოთ მკითხველს.

ისინი გადაღებულია ასევე ნიუ-იორკში, კოლა ქვარიანისავე ბინაში – სასტუმრო „შოტლანდის“ ოცდამეორე სართულზე, ოროთახიან ნომერში, სადაც იგი მეუღლესთან სიდონია ნოვაკთან ერთად ცხოვრობდა.

ფოტოებზე გამოსახულია თავად მასპინძელი კოლა ქვარიანი, საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის (ამჟამად ქართული ნაციონალური ბალეტი – „სუხიშვილები“) დამფუძნებელი და ხელმძღვანელი ილიკო სუხიშვილი (1907-1985) და ანსამბლის სოლისტები გრიგოლ (გიზო) ბერაძე (დაბ. 1930) და იასონ (იაშა) ზედაშიძე (1930-2010), ასევე ანსამბლის საკონცერტო პროგრამა და საქართველოდან ჩატანილი წიგნები.

ეს ფოტოები, რომლის ავტორი, სამწუხაროდ, ჩვენთვის უცნობია, როგორც ჩანს, აკაკი ბელიაშვილს უსახსოვრა და საქართველოში გამოატანა კოლა ქვარიანმა, რომელსაც მწერალი თანამგზავრებთან ერთად 1960 წლის ივლისში ესტუმრა. ამ სტუმრობის ეპიზოდს ის ვრცლად აღწერს თავის მოგონებებში: „ამერიკაში პარიზზე გავლით“.[1]

1 ა. ბელიაშვილი, ამერიკაში პარიზზე გავლით, რედაქტორი და წინათქმის ავტორი პროფესორი რ. ნიშნიანიძე, თბ., 2015, გვ. 183-204.

ფოტოები გადაღებული უნდა იყოს ანსამბლის საგასტროლო ტურნეს დროს 1960 წლის გაზაფხულზე, როდესაც მან კონცერტები გამართა ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში.

ქართლოს კასრაძე, აღწერს რა ამ საგასტროლო ტურნეს წიგნში „ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე“, წერს, რომ ანსამბლი 17 მარტს ჩაფრინდა ნიუ-იორკში, სადაც მან 20-დან 27 მარტამდე პერიოდში 5 კონცერტი გამართა „მეტროპოლიტენ-ოპერაში“ და შემდეგ გასტროლები გააგრძელა სხვა ქალაქებში. მისი მარშრუტი იყო: ბოსტონი – ჩიკაგო – დეტროიტი – დენვერი – ლოს-ანჟელესი – პიტსბურგი – ვანკუვერი – ტორონტო – მონრეალი – ბალტიმორი – ფილადელფია – ვაშინგტონი – ნიუ-იორკი. 1 აპრილს ანსამბლი უკვე ბოსტონშია, ხოლო კანადაში გასტროლების შემდეგ მაისის ბოლოს გავლით ეწვია ვაშინგტონსა და ნიუ-იორკს, სადაც გამართა გამოსათხოვარი კონცერტი.

26 მაისს ანსამბლმა დატოვა ამერიკის შეერთებული შტატები და კუნძულ კუბაზე გაემგზავრა.[2]

ილიკო სუხიშვილისა და ანსამბლის სოლისტების სტუმრობა კოლა ქვარიანთან უნდა შემდგარიყო მარტში ან მაისში, როცა ისინი ნიუ-იორკში იმყოფებოდნენ.

ფოტოებზე გამოსახული პირების ამოცნობაში გაწეული დახმარებისათვის მადლობას ვუხდით ბატონ **თენგიზ უთმელიძეს** – ანსამბლის ცნობილ მოცეკვავეს, მის ამაგდარსა და მემატიანეს, ჟურნალისტს, თბილისის საპატიო მოქალაქეს.

მწერალ აკაკი ბელიაშვილის არქივის ეს ფოტოკოლექცია, ვფიქრობთ, საგულისხმო წყარო და მასალაა როგორც მწერლის ბიოგრაფიის, ასევე ქართული ცეკვის ლეგენდრული ანსამბლისა და ქართული ემიგრაციის ისტორიისათვის.

ფოტოების შესახებ:

ფოტო 1-ზე გამოსახულია ილიკო სუხიშვილი. მის უკანა მხარეს წარწერაა ინგლისურ ენაზე:


April/60
Iliko Sukhishvili
Artistic director Stalin Prize Laureate
People's Artist of the USSR

აპრილი/60
ილიკო სუხიშვილი
სამხატვრო ხელმძღვანელი
სტალინური პრემიის ლაურეატი
სსრკ სახალხო არტისტი

ძნელია ზუსტად იმის თქმა, რას გამოხატავს წარწერა „აპრილი/60“, რომელიც არ ემთხვევა ზემოთგამოთქმულ ჩვენს ვარაუდს ფოტოების გადაღების თარიღის შესახებ.

2 ქ. კასრაძე, ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე, თბ., 1971, გვ. 207-240.

ფოტოები 2 და 7: გიზო ბერაძე;
ფოტო 3 (მარცხნიდან): გიზო ბერაძე, კოლა ქვარიანი, იაშა ზედაშიძე;
ფოტოები 4, 5 (მარცხნიდან): გიზო ბერაძე, იაშა ზედაშიძე;
ფოტო 6: იაშა ზედაშიძე;
ფოტო 8: ანსამბლის საკონცერტო პროგრამა;
ფოტო 9: წიგნები, რომლებიც მასპინძლისთვის საქართველოდან ჩაუტანია ილიკო სუხიშვილს, მათ შორის: 1959 წელს გამოცემული აკაკი ბელიაშვილის „მხიარული მოთხრობები“ და `Anthology of Georgian-Poetry`, ვენერა ურუშაძის მიერ ინგლისურ ენაზე 1958 წელს გამოცემული „ქართული პოეზიის ანთოლოგია“. ფოტოს უკანა მხარეს წარწერაა: `Brings from Georgia by Iliko Sukhishvili John Gunthern writes about this book `Inside Russia` – „ჩამოტანილია საქართველოდან ილიკო სუხიშვილის მიერ. ჯონ გუნტერი წერს ამ წიგნის შესახებ თავის „ინსაიდ რაშა“-ში“. იგულისხმება 1958 წელს გამოცემული წიგნი 'Inside Russia Today' , რომლის ავტორია ამერიკელი ჟურნალისტი და მწერალი ჯონ გუნტერი (1901-1970), სახელგანთქმული პოპულარული სოციოპოლიტიკური ნაშრომების სერიით: `Inside` books.



ფოტო 1.




ფოტო 2.



ფოტო 3.



ფოტო 4.



ფოტო 5.



ფოტო 6.



ფოტო 7.



ფოტო 8.



Brought from
Georgia by
Dika Dukhishvili.
John Quentin Zjritas
about the book in
"Linda Rosa".

ფოტო 9.

ლალი ცომაია

ივანე ნანუაშვილის ეპისტოლური მემკვიდრეობიდან

მასალები ქართული ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის

ივანე (ვანო) ნანუაშვილის დღემდე გამოუქვეყნებელ 46 წერილზე დაყრდნობით შევეცადეთ, წარმოგვეჩინა ნიუ-იორკში ქართველ ემიგრანტთა მიერ 1952 წელს დაარსებული პოლიტიკური ორგანიზაციის – „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ შექმნის ისტორიის უცნობი მხარეები და ვანო ნანუაშვილის როლი ამ ორგანიზაციის დაარსებაში.

ეს წერილები საქართველოსა და კავკასიის მინიატიურულ რუკებთან ერთად, 1948-1959 წლებში, იგზავნებოდა ლონდონიდან და ბოსტონიდან. ადრესატები იყვნენ: ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილი, ლევან (ჯონჯი) დადიანი, ედნა კარლტონ-დადიანი, მიხეილ (მიშა) დადიანი, სანდრო ბარათელი (გიორგი პიტავა), გიორგი (გოგი) ღოღობერიძე და ვლადიმერ (ლადო) არველაძე.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მეტი კონსპირაციისათვის ალექსანდრე სულხანიშვილს საპასუხო ბარათები „სპეციალური კილოთი“ უნდა დაეწერა, ე. ი. ისე, რომ მხოლოდ ვანო ნანუაშვილისათვის ყოფილიყო გასაგები.

ბარათებიდან ირკვევა, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ დაარსების ინიციატორი და მენტორი „სამხედრო ექსპერტი“ ივანე ნანუაშვილი ყოფილა. თუმცა, მასთან ერთად, ორგანიზაციის შექმნაში დიდი დამსახურება მიუძღვით: ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილს, ჯონჯი (ლევან) დადიანს და მის მეუღლეს ედნას.

აქვე უნდა აიხსნას, თუ რით იყო გამოწვეული ამერიკის შეერთებული შტატების და დიდი ბრიტანეთის სამხედრო წრეების ქართული და საერთოდ, კავკასიური ემიგრაციით დაინტერესება.

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, ახალი, ამჯერად „ცივი ომი“ დაიწყო: ნაცისტური გერმანიის წინააღმდეგ მებრძოლმა მოკავშირეებმა – ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და საბჭოთა კავშირმა – ერთმანეთს ატომური ბომბები დაუმიზნეს.

დაპირისპირების მიზეზი კი ორივე მხარეს ჰქონდა: აშშ-მ თავისი შეხედულება ჩამოაყალიბა „ერთიანი მსოფლიოს“ (One world) კონცეფციის სახით, რომელიც სსრკ-თან თანამშრომლობასაც გულისხმობდა და ამასთან, „ერთიან თავისუფალ ბაზარს“ (One market) უნდა დაფუძნებოდა. სწორედ ეს გახდა განხეთქილების ერთ-ერთი მიზეზი: „ერთიანი ბაზრის“ ამოქმედების შემთხვევაში გაიზრდებოდა აშშ-ს პოლიტიკური გავლენის სფეროები, რაც მეორე მხარისათვის მიუღებელი აღმოჩნდა, რადგან სტალინი ახალმოპოვებული ბაზრების შენარჩუნებას თავადაც გეგმავდა. ცივი ომის მეორე, უმთავრესი მიზეზი კი ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში ერთა თვითგამორკვევის პრინციპის შელახვა გახდა. კრემლი ამ სახელმწიფოებში მორჩილ რეჟიმს ქმნიდა და გავლენის სფეროებს თავად იფართოებდა, რაც სრულიად ეწინააღმდეგებოდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის ინტერესებს. დასავლეთ ევროპა მოახლოებულ ხიფათს გრძნობდა და ამის გამო იყო, რომ უინსტონ ჩერჩილმა 1946 წლის 5 მარტს, ამერიკის ქალაქ ფულტონში (მისურის შტატი) განაცხადა, რომ „აღმოსავლეთ ევროპას რკინის ფარდა ჩამოეფარა“-ო და მსოფლიოს თავისუფალ ერებს კომუნიზმის წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობისკენ მოუწოდა.[1]

დასავლეთ ევროპისთვის კომუნიზმის რეალური საფრთხის აცილების მიზნით, უკვე 1949 წლის 4 აპრილს შეიქმნა სამხედრო-პოლიტიკური ჩრდილოატლანტიკური ალიანსი – ნატო, რომელშიც ათი ევროპული ქვეყანა (დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, ბელგია, ნიდერლანდები, დანია, ლუქსემბურგი, ისლანდია, ნორვეგია, პორტუგალია) და ჩრდილოეთ ამერიკის ორი სახელმწიფო (აშშ და კანადა) გაერთიანდა. ხოლო 1955 წლის 14 მაისს, საბჭოთა სისტემამ შექმნა ნატოს საპირისპირო ვარშავის ხელშეკრულების ბლოკი, რომელშიც საბჭოთა კავშირის გარდა, აღმოსავლეთ ევროპის შვიდი ქვეყანა (ალბანეთი, ბულგარეთი, უნგრეთი, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, პოლონეთი, რუმინეთი და ჩეხოსლოვაკია) შევიდა.

ქართველი და კავკასიელი ემიგრანტები ცდილობდნენ, არ ჩამორჩენოდნენ იმხანად მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს და მიიჩნევდნენ, რომ სწორედ აშშ იყო ის ქვეყანა, რომელიც ახალი ომის დაწყების შემთხვევაში შეძლებდა საბჭოთა კავშირის დამარცხებას და მათი ქვეყნების გათავისუფლებას რუსეთის ბატონობისაგან.

წერილების გაცნობის შემდეგ ცხადი ხდება, რომ ვანო ნანუაშვილი დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დაზვერვასთან შეთანხმებით მოქმედებდა და რაკი ამერიკის შეერთებულ შტატებში და არგენტინაში მრავლად იყვნენ ყოფილი იუნკრები: მიხეილ (მიშა) დადიანი, ვახტანგ აბაშიძე, სვიმონ (სიკო) კობიაშვილი, გიორგი (გიგა) მრელაშვილი, დავით (დოლიკა) ვაჩნაძე, ალექსანდრე (საშა) ჯინჭარაძე და სხვები, მიიჩნევდა, რომ სამხედრო ორგანიზაციის შექმნამდე ხელმძღვანელობა „იუნკერთა კავშირს“ და ამერიკაში მის წარმომადგენელს მიხეილ (მიშა) დადიანს დაკისრებოდა.

ამასთან ერთად, ალექსანდრე სულხანიშვილს და მიხეილ დადიანს ავალებდა (1948 წლის 12 იანვარი): „აუცილებელია, რომ მანდაურ კოლონიის გამგეობაში ერთი თქვენთაგანი: ან შენ ან მიშა უეჭველად გახვიდეთ. საქმე იმაშია, რომ ეგ პუნკტი უეჭველად აქტიურად უნდა იქცეს ქართულ საქმისთვის და მეორე მხრივ, ნელ-ნელა და უმტკივნეულოდ ჩამოაშოროთ რუსებს. არგენტინაში ეხლა ჩვენი ხალხი ბევრი მოგროვდა და მალე ეს კოლონია უფრო გაიზრდება. ყველა აქტიური ელემენტი კონტინენტიდან იქ მიდის. იქ შერიფი მრელაშვილია და ყველაფერი ჩვენ

1 http://www.ianusi.com › 2018/03 › blog-post_41.

ხაზზედ ვითარდება. მეორე პუნქტი მანდ უნდა შეიქმნას და მესამე არის აქ, ლონდონში. აი, ეს იქნება ის სამკუთხედი, რომელსაც დეეყრდნობა მთელი ქართული და კავკასიური ემიგრაცია, როცა კონტინენტი დაპყრობილი იქნება. და აქ უნდა იყოს სრული შეთანხმებული და აზრიანი მუშაობა. ეს იქნება პირველი და აუცილებელი ნაბიჯი ჩვენ მუდამ აწეწილ საქმეების დასალაგებლათ. მაინც და მაინც პირველად დიდი არაფერი მოთხოვნილება მაგ კოლონიისადმი არ იქნება. საჭიროა მხოლოდ ერთი: იყოს ქართული ორგანიზაცია, რომელიც ხაზს გაუსვამს თავის ქართველობას, დაიჭერს კონტაქტს დანარჩენ ქართულ კოლონიებთან, ხოლო მანდ მოიპოვებს გავლენიან ნაცნობებს და სიმპატიებს ქართულ საქმისთვის. ხოლო თუ ოდესმე ერთხელ მოახერხეს, რომ ერთ-ერთ ქართველს მისცენ ხოლმე საშუალება, ან ვიზების აღება, რომ ამ სამ კოლონიას ჩამოუაროს ხოლმე, ეს ხომ უკვე დიდი საქმე იქნება“.[2]

მართალია, ქართველი ემიგრანტები ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ახალი პოლიტიკური ორგანიზაციის შესაქმნელად, მაგრამ ამ შემთხვევაშიც თავი იჩინა ჩვეულმა სენმა – განხეთქილებამ და უთანხმოებამ. ალექსანდრე სულხანიშვილსა და ჯონჯი დადიანს, მიხეილ დადიანთან ურთიერთობა დაეძაბათ და საერთო ენის გამონახვა გაუჭირდათ. ვანო ნანუაშვილი იძულებული გახდა ჩამოეშორებინა მიხეილ დადიანი ამ საქმისათვის. 1948 წლის 23 ნოემბერით დათარიღებულ წერილში იგი წერდა: „საუბედუროთ, მიშა ვერ გამოდგა დანიშნულების შესაფერად. ისიც სამადლობელოა, რომ თქვენთან მაინც მოგვიხერხა კავშირის გაბმა. რასაკვირველია, ნელ-ნელა თანამდებობიდან მოხსნილი იქნება. მხოლოდ ეს აუცილებელია ისე მოხდეს, რომ ამერიკელებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდეთ მანდ მომხდარ განხეთქილებაზედ და უთანხმოებაზედ. მიშას მხოლოდ ერთი ინსტრუქციაღა აქვს: „თუ ამერიკელებმა მიმართეს, ყველა საკითხებზედ უპასუხებს, რომ სასურველია, მოელაპარაკონ ლონდონის ცენტრს“. ე. ი. მისი დანიშნულება ნელ-ნელა ჩაქრება ბუნებრივი სახით“.[3]

მრავლისთმთქმელია ვანო ნანუაშვილის 1948 წლის 14 სექტემბრით დათარიღებული წერილი, სადაც ალექსანდრე სულხანიშვილს და ჯონჯი დადიანს მადლობას უხდის გაწეული სამსახურისათვის და დაწვრილებით აცნობს იმხანად არსებულ „საერთო პოზიციას“ და შემდგომი მოქმედების გეგმას: „ჩემო საშა, ის, რაც გაკეთდა ეს უკვე დიდი შედეგია და აუცილებელი პირველი აგური. ეს სულ ერთია აქ ვინმე მოვა თუ არა, ან თუ შემდეგი ნაბიჯები დაგვიანდა. ყველაფერი მომავალში მაგ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მხოლოდ ამ ნიადაგს დეემყარება, რომელიც თქვენი საერთო ღვაწლით ამ საქმეს ჩაეყარა. მეორე მხრივ, ჩვენი მომავალი მოითხოვს მჭიდრო მუშაობას სწორეთ მაგ სახელმწიფოსთან და არა სხვა რომელიმესთან. ამიტომ მთელი სამხედრო ორგანიზაცია დიდ მადლობას გიძღვნით და გამგეობის დავალებათ მაქვს გადმოგცეთ, რომ ამ ღვაწლს იგი არასოდეს არ დაივიწყებს.

გთხოვ, გადაუთარგმნო ეს ქალბატონ ედნას და გადასცე ჯონჯის. მაქვს გამგეობის დავალება, გადმოგცეთ:

ბატონო ჯონჯი, დიდი მადლობელი ვართ, რომ ამ საქმეში გამოიჩინეთ უდიდესი ქართული პატრიოტის ღირსება, რომელიც ახასიათებს ქართველებს ჩვენი დიდების ხანიდან და ეხლანდელ დიდ ერთა შვილებს. უდიდესად გმადლობთ, რომ

---

2 პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, ივანე (ვანო) ნანუაშვილი – ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილს და მიხეილ (მიშა) დადიანს (ლონდონი, 12 იანვარი, 1948 წ.), ფ. 1-2.

3 პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, ივანე (ვანო) ნანუაშვილი – ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილს (ლონდონი, 23 ნოემბერი, 1948 წ.), ფ. 2 (1-3).

მიუხედავად პირადი უკმაყოფილების ჩვენ წარმომადგენელთა, საქართველოს საერთო ინტერესებისთვის, არ გაუწიეთ ამას ანგარიში და საერთო საქმეში გაუწოდეთ მას ხელი. ეს იყო ძველ ქართველთა ტრადიცია, რომ სამშობლოს საქმეებში პირადი ანგარიშები უკუგდებული იყო მუდამ ჩვენი ერის დიდების ხანაში.

თქვენი ოჯახის მიერ საერთო გზის პირველ გაკაფვას, როგორც ისტორიულ მომენტს ვერავინ ვერ გააბათილებს და არავინ არ დაივიწყებს, ვისაც კი საქართველოს მომავლის აშენებაში რამე სიტყვა ექნება...

ეხლა, საშა, ვინაიდან თქვენ ხშირად მოგმართამენ მანდ, სასურველია, შევაფასოთ ჩვენი საერთო პოზიცია ყველა საკითხებში, რომ ყველგან ერთგვარათ ვლაპარაკობდეთ.

როგორც დაინახავდი მაგათ აინტერესებთ: მთლიანი საქართველო და ქართული საზოგადოება, მთლიანი კავკასია და კიდევ რომელ ერის დაკავშირებას მოვახერხებთ მომავალში რუსეთის წინააღმდეგ.

ჩვენი პოზიცია ამ საქმეში შემდეგია:

1. ქართულ საზოგადოებაში.

არავითარ შინაგან ჩვენ შეხლაზედ ან უთანხმოებაზედ მაგათ არავითარი წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეთ.

სამხედრო კავშირს აქვს ურთიერთობა ყველა ქართულ პარტიასთან, რომელიც ზდგას ჩვენი ერის თავისუფლების ნიადაგზედ (ყველა, გარდა კომუნისტების) პარტიები აქციის დროს შეთანხმდებიან პარლამენტარულ ნიადაგზედ. თუ ეს თითონ ვერ მოახერხეს, ამას მივაღწევთ სამხედრო კავშირის შუამდგომლობით და ამორტიზაციით. ისე, რომ აქციის დროს, მთელი ქართული ემიგრაცია პარლამენტარულ პრინციპზედ გაერთიანდება სამხედრო ორგანიზაციის გარშემო.

2. კავკასიის ერთა შორის. აქაც, თუ პარტიები ვერ მორიგდნენ ყველა კავკასიელ ერთა სამხედრო ორგანიზაციები და ჯგუფები სამხედრო ორგანიზაციის გარშემო გაერთიანდება.

ამის ნიადაგი და წინასწარი მუშაობა უკვე გატარებულია, მხოლოდ ამის ამუშავება სამხედრო ორგანიზაციის საშუალებით და ინიციატივით ჯერ არ არის საჭირო, სანამ აქციის წინ პარტიები თითონ არ იხმარენ ყველა თავიანთ საკუთარ საშუალებას.

3. საგარეო პოლიტიკაში. მთავარი ოსმალეთი.

ამერიკა მთავარ თავის პოლიტიკურ აქციას ამყარებს ოსმალეთზედ. თუ აქ კატეგორიული იერიში იქმნა მიტანილი ჩვენი თანამუშაობა მაგათთვის მიუღებელი იქნება. გარდა ამისა, ოსმალეთი ომის დასაწყისში ძლიერ მაგრა იქნება დაზიანებული. აღდგენის მომენტში შესაძლებელია, კავკასია უფრო მალე იქნეს განთავისუფლებული, ვიდრე ოსმალეთის აღმოსავლეთი პროვინციები. აქ ჩვენი პოზიცია შემდეგია: გვსურს ოსმალეთთან ლოიალური თანამუშაობა საერთო მტრის წინააღმდეგ. გვაინტერესებს მხოლოდ ერთი პირობა: „არავითარი აგრესია ოსმალეთის კავკასიის წინააღმდეგ“. ამის გარანტიათ გვეყოფა შეერთებულ შტატების თავდება და კავშირი.

დარწმუნებული ვარ მიხვდებით, რის დაწერაც არა ღირს ქაღალდზედ...“[4]

---

4 პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, ივანე (ვანო) ნანუაშვილი – ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილს და ჯონჯი (ლევან) დადიანს (ინგლისი, 14 სექტემბერი, 1948 წ.), ფ. 1-4.

ის ფაქტი, რომ ალექსანდრე სულხანიშვილს მნიშვნელოვანი ნიშა ეჭირა ახალი ორგანიზაციის შექმნის საქმეში, ცხადად ჩანს 1948 წლის 26 სექტემბრის წერილშიც: „ამერიკელები და ინგლისელები დღეს რყევის და რჩევის პროცესში არიან. არჩევანი ორი აქვთ: ან „Единая, неделимая Россия“ (ერთიანი, განუყოფელი რუსეთი) ან დაპყრობილი ერები. ცხოვრება და ომის მსვლელობა ბოლოს მათ ჩვენ გზაზედ გამოიყვანს, მაგრამ ჩვენ თავიდანვე უნდა ვეცადოთ.

რუსების არგუმენტი ერთია: „მაგ ერებს ვერ მოარიგებთ და მაგათ მუდამ ჩხუბი ექნებათ – წესრიგი მარტო რუსეთმა უნდა შეინახოსო“.

ამაზედ ჩვენ მხოლოდ ფაქტებით უპასუხებთ. აქ მემარჯვენე ჯგუფები ყველა ეთანხმება სამხედრო ორგანიზაციას. მალე მთელი პოლიტიკური ემიგრაცია იქნება გაერთიანებული. ამასთან ერთად, იწარმოებს მთელ კავკასიის გაერთიანების საქმეც და დანარჩენ დაპყრობილ ერებთან კავშირის გაბმა, როგორც უკრაინა, პოლონეთი და სხვა.

თქვენ ჯერ კიდევ რამდენჯერმე მოგმართავენ, სანამ უშუალო კავშირის გაბმას გადასწყვეტენ. თქვენი აზრის შეფასება შეიძლება არც ოფიციალურად მოხდეს, არამედ სულ კერძო შემთხვევითი მუსაიფების სახით. ყოველ შემთხვევაში, სასურველი და საჭიროა, რომ ყოველ მხრიდან მიიღონ სურათი, რომ მთელი ქართველი ერი და საერთოთ რუსეთის მიერ დაპყრობილნი ერნი შეთანხმებული იბრძოლებენ დამოუკიდებლობის მოსაპოებლათ. სადაო საკითხები, რასაკვირველია, იქნება. ეს ცხოვრების სახეა, მაგრამ U.S.A. და ინგლისის დახმარებით და შუამდგომლობით ყველაფრის მშვიდობიანი გადაწყვეტა შეიძლება ომის შემდეგ...

ცოტა ხელს მიშლის ეს ხშირი მისამართების გამოცვლა და უმუშავრობა ხანდისხან, მაგრამ რას იზამ, ეს ქართველების იღბალია: კაცმა საქმეს მაშინ უნდა ემსახუროს, როცა გაჭირებაა, თორემ როცა ჯვრების და ვარსკვლავების დარიგება იქნება, მომუშავე არ დააკლდება. ეხლა კი ჯერჯერობით ჭაპანი მარტოკა უნდა ვწიოთ“.[5]

ალექსანდრე სულხანიშვილის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტიც, რომ ნიუ-იორკში მცხოვრები თანამემამულის, პოლკოვნიკ სიმონ (სიკო) სიდამონერისთავის უშუალო დახმარებით, მან 1951 წელს შეძლო ივანე ნანუაშვილის ლონდონიდან ბოსტონში გადაყვანა.[6] ასევე, 1956 წელს მისი თანადგომითა და ფინანსური მხარდაჭერით მოხერხდა ვანო ნანუაშვილის თხზულების – „რუსეთის ძლევა და უძლურება“ – ინგლისურად თარგმნა და გამოცემა.

და ბოლოს, 1952 წლის 5 ოქტომბერს ქართველი ემიგრანტების – ივანე (ვანო) ნანუაშვილის, ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილის, ისიდორე გაჟონიას, ვახტანგ აბაშიძის, გიორგი (გოგი) ღოღობერიძის, სანდრო ბარათელის (გიორგი პიტავა) და ვლადიმერ (ლადო) არველაძის თაოსნობით, ნიუ-იორკში დაარსდა ახალი უპარტიო ორგანიზაცია „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“. ორგანიზაციის პირველი გამგეობაც ამ შვიდი კაცით დაკომპლექტდა. მათვე შეადგინეს „ქართველთა დემოკრატიული კავშირის“ მოწოდება და წესდება (დაწერილი გ. კობახიძის ხელით – გ. შარაძის ცნობა).

წესდების მესამე მუხლში, რომელიც სამი პარაგრაფისგან შედგებოდა, ნათლად იყო წარმოდგენილი „ქართველთა დემოკრატიული კავშირის“ მიზნები და უმთავრესი ამოცანები:

---

5 პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, ივანე (ვანო) ნანუაშვილი – ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილს და ჯონჯი (ლევან) დადიანს (ლონდონი, 26 სექტემბერი, 1948 წ.), ფ. 1-2 (1-3).

6 ნ. მათიკაშვილი, იუნკრები და სხვები, თბ., 2016, გვ. 337; 340.

„1. ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების საზოგადოებრივ აზრს გააცნოს საქართველო, მისი წარსული ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, ქართველი ხალხის ეროვნული ინტერესები, მისი იურიდიული და ზნეობრივი უფლებები, მისი ბრძოლის მიზანი, რომ იგი იბრძვის ბოლშევიზმის მძიმე უღლის გადასაგდებად, თავისუფლების მოსაპოვებლად და სრული ეროვნული და სახელმწიოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად!

2. მოაგონოს და განუმარტოს ამერიკის ხალხს და მსოფლიო დემოკრატიას, რომ 1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობა იურიდიულად და ფაქტიურად იცნო მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ, მათ შორის – 7 მაისს, 1920 წელს – საბჭოთა რუსეთმაც; და რომ, მიუხედავად ამისა, 1921 წლის თებერვალში, საბჭოთა რუსეთი თავს დაესხა საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას და ძალით დაიპყრო. აქედან გამომდინარე:

3. „ქართველთა დემოკრატიული კავშირი“-ს მიზანია: დაეხმაროს ქართველ ერს ძალით წართმეული დამოუკიდებლობისა და დემოკრატიული წესწყობილების აღდგენაში“.[7]

დაარსებიდან მოკლე დროში – 1952 წლის 2 ნოემბერს ორგანიზაციას სახელწოდება შეეცვალა და „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო“ ეწოდა.

1952 წლის 10 ნოემბერს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ წესდების პროექტი, მოწოდება და მიმართვის წერილები ნიუ-იორკში, პარიზში, მიუნხენში, ლონდონში, რომში, ბრიუსელში, ბუენოს-აირესში და სხვა ქალაქებში დაეგზავნა ყველა ქართულ ორგანიზაციას, პოლიტიკურ პარტიას, ცალკეულ პირებსა და ქართულ სათვისტომოებს. გამგეობას კონტაქტი ჰქონდა: უკრაინელებთან, ბელორუსებთან, პოლონელებთან, ბალტიისპირელებთან, აზერბაიჯანელებთან, ჩრდილო კავკასიელებთან და სხვა დაპყრობილი ერების პოლიტიკურ ორგანიზაციასთან.

ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო წარმომადგენლები: ევგენი გეგეჭკორი, კონსტანტინე კანდელაკი, გიორგი აფხაზი, რაჟდენ არსენიძე, გიორგი მაღალაშვილი, აკაკი პაპავა, გრიგოლ დიასამიძე, ალექსანდრე კორძაია მიესალმნენ და თანადგომა გამოუცხადეს ახალდაარსებულ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულ საბჭოს“.[8]

ამ მოვლენას 1952 წლის 17 ნოემბერს ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია: „დიდად გამახარა თქვენ მიერ გადადგმულ ნაბიჯმა და მუშაობის აგებამ ნაჩვენებ დებულებაზე. ეს არის პირველი დარაზმულობა ქართველი ემიგრაციისა დამოუკიდებელი სამშობლოს აღსადგენად. საჭიროა, ამ ნიადაგზე შეერთდეს მთელი ჩვენი ემიგრაცია საზღვარგარეთ. სამწუხაროდ, ევროპაში მყოფი ქართველი ემიგრაცია ჯგუფობრივ დაქსაქსული და დანაწილებულია. შეიძლება თქვენ ითაოთ ამ დაბნეული ხალხის თავის მოყრა და გაერთიანება. მიზანი ერთია, დროშა საერთოა, არ მესმის რა აპირდაპირებს ჩვენ თანამემამულეთ ერთი-მეორის წინააღმდეგ. შეიძლება არ სურთ ჩვენი ნაციონალური მთავრობა, მაგრამ ის გამოგზავნილია ჩვენი დამფუძნებელი კრების მიერ დავალებით – განაგრძოს ბრძოლა დამოუკიდებელი

7 გ. შარაძე, ამერიკელი ქართველები, თბ., 1992, გვ. 154-155.

8 გ. შარაძე, ამერიკელი ქართველები, თბ., 1992, გვ. 155-157.

საქართველოს აღსადგენად. იმედია, თქვენს სასიქადულო მაგალითს გააგებინებთ ჩვენს ემიგრაციას და მოუწოდებთ შემოკრებას მის ირგვლივ...".[9]

ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრები ქართველი ემიგრანტების ფინანსური დახმარებით ნიუ-იორკში უკვე 1953 წლის თებერვლიდან გამოსვლა დაიწყო საინფორმაციო ბიულეტენმა – „ცნობის ფურცელმა" (გამოდიოდა 1953 წლის თებერვლიდან 1954 წლის ნოემბრამდე). იმავე წლის ივნის-ივლისიდან კი გამოვიდა „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს" პერიოდული ორგანო – „ჩვენი გზა" (გამოდიოდა 1953-1961 წწ.; ორივე გამოცემის რედაქტორი – გ. კობახიძე). ეს იყო ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ნაბეჭდი, თუმცა არასტამბური, ქართული პერიოდული გამოცემა, რომელშიც აქტიურად შუქდებოდა „ამერიკული საბჭოსა" და ქართული კოლონიის საქმიანობა.[10]

1952 წლის 22 ნოემბერს „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს" გამგეობის წევრები – ვანო ნანუაშვილი, გივი კობახიძე, სანდრო ბარათელი (გიორგი პიტავა) და ისიდორე გაჟონია – შეხვდნენ „ხალხთა განმათავისუფლებელ ამერიკული კომიტეტის" თავმჯდომარეს, ვიცე-ადმირალ ლესლი კლარკ სტივენსს. დელეგატებმა მას გააცნეს „ამერიკული საბჭოს" მიზანი და შემდგომი სამოქმედო გეზი. ის ფაქტი, რომ ვიცე-ადმირალი კარგად იყო გარკვეული ყველა იმ პრობლემატურ საკითხში, რომლის მოგვარებასაც „ამერიკული საბჭო" თავისი საქმიანობის უმთავრეს მიზნად მიიჩნევდა, ცხადად ჩანს დელეგატებთან მისი შეხვედრის დროს წარმოთქმულ სიტყვაში: „საქართველოს პრობლემა ნათელია, ქართველი ერის პოლიტიკური და ზნეობრივი უფლებები უდაოა და ამავე დროს ადვილი გადასაწყვეტიც. ქართველ ერს, არც ეთნიკურად, არც კულტურულად, არც სხვა თავისებურებებით არავითარი საერთო არა აქვს რუსეთთან და საერთოდ, სლავიან ერებთან. საქართველო, როგორც არა-რუსი ერი, ავტომატურად აღადგენს დაკარგულ თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას. ეს მომავლის საქმეა... მაგრამ ამერიკელებმა ყველაფერი კარგად იციან და ერკვევიან, განსაკუთრებით კავკასიის საკითხებში. ჩვენი მიზანია, ყველა ერების პოლიტიკური გაერთიანება ჯერჯერობით ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო დროშის ქვეშ. ამერიკისათვის სასურველი არაა დაქსაქსულ ძალებთან საქმე იქონიოს, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ეროვნული პრობლემა უყურადღებოდ რჩება! არა, სწორედ ყველაზე დიდი ყურადღება ამ საკითხს ექცევა, მაგრამ როგორც გითხარით, ჯერჯერობით მხოლოდ შიგნით, ჩვენს კულისებში...".[11]

1953 წლის 8 აპრილს, ნიუ-იორკის შტატის მთავრობამ ახალ ქართულ პოლიტიკურ ორგანიზაციას ოფიციალური ლეგალური არსებობის ქარტიაც მიანიჭა, მაგრამ ამას ამერიკის მხრიდან სიტყვიერი მხარდაჭერისა და ფუჭი განცხადებების გარდა არავითარი პრაქტიკული ნაბიჯი არ მოჰყოლია.

„ერთიანი, განუყოფელი რუსეთის" იდეით შეპყრობილი ძალები ძალიან შეშფოთდნენ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოსა" და

---

9 გ. შარაძე, ამერიკელი ქართველები, თბ., 1992, გვ. 157-158.

10 გ. შარაძე, ამერიკელი ქართველები, თბ., 1992, გვ. 158.

11 ო. ნიკოლეიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო – ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია, ჟურნ. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე", №1(3), ქუთაისი, 2014, გვ. 155-156.

„პარიზის ბლოკის“ აქტიური მოქმედებით, სერგეი მელგუნოვისა და ალექსანდრ კერენსკის ჯგუფი ყველა საშუალებით ცდილობდა ხელი შეეშალა მათი საქმიანობისათვის: „შეჰქმნეს ყალბი პოლიტიკური ორგანიზაციები, რომელნიც თითქოს არიან წარმომადგენილნი დაპყრობილი ერებისა. ეს წარმომადგენელნი დაუპირისპირეს ნამდვილ ეროვნულ ორგანიზაციებს. მაგ.: საარუნის სომხური ჯგუფი აამუშავეს დაშნაკელების წინააღმდეგ; გ. ვეფხვაძის ჯგუფი – ქართული ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ და ასევე უკრაინელებისა და სხვა ჯგუფებისა! ამ ორგანიზაციებთან ერთად შეჰკრეს საერთო ცენტრი, რომელიც ე. წ. ნამდვილ საკოორდინაციო ცენტრად გამოაცხადეს! ეს ე. წ. საკოორდინაციო ჯგუფი ოფიციალურად აღიარებს პრინციპს „ედინაია ნედელიმაია როსსია“-ს და აცხადებს, რომ არავითარი ეროვნული საკითხი „რუსების ერებისა“ არ არსებობს და ეს თითქოს ფანტაზიაა“.[12]

აზრთა ერთობლიობა ამერიკის შეერთებულ შტატებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებს შორისაც დაირღვა. შედეგად, 1960-იანი წლების დასაწყისში (ზუსტი თარიღი დღემდე დადგენილი არ არის და საკითხის სრულყოფილი შესწავლისათვის ჯერ კიდევ ბევრია საკვლევი) „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკულმა საბჭომ“ არსებობა შეწყვიტა. ამ საკითხზე ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ალექსანდრე სულხანიშვილის წიგნი „ხმა სიმართლისა – წითლების მოქმედება ნიუიორკის ქართულ სათვისტომოში“ (მიუნხენი, 1962). აქ ჩვენ აღარ შევუდგებით არსებული კონფლიქტის დაწვრილებით მიმოხილვას, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს კვლევის საგანია და ამჯერად, ამ საკითხზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ.

დასკვნის სახით კი ვიტყვით, მიუხედავად იმისა, რომ „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ საქმიანობას პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. თავისი არსებობით ამ ორგანიზაციამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქართული ემიგრაციის ისტორიაში. კერძოდ, მან მოახერხა და ეროვნულ მთავრობაზე დაყრდნობით, დააარსა ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ისეთი სრულყოფილი ორგანიზაცია, რომლის შექმნა ვერ მოახერხა ვერც ერთმა ემიგრაციაში მყოფმა ერმა. ამასთან, მნიშვნელოვანი იყო საინფორმაციო ბიულეტენის „ცნობის ფურცელისა“ და ჟურნალ „ჩვენი გზის“ გამოცემა, რომლებიც ქართული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავს. და ბოლოს, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს გააცნო საქართველოს პოლიტიკურ მოთხოვნათა სამართლიანობა.

ვანო ნანუაშვილის წერილები დაცულია პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმში. იბეჭდება უცვლელად ავტორისეული სტილის და მართლწერის დაცვით. გასწორებულია მხოლოდ უხეში კორექტურული შეცდომები და კალმისმიერი ლაფსუსები.

---

12 ო. ნიკოლეიშვილი, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭო – ქართველ ემიგრანტთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ორგანიზაცია, ჟურნ. „აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის მოამბე“, №1(3), ქუთაისი, 2014, გვ. 156-157.

1.

ლონდონი
12.I.48

საყვარელო საშა[13] და მიშა![14]

ამ წერილს ორთავეს გწერთ. მივიღე შენი წერილი 4.I. თავს გაუფრთხილდი, ავადმყოფობის დრო არა გვაქვს. გრიპმა, ხო იცი, ბევრი კომპლიკაციები იცის ხოლმე.

ეხლა მსურს სხვა საკითხის აღძვრა.

საშა, აუცილებელია, რომ მანდაურ კოლონიის გამგეობაში ერთი თქვენთაგანი: ან შენ ან მიშა უეჭველად გახვიდეთ. საქმე იმაშია, რომ ეგ პუნკტი[15] უეჭველად აქტიურად უნდა იქცეს ქართულ საქმისთვის და მეორე მხრივ ნელ-ნელა და უმტკივნელად ჩამოაშოროთ რუსებს. არგენტინაში ეხლა ჩვენი ხალხი ბევრი მოგროვდა და მალე ეს კოლონია უფრო გაიზრდება. ყველა აქტიური ელემენტი კონტინენტიდან იქ მიდის. იქ შერიფი მრელაშვილია და ყველაფერი ჩვენ ხაზზედ ვითარდება. მეორე პუნქტი მანდ უნდა შეიქმნას და მესამე არის აქ, ლონდონში. აი, ეს იქნება ის სამკუთხედი, რომელსაც დეეყრდნობა მთელი ქართული და კავკასიური ემიგრაცია, როცა კონტინენტი დაპყრობილი იქნება და აქ უნდა იყოს სრული შეთანხმებული და აზრიანი მუშაობა. ეს იქნება პირველი და აუცილებელი ნაბიჯი ჩვენ მუდამ აწეწილი საქმეების დასალაგებლათ.

მაინც და მაინც პირველად დიდი არაფერი მოთხოვნილება მაგ კოლონიისადმი არ იქნება. საჭიროა მხოლოდ ერთი: იყოს ქართული ორგანიზაცია, რომელიც ხაზს გაუსვამს თავის ქართველობას, დაიჭერს კონტაქტს დანარჩენ ქართულ კოლონიებთან, ხოლო მანდ მოიპოვებს გავლენიან ნაცნობებს და სიმპატიკებს ქართულ საქმისთვის. ხოლო თუ ოდესმე ერთხელ მოახერხეს, რომ ერთ-ერთ ქართველს მისცენ ხოლმე საშუალება ან ვიზების აღება, რომ ამ სამ კოლონიას ჩამოუაროს ხოლმე, ეს ხომ უკვე დიდი საქმე იქნება. აბათ, თქვენი ჭირიმე, ეს წერილი წაიკითხეთ ერთათ, აწონ-დაწონეთ და შემატყობინეთ თქვენი აზრი.

გკოცნით
მუდამ თქვენი ვანო

P. S. მიშა, გთხოვ, ვანო ბაქრაძეს უეჭველად მისწერო ის წერილი. საჭიროა, რომ იცოდეს, რო დაახლოვებით საქმე სწარმოობს. უამისოთ მას შეიძლება ენტუზიაზმი დააკლდეს, რის ნიშნებიც უკვე არის.

თქვენი ძმა ვანო

P. P. S. საშა, მისამართის გამოცვლა უმალ მაცნობე. განიხილეთ ერთათ ჩემი ვიზის საკითხი წასულ წერილიდან.


---

13 ალექსანდრე (საშა) სულხანიშვილი.

14 მიხეილ (მიშა, ბუჭუ) დადიანი.

15 ამ სიტყვას ივანე ნანუაშვილი „კან“-ისა „ქან“-ის მონაცვლეობით ხმარობს.

ჩემი ქაღალდი მიცემულია 22 ივნისს 1948 წ. ნომერი მაქვს 1113, რუსეთის კონტინგენტიდგან.



ივანე (ვანო) **ნანუაშვილის** წერილი **ალექსანდრე** (საშა) **სულხანიშვილს** და **მიხეილ** (მიშა) **დადიანს,** ხელნაწერი, ლონდონი, 12 იანვარი, 1948 (**პაატა ნაცვლიშვილის** ბიბლიოზეუმი, თბილისი).

2.

17.IV.1948

ძმაო საშა!

გავიგე, რომ იმყოფები შეერთებულ შტატებში და ძლიერ გამეხარდა. თუმც დიდი ხანია, რაც ერთმანეთი არ გვინახია და სალაპარაკო ბევრი გვაქვს, მაგრამ ერთმანეთს იმდენათ ვიცნობთ, რომ დარწმუნებული ვარ, ისეც ადვილად მივხვდებით, რაც სათქმელი გვაქვს.

ჩვენ უკანასკნელათ შევხვდით ერთმანეთს ჩემ მოხსენების შემდეგ გენ. სპირიდონის[16] ბინაზედ. იცი კარგათ, რამდენი ერთგული დაგვაკლდა და რამდენი ზნეობრივი ზიანი მივიღეთ. მიუხედავათ ყველა ამის, როდესაც უახლოვდებით გარდამწყვეტ ბრძოლას ჩვენ არსებობისთვის, უნდა უეჭველად აღვნიშნოთ, რომ ქართველ ერს აქვს სურვილი ბრძოლისა თავისუფლებისთვის და ამ საკითხში ერი სრულიად ერთსულოვანია, განსაკუთრებით, სამხედრო ორგანოს გარშემო. დროებით, საერთო სამხედრო კავშირის დაარსებამდე, მოქმედობს ი. კ.[17] ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი მანდ არის მ. დადიანი და გთხოვ, როგორც მეგობარს, ამ საქმეში დეეხმარო და საქმე გაუადვილო მიშას.

გულითადი მოკითხვით,
მუდამ შენი ვ. ნანუაშვილი

3.

Cpt. Nanuaszwili
50. O.H.M. Kingwood Common
Nr. Henley on Thames Oxfor.
England
16.VI.1948

ძვირფასო ძმაო საშა!

ეს არის ეხლა მივიღე შენი წერილი. მოვიდა დაგვიანებით, ვინაიდგან ვიმყოფები უკვე სხვა ბანაკში (მიაქციე ყურადღება მისამართს). ვგზავნი ერთ მოხსენებას, ვინაიდგან ინგლისურათ დაწერილია მხოლოდ ერთი, ესეც უკანასკნელი ეგზემპლარიღაა. ამასთან ერთად მაქვს ერთი უდიდესი სათხოვარი, პირდაპირ სახვეწნარი:

1. საერთო საქმის ფეხზედ დაყენებამდის, გთხოვთ, დროებით შინაურ უსიამოვნებებს ყურადღება არ მიაქციოთ. როგორმე ეს განხეთქილება შეაყენოთ და ვიმუშაოთ ისე, როგორც ამას ახერხებენ ყველა დიდი ერის შვილები ბრძოლის დროს. ამ განხეთქილების გათავებას ვიღებ ჩემ თავზედ, თუ ოდესმე მოხერხდა ჩემი ჩამოსვლა. ძლიერ გვაკლია ხალხი. ყველა, თითოეული ქართველი, უნაცვლოა თავის ალაგზედ და ვეღარ შეგვიძლიან ვერც ერთ ქართველის დაკარგვა სამუშაო ხაზიდგან.

პირადათ მეც, იძულებული ვიყავ, პირველმა გამეწოდა ხელი ისეთ ქართველისთვის, რომელმაც გამცა გერმანელების წინაშე, რომ ნანუაშვილი ინგლისელებთან მიდისო.

მიშას მე თითონ გადმოუგზავნე იმ პროფესორის მისამართი და ვთხოვე იმასთან კავშირის გაბმა, ვინაიდგან ეს ხაზიც აუცილებელია. შესაძლებელია, რომ მოხსენებები მართლა იმ პროფესორთან იყვნენ. იმან იცის პოლონური ენა და ამიტომ ყველა ჩემი ნაწერების ენა იცის (პოლონური, ფრანგული და ინგლისური). გთხოვთ, ეს სიბოროტეთ არ ჩამოართოთ.

16 სპირიდონ ჭავჭავაძე (ჭავჭავაძევი).
17 იუნკერთა კავშირი.

2. გამოგზავნილ მოხსენების დახასიეთება მიკრულია ზედ მოხსენებაზედ. გარდა ამისა, მაქვს შემდეგი პოლიტიკური ნამუშევრები – „Quo vadis Europa?“[18] – წარმოადგენს დაპყრობილ ერთა ისტორიულ და თანამედროვე მოქმედებათ საერთო პოლიტიკურ შეფასებას. ამის ფრანგული ასლი აქვს მიშას. ეს მას უეჭველად დასჭირდება იმ პროფესორთან სამუშაოდ. დანარჩენი საგნები ნაწერია მხოლოდ პოლონურ ენაზედ, ისინი კონკრეტულ სამხედრო პოლიტიკურ სამუშაოდ არ არიან საჭირონი. ჩემო საშა, ყველა ამ საქმეებში მდგომარეობა აუცილებლივ მოითხოვს თქვენი და მიშას ჰარმონიულ მუშაობას. გთხოვთ, უეჭველად დაიყოლიოთ იგი სამუშაოთ. მე მგონი, ეს უბრალო გაუგებრობაა. ვიცი, მიშასაც და ყველას ჩვენც ნერვები აშლილები გვაქვს და მუშაობას ეს ძლიერ აძნელებს. გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ ერთ რამეს: თუ ცოტა მოითმენთ და საქმე დროზედ ავამუშავეთ, ჩვენ ყველას სამუშაო იმდენი გვექნება, რომ ვერც კი აუვალთ. მაგრამ თუ საქმე ვერ ავამუშავეთ – ყველაფერი სამუდამოთ დაღუპულია. ამისთვის კიდევ იგივეა საჭირო – ჰარმონიული თანამუშაობა. გთხოვთ, პირველი დახმარება სწორეთ ამით აღმომიჩინოთ. სთხოვე ეს ჩემ მაგივრათ ჯონჯის,[19] მის მეუღლეს[20] და მიშას. მიშას თუ კარგათ აუხსენი – ვიცი, იმის პატრიოტობა და ვიცი, რომ საერთო საქმისთვის პირადს ყველაფერს დასთმობს. საშა, მიდი შენ პირადათ მიშასთან და აჩვენე ეს წერილი. ეს შენი როლია და ორივე მხარე უეჭველად უნდა მოარიგო და დაათანხმო ერთად მუშაობაზედ.

3. მოლაპარაკების დროს მაგათ უთხარი შემდეგი ჩემი აზრი, როგორც სამხედრო ექსპერტის:

თუ მომცეს საშუალება საქმის პატარა მომზადების (რაც მაგათ არაფერ თანხათ არ დაუჯდებათ), შეგვეძლება, მოვაწყოთ უახლოეს შეიარაღებულ კონფლიქტისთვის შემდეგი აქცია:

– რეგულიარულ ერთეულების მოწყობა კავკასიის ყველა ერებისგან.

– კონკრეტიულ აქციის მოწყობა რუსეთის შეიარაღებულ ძალების დასაშლელათ.

– ამ საქმის გადატანა და ამხედრება რუსეთის ყველა დაპყრობილ ერებისა (ამხედრება ყველა ეროვნულ უმცირესობათა).

– ომის დროს განთავისუფლებულ კავკასიურ ტერიტორიაზედ მთელ ორგანიზმის ეკონომიურ და პოლიტიკურ ამუშავებას რუსეთის წინააღმდეგ.

მთელი ეს აქცია შეიძლება ძლიერ ადვილად გადატანილი იქმნეს ყველა ეროვნულ უმცირესობათა წიაღში.

რაც შეეხება პირადათ ჩემზედ, შეგიძლიანთ უთხრათ, რომ 1944 წ. როდესაც იტალიაში ფლორენციის ახლოს გადავლახე ფრონტი იტალიელ პარტიზანებთან ერთად, გადავედი ამერიკელების მეხუთე არმიის ფრონტზედ და ერთი დღე ვიბრძოდი მაგათ ნაწილებთან ერთად გერმანელების წინააღმდეგ. მაქვს ამის მოწმობა.

მე ამ ბანაკში ვიქნები ჯერ კიდევ დაახლოვებით 3 კვირა, მერე სამუდამოთ გადავალ სხვაგან. გთხოვ, ამის გამო პასუხი მომწერო, რაც კი შეიძლება მალე. მე ახალ მისამართს იმ წამსვე მოგწერ. თუ ვინიცობაა ჯერ ჩემი ახალი მისამართი არ გქონდეს, მაშინ წერილი გადმომიგზავნე შემდეგ მისამართით: 20 Grange Rd., London W4, England.

---

18 „საით მიდის ევროპა?“ (ლათ.).

19 ლევან (ჯონჯი) დადიანი.

20 ედნა კარლტონ-დადიანი.

ეს გ. ჯავახიშვილის სახლია. ამ შემთხვევაში, გთხოვ, წერილი სპეციალურ კილოთი დასწერო. საქმისთვის საჭიროა, რომ ამაზედ არავინ არაფერი არ იცოდეს. გოგია[21] ქართველი კაცია და საიდუმლოების შენახვა არ იცის და ისე კი მე მივეცი უფლება იქ მოსულ ჩემი წერილების წაკითხვისა.

ამისთვის, გთხოვ, ეს სპეციალურ კილოზედ დასწერო, რომ მე გავიგო რაშია საქმე და სხვებმა არ იცოდნენ.

მე მიშას მივწერ, რომ შენ გადმოგიგზავნე ჩემი ნაწერი. მივწერ, რომ შენ გსურდა პირადათ შენთვის, რომ ეს არ გაიგოს, როგორც განხეთქილება. მოარიგე უეჭველად ორივენი.

გამარჯვებით,
შენი ძმა ვ. ნანუაშვილი

4.

16.6..48

ძმაო საშა!

ეს წარმოდგენს პირველ ნაწილს ჩემ ერთ-ერთ ნაწერის. ეს არის შესავალი. წარმოადგენს პოლიტიკურ ჩარჩოებს რუსეთთან ომის წარმოებისა.

ამის მეორე ნაწილი არის: „საოპერაციო საშუალებანი რუსეთისა ერთ მხრივ და რუსეთთან ომის წარმოების მის მოწინააღმდეგე მხარისთვის". შეიცავს რუქებს (3) და განსაკუთრებულ ნახაზებს. საუბედუროთ, ეს დაწერილია პოლონურ ენაზედ. მე ინგლისური არ ვიცი. იმის გადასათარგმნელათ არც ფული მქონდა (სჭიროდა ოცამდე გირვანქა სტერლინგი) და არც სხვის ხელში ჩაგდება მსურდა.

გამარჯვებით,
თქვენი ვანო ნანუაშვილი

P. S. სხვა მოხსენებები არიან საერთო პოლიტიკურ ხასიათის.

5.

Cpt. Nanuaszwili
50. O.H.M. Kingwood Common
Nr. Henley on Thames Oxfor.
England
17.VI.1948

დიდათ პატივცემულო ბატონო ჯონჯი და საშა,

გუშინ გადმოვგზავნე მოხსენება (ინგლისურ ენაზედ) და ცნობები. ეს მასალა

21 გიორგი (გოგი, გოგია) ჯავახიშვილი.

საკმარისი იქნება იმისთვის, რომ დაწყებული მოლაპარაკება არ შესწყდეს და გაგრძელებული იქმნეს.

ამ წერილით მსურს მოგაწოდოთ დანარჩენი ცნობები, რომელიც აუცილებელი იქნება სახელმძღვანელოთ მომავალ მუშაობაში.

მიშა არის ოფიციალური წარმომადგენელი ჩვენი საერთო სამხედრო ორგანიზაციისა, ამიტომ აქვს მასალები და ინსტრუქციები. აქვს დავალებული ორგანიზაციის მიერ მანდ სხვა ორგანიზაციებთან კავშირის გაბმის. ერთ-ერთი ესეთი წერტილი არის ის პროფესორიც, ჩვენ გამოვძებნეთ აქედგან. ეს არ ეწინააღმდეგება არავითარ დანარჩენ მუშაობას და მით უფრო, თქვენ მუშაობას. ვიცი, მას არა აქვს უფლება ჩვენ ნებადაურთველად აქედგან ამ საიდუმლოების გაზიარების. ერთხელ კიდევ გთხოვთ, ეს სიბოროტეთ არ ჩამოართოთ. ამას გწერთ მე, ვინაიდგან მაქვს უფლება ზოგიერთ საგნების ფარდის ახდისა.

დღეს ჩვენ ოთხივეს მიზანი ერთია: ამ ორ უჯრედის შეთანხმებული მუშაობა და ამიტომ გწერთ ამას. დღეს მიშას მოხსნა ამ პოსტიდგან არც შეგვიძლიან და არცაა საჭირო.

თუ ეს საქმე საერთო ცდილობით სათანადო ნიადაგზედ დააყენეთ, ეგ ხალხი დააინტერესედ და მოახერხეთ ჩემი მანდ ჩამოყვანა ამ საქმეზედ აქტიურ მუშაობისთვის, მაშინ საჭირო იქნება დაარსება: საერთო პოლიტიკურ ორგანოსი (ცენტრის) და სამხედრო უჯრედის. მაშინ მიშა იმუშავებს სხვა დარგში. თქვენ გექნებათ სხვა უფრო მაღალი დარგი. არავითარი საბუთი არც შეხლის, არც სხვა რამე კონფლიქტის არ იარსებებს.

ეხლა თუ დემეხმარებით ამ საქმის მაგარ ნიადაგზედ დაყენებაში, რომ არ შემექნეს კიდევ ზედმეტი სიძნელეები სამხედრო ორგანიზაციის შიგნით, რომელმაც უნდა იარსებოს მანდაც და აქაც, გთხოვთ, საქმე ესე დააყენოთ:

1. თქვენ მოიწვევთ იმ ხალხს, მეელაპარაკებით საერთო საქმეში საერთო ნიადაგზედ. სამხედრო დარგში აჩვენებთ და ეტყვით მას, რაც მოგანდეთ. გარდა ამისა, უთხარით, რომ თუ სურთ, სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენელი არის მიშა დადიანი-თქო. იმ ცნობების შემდეგ, რომელიც თქვენ გაქვთ, მიშა მიაწვდის მხოლოდ პერსონალურ ცნობებს მხედრისა და მასალების სიას.

2. მიშას უთხარით წინასწარ: „ვიცით, რომ ს. ორგ.[22] წარმომადგენელი ხარ. პირადათ ჩვენ შუა რაც არის, ეს სხვა საქმეა. ჩვენც ვმუშაობთ ამ ორგანიზაციასთან და მაგ საქმეში, რაც გექნება სათქმელი ორგანიზაციის დავალებით – გაძლევთ საშუალებას, რო მოახსენო“.

თუ საქმეს ესე დააყენებთ, სულ მთლათ ისპობა მომავალ კონფლიქტების ნიადაგი. თქვენ ილაპარაკებთ საერთო საქმეზედ, მიშა მხოლოდ ერთ ნაკვთზედ და ყველასთვის საერთო მუშაობა ძლიერ გაადვილდება.

რისთვისაა ეს საჭირო? ახლო მომავალში საჭირო შეიქმნება შემდეგ მასალის გადმოგზავნა. მე არა მაქვს უფლება ეს საქმე სხვა გზით გადმოვგზავნო, გარდა მიშასი. იცით, ეს საერთო სამხედრო წესია და ორგანიზაციის დავალება და ეს საქმეს თითქმის შეშლის.

თუ საქმეს ესე დააყენებთ, ამ პირობებში შეგიძლიანთ მიშა თავიდანვე მიიწვიოთ პირველ სხდომაზედვე წინასწარ მოლაპარაკების შემდეგ. თუ ეს ვერ მოასწარით პირველ სხდომაზედ, შეიძლება უკვე მეორე სხდომიდგან დაიწყოთ ესეთი მუშაობა.

---

22 სამხედრო ორგანიზაციის.

გთხოვთ, ამ წერილის პასუხი მალე შემატყობინოთ: როდის გექნებათ შეხვედრა, მორიგდით მიშასთან თუ არა. თუ საჭიროთ მიგაჩნიათ, ამ საქმეზედ მეც მივწერ წერილს მიშას. თქვენც აჩვენეთ მიშას ეს წერილი. საშა, შენ კარგათ იცი, თუ მე დაგპირდით საქმეს, ის საქმე დაყენებულიც იქნება და შედეგსაც მოიტანს. იცი კარგათ, რომ მე არც ბლეფი მიყვარს და საქმის ბოლომდის გატანა ვიცი მიუხედავათ სიძნელეების და ხიფათისა. მოიგონე ის მომენტები ჩემი მუშაობის, რომლის მოწამეც იყავი: 1. ერთ-ერთი მოხსენებათაგანი ბერლინში და 2. ჩემი ლაპარაკი სპირიდონთან, რომელიც მთხოვდა ბერლინში დარჩენას. თუ გახსოვს, მაშინ უთხარი: „ჩემი ალაგი ფრონტის მეორე მხარეზეა და იქ უნდა გავჩნდე მიუხედავათ ხიფათისა-მეთქი“. ჩემო საშა, ამას მხოლოდ საქმისთვის უსვამ ხაზს.

ეხლა, ჩემო საშა, თუ საქმეს შეხედავთ საერთო პერსპექტივით. იმ თამარის საქართველოს ინტერესებით, რომელზედაც მწერდი, საქმის მორიგება და მოგვარება სულ ადვილია და ეს ძლიერ გაგვიადვილებს ჩვენ ისეთაც ძნელ საერთო საქმეს.

თუ საქმე მხოლოდ წვრილმანებზედ იქნება, მაშინ ეს წვრილმანი გადაულახავ დაბრკოლებათ იქცევა. მე, პირადათ, მწამს თქვენი ყველას პატრიოტობა და ინტელიგენცია.

მაშ გამარჯობით,
თქვენი ვანო ნანუაშვილი

P. S. აჩვენეთ ეს წერილი მიშას.

6.

J. Nanuaszwili
Hodgemoor Hostel
Nr. Amershem Bucks
England
30.VI.48

საყვარელო ძმაო საშა!

დღეს მივიღე შენი და ჯონჯის წერილები. ძვირფასო საშა, ვიმყოფებით უკანასკნელ პოლიტიკურ იერიშის პროცესში საქართველოსთვის. საუბედუროთ, მხოლოდ ესაა, რაც კეთდება საქართველოსთვის. არ გეგონოს, რო ამის გარეშე, სადმე რამე კეთდებოდეს დღეს. შემთხვევით ამ სარბიელზედ მარტო ჩვენღა დავრჩით და თუ ჩვენ ვერაფერს მივაღწიეთ – მორჩა, რამოდენიმე თაობის განმავლობაში ქართული საკითხი მოხსნილი იქნება ისტორიიდგან. იხმარე ყოველივე საშუალება ამ წვრილი კინკლაობის მოსასპობათ. ჩემო საშა, რას ლაპარაკობ! არც მოხუცობა და არც სხვა, თუ ეს უკანასკნელი დაბრკოლება დავძლიეთ, საქმე იმდენი დაგვაწვება, რომ არც ერთ ქართველს არა აქვს უფლება მეერიდოს და შენც და ყველას ჩვენც ძლიერ ბევრი გვექნება სამუშაო. ეხლა:

1. ჩემი უდიდესი მადლობა, როგორც ჯონჯის მეუღლეს, ისე ჯონჯის პირადათ. ჩემო საშა, მწერ ნდობაზედ. რომ არ გენდობოდე, ხომ არც ურთიერთობას გავაბამდი შენთან. იცი ჩემი წარსული და ცოტა რამ ჩემი ხასიეთი.

2. ჯონჯის მეუღლე დაარწმუნე, რომ მიშა გამოიყენოს სულ ისე, როგორც ფოსტის ყუთი. საქმის განვითარებისთანვე შეიქმნება მუშაობის აპარატი, სადაც ქ-ნი ჯონჯი აუცილებლივ უნდა იყოს და მიშასთან არავითარი შეხვედრა საქმეში არ ექნება. ამ წერილთან ერთათ ვწერ წერილს ჯონჯის.

3. უეჭველად დაიყოლიე მიშა. აქედგან მეც მივწერ სათანადო წერილს. აუხსნი, რომ ვართ კრიზის უმაღლეს წერტილზედ უკანასკნელ დაბრკოლების წინ და ყოველი ღონე უნდა იხმაროს, რომ პირადი განწყობილება, რათაც არ დაჯდეს, გვერდზედ გადადოს.

4. გადავედი უკანასკნელ ახალ ბინაზედ (მიაქციე ყურადღება მისამართს). სასურველია, ეს ახალი მისამართი აცნობოთ იმ ხალხს. ყოველ შემთხვევაში, აცნობეთ, რომ ლონდონში მუდამ შეუძლიანთ გაიგონ, სადა ვარ ჩვენ ორგანიზაციის ბინაზედ. აი, ეს მისამართიც: G. Dzawachiszwili, 20 Grange Rd., London W4.

ამ ბინაზედ მუდამ ეტყვიან, საცა ვარ.

მარად შენი
ვ. ნანუაშვილი

7.

Hodgemoor Hostel
Nr. Amershem Bucks
England
8.VIII.48

ძვირფასო ძმაო სანდრო![23]

მივიღე შენი წერილი, გამოგზავნილი 3.VIII. მეც დიდი ხანია დავაგვიანე პასუხი, ვინაიდგან დღიდგან დღეზედ ველოდი, რომ ვინმე მოვიდოდა, მაგრამ საუბედუროთ, არავინ მოსულა.

ვგზავნი მასალას. ეს არის მესამე ნაწილი. ორი დღის შემდეგ გამოვგზავნი შემდეგ წერილს და როცა იმ წერილს წაიკითხავთ, მხოლოდ მაშინ გადაეცით, მანამ ნუ მისცემთ.

გთხოვ, მიიღო თუ არა, იმ დღესვე დამიდასტურო, რომ ვიცოდე, დაგვიანებით მოვიდა თუ არა; ან თუ დაიკარგა, რომ შემეძლოს გავიგო, ინგლისის ტერიტორიაზედ დაიკარგა, თუ მანდ. კონვერტი კარგა გასინჯე, იყო გზაში გახსნილი თუ არა.

მე ჩვენი წესდების ძალით, არა მაქვს უფლება ამ საქმის სხვა ვისმეს გადაცემა, გარდა მიშასი. მიუხედავათ ამისა, გიგზავნით თქვენც. გთხოვთ, ეს მიიღოთ საზომათ ჩემი თქვენდამი ნდობისა. ამისთვის გთხოვთ შემდეგსა:

არავინ არ უნდა იცოდეს და არას დროს არ უნდა აგრძნობინოთ მიშას, რომ თქვენ ეს მიიღეთ.

ეს მასალა მიშასაც აქვს.

საქმე უეჭველად მოითხოვს, რომ ამ მოკლე დარგში, მიუხედავათ ყოველი განხეთქილებისა, მიშას ლოკალური ტოლერანცია უყოთ და თუ ეგენი დაინტერესდ-

23 სანდრო ბარათელი (ნამდვ. სახელი და გვარი – გიორგი მიხეილის ძე პიტავა).

ნენ ჩვენ სამხედრო საქმით, მიიღოს მან დამატებითი ცნობები, რომელიც ჩვენგან მოეპოება.

მომავალ ჩვენ მუშაობაში, თუ კი ეს მოეწყო, მიშა თქვენს ლიანდაგზედ ვერაფერს ვერ გააფუჭებს. ის სულ სხვა ლიანდაგზედ იქნება – ან არ იქნება.

დიდი მოკითხვა ძვირფას ჯონჯის და მის მეუღლეს. დაუცადეთ ჩემ მეორე წერილს, რომელსაც დავაგვიანებ ორი დღე.

მეორე წერილის შინაარსის ნაჩვენები ნაწილი, გთხოვთ, სიტყვა სიტყვით გადუთარგმნოთ ჯონჯის მეუღლეს.

გამარჯობით,
თქვენი ვანო ნ.

8.

Hodgemoor Hostel
Nr. Amershem Bucks
England
[8.VIII.1948]

საყვარელო ძმაო საშა!

ამ წერილთან ერთად ვგზავნი სარჩევს „საოპერაციო ნაწილის შინაარსისა“. გთხოვ, ეს გადასცე ჯონჯის და მის მეუღლეს. თუ კიდევ კავშირი აქვთ, გადასცენ ეს იმ „პირს“, რომელთანაც ლაპარაკი გქონდათ. გთხოვ, თან შემდეგი განმარტება მისცე:

1. სათაურები ინგლისურ ენაზეა დაწერილი, მაგრამ შინაარსი პოლონურ ენაზედ. გეგმები ინგლისურ ენაზეა და წარწერები. ამის კერძო ბიუროში თარგმანი შეუძლებელია და არც ფული მქონდა ამისა.

2. ძალთა შეფასება და შედარება ციფრებს არ შეიცავს. ციფრები მაგათ რაზვედკას არა სჭირია, თითონვე კარგი აქვთ, აქ შეფარდებაზეა და შემძლებლობაზედ დამყარებული.

ჯონჯის წერილს, როგორც წინათვე გწერდი, სრულიად ვეთანხმები. რაც შეეხება მიშას, საქმე შემდეგშია: მე პირადათ არა მაქვს უფლება მაგის მოხსნის. შემდეგ: ქართული საწერი მანქანა არა მაქვს, ინგლისური არ ვიცი იმდენათ, რომ ვწერო სერიოზული ხასიათის რამე, ვწერ მხოლოდ პოლონურად და ეს ძალაუნებურად მაგან უნდა სთარგმნოს, ვინაიდგან სხვას, ერთი სიტყვის შეცვლით (თუ ეს ქართველი არ იქნება), საქმე შეუძლიან პროვოკაციათ აქციოს.

გთხოვ, ჯონჯის მეუღლეს მოახსენო:

ჩვენი საქმე ისე ლოიალურად ერთვის U.S.A. ინტერესებს, რომ ყოველ ამერიკელ მოქალაქეს, მთელის შეგნებით და სიდინჯით შეუძლიან იმუშაოს ქართულ ნიადაგზედ. თუ მოახერხა და პირველმა გააბა კავშირი ამერიკულ და ქართულ სამხედრო უჯრედის შუა, ამით ქართულ საქმეებში ისტორიულ ალაგს დაიკავებს ეს მისი მუშაობა და როლი ამ პირველ ნაბიჯით, არ იქნება გათავებული.

გისურვებთ ყოველივე კეთილს,
მარად თქვენი ვ. ნანუაშვილი

9.

Hodgemoor Hostel
Nr. Amershem Bucks
8.VIII.1948

ძვირფასო ჯონჯი და სანდრო!

გიგზავნით სახსოვრათ საქართველოს და კავკასიის მინიატურულ რუქებს.

ეხლა, რაც შეეხება წინათ გამოგზავნილ წერილს:

ეს წარმოადგენს მასალის მესამე ნაწილს. სარჩევის თარგმანი:

I. ჩვენი მიზანი.

II. საერთო პოლიტიკური მდგომარეობა (ქართველ სამხედრო ორგ. შეფასებით).

III. რუსეთთან ომის წარმოების სახე.

IV. რუსეთის სუსტი მხარენი.

V. საქართველოს და კავკასიის პოლიტიკური და სტრატეგიული მნიშვნელობა.

VI. საქართველოს და კავკასიის სამხედრო თანამუშაობის შესაძლებლობა შეერთებულ შტატებთან.

VII. ტეხნიკური რეალიზაცია.

VIII. კონკრეტული წინადადებანი.

IX. ომის შემდეგი მიზნები საქართველოს და კავკასიისა.

ძლიერ კარგი იქნება, თუ სარჩევის შინაარსს თქვენვე გადათარგმნით და მანქანაზედ დაწერილს ჩაურთავთ შიგ ჯერ ისევ გადაცემის წინ.

ეს არ არის გადათარგმნილი, ვინაიდგან ესეთი შინაარსის გადათარგმნა კერძო ბიუროში ყოვლად შეუძლებელია და იქნება დიდ პროვოკაციათაც იქცეს.

შემდეგი: გთხოვთ, გადუთარგმნოთ ბ-ნ ჯონჯის მეუღლეს:

დიდათ პატივცემულო ბატონო,

ყველა ის, რაც აქ არის მოთავსებული, ამერიკულ **სამხედრო** ზვერვისთვის მოულოდნელობას და რეველაციას წარმოადგენს. მიუხედავათ იმისა, რასაც არ სწერდეს დღეს ოფიციალური პრესა – რუსეთთან ომი ამ წელიწად ნახევარში აუცილებელია. მას თითონ რუსეთი ასტეხს.

ის პრობლემები, რომელიც აქაა აღძრული თავის თავათ წამოიჭრებიან ომის უმწვავეს მომენტში და შეიძლება მრავალ არსებათა სიცოცხლე იმსხვერპლოს ისე, როგორც ეს მუდამ ხდებოდა რუსეთთან ომში; მაშინ, როდესაც ძლიერ ადვილია ყველა ამის აცდენა ყველა ნაციის სასარგებლოთ.

რაც ადრე იქნებიან ეს პრობლემანი შეგნებული და გაშუქებული, მით უფრო მეტი სარგებლობა ექნება, როგორც შეერთებულ შტატებს, ისე ჩვენ სამშობლოს. ეს არის ჩვენი საერთო მიზანი.

ამისთვის გთხოვთ, ამ საქმეს შეხედოთ არა ისე, როგორც მარტო ქართულ საქმეს, არამედ როგორც თქვენ პირად პატრიოტულ საქმეს თქვენი სამშობლოს წინაშე, თქვენ სახელმწიფოს საფრთხის თავიდან ასაცილებლათ და თქვენ თანამემამულეთა დიდ რიცხვის საბედნიეროთ.

თუ მოახერხეთ ამ საქმის სათანადო ნიადაგზედ დაყენება, ამით როგორც თქვენი სამშობლო, ისე საქართველო იქნება თქვენ მიერ დიდათ დავალებული.


ჩემო სანდრო, ეხლა ჩემი პირადი საქმეები: მე შევიტანე თხოვნა ამერიკულ საკონსულოში მანდ ემიგრანტათ მიღებისა. ჩამრიცხეს რუსეთის კვოტაზედ 1 თიბათვეს №1013.

ჩემო სანდრო, თუ ეგენი დაინტერესდნენ, სთხოვე, იქნებ ააჩქარონ, მომაწყონ მანდ სულ უბრალოდ რომელიმე ქარხანაში, როგორც მუშა. დეე, მიმიღონ, როგორც D. P.[24] მე მანდ ვიქნები მოკლე ხანში. ენას შევისწავლი, ხოლო ეგენი ადრე თუ გვიან დარწმუნდებიან და მოვლენ ჩვენთან თითონ ამ საქმეში. გარემოება თითონ უკარნახებს ამას.

გთხოვ, პასუხი მალე მომწერო.

გამარჯვებით,
თქვენი ვანო ნანუაშვილი
J. Nanuaszwili

P. S. სანდრო, გთხოვ, ყურადღება მიაქციო იმას, რომ ეს საქმე უმთავრესათ სამხედრო დაზვერვას აინტერესებს და არა პოლიტიკურს.



ივანე (ვანო) **ნანუაშვილის** წერილი **ლევან** (ჯონჯი) **დადიანს** და **სანდრო ბარათელს** (გიორგი პიტავა), ხელნაწერი, 8 აგვისტო, 1948 (პაატა ნაცვლიშვილის ბიბლიოზეუმი, თბილისი).

24 Displaced Person – დევნილი (ინგ.).

10.

Hodgemoor Hostel
24.8.48

ძმაო საშა!

მივიღე დღეს შენი წერილი და ბატონ ედნასი. დიდი მადლობელი ვარ თქვენი ყველასი და მეტადრე ბატონ ედნასი, რომ ესეთი ღვაწლი შეიტანა ამ საქმეში.

ძლიერ ძნელ საქმეს გავალებს და გთხოვს შენ ჩვენი სამხედრო კავშირი: ამ წერილთან თითქმის ერთად მიდის მიშასთან „საოპერაციო საშუალებათა“ რეფერატი რუქებით. პირადათ მე, ვერ შემეძლო კავშირის დადგენილების შეცვლა. ეხლა გთხოვ, კავშირისა და ჩემი სახელით ერთსა, ეს წერილი, რომ მიიღო, წადი მიშასთან, ნახე, გაჩვენებს საქმეს და უნდა დაიყაბულო და მოარიგო ყველანი ერთ საქმისთვის: ერთათ გადასცეთ ეს რეფერატი ამერიკელებს. ეს ერთათ ერთი საქმეა. თუ პროექტი მიიღეს, მერე საქმე თავისით წავა და მიშა მანდ ვერაფერს ველარ გააფუჭებს.

დღეს აუცილებლივ დაგჭირდებათ, რომ ამ შეხვედრაზედ მანდ გადასცეს კავშირზედ ის ცნობანი, რომელიც მას აქვს აქედგან და წარსულ მუშაობიდგან გერმანელების საწინააღმდეგო ერთდროულათ რუსეთის საწინააღმდეგო ბრძოლისა. ეს ერთი და უკანასკნელი მისიაა, რომელსაც მაგას კავშირი ავალებს. მერე ეგ ნამდვილათ მოხსნილი იქნება, სხვა ვინმე ჩამოვა თუ არა.

საშა, ეს საქმე უნდა მოაგვარო საქართველოსთვის. მრწამს თქვენი ყველას პატრიოტობა და ინტელიგენცია. გთხოვთ, ამ უკანასკნელ ნაბიჯს ნუ დაზოგავთ საქართველოსთვის ისე, როგორც არა ზოგავდით სისხლს და სიცოცხლეს. ზდგას ჩვენი ყოფნა არ ყოფნის და ადამიანობის სახის საკითხი.

ეს წერილი მიშას არ აჩვენოთ. არც აგრძნობინოთ, რომ მიიღეთ და გადაეცით ის რეფერატი.

გულითადი მეგობარი
თქვენი ვ. ნანუაშვილი

მეორე წერილი, გთხოვ, აჩვენო მიშას.

11.

Hodgemoor Hostel
24.8.48

ძმაო საშა!

გადმოუგზავნე მიშას „საოპერაციო საშუალებანი მოწინააღმდეგების“. გთხოვ, ეს საქმე ნახო. ძლიერ სასურველია, რომ ეს საქმე ერთათ წარადგინოთ ამერიკელთა მეორე განყოფილებაში. ეს დარგი აინტერესებს მხოლოდ სამხედრო წრეებს და არ არის სასურველი, რომ იგი ვინმე არა სამხედრო ჯგუფის წარმომადგენელთა ხელში ჩავარდეს.

ეს, საერთოთ, ქართულ საქმისთვის ისეთ მნიშვნელობის ფაქტია, რომ გვრწამს ყველას, რომ არავითარ ღვაწლს არ დაზოგავთ, რომ იგი სათანადო ალაგას მოხვდეს. გთხოვთ, მიუხედავათ ყოველი მოვლენებისა, მიშას დეეხმაროთ ამ საქმეში.

თქვენი
ვ. ნანუაშვილი

12.

6.9.48
Hodgemoor

ძმაო საშა!

მივიღე შენი წერილი, რომელმაც ძლიერ გამახარა. ვარ ძალიან დიდი მადლობელი, როგორც შენი, ისე ძვირფას ჯონჯის და მის პატივცემულ მეუღლისა.

ჩემო საშა, იცოდე, რომ ეს დაუკარგავი საქმეა და გინდ დღეს უშუალოდ შედეგი ვერ მოიტანოს, მაინც უახლოეს დროში, გავარდება თუ არა პირველი ზარბაზანი, ეს საქმე საქართველოსთვის თავის შედეგს უეჭველად მოიტანს. ეს პირველი ნაბიჯი ვისმეს უნდა გედეედგა უეჭველად, საქრთველოს მომავლისთვის. ეს თქვენ გხვდათ წილათ და მართლაც კარგათ მოაწყეთ.

ვნახოთ. სამხედრო კავშირი გიძღვნით ყველას დიდ და გულითად მადლობას.

თქვენი ვ. ნანუაშვილი

13.

14.9.48
ინგლისი

საყვარელო ძმაო სანდრო!

მივიღე შენი წერილი პატარა დაგვიანებით (შეცდომით ძველ მისამართზედ იყო მოწერილი). მივიღე ამის შესახებ მიშას წერილიც.

ჩემო საშა, ის, რაც გაკეთდა, ეს უკვე დიდი შედეგია და აუცილებელი პირველი აგური. ეს სულ ერთია, აქ ვინმე მოვა თუ არა ან თუ შემდეგი ნაბიჯები დაგვიანდა. ყველაფერი მომავალში მაგ სახელმწიფოსთან ურთიერთობაში მხოლოდ ამ ნიადაგს დეემყარება, რომელიც თქვენი საერთო ღვაწლით ამ საქმეს ჩეეყარა. მეორე მხრივ, ჩვენი მომავალი მოითხოვს მჭიდრო მუშაობას სწორეთ მაგ სახელმწიფოსთან და არა სხვა რომელიმესთან. ამიტომ მთელი სამხედრო ორგანიზაცია დიდ მადლობას გიძღვნით და გამგეობის დავალება მაქვს, გადმოგცეთ, რომ ამ ღვაწლს იგი არას დროს არ დაივიწყებს.

გთხოვ, გადუთარგმნო ეს ქალბატონ ედნას და გადასცე ჯონჯის. მაქვს გამგეობის დავალება გადმოგცეთ:

ბატონო ჯონჯი, დიდი მადლობელი ვართ, რომ ამ საქმეში გამოიჩინეთ უდიდესი ქართული პატრიოტის ღირსება, რომელიც ახასიათებს ქართველებს ჩვენი დიდების ხანიდან და ეხლანდელ დიდ ერთა შვილებს. უდიდესად გმადლობთ, რომ მიუხედავათ პირადი უკმაყოფილების ჩვენი წარმომადგენელისა, საქართველოს საერთო ინტერესებისთვის არ გაუწიეთ ამას ანგარიში და საერთო საქმეში გაუწოდეთ მას ხელი. ეს იყო ძველ ქართველთა ტრადიცია, რომ სამშობლოს საქმეებში პირადი ანგარიშები უკუგდებული იყო მუდამ ჩვენი ერის დიდების ხანაში.

თქვენი ოჯახის მიერ საერთო გზის პირველ გაკაფვას, როგორც ისტორიულ მომენტს, ვერავინ ვერ გააბათილებს და არავინ არ დაივიწყებს, ვისაც კი საქართველოს მომავლის აშენებაში რამე სიტყვა ექნება.

გამგეობის დავალებით,
თქვენი ვ. ნანუაშვილი

ეხლა საშა, ვინაიდგან თქვენ ხშირად მოგმართამენ მანდ, სასურველია, შევაფარდოთ ჩვენი საერთო პოზიცია ყველა საკითხებში, რომ ყველგან ერთგვარათ ვლაპარაკობდეთ.

როგორც დაინახავდი, მაგათ აინტერესებთ: მთლიანი საქართველო და ქართული საზოგადოება, მთლიანი კავკასია და კიდევ რომელ ერის დაკავშირებას მოვახერხებთ მომავალში რუსეთის წინააღმდეგ.

ჩვენი პოზიცია ამ საქმეში შემდეგია:

1. ქართულ საზოგადოებაში.

არავითარ შინაგან ჩვენ შეხლაზედ ან უთანხმოებაზედ მაგათ არავითარი წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეთ.

სამხედრო კავშირს აქვს ურთიერთობა ყველა ქართულ პარტიასთან, რომელიც ზდგას ჩვენი ერის თავისუფლების ნიადაგზედ (ყველა, გარდა კომუნისტების). პარტიები აქციის დროს შეთანხმდებიან პარლამენტალურ ნიადაგზედ. თუ ეს თითონ ვერ მოახერხეს, ამას მივაღწევთ სამხედრო კავშირის შუამდგომლობით და ამორტიზაციით. ისე, რომ აქციის დროს მთელი ქართული ემიგრაცია პარლამენტალურ პრინციპზედ გაერთიანდება სამხედრო ორგანიზაციის გარშემო.

2. კავკასიის ერთა შორის. აქაც, თუ პარტიები ვერ მორიგდნენ, ყველა კავკასიელ ერთა სამხედრო ორგანიზაციები და ჯგუფები სამხედრო ორგანიზაციის გარშემო გაერთიანდება.

ამის ნიადაგი და წინასწარი მუშაობა უკვე გატარებულია. მხოლოდ ამის ამუშავება სამხედრო ორგანიზაციის საშუალებით და ინიციატივით ჯერ არ არის საჭირო, სანამ აქციის წინ პარტიები თითონ არ იხმარებენ ყველა თავიანთ საკუთარ საშუალებას.

3. საგარეო პოლიტიკაში. მთავარი ოსმალეთი.

ამერიკა მთავარ თავის პოლიტიკურ აქციას ამყარებს ოსმალეთზედ. თუ აქ კატეგორიული იერიში იქმნა მიტანილი, ჩვენი თანამუშაობა მაგათთვის მიუღებელი იქნება. გარდა ამისა, ოსმალეთი ომის დასაწყისში ძლიერ მაგრა იქნება დაზიანებული. აღდგენის მომენტში, შესაძლებელია კავკასია უფრო მალე იქნეს განთავი-

სუფლებული, ვიდრე ოსმალეთის აღმოსავლეთი პროვინციები. აქ, ჩვენი პოზიცია შემდეგია: გვსურს ოსმალეთთან ლოიალური თანამუშაობა საერთო მტრის წინააღმდეგ. გვაინტერესებს მხოლოდ ერთი პირობა: „არავითარი აგრესია ოსმალეთის კავკასიის წინააღმდეგ“. ამის გარანტიათ გვეყოფა შეერთებულ შტატების თავდება და კავშირი.

დარწმუნებული ვარ მიხვდებით, რის დაწერაც არა ღირს ქაღალდზედ.

ძმური გამარჯობით,
თქვენი ვანო

P. S. საშა, ყურადღება მიაქციე მისამართს და ძველ მისამართზედ ნუ მოიწერ, თორემ შეიძლება წერილი დაიკარგოს.

Hodgemoor Hostel
Nr. Amersham Bucks
England.

თუ მანდ ჩემი პირადი მისამართი იკითხონ ამ წერილის მისამართის გარდა, მიეცით შემდეგი ლონდონის მისამართი: 20 Grange Rd., London W4. ეს ჩვენი ხაზინადარის[25] მისამართია და თუ სადმე მგზავრობაში ვიქნები, მუდამ მომნახავენ.

გამარჯვებით,
თქვენი ვანო

პატარა წვრილმანი: თუ როდესმე ჩემი ბიოგრაფია გკითხონ, იცოდე, რომ როცა ფრონტს გადმოვედი 1944 წ. ფლორენციასთან, მოვედი მაგათ ნაწილში და ორი დღე ვიბრძოდი მაგათთან ერთად, რის მოწმობაც მაქვს მაგათ მწყობრის უფროსიდან. ისე, რომ ჩემი თანამუშაობა მაგათთან ჩემთვის პირველი არ არის.

14.

26.9.48

ძვირფასო საშა და ბატონო ჯონჯი!

მსურს მოგაწოდოთ პატარა ცნობები, რომელიც ამ მოკლე ხანში დაგჭირდებათ:

1. ამ ორ კვირაში მისამართს ვიცვლი, ვინაიდგან აქ სამუშაო გათავდა. მომავალი მისამართი ჯერ არ ვიცი და ამიტომ წერილები, გთხოვთ, გადმომიგზავნოთ ჯავახიშვილის ბინაზედ. ეს ორიოდე დღით დააგვიანებს, მაგრამ წერილი არ დაიკარგება. მისამართი: J. Nanuaszwili, 20 Grange Rd., London W4., England.

2. ამერიკელები და ინგლისელები დღეს რყევის და რჩევის პროცესში არიან. არჩევანი ორი აქვთ: ან „Единая, неделимая Россия“,[26] ან დაპყრობილი ერები. ცხოვრება და ომის მსვლელობა ბოლოს ბოლოს მათ ჩვენ გზაზედ გადმოიყვანს, მაგრამ ჩვენ ჩვენი თავიდანვე უნდა ვეცადოთ.

---

25 გიორგი (გოგი, გოგია) ჯავახიშვილი.

26 „ერთიანი, განუყოფელი რუსეთი“ (რუს.).

რუსების არგუმენტი ერთია: „მაგ ერებს ვერ მოარიგებთ და მაგათ მუდამ ჩხუბი ექნებათ – წესრიგი მარტო რუსეთმა უნდა შეინახოსო“.

ამაზედ ჩვენ მხოლოდ ფაქტებით უპასუხებთ. აქ მემარჯვენე ჯგუფები ყველა ეთანხმება სამხედრო ორგანიზაციას. მალე მთელი პოლიტიკური ემიგრაცია იქნება გაერთიანებული. ამასთან ერთად იწარმოვებს მთელ კავკასიის გაერთიანების საქმეც და დანარჩენ დაპყრობილ ერებთან კავშირის გაბმა, როგორც უკრაინა, პოლონეთი და სხვა.

თქვენ ჯერ კიდევ რამდენჯერმე მოგმართავენ, სანამ უშუალო კავშირის გაბმას გადასწყვეტენ. თქვენი აზრის შეფასება შეიძლება არც ოფიციალურად მოხდეს, არამედ სულ კერძო, შემთხვევითი მუსაიფების სახით. ყოველ შემთხვევაში, სასურველი და საჭიროა, რომ ყოველ მხრიდან მიიღონ სურათი, რომ მთელი ქართველი ერი და საერთოთ, რუსეთის მიერ დაპყრობილი ერნი შეთანხმებული იბრძოლებენ დამოუკიდებლობის მოსაპოებლათ. სადაო საკითხები, რასაკვირველია, იქნება, ეს ცხოვრების სახეა, მაგრამ U.S.A. და ინგლისის დახმარებით და შუამდგომლობით, ყველაფრის მშვიდობიანი გადაწყვეტა შეიძლება ომის შემდეგ. რაც შეეხება მომართვას, მე მგონი, რომ ჯერ კიდევ რამოდენიმე ხანი გავა, სანამ მოგვმართავენ. თუ საჭიროთ სცნოთ, აცნობეთ ჩემი ახალი მისამართი.

გულწრფელი სალამი და დიდი მოკითხვა ყველას და ბატონ ედნას მთელ გამგეობიდგან.

თქვენი ვ. ნანუაშვილი

P. S. ცოტა ხელს მიშლის ეს ხშირი მისამართების გამოცვლა და უმუშავრობა ხანდისხან. მაგრამ რას იზამ, ეს ქართველების იღბალია: კაცმა საქმეს მაშინ უნდა ემსახუროს, როცა გაჭირებაა, თორემ როცა ჯვრების და ვარსკვლავების დარიგება იქნება, მომუშავე არ დააკლდება. ეხლა კი, ჯერჯერობით, ჭაპანი მარტოკა უნდა ვწიოთ.

თქვენი ვანო

15.

20 Grange Rd.
London W4
England
1.11.48

ძმაო საშა!

ვერ გამიგია ეს ხანგრძლივი სიჩუმე და არ ვიცი, რითი ავხსნა იგი. იქნებ, ამერიკელების სიჩუმემ გაგიტეხათ გული? აქ არ შეიძლება ადვილ და ჩქარ ეფექტების მოლოდინი. ის საქმე მაინც თავის დროზედ თავისას მიაღწევს და მანამ არ შეგვიძლიან ჩვენ საქმის მინელება და მივიწყება.

მორიგე მწვავე საკითხათ შეიქმნა ამერიკულ ზონაში მყოფ ქართველების საკითხი. იქ იროს[27] და სხვა დაწესებულებათა მოხელენი სულ მოწითალო ხალხია და არ უშვებს ქართველებს არც არგენტინაში, ვისაც ვიზა აქვთ და არც სხვაგან. აუცილებელია მათთვის გზის გახსნა და პირველ რიგში სამ პირისთვის: 1. დათა ვაჩნაძისთვის, 2. მ. ახმეტელისთვის და 3. მ. წერეთელისთვის. საჭიროა, ან ამათ მისცენ უფლება არგენტინაში წასვლისა, ან ინგლისურ ზონაში და უფრო უკეთესი, თუ მოხერხდა, იქნებ მანდ წაყვანა. პირველი აუცილებლობაა ამ სამ კაცის გადარჩენა. საშა, შენ ამის ზედმეტი ახსნა არა გჭირია. ეცადე, იქნებ ამ სამ საშუალებიდგან ერთ-ერთს მაინც მიაღწიოთ.

ყურადღება მიაქციე ჩემ ახალ მისამართს. ეხლა აქ ვიმყოფები და ვმუშაობ ლონდონში ფიზიკურ მუშაობაზედ. ისე რა მოვიწერო, ჩემი წამოსვლა სხვა და სხვა მიზეზების გამო აქტუალობას ჰკარგავს. ვიზის მიღება უფრო ძნელდება. გარდა ამისა, პირველ რიგში ხალხის კონტინენტიდგან გადარჩენაზე უნდა ვიფიქროთ. თუ ამერიკელებმა მოგმართონ, მიაწოდეთ ჩემი ახალი მისამართი.

დიდი მოკითხვა ქალბატონ ედნას და ჯონჯის.

მოიწერე რამე, ჩემ წერილებს ნუ დაუცდი. მე სახლში ფიზიკურ მუშაობიდგან 7-8 საათზედ ვბრუნდები და ყოველ დღე მაქვს წასაკითხი და დასანერი 7-8 წერილი.

გამარჯობით,
თქვენი ვ. ნანუაშვილი

16. ასლი

18.11.48

ჩემი აზრები.
იმის მისამართი შემდეგია:
Walnut St., Georgian House
Islip N.Y.
U.S.A.

მართალია, ბევრჯერ გამოვიცვალე მისამართი, მაგრამ ეს უკანასკნელი მუდმივი არის. ეს გიორგი ჯავახიშვილის საკუთარი სახლია და იქიდან მაწვდიან, მე სულ არ ვიყო. ყველა ნაბიჯი უეჭველად მაცნობე ხოლმე.

მაინც მიშასთან კავშირი არ შესწყვიტო და კოლონიის ცხოვრებაში სცადეთ ერთათ იმუშაოთ ხოლმე.

გამარჯობით,
შენი ვანო ნანუაშვილი

27 IRO – International Refugee Organization – ლტოლვითა საქმეების საერთაშორისო ორგანიზაცია (ინგ.).

17.

20 Grange Rd.
London W4
England
23 ნოემბერი, 1948

საყვარელო ძმაო საშა!

მივიღე შენი წერილი 16.11 თარიღის. გიძღვნი დიდ მოკითხვას შენ და ძვირფას ჯონჯის და ქბ-ნ ედნას.

გთხოვთ, ამ წერილის შინაარსი შეინახოთ ფრიად საიდუმლოთ, რომ მიშამ არ იცოდეს ამის შესახებ არაფერი.

რასაკვირველია, ბ-ნ ჯონჯის და ბ-ნ ედნას რჩევა სრულიად თვალსაზრიანი და მიზანშეწონილია და მიღებულია. საუბედუროთ, მიშა ვერ გამოდგა დანიშნულების შესაფერად. ისიც სამადლობელია, რომ თქვენთან მაინც მოგვიხერხა კავშირის გაბმა. რასაკვირველია, ნელ-ნელა თანამდებობიდან მოხსნილი იქნება, მხოლოდ ეს აუცილებელია ისე მოხდეს, რომ ამერიკელებს არავითარი წარმოდგენა არ ჰქონდეთ მანდ მომხდარ განხეთქილებაზედ და უთანხმოებაზედ. მიშას მხოლოდ ერთი ინსტრუქციაღა აქვს: „თუ ამერიკელებმა მიმართეს, ყველა საკითხებზედ უპასუხებს, რომ სასურველია, მოელაპარაკონ ლონდონის ცენტრს“. ე. ი. მისი დანიშნულება ნელ-ნელა ჩაქრება ბუნებრივი სახით. გთხოვთ, თქვენც იხმაროთ ყოველი საშუალება, რომ ამაზედ ვერაფერი ვერ გაიგონ მაგათ.

ეხლა რაც შეეხება კავშირის საქმეს.

ჯერჯერობით გაბმული კავშირი მაინც ცალმხრივია. მე აქ ერთ ნაცნობების წრემ პირადათ წამაყენა მაგათ სამხედრო წარმომადგენელთან და გადავეცი იგივე მასალა, რაც თქვენ. შთაბეჭდილება დიდი მოახდინა. მაგრამ მან ჯერ არაფერი არ იცის მანდ გადადგმულ ნაბიჯებზედ. ალბათ, ეს ორივე გზა მანდ შეხვდება ერთმანეთს მაღალ საფეხურზედ და აი, ამის პასუხის მიღების შემდეგ შეიძლება კავშირი გაბმულათ ჩაითვალოს. ჯერ ეს კიდევ ცალმხრივი საქმეა.

ჩემი ეს მისამართი უკვე მუდმივი იქნება – ეს არის გოგი ჯავახიშვილის სახლი და იქიდან მაწვდიან მე წერილებსა.

დიდი მოკითხვა ყველას.


თქვენი ვ. ნანუაშვილი

P. S. მიშას იმისთვის მივწერე, რომ მოვთხოვე რომ ამ შეხვედრის შემდეგ ყველა ნაწერები და ნალაპარაკები ამ საქმეში უკვე წარმოადგენს U.S.A. საკუთრება საიდუმლოს და ამაზედ არსად არაფერი აღარ ილაპარაკოს. ის, რაც დასაბეჭდათ მისცა, აქ აღუნიშნე, რომ საიდუმლოება არ არის.


გთხოვ, ბ-ნ ჯონჯისთან და ედნასთან ბოდიში მოიხადო, რომ ეს არ ეგონოთ რამე ფაბორიზაციათ მიშასი, არამედ საჭირო იყო მისი აჩქარებით იმ ლიანდაგზედ გადაყვანა, რომელიც შენგან ეხლა მივიღე.

გთხოვ, მიშაც დაამშვიდო მუდამ და იხმარო ყოველი საშუალება მაგათ კონფლიქტის გასანელებლათ.

გამარჯვებით,
მუდამ შენი ვ. ნანუაშვილი



ივანე (ვანო) **ნანუაშვილის** მიერ **ალექსანდრე** (საშა) **სულხანიშვილისადმი** გაგზავნილი წერილის კონვერტი (**პაატა ნაცვლიშვილის** ბიბლიოზეუმი, თბილისი).



კონვერტის მეორე მხარე.

18.

8 იანვარი, 1956

ძმაო საშა,

ვიცი, რომ როცა ამ წერილსა ვწერ, ამის წინამორბედი წერილი, რომელიც მე გამოვგზავნე, ჯერ არც კი გექნება მიღებული. საქმე ისე მურტლად მიტრიალდა უცხო მამაძაღლის საბოტაჟის გამო, რომ ცოტა ჩქარი მოქმედებაა საჭირო.

მე სწორედ ეხლა გამომელია ფული ტელეფონებისთვის. ძნელია, შენ ვერც გაიგებ და არც დაიჯერებ, ეს რა წამებაა და ტანჯვა ჩემთვის, როცა ორი წლის დღე-ღამეს გასწორების შემდეგ, როცა საქმე უკვე მწიფეა, ვიღაც მამაძაღლი არამზადა გი...მს ხელში.

გთხოვ ორ რამეს:

1. პროფესორს წასულ კვირას (ე. ი. შაფათს, 7 იანვარს რო გათავდა) უნდა გადმოეცა შენთვის მასალა: თავები VIII, IX და XI. მითხრა: „აი, პორტფელში მიდევს მზადაო". გთხოვ, კატეგორიულათ მოსთხოვო, თუ არ არის მზათ, სულ ცარიელი კონვერტი მაინც გამოგზავნე, მე ამით უკვე მეცოდინება, რომ საქმე მოსპობილია და აქ მივმართავ ადვაკატს.

თუ გადმოგცეს ეს თავები გადმომიგზავნე და მაინც ყოველ ორშაფათ დღეს დაურეკე და შეეკითხე ხოლმე. იცოდე, რომ შემდეგ თავში (XII) მხოლოდ 17 გვერდია. ესე თებერვლის ათამდის, რასაც გამოვიტანთ, გამოვიტანთ. თებერვლის 10 მე ვიქნები მანდ და მაშინ გადავცემ სხვას.

2. მეორე თხოვნა. ეხლა მეორე მამაძაღლი.

გივი[28] არა გზავნის იმ ჟურნალებს. გადმომიგზავნე თუ შენა გაქვს, ან გოგიას[29] და მერე თქვენ, რაც გინდათ, ის უყავით მაგ არამზადას.

აი, ესეა, ჩემო საშა, არც ერთმა ქართველმა ერთი ბეწვის ოდენა ვერ გამიკეთეთ ვერაფერი, არც ერთ პირად და არც ერთ საზოგადო საქმეში. მე კი ჩემი უკანასკნელი წუთები და უკანასკნელი ლუკმა ამას გადავალიე. თქვენ ყველანი კარგები ხართ, მაგრამ საკუთარ თავს არ ივიწყებთ.

მე უკვე დღე-ღამის და კვირაში 7 დღის მუშაობას ველარ უძლებ. გული უკვე ცუდათ მუშაობს და ექიმმა საერთოთ ამიკრძალა მუშაობა. აქ კი მარტო მუშაობა კი არა, „საუკეთესო გულის მეგობრების" საბოტაჟს უნდა გაუძლო აშკარა მტრები ხო მტრები არიან.

აი, ჩემო საშა, ესეა საქმე. თუ გამიკეთებ, კარგი და თუ ამ კვირია შენგან არაფერი ცნობა არ მივიღე, მაშინ ამ ქვეყანაზედ არაფერი აღარა მჯერა, გარდა მოლიერის სიტყვისა: „ღმერთო, დამიფარე მეგობრებისგან და მტრებს მე თითონ მო..... ამ დედასო".

თქვენი ვ. ნანუაშვილი

---

28 უნდა იგულისხმებოდეს გივი (ოქროპირ) კობახიძე.

29 გიორგი (გოგი, გოგია) ღოღობერიძე.

19.

ბოსტონი
21 იანვარი [56]

ძმაო საშა და გოგი,
ეს წერილი მალე წაიკითხეთ და პასუხი მალე მომწერეთ.

მივიღე ლეო დუმბაძეს მოწოდება. ალბათ, თქვენც მიიღებდით. აწყობენ ვითომ გაერთიანებას მთელ საზოგადოებისა. რასაკვირველია, ჩვენ აქ მონაწილეობას ვერ მივიღებთ, მეორე მხრივ, არც თაგვისეებ გაჩუმება შეიძლება.

უნდა აშკარად გამოვაცხადოთ, რატო დუმბაძე-სინჯიკაშვილ-ცომაიასთან არ ვიმუშავებთ.

ამაზედ მოილაპარაკეთ ტელეფონებით და შემატყობინეთ საჩქაროთ. უნდა გამოვიდეს ჩვენი საგანგებო ბიულეტენი. სასურველია, ჯერ ისევ მაგით კრების წინ.

ამის შედგენა მე მომანდეთ. ეს ისაა, შენ რო ჩაშალე. ამას მე მაშინვე მოვაწყობდი.

ეს ბიულეტენი უნდა გავარჩიოთ მე რო მანდ ვიქნები 11-12 თებერვალს (კვირა დღეს). **მე ბიულეტენს** დაწერილს ჩამოვიტან.

დატრიალდით მალე. თუ ეს მომენტი გაუშვით ხელიდან ორგანიზაცია დალუპულია.

ეხლა მეორე საქმე:

პროფესორმა გამოგზავნა თავი VIII, მაგრამ შიგ გამოშვებული იყო ორ ფურცლამდე შინაარსი. მე ეს გამოშვებული მასალა ახალად გადუგზავნე, ამონაკვეთი რომ გადათარგმნოს. აი, ამისთვისაა საჭირო, რომ ყველა გადათარგმნილი თავები თითო-თითო გამოგზავნოს, თორემ ისე ფულ წაიღებს და ფურცლებ გამონაკლები მასალა მაინც ვერ დაიბეჭდება.

უთხარი, რომ ჯერ ეს გამოშვებული მასალა გადათარგმნოს და მერე თავები ცალკე ცალკე.

გამარჯობით,
თქვენი ვანო

20.

30 ნოემბერი, 1956

ძმაო საშა,

გუშინ გამოგიგზავნე 3 წიგნი[30] და ერთი წერილი. დღეს ვგზავნი კიდევ ორსა. მივიღე კვალიაშვილის ცოლის[31] წერილი.

ძალიან მიხარიაან, რომ კოლა[32] დაინტერესდა ამ წიგნით და დატრიალდა. ყველა-

30 Vano Jan Nanuashvili, „The Strength and Weakness of USSR. What everyone in the free world should know about Russia", Boston, Mass., 1956.

31 სტანისლავა (სტასია) ჩელინსკა-კვალიაშვილი.

32 უნდა იგულისხმებოდეს ნიკოლოზ (კოლა, კოლია) ამილახვარი.

ზედ კარგია, რომ ქორქაშვილს გაუგზავნეთ, მაგრამ საჭიროა, თან წერილიც მიაყოლოთ, რომ ეს წიგნი პოლონურ ენაზედ უკვე 2 წლის წინ იყო მზათ და მე რომ ადამიან პირობებში ვიყო, ესეთ ნამუშევარს ბევრს მიიღებდნენ. ისინი კი ყოფილ ჩეკისტებს და გეშტაპოელებს აძლევენ სამსახურს, რომელთაც ინტრიგების და პროვოკაციების მეტი არაფერი იციან და არც პოლიტიკაში და არც სამხედრო საქმეში არაფერი გეეგებათ.

ეხლა მთავარი:

როგორც გუშინა გწერდი, დაურეკე კოლას და მერე მიდი და სერიოზულად დეელაპარაკე. შამოუაროს გამომცემლებს, თუ გამოცემა მოახერხა (და უეჭველად მოხერხდება), სულ უკანასკნელი ფასს 4000 იძლევიან და უფრო მეტსა. დატრიალდეს და ფულს ეგეც გააკეთებს და მეც, ბოლოს ბოლოს აქ სიმშილით სული მძვრება.

კვინიტაძეს მალე გაუგზავნე. ჩვეულებრივი ფოსტა ევროპაში ღირს 25 ცენტი, გზაში 20 დღე იქნება; საჰაერო ღირს სამი დოლარი.

კარგია, რო ასლანასაც[33] წააკითხო, მაგრამ ის ისე შეაფასებს, როგორც გაჟონია ეტყვის. ყველაზედ კარგი იქნება, რო კოლა ქვარიანს წააკითხო. ის მართლა კითხულობს, ესმის კიდეც და ჩემი ნაწერები ყველაზედ ძალიან უყვარს.

მივიღე მ. კვალიაშვილის წერილი. ამაზედ კიდევ მოგწერ, მას დახმარება სჭირია. საშა, ღმერთმანი, რო შემეძლოს ერთი თვე არაფერს შევჭამდი და იმას გაუგზავნიდი, მაგრამ რა უყო, ამის მეტი არაფერი მაქვს და ამის ყაირათსაც ვერ შევძლებ. ისეც ძალიან ცუდათ ვარ, კუჭი მგონი სამუდამოთ გავიფუჭე და მგონი, კიბო იწყება.

წიგნი შენი ვალით 1200 დაჯდა. ისე, რომ ეს უნდა ვიხადო 2 წელი. ე. ი. მთელი ჩემი სიცოცხლე. არ ვიცი, რა უყო, ნერვები ველარ იტანენ ესეთ მდგომარეობას.

გენ. მაკარტურს[34] უეჭველად გაუგზავნეთ (ან მე გაუგზავნი). ველი გივის იმ ქაღალდებს. მთავარ ალაგებში ჯერ არც კი გამიგზავნია. ამას წერილიც სჭირია. კოლას დააწექი, გამოცემაზედ იმუშაოს.

გამარჯობით,
შენი ვ. ნანუაშვილი

21.

ბოსტონი
25 დეკემბერი [56]

ძმაო საშა,

დღეს შობა დღეა. ძაღლებთან ჭიდაობა ადრე გათავდა, ვინაიდან მეტი ნაწილი ძაღლებისა უქმეებისთვის სახლში წაიყვანეს და გოსპიტალში მარტო ხალხიღა დავრჩით. ზანგები და ქართველი.

ხვალ გამოგიგზავნი ორ წიგნს, ერთს მინაწერით წერეთლისთვის და მეორე ისე, შენ განკარგულებაში. წერეთელს მალე წაუღე. ევროპაში ჩემ წიგნმა უფრო დიდი ეფექტი მოახდინა, ვიდრე აქა. მომივიდა წულაძის წერილი, საწყალს ისე უხარიან, თითქოს ვინმემ ჯიბეში ჩააფსა. მთხოვს კიდევ ორიოდე წიგნს. ერთი მიუცია სახელ-

33 ასლან ყრუაშვილი.

34 დაგლას მაკართური (მაკარტური).

მწიფო დოკუმენტების ბიუროსთვის და მწერს, რომ ერთი უეჭველად უნდა მივიტანო ფრანგულ ეროვნულ ბიბლიოთეკაშიო.

შენ რომ გამოგზავნე, ის ინგლისური წერილი არის ლონდონის უნივერსიტეტიდან. იწერებიან: „ჩვენი ბიბლიოთეკა ყველაზედ დიდმნიშვნელოვანია მთელ ინგლისში რუსეთის შესწავლის საქმეებში და უმორჩილესად გთხოვთ, ჩაგვთვალოთ თქვენ ორგანიზაციის მუდმივ აბონენტათ და გვიგზავნოთ ყველა თქვენი გამოცემანი“.

ჩემი საქმე ვერ გავაკეთე, მაგრამ ორგანიზაცია მაინც დავაყენე მაღალ ავტორიტეტზედ. ვირისთავ გივისთან, ლანგე[35] ყოველკვირა დადიოდა, ვთხოვდი და არ შემახვედრა: „მე მითხარ და ყველაფერს მე გადავცემ“, მე ეს ბრიყვი სიტყვები არას დროს არ დამავიწყდება. აი, ერთი წერილით სულ სხვა თვალებით გვიყურებენ ეხლა. შეატყობინე ეს გოლდმანს და ყველა ბიჭებს. დაურეკე სომხებს. გაიგე, ბეგლარა ჩამოვიდა თუ არა. კონიუნქტურა ისეთია, რომ წიგნის გამოცემა უეჭველად მოხერხდება და ეს ყველასა სჯობია. მთელი მდგომარეობა, როგორც ჩემი, ისე ორგანიზაციისა, სულ გამოიცვლება, თუ ერთი 4000 ავიღე და წიგნი დაიბეჭდა. ბეგლარა გეტყვის, ეს როგორ გააკეთო.

გამარჯობით,
თქვენი ვანო ნანუაშვილი

22.

ეს წერილი არის ვანო ნანუაშვილისაგან ლ. არველაძეს.

ბოსტონი
24 აპრილი, 57 წ.

ძვირფასო ძმაო ლადო!

მივიღე შენი წერილი და მსურს გავაშუქო ის მოვლენები, რომელზედაც მწერ. ორთავენი ძალიან საკვირველ საგანს წარმოადგენს:

1. გითხარ, რომ 26 მაისი საჭიროა იყოს არა ნადიმი, არამედ ისე, როგორც 24 თებერვალს და მარტო ლიდერებმა ილაპარაკონ-მეთქი. ლადო, 15 წლის ემიგრანტობის შემდეგ, არ შეიძლება სიტყვა „ლიდერი“ ისე გაიგოს კაცმა, როგორც ეს საბჭოებში ესმით. მთელ დედამიწის ზურგზე ყველა პარტიის წარმომადგენლებს ყველა პარლამენტში ლიდერები ჰქვიანთ და რასაც ისინი ლაპარაკობენ თავის ჯგუფის თანხმობით, ამას მთელი ჯგუფი იცავს. არ შეიძლება ეს საკითხი 15 წლით დავწიოთ უკან და ყველა ვაიძულოთ, ეს საკითხი ისე გაიგონ, როგორც საბჭოებში ესმით. აქ დანაშაული და საწყენი და დასამდურავი არაფერია.

2. 26 მაისი დაუთმოთ ახალ ემიგრაციასაო და იმათ ილაპარაკონო. ლადო, 15 შემდეგ არ არის არც ახალი, არც ძველი ემიგრაცია. არის ქართული ემიგრაცია, ქართული საკითხი და საკითხის მოვლა. თუ ეს საკითხი ძველი და ახალ ემიგრაციის განსხვავებისა ვისიმეს თავში ტრიალებს, ეს ბოროტმოქმედებაა და საქართველოს ინტერესების წინააღმდეგია. ტრაღიკომედია იმაშია, რომ ეს მხოლოდ ორ კაცის

35 უნდა იგულისხმებოდეს ოსკარ რიშარდ ლანგე.

თავშია და სწორედ ამ ორ კაცს სწორეთ ახალი ემიგრაცია არ ენდობა და ჩვენ, ძველებს გვემდურებიან, რათ ეწევით მაგათაო. პირადათ მე, ეს საკითხი არ მაინტერესებს, მაგრამ ამბობ, ახლებს ნუ წაგვართმევთ 26 მაისსაო. აქ არავინ არაფერს ართმევს, მაგრამ რაღა სწორედ იმათ უნდა წაართო 26 მაისი, ვისაც მისთვის უბრძოლია. ეს სულ კეკელიას მანევრია. აი, ამის გამო მე ეს არც მაინტერესებს და 26 მაისს პირადათ არც დავესწრობი, თუმცა ამ დღეს ნუიორკში[36] მაინც უნდა ვიყო, ვინაიდგან ექიმი მყავს შეკვეთილი და 27-28 მაისს უნდა გავეშინჯო. ერთია საკვირველი, ეს ყველამ იცის, რომ 2 კაცს სძულს ძველი ემიგრაცია და რო შეეძლოთ, ყველას ძველს შამფურზედ ააგებდნენ, მაგრამ ეს საქართველოს სიყვარულით და მისთვის სამსახურის სურვილით არ მოზდით. ეს ყველამ იციან და რა საჭიროა მათი აზრის საზოგადოების აზრად გამოცხადება. აი, ჩემო ლადო, სიმართლე ესაა და თუ ვისმე სურს, ქართული საკითხის ამ საფეხურზედ დახეთქება, მას სათანადო პასუხი უნდა მისცე შენვე. პირადათ მე, როგორც გწერ, არც მაინტერესებს და არც დავესწრობი. ის, რაც შემიძლიან საქართველოსათვის, სხვაფრივაც გავაკეთებ და ჩემ „ძველ ემიგრანტობას“ საქართველო და ნამდვილი ქართველები შემინდობენ.

გთხოვ, ეს წერილი წააკითხო 4 მაისს სხდომას.

მოკითხვა იტალიას.

გამარჯვებით,
შენი ვანო

23.

ბოსტონი
27 აპრილი, 57

ძმაო საშა,

დღეს შაფათია, ვზივარ სახლში და სხვა და სხვა ფიქრებით სავსე გწერ ამ წერილს.

1. ვიცი, 4 მაისს გექნებათ სხდომა. ეს უეჭველად საჭიროა, მოილაპარაკეთ 26 მაისის შესახებ. მე მინდოდა 26 მაისში გამემეორებინა ჩემი მანევრი 24 თებერვლიდან და ამით რუსოფილებს გავათავებდით. ამასვე მეხვეწებოდა ლადო წერილობით მანდედან წინათ, მაგრამ ეხლა გადატრიალებულია თევზივით, თავისებურათ. ალბათ, ეს გოლდმანის საქმეა: „სულ ძველები ლაპარაკობთ, ახლები არსადა სჩანანო“. ჩემი პასუხი იცი, წინა წერილიდან. მაგარი იყო და ალბათ, გაჯავრებულია. თქვენ ერთი ხელი გულზე მოუსვით, მეორე ტრაკში წაავლეთ. ეგ ვირები, თუ 10-15 ლაპარაკობენ, არავის აზრი არ მოზდის სულ ახლები ლაპარაკობენო, თუ ერთხელ ძველმა ილაპარაკა, მაშინვე აყვირდებიან ძველი ლაპარაკობსო. მაშასადამე, რა უნდათ? უნდათ, რო სულმთლათ უფლება აგვყარონ და ხმა წაგვართვან იმ ხალხმა, რომელნიც აქტიური კომუნისტები იყვნენ მაშინ, როცა ჩვენ კომუნისტებს ვებრძოდით.

2. ჰკითხე კოლას ღვდელ კაპანაძეს მისამართი და მალე გამოგზავნე. აქ არის იმის დიდი მეგობარი და ის ჩვენ გვჭირია დღეს.

36 უნდა იყოს ნიუ-იორკი.

აბა, როგორ გინდა მაგათთან მუშაობა.

კუნიხოლმის[37] ნუ გეშინიან, ეგ თითონვე ურიგდება რუსებს. მე შენთვის ბევრი რამე არ მითქვამს. მაგათ დოლიკას[38] გაგზავნა კიდევ ერთხელ უნდათ ოფიციალურათ და ეხლა გაჯავრებულნი არიან იმაზედ, რომ ეს შემდეგი გეგმები ჩეეჯვათ. შესაძლებელია დოლიკა ისეთი ბითურია, რომ არც კი ესმის, რომელი რუსული ჯგუფი იყენებს. ტარსაიძე-ბელოზერსკი[39] და თეიმურაზ[40]-ჩხენკელი, მაგას ორი სხვა და სხვა ჯგუფი ჰგონია და ის კი არ იცის, რომ ეს ორთავე მაკრატელი ერთ ხელშია ხმარებაში.

4. დღეს ვწერ წერილს ქართველიშვილს და თუ რამე გამოვიდა, ეს უკანასკნელი გამოცვლა ღა იქნება ალაგისა. მეყოფა ეს ხტუნაობა. მინდა ერთ ალაგას მოვკვდე.

5. მომივიდა კვალიაშვილის წერილი. საქართველოზედ ბევრი ახალი ცნობებია. იქ სულ სხვა სულია, იქ ყველამ იციან და სცნობენ ეროვნულ მოძრაობას და მთელ რუსეთის ტერიტორიაზედ საქართველო არას დროს არა ყოფილა ისეთი პოპულიალური,[41] როგორც დღეს. მდგომარეობა სულ სხვაა, ვიდრე ამერიკელებს აქა ჰგონიათ. ნუ იტყვი, რომ ეს კვალიაშვილმა მოიწერა, თორემ მერე შეიძლება ჩავარდეს. სთქვი, გადასახლებულ პოლონელებმა, რომელნიც ჩამოვიდნენ აქა-თქო.

მე ვიქნები მანდ 26-28 მაისში. უნდა ვნახო ექიმი. არ ვიცი, თუ 26 მაისს დევესწრობი. ძალიან გაჯავრებული ვარ იმაზედ, რომ ამ ბითურებს ჩვენი უფლებების აყრა სურთ.

მოკითხვა გოგიას.

გამარჯობით,
თქვენი ვანო

ვწერ წერილს ლადოსაც, უფრო დინჯსა.

24.

Joseph Rubefeld
150-38 North
FL 186000[42]

30 აპრილი, 57

ძმაო საშა და გოგი,

ეს წერილი დაიგვიანებს და თქვენ 4 მაისის სხდომას ვერ ჩამოუსწრობს, ვინაიდან ველოდი შენ დაპირებულ ტელეფონს და შენ კი აგვიანებ.

---

37 ერიკ კუნიჰოლმი (კუნიხოლმი).
38 დავით (დოლიკა) ვაჩნაძე.
39 სერგეი ბელოსელსკი-ბელოზერსკი.
40 თეიმურაზ (თემო) ბაგრატიონ-მუხრანელი.
41 უნდა იყოს პოპულარული.
42 წერილის თავში ჩვენთვის უცნობი ხელწერით მიწერილია ვინმე ჯოზეფ რუბენფელდის მისამართი.

1. არველაძეს მთელი ჯაგლაგობა გოლდმანის საქმეა. ის აწვება გაჟონიას. გაჟონიასთან სცხოვრობს შელიაც. რამდენჯერმე მიიპატიჟეს ვანო სულხანიშვილიც. გოლდმანს უნდოდა ჩვენი მიყვანა თეიმურაზთან (ეს შენვე იცი). თეიმურაზი მუშაობს ჩხენკელთან და ჭინჭარაძესთან[43] და თუ გახსოვს, 24 თებერვალს ჩხენკელმა ილაპარაკა გაჟონიას თხოვნაზედ. ეს სულ ჩაწყობილი იყო, მაგრამ ყველაფერში მე ჩაუჯვი. ეხლა დაქოქეს ლადო. ვინაიდან კიდევ ეშინიანთ ჩემი სიტყვისა – სულ ძველები ლაპარაკობენო. ლადოს მხოლოდ ეს უნდა. მაგის ავადმყოფობა ხომ იცით, „გენაცვალე, თამადათ მე ამიერჩიეთო“.

მე 26 ვიქნები, სიტყვაც მზად მექნება, მაგრამ თქვენ გამგეობაში უნდა გაიყვანოთ, ვინ ამბობს სიტყვას.

2. საქართველოდან ცნობები შემდეგია: მთელ საბჭოთა კავშირმა იცის, რომ საქართველოში უაღრესი ბრძოლა იყო ეროვნულ განთავისუფლებისთვის. იციან, რომ ეს პირველი სიგნალი საქართველომ მისცა საერთო ეროვნულ ბრძოლისთვის. არას დროს საქართველო და ქართველი ხალხი რუსეთის იმპერიაში ისეთი პოპულიალური არ ყოფილა, როგორც დღეს. ყველა კავკასიელი ერის პოლიტიკურ წრეებს სურთ მუშაობა თბილისთან. სტალინის და ბერიას დროს კი რუსები მხოლოდ იმაზედ ოცნებობდნენ: „Бей жидов и грузинов“.[44]

თვით საბჭოებში დღეს უდიდესი მოძრაობაა საერთოთ დაპყრობილ ერებისა. დღეს აქ რუსებს სურთ (ისე, როგორც კრემლსა), რომ ქართული საკითხი თითონ ქართველებმავე მოხსნან საერთაშორისო სარბიელზედ. მაშინ, საერთოთ ქართული საკითხი აღარ აღიძრება არსად. აი, ესაა მთელი აქცია. აქედან დაიწყო გოლდმანის და თეიმურაზის თანამუშაობა.

3. საშა, მთელი სახლი ყირამალა დააყენე, მაგრამ ის წერილი ლადო, რო აქედან საქართველოში აბეზღებდა, უეჭველად უნდა იპოვნო და ერთი სამი ფოტოკოპიო ეხლავე აიღო. ეს მზათ უნდა იყოს.

თუ ლადო დროზედ არ მოვიდა ჭკვაზედ, უნდა მოვსპოთ.

4. როგორია გივის პოზიცია?

5. ქართული საკითხი იქ საბჭოებში და ევროპაში ძალიან მაგრა დგას. ამ ლაზღანდარებს ნუ შეუშინდებით. ელაპარაკეთ მამიას.[45] გაჟონია თავისავე პროექტებს თითონვე უკეთებდა საბოტაჟს. მაგათ ჩოჩქოლის და ჩაშლის მეტი არაფერი არ აინტერესებდათ. მაგ ორ სულიერ ჯაგლაგებმა (ლადომ და ისიდორემ[46]) კარგათ იციან, რომ არავითარი ღირსება არა აქვთ და თუ ქართული საკითხი იუდასეებ არ გაჰყიდეს, ისე კარიერას ვერ გააკეთებენ. იყვნენ ბოლშევიკური მახინჯები და მახინჯებივე დარჩნენ.

გამარჯობით,
თქვენი ვანო

43 ალექსანდრე (საშა) ჯინჭარაძე (ჭინჭარაძე).
44 „დასცხეთ ებრაელებს და ქართველებს“ (რუს.).
45 მამია ზაქრაძე.
46 ისიდორე გაჟონია.

25.

ბოსტონი
2 მაისი, 57

ძმაო საშა და გოგი,

გიგზავნით ამ აურზაურით გამოწვეულ საქმის მთელ მასალას. გთხოვთ, წაიკითხოთ იგი და გაიგოთ კარგათ.

თქვენ რაღაც პანიკითა ხართ გატაცებული, რაღაც ბოდიშების მოხდა გინდათ და სცდილობთ, რომ საქმე მიაფუჩეჩოთ ახმეტელ-ალიკის[47] საშუალებით.

თანვე ამბობთ: „ეს რო საერთო კრებაზედ გეთქო, საუცხოვო იქნებოდაო". სწორეთ ამისთვისაა ესა. აბა, რა გზით გსურდათ ეს საქმე საერთო კრებაზედ მიგეტანათ. თქვენ გგონიათ მე დამავიწყდებოდა 1952 წელს ლადოს სახლში მომხდარი კომედია და რკინის კაცებზედ ლაპარაკი?! ვინ წამოვიდოდა ამის საერთო კრებაზედ გამოსატანათ.

ერთი უკვე მიღწეულია – ამერიკელები ამ საქმეში რუსების სასარგებლოთ აღარ ჩეერევიან არას დროს. ის მოხელეები, რომელნიც პირადათ რისკით მეტიჩრობდნენ, უკვე მაგრა გაფრთხილდნენ.

რა გიყოთ, თქვენ არ იცით პოლიტიკური მოქმედება, ხან სიჩუმე და გაწოლვაა საჭირო, მაგრამ თუ მოგიხდა ხელის სტოლზედ დარტყმა, ისე უნდა დაარტყა, რო შემხტარი ლიტრა კოკამ კარგა მაგრა დაინახოს.

სანამ ეს მომჩივანი პირები თავიანთ პოზიციას არ გამოარკვევენ ქართულ საკითხში, მანამ არავითარ პირად საკითხზედ არ შეიძლება ლაპარაკი. ხოლო რაც შეეხება ჩხენკელს და ბაგრატიონს,[48] იქ გამოსარკვევი არაფერია, ქართულ კოლონიას უნდა ჩამოშორდნენ.

თქვენი ვანო ნანუაშვილი

ჩემი წერილი ღია ოფიციალური წერილია იმ დაწესებულებისადმი, რომელიც ებრძვის მხოლოდ კომუნიზმს და სრულიად ნეიტრალურია დაპყრობილ ერების გამანთავისუფლებელ ბრძოლაში. მისთვის სრულიად ლეგალურ და ოფიციალურად მიღებულ მხარეებს წარმოადგენენ, როგორც რუსები, ისე ქართველები და ვისაც სურს, პირადათ შეუძლიან წავიდეს იქ, საცა სურს, ნუ ექაჩებიან ქართულ ორგანიზაციებს. ეს წერილი იყო ოფიციალური გაფრთხილება, რო ვიბრძოლებთ და რუსებთან არ გაუშვებთ საქმეს. ეს ამერიკულ დაწესებულებამ კარგა გაიგო და იცის.

ვ. ნ.

ეს ქაღალდები არ დაკარგოთ, დამჭირდება შემდეგისთვის. ხო ხედავთ, რომ ტარსაიძეს ინტერვიუ ამ საქმის გაგრძელებაა და ჩხენკელი მართალი იყო, რომ თქო, რო ეს აქცია მალე დაიწყებაო. ეგენი პირადათ უშუალოდ არ არიან ერთმანეთ-

47 ალექსანდრე (ალექსი, ალიკა, ალიკი) ამილახვარი.
48 თეიმურაზ (თემო) ბაგრატიონ-მუხრანელი.

თან გადაბმული, მაგრამ ზევით რუსების ხელში ეს ვოჟები ერთდებიან ერთ ხელში. აი, ესე ახტუნავებენ ჩვენ ჯაგლაგ ბედაურებს.

ყოველ შემთხვევაში, ამერიკელები აღარ ჩაერევიან ესეთ გახმაურებულ საქმეში და ჩვენებს კი ჩვენვე მოუვლით.

ვ. ნ.

საქართველოს განთავისუფლების ამერიკული საბჭო

ქართული საზოგადოება მუდამ ჰგრძნობდა საჭიროებას მთელ ემიგრაციის პოლიტიკურ მუშაობის გაერთიანებისა ეროვნულ სკითხის გარშემო და მის განხორციელების მუშაობაში. ამაზედ იყო ბევრი გულწრფელი თუ არა-გულწრფელი ცდილობა და ინთხეოდა აუარებელი მელანი.

ეს ხდებოდა ქართულ ემიგრაციის ყველა ცენტრებში და ესევე სენი მეედო ჩვენ საზოგადოების იმ ახალ ცენტრებს, რომელნიც დაარსდნენ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, მათ შორის, შეერთებულ შტატებში შექმნილ ქართულ ემიგრაციის ახალ კერასაც.

ვერც აქ მოხერხდა ერთ ქართულ ეროვნულ აპარატის შექმნა. ყოველ გვარი ცდილობა იმსხვრევოდა ერთ უდრეკ სურვილზედ, სახელდობრ: „ჯერ დანგრევა ყველა იმისა, რაც არსებობს, მერე ყველაფრის დაქვემდებარება ერთ მირონცხებულ რჩეულთა ახალ ჯგუფისადმი".

ამავე დროს, საერთაშორისო მდგომარეობა ვითარდებოდა თავის საკუთარი გზით და არ უცდიდა ქართულ ემიგრაციის შინაურ თავის ტეხვის დადებით თუ უარყოფითი სახით ამოწურვას.

ამ გარემოებამ შეჰქმნა აუცილებლობა, რომ დაარსებულიყო რამე ქართული ორგანო, რომელიც გვერდს აუქცევდა ყოველ გვარ შინაგან კინკლაობას, აიღებდა ნაბიჯს საერთაშორისო პოლიტიკურ ვითარებისას, არ ჩამორჩებოდა მსოფლიო მოვლენებს და გააკეთებდა ყველაფერ იმას, რასაც მომენტი უკიდურესი კარნახით მოითხოვდა ქართულ საზოგადოებიდგან და, რის გაკეთებაც მომავალში უკვე შეუძლებელი გახდებოდა.

ამ გარემოებაში, ჩამოყალიბდა ამერიკული საბჭო საქართველოს განთავისუფლებისა, იმ ჯგუფის ინიციატივით, რომელმაც ამ ფაქტის წინ იხმარა ყოველივე საშუალება საერთო ენის გამოსანახავათ.

დიდ შედეგებმა, რომელნიც მიღწეულნი იქმნენ სულ მოკლე ხანში, საერთაშორისო სარბიელზედ და საერთო ქართულ მაშტაბში, ძალიან მალე გაამართლეს ამ ორგანიზაციის არსებობა და ცხად ჰყვეს, რომ უკვე აღარ შეიძლებოდა აღარც ერთი წუთის დაკარგვა.

შინაგან ცხოვრებაში ამერიკულ საბჭომ აიღო ის ხაზი, რომელსაც მას ცხოვრება ნათლად უკარნახებდა: არავითარი დაშლა და არავითარი დანგრევა, დეეყრდნო იმ უდიდეს იურიდიულ და ფაქტიურ ორგანოს, რომელიც გააჩნდა ქართულ ემიგრაციას – დეეყრდნო ქართულ ეროვნულ მთავრობას. 35 წლის განმავლობაში ამაზედ სრულყოფილი აპარატი ვერ შეჰქმნა ქართულ ემიგრაციამ და არ შეიძლება ამის ძებნა-ძიებაში დავკარგოთ მეორე 35 წელი.

საგარეო საკითხში ამერიკული საბჭო ისახავს მხოლოდ ერთ მკვეთრად ჩამოყალიბებულ მიზანს: სრული, უხინჯო და უკომპრომისო დამოუკიდებლობა საქართველოსი.

ამ დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლათ და დაცვისათვის აუცილებელია მჭიდრო პოლიტიკური თანაცხოვრება ყველა კავკასიელ ერებთან, ხოლო დამოუკიდებლობის მოსაპოვებლათ აუცილებელია მჭიდრო კავშირი და თანამუშაობა ყველა იმ ერებთან, რომელნიც ებრძვიან თავიანთ თავისუფლების მოპოებისთვის იმავე მოწინააღმდეგეს, რომელსაც ვებრძვით ჩვენც.

მომავალი შინაგანი წყობილება განთავისუფლებულ საქართველოში ემიგრაციას არ ეკითხება. ეს საგანი წარმოადგენს საკითხს თვით განთავისუფლებულ ერისა.

აი, ესაა ამერიკულ საბჭოს მიზანი და მისი მოქმედების ხაზი. ამ ხაზს არ გადაუხვევთ არც ერთ პუნქტში:

– შევებრძოლებით ყოველ გვარ ნგრევის და დაშლის სურვილებს და განზრახვებს ქართულ ემიგრაციის წიაღში.

– არას დროს არ ავიღებთ ხელს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზედ და

– არას დროს არ დავარღვევთ დაპყრობილ ერების საერთო ფრონტს.

ჩვენ საფეხურზედ გავაკეთებთ ყველაფერს კავკასიელ ერების მჭიდრო თანაცხოვრების ყველასთვის მისაღებ პოლიტიკურ სახის გამოსანახავათ.

ყველა თითოობლივ ქართველს ან რამე ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლიან ამ საქმის გაძლიერება და თავის წვლილის შემოტანა, გზა მუდამ ღია აქვს ჩვენდამი და მივეგებებით სიხარულით.

არც ერთი წუთით არ შევანელებთ ჩვენ მუშაობას და არ დავხარჯავთ დროს ვისმეს რწმუნებაზედ, კამათზედ და ექსპერიმენტების წარმოებაზედ.

აი, ესაა მთელი ამერიკულ საბჭოს მოქმედების *მიზანი*[49] და დიდ სიხარულით მივეგებებით, თუ რომელიმე სხვა ორგანიზაცია მიაგნობს დროზედ უკეთეს ხაზს მოქმედებისა და მიაღწევს უკეთეს შედეგებს.

26.

ბოსტონი
10 მაისი, 1957

ძვირფასო საშა და გოგი,

ვხედავ, რომ დოლიკას კონფლიქტით ძალიან შეწუხებული ხართ. რასაკვირველია, ეს ძალიან არასასიამოვნო კონფლიქტია, ყველაზედ მეტად ჩემთვის, ვინაიდან მე 1936 წელს პარიზში დოლიკასთან ვცხოვრობდი ისე, როგორც ძმასთან.

ამ კონფლიქტის სრული ამოწურვისთვის საჭიროა შემდეგი:

1. ჯერ სრული ჩამოყალიბება იმ ფაქტებისა, რომელთაც ჰქონდათ ალაგი.

2. საჭიროა გამორკვევა: ხდებოდა ეს დოლიკას სრული შეგნებით და თანამუშაობით, თუ მაგის ზურგს უკან ვინმე სპეკულაციას ეწეოდა მაგის პიროვნების შესახებ ისე, რომ ეს დოლიკამ თითონვე არ იცოდა.

3. რა აქვს აქ საწყენი ბატონ კუნიხოლმს?

დავიწყოთ პირველიდან:

---

49 კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამოტოვებულია.

დოლიკა მე ვნახე წასვლის სულ ორი-სამი დღის წინ, ძალიან გამეხარდა, რო პარიზში მიდის და ვთხოვე, გამოერკვია იქ ორი სამი საკითხი.

ნიუ იორკში საშინელი კორიანტელი ასტყდა სწორედ დოლიკას წასვლის დღეს. დატრიალდა რუს მონარქისტების ერთი წრე. სწორედ ის წრე, რომელსაც პანიკა შეუდგა, როცა ჩვენ უკრაინელებთან ერთად ვაწყობდით აქ დაპყრობილ ერების საერთო ორგანიზაციას. მაშინ ეს წრე ყველგან რეკავდა და კითხულობდა: „Неужели, вы грузины присоединитесь к разным сепаратистам?“[50] და სპეციალურად კითხულობდნენ ჩემ გვარსა.

აი, დოლიკას წასვლის დღეს დატრიალდა სწორეთ ესევე ჯგუფი და ყველგან აცხადებდა, რო დოლიკა იმათ საქმის გასაკეთებლათ და იმათ ფულით მიდის. საქმე იქამდის მივიდა, რომ მერე გამოაცხადეს: „მართალია, აეროპლანს დაგვიანება აქვს, მაგრამ მაინც წავაო“. ეს რო ყოფილიყო, დოლიკას წასვლის ორი სამი დღის წინ, მე შევეკითხებოდი თითონვე დოლიკას და ყველაფერი გამოირკვევოდა, მაგრამ ეს მანევრი ამუშავდა სწორედ მაგის წასვლის დღეს.

ეხლა ამას დაუმატე ის, რომ დოლიკამ თითონვე რამდენჯერმე მითხრა წინა შეხვედრებზედ: „Дорогой, я пойду к русским и они все самы разберут“.[51]

ის, რომ დღეს რუსებს ყველაზედ ძალიან სჭირიად სწორეთ ქართული საკითხის მოხსნა, ეს მე კარგათ ვიცი და ეს ძალიან ცხადი და აქტუალური საკითხია.

ჩვენთვის ყველაზედ სასიამოვნო და კარგი ის იქნებოდა, რომ დოლიკა ძველებურად ჩვენთან იდგეს, საქართველოს დამოუკიდებლობის ნიადაგზედ, იმ მხედრებთან, ვისთანაც წინათვე მუშაობდა. სხვა პიროვნების ნდობა ძნელია და დიდი გამოკვლევა იქნებოდა საჭირო, მაგრამ თუ დოლიკა შენ, ვახტანგის[52] და ჩემ თანადასწრებით პატიოსან სიტყვას მოგვცემს, რო ყველაფერი ეს სპეკულაცია იყო რუსების ისე მოწყობილი, რომ მაგან თითონვე არ იცოდა, მაშინ მე ეს მეყოფა, ვეტყვი, ეს რომ წრემ ასტეხა და ალბათ, ეგ თითონვე ისევე გაუფრთხილდება ამ წრეს, როგორც ჩვენ.

როცა დოლიკასთან საქმე გამოირკვევა, მაშინ კუნიხოლმთან ან ერთად წავალთ ან თითონვე ეტყვის. მაგათ აქ არც კი იციან, რუსები როგორ ატყუილებენ და რა ყალბ სურათს აძლევენ იქაურ მდგომარეობის შესახებ, როცა იქ სულ სხვა მდგომარეობაა. ჩვენ არ შეგვიძლიან აქ დაუშოთ ის, რომ რუსებმა ქართულ საქმეში ესეთ ინტრიგებით ქართული საკითხი მოხსნან პოლიტიკურ სარბიელიდან. ყველანი არსენიძეები არ არიან. აქ მაგათ ისეთივე შეცდომები მოზდით, როგორც გერმანელებს. „როცა 1941 წელში ერთ შეხვედრის დროს უთხარი: „თუ ამ ხაზზედ დარჩით, საქმე ესე და ესე გათავდება-მეთქი“, სიცილი დაიწყეს. მერე როცა ეს ოფიცერი 1945 წელში ბერლინიდან ძლივს გამოიქცა მაშინვე გაბაშვილს მივარდა: „სად არის თქვენი კაპიტანი, რომელმაც 1941 წ. დაწვრილებით გვითხრა, რაც მოგველოდაო“.

აი, ესაა ყველაფერი. მე მანდ ვიქნები 26, 27 და 28 მაისში. ვიქნები ექიმთან გენერალურ გასინჯვისთვის, ვინაიდან ძალიან ცუდათა ვარ. მოაწყეთ, რომ მაშინ შევხვდეთ დოლიკასთან და თუ საჭირო იქნა, შევხვდეთ მერე კუნიხოლმსაც.

---

50 „ნუთუ თქვენ, ქართველები შეურთდებით სხვადასხვა სეპარატისტებს?“ (რუს.).

51 „ძვირფასო, მე წავალ რუსებთან და ისინი თავად გაარკვევენ ყველაფერს“ (რუს.).

52 ვახტანგ აბაშიძე.

კი, რასაკვირველია, როცა დოლიკას არა სურს ჩვენთან მუშაობა ეს არაა საჭირო, მაგრამ ეგ რომ ჩვენთან ახლოს მდგარიყო იმდენათ, რამდენათ საერთო გვქონდა წარსულში, დღეს საქართველოს ესეთ მწვავე საკითხში, არაფერი გამოსარკვევი არ გვექნებოდა.

გამარჯობით,
თქვენი ვ. ნანუაშვილი

Knots in Shipyard
Nottington

27.

ბოსტონი
16 მაისი [1957]

ძვირფასო ძმაო საშა,

მივიღე დღეს შენი წერილი და კაპანაძეს მისამართი. მართალი ხარ, ავჩქარდით, უკეთ რო ვთქო, ავჩქარდი – ეს ჩემი პირადი შეცდომაა და სხვა არავისი. ყველაზედ კაი მომენტი შეტევისა დოლიკას მეორე წასვლა იყო. მაგრამ მაინც ნუ იფიქრებ, რომ ეს სრულიად შეცდომაა და ესე ნუ სწერ ლევანსა.[53] რუსული მოქმედება არის და ამას ძალიან ატანენ ძალას, ვინაიდან დღევანდელი მდგომარეობა რუსეთისა მოითხოვს, რომ როგორმე ქართველებს თითონვე მოახსნეინონ თავიანთი საკითხი პოლიტიკურ სარბიელიდან. ამაში ეჭვი ნურავის ნუ შეგეპარებათ.

თითონ ამერიკული კომიტეტი აბნეულია. კუნიხოლმი ორ სკამზედ ზის, ერთი ხელით კავკასიას აძლევს ოსმალეთს, მეორე ხელით რუსეთისკენ აწვება. ეს მე თითონ ვნახე მაგის ლაპარაკიდან. არსენიძეც ამ რუსულ მოქმედების გავლენით ამუშავდა და გამოუშო წიგნი, რომელშიც ლანძღავს ქართულ მთავრობას, რომელშიც თითონვე იყო და რუსეთს ეკედლება.

გაცეცხლებული იმაზედ არიან, რომ ეს აქცია ჩეენგრათ. თეიმურაზი ჩემზედ გაბრაზებული იყო 24 თებერვლის აქეთ. ეს ხო თითონ კოლამაც გითხრა.

ჩემი შეცდომა იმაში არის, რომ უნდა დაგვეცადნა, რომ ნიღაბი სულ მთლათ მეეხსნათ და მერე გაგვეპამპულებინა. მე ჩამოვალ შაფათს 25 მაისში საღამოთი, როგორც მუდამ. ალბათ, კრებაზედ არ წამოვალ. არც მოწვევა მომივიდა (ბარათაშვილს უკვე მოუვიდა) და თუ დროებით ესე ამძღნერებულნი არიან, არცა ღირს. 27 და 28 ექიმთან უნდა ვიყო, ვინაიდან ძალიან ცუდათ მაქვს ღვიძლის საქმე, პავლეზედ[54] უარესად და მე მოველი კიბოს (დედას! დეე, ეს მაინც გეეხარდეთ).

ქართველიშვილს მივწერე წერილი, მაგრამ რა უყო, მე არ ვიცი იქ რა საქმეა, რომ უთხრა რას გავაკეთებ. აეროპლანი ურემი ხო არ არის, რო უთხრა, რო კონკილას გავაკეთებ, ან ტაბიკებს-მეთქი.

---

53 ლევან ზურაბიშვილი.

54 უნდა იგულისხმებოდეს პავლე კვარაცხელია.

ეს წერილი გოგიას მეტი არავის აჩვენო, თორემ კუნიხოლმზედ ახლათ აჯანყდებიან და გააპროჭებენ საქმეს. ჩემ წერილში არაფერი დაბეზღება არ არის. იქ ლაპარაკია სრულიად ნეიტრალურ დაწესებულებასთან იმ რუსოფილურ მოქმედებაზედ, რომელიც აქ სრულიად ლეგალურია და რომელის მოქმედებაშიც ამერიკული მოხელეები მოვალენი არიან სრული ნეიტრალიტეტი დაიცვან და არ გეერიონ შიგა.

მაპატიე, რომ ამ საქმეში გაგრიე. პირადათ მე არა ვნანობ. დღეს აქ მიდევს ლონდონიდან მოსული წერილი, სადაც სწერენ: „ჩვენ ყველამ დღეს უკვე ვიცით და სხვებიც ამბობენ, რომ ვიზედაც რა სთქვი, ყველაფერი მართალი გამოდგაო და აფსუსია, რომ აქედან წახვედიო“. ჩემი უბედურება იმაშია, რომ პოლიტიკურ მოვლენებს მე შორიდან ვხედავ, მაშინ როდესაც სხვებისთვის ჯერ ის არ არსებობენ და როცა დროა, ჩხუბობენ და დაგვიანების მერე ამბობენ: „მაშინ შენ მართალი იყავ და ისე უნდა გაგვეკეთებინაო“.

აი რამიშვილი, მაშინ იქ ინტრიგებს აწყობდა და ლომიძეს აჰყვა, მერე სამი წლის დაგვიანებით დაუწყო გინება: „ერთათერთ საქმეს ვანო აკეთებდა და ლომიძემ თავის პროვოკაციით შემაცდინაო“. ეხლა ამბობს: „ყველაფერი, რაც ვანომ სთქო, მართალი იყო და პროვოკატორებს ყველაზედ მაგრა ის აჩუმებდაო“.

ნუ გეშინიან, გულს ნუ გაიტეხ. ლევანს ნუ სწერ, რო შეცდომა მოხდა. შეცდომა არ იყო, ადრე დავარტყით მხოლოდ. რუსულ აქციას ეგენი მაინც მალე ახლათ აამუშავებენ.

გთხოვ, მომწერო წერილი ერთხელ კიდევ ჩემი წამოსვლის წინ.

ალბათ, სიტყვას ლადო იტყვის **26** მაისში.

გამარჯობით,
შენი ვანო ნანუაშვილი

28.

23 ივლისი, 57

საშა და გოგი,

დღეს გამოვგზავნე შენი სათვალეები ფოსტით ორ ყუთში და ბამბაში ჩადებული, ალბათ, მიიღებ ამ ორ დღეში.

ლაპარაკი მაინც ვერ მოვასწარით. საჭიროა, რეზო[55] ჯერ გააფრთხილო: „ნუ გვაიძულებ დოკუმენტების გამოცხადებას, თორემ შერცხვები-თქო“. თუ არ დაიშალა, მაშინ მოგცემ წერილებს ფოტოკოპიოებით. აქ მაქვს.

დათა ვაჩნაძე მიუნხენიდან თითონვე მწერდა: „ვინ არის ეს კობიაშვილი, ეს რა იუნკერია, რომ გველურათ არღვევს ქართულ საქმესო“. ესეთი წერილი მაქვს **4-5** და როცა მივწერე, ვინც არის, აიღო და ეს წერილი გადასცა კობიაშვილს თავის დროზედ. ამის გამოცხადებაც შეიძლება.

თქვენ თითონ არ იცით ფაქტები და არც სხვისი გჯერათ. აი, როგორ გამოიყურება საქმე სინამდვილეში:

55 რევაზ (რეზო) გაბაშვილი.

1. 1949 წ. დაარსდა მიუნხენში პირველი ქართული ინტერპარტიული კომიტეტი და ამ კომიტეტის ჩაშლა უბრძანა სიკოს[56] კირას[57] ბიძა სუმბათოვმა,[58] რუს მონარქისტმა. სიკომაც შეუტია მას.

2. 1950 მოხდა ედინბურგში პირველი კონფერენცია დაპყრობილ ერებისა და იმავე სუმბათოვის ბრძანებით, ლომიძემ, რომელმაც არც ერთი სიტყვა არ იცოდა ქართულათ, ყველაფერი გააკეთა, რომ კონფერენცია ჩაშლილიყო ან ქართველები მაინც არ წასულიყვნენ. ვერ მოახერხა ეს, ვინაიდან მე იქ ვიყავი. დღეს ამას გოგიას ყირამალა უამბობენ და მაგას სჯერა.

3. როცა პარიზში რეზომ ჩვენ მოთხოვნილებით, დააარსა საკონტაქტო კომიტეტი, იმავე ლომიძემ შეუტია რეზოს და სურდა ამის დანგრევა. ვერ მოაწყო, ვინაიდან მოწინააღმდეგე მე ვიყავი. ამის მოწმეები არიან ლონდონში.

4. როცა აქ დაარსდა დაპყრობილ ერების საერთო ორგანიზაცია, აქაც ყველაფერი ღონე იხმარეს ჩაშაშლელათ. ჯერ შიგ ლიგაში, ეს ლადომ იცის, იცის კარგა, რა ორჭოფილი პოზიცია დაიკავა თეიმურაზმა. ღია წინააღმდეგობის გაწევისა ეშინოდა, ისე კი ხელებს გვიკრავდა.

ეს პასიური წინააღმდეგობა იყო რუსების. დღეს აქტიურ შეტევაზედ გადმოვიდნენ. დედას! სულ ყველანი რო განზედ გადგეთ და მარტოკა დავრჩე, მაინც არ შაუშინდები და სულ რო არაფერი, ერთ-ერთ მათ ლიდერს მაინც გავაგორებ.

გამარჯობით,
თქვენი ვანო

29.

24 აგვისტო, 57

ძმაო საშა,

მივიღე შენი წერილი მომზადებული ლევანისთვის. ლევანის წერილი ჩემთან შიგ არ იდო. შენი წერილი მე უფრო კონკრეტიული მეგონა. დაუმატე ერთი რამე: **თუ ძალიან გადააჭარბეს, გამოვაცხადებთ ყველა დოკუმენტებს, რომელიც გვაქვს და მაშინ იქნება პარტიის შერცხვენა. ჩვენ ამას არა ვშვრებით, იმიტომ რომ გვსურს, რომ ერ.-დემ. პარტია არ იყოს შერცხვენილი და გვსურს მივაღწიოთ პარტიათა თანამუშაობას.**

1. აქა მაქვს რეზოს წერილი, რომელშიც მწერს, სინჯიკა[59] და ცომაია არაფერში გარიოო.

2. მაქვს რეზოს წერილი, რომელშიც მადლობას მიხდის, რომ ის ამოვირჩიე და დავნიშნე პარტიების გასაერთიანებელ მუშაობაში.

3. მაქვს რამოდენიმე წერილი დ. ვაჩნაძის, რომელშიც მწერს ესეთი გველი მამაძაღლი და საქართველოს მტერი, როგორც კობიაშვილი იუნკრებში როგორ გამოერიაო. ამის ფოტოკოპიოებს დავარიგებთ **(ეს საიდუმლოთ შეინახე).**

---

56 სვიმონ (სიკო) კობიაშვილი.
57 კირა ამაშუკელი-კობიაშვილი.
58 მიხეილ სუმბათაშვილი (სუმბათოვი).
59 დიმიტრი (დიტო, მიტო) სინჯიკაშვილი (სინდიკელი, სინჯიყელი, შინჯიკელი, შინჯიკაშვილი).

ეხლა სხვა:

1. ნურაფერს ნუ ლაპარაკობ ჩემ სკოლაში შესვლაზედ და მანდ გადმოსვლის შესახებ. ხო იცი, ყველაფერს აკეთებენ, რომ მე სამსახური არ ვიშოვო და ქართველიშვილს ეხლავე სახეს მოაჭამენ ჩემ დაბიზღებებით.[60]

2. კობახიძე ვანოს უთხარით, რომ დაუნიშნოს ვადა, რო წამოაყენონ თავიანთი შუაკაცები და თუ ამ ვადაზედ არ დანიშნეს, საქმე მოსპობილათ გამოაცხადოს.

მაგათ უნდათ, საქმე გააგრძელონ გაუთავებლივ ისე, რომ ჩვენ ორგანიზაციის ორი ლიდერი მუდამ მოხსნილი იყოს. რატო ესე არა ქნეს სინჯიკაშვილზედ და რატო არ გესმით ეს მანევრი. ამისთვის მოახსნეინეს გოგიას ჩემი კანდიდატურა რედაქტორობიდან.

3. რა გამოვიდა შენ ლაპარაკიდან თენგიზასთან:[61] ხმას ჩაიკმინდამს ეგ გიჟი მამაძაღლი თუ არა. ერთხელ დაურეკე, ჰკითხე, რო ამბობს – „ჩვენ“ ეს ვის სახელით ამბობს. მაგ თოკიდან გავარდნილს ბუენოს აირესიდან – მიუნხენამდე ერთი ძაღლიც კი არ გაჰყვება.

ძალიან მეგობარი გამოსჩენია გოგიას. ეხლა იმდენი ხანი ივლის სადილ-ვახშამზედ და მერე ოთახებშიც მოიკეცავს, სანამ გოგია მაგ სახლიდან თითონ არ გაიქცევა.

ეცადეთ ჩვენებს უფრო მეტად დაუგდოთ ყური, ვიდრე მტრებს და სინჯიკაშვილს.

ამის პასუხები მალე მოიწერე.

ლადო მწერს, ჩამოდი 8 ენკენისთვის მოხსენებაზეო. ვახტანგი მწერს, არაო. როგორ არის საქმე?

გამარჯობით,
ვანო ნანუაშვილი

30.

25 აგვისტო, 57

ძმაო საშა და გოგი,

გუშინ მოგწერე ერთი წერილი, დღეს მსურს მოგწერო საერთო მდგომარეობაზედ. იგი ესეთია:

რუსების რეაქცია თეიმურაზის საშუალებით, ამ საქმეს ერთ მხრივ ამყარებს თავიანთ გამოცდილ კირა ზახარიჩზედ[62] და მის ცოლ სიკო კობიაშვილზედ. მოსაჩვენებლათ, რომ მთელი ქართული საზოგადოება მათთან არის. იუდის გროშებით ყიდულობენ რეზოს და ვაჩნაძე დათას მიუნხენში. ეს მითომ მთელი ეროვნული ფრთა. ყველა ამის ხელში ჩაგდება და ფულის გაკეთება სურს სინჯიკაშვილს, ვინაიდან სიკო კობიაშვილი იმის ხელშია. აი, ყველაფერი.

აქ ტაქტიკურათ საქმის მოგება იმითა სურთ, რომ ჩემი პროცესი გააგრძელონ და მთავარ მოწინააღმდეგეს ხმა წაართონ. რუსებს, ყოველ შემთხვევაში, ეს არევ-

60 ამ სიტყვას ივანე ნანუაშვილი „ინ“-ისა „ენ“-ის მონაცვლეობით ხმარობს.
61 თენგიზ (ნიკოლოზ) დადეშქელიანი.
62 კირა ამაშუკელი-კობიაშვილი.

დარევაც ეყოფათ, თუ სხვა რამეს ვერ მიაღწიეს. ამერიკელები ვერაფერში ვერ ერევიან და დაკმაყოფილდებიან თუ რუსების NTS-მა[63] ორიოდე აგენტი მიაწოდა.

აქ კერძო წერილებით ვერაფერი გაკეთდება. საჭიროა, გამოვიდეს ბიულეტენი და იქ იყოს ახსნილი საერთოდ „ჩვენი პოზიცია“.

1. შენ მაგ გოსპიტალში დარჩი და ფეხი არ მოიცვალო. მე აქ ერთ უნივერსიტეტის ღამის კურსებზედ შევედი მხაზველებისა. თუ ეს გამოვიდა, ძალიან კარგია, ახალი ხელობა მექნება და მანდ მაგრა ვიქნები, არას დროს არავისი დახმარება აღარ დამჭირდება და ყველაფერს გავაკეთებ. თუ არა, მაშინ მეც მაგ გოსპიტალში გადმოვალ. იცოდე, რომ უხელებო[64] კაცს გოსპიტალში სულ სხვა და ძალიან დაბალი ტარიფი აქვს **(ეს შეინახე ფრიად საიდუმლოთ. მაგათ ყველაზე ძალიან ჩემი ჩამოსვლისა ეშინიანთ).**

2. თენგიზას ძალათ აყროყინებენ, რომ მე ვერსად ხმა არ მივიღო. შენ ზომები მიიღე, რომ ეგ დაქირავებული ყ.. კაცა გაჩუმდეს და ხმა ჩაიკმინდოს.

გამარჯობით,
შენი ვანო ნანუაშვილი

P. S. ვიცი, გოგიას ყველა ამაზედ გული აყრილი აქვს და ბოლოს ბოლოს სინდიკელმა[65] მაგაზედ გავლენა მოიპოვა, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ერთ დღეს ყველაფერს ეგეც დაინახავს ნათლად და ახალათ ჩვენთან თავის ბურჯის ალაგს დაიკავებს. მანამ ამ ტოლ დადებულ უღელს მარტოკა გავწევ და ამისი არ მეშინიან.

ეს ჩემი მოვალეობაა და ამას გავაკეთებ.

კერძო კინკლაობა აღარაა საჭირო; საჭიროა საერთო ფრონტით შეტევა ყველა იმათი, ვინც დავრჩით პოზიციებზედ.

31.

ბოსტონი
12 ოქტომბერი [1957]

ძმაო საშა,

1. მივიღე შენი და ლ. ზურაბიშვილის წერილი. საჭიროა ყველაფერი გავაკეთოთ, რომ ზურაბიშვილის თანამუშაობა უზრუნველვყოთ ჩვენთვის. მე მივწერ წერილს. ამ წერილს გადმოგიგზავნი შენ კონვერტით და მისამართით, შენ წაიკითხე და იმავე კილოთი მისწერე შენი წერილი. არ არის საჭირო არც პრეტენზიების და არც კარნახის კილო, საჭიროა მხოლოდ საქმე გავაცნოთ და ეს არის მთავარი.

2. საქმე საერთოთ ჩვენ სასარგებლოთ ირკვევა. სხვაფრივ არც შეიძლებოდა. როცა ეს დამთავრდება, მე მაშინ ცოტა მეტს გეტყვით, საქმე რაშია. ყოველ შემთხვევაში, ის ამერიკელები, რომელნიც ქართულ საქმეს აშკარად აძლევდნენ ტოლს-

63 NTS – „The National Alliance of Russian Solidarists“ – НТС – „Народно-трудовой союз российских солидаристов“ (რუს.).

64 უნდა იყოს უხელობო.

65 დიმიტრი (დიტო, მიტო) სინჯიკაშვილი (სინდიკელი, სინჯიყელი, შინჯიკელი, შინჯიკაშვილი).

ტოის კომიტეტს – უკვე შეჩერდნენ და იმასღა ცდილობენ მე მომხსნან ქართულ საქმიდან. ამაზედ ჯერ კრინტი არსად დასძრათ.

3. მე უნივერსიტეტში კვირაში ორ ღამეს დავდივარ 6-9 საათამდე. სახლში თერთმეტის ნახევარზედ ვბრუნდები. გვაძლევენ აუარებელ საშინაო გაკვეთილებს. ტყავს მაძრობენ. საერთოთ დღეში ვმუშაობ 16 საათს ძალიან ინტენსიურად. გარდა ამისა, სწავლის და მასალების თავიდანვე გადამახდევინეს 200 დოლარი. თუ პრაქტიკულ მუშაობით ეხლა ვერ მოვეწიე, თეორიის გათავების შემდეგ მე თითონ უნდა ვიმუშავო რამოდენიმე თვე. მიხვდებით, რა ჭაპან წყვეტაში ვარ.

4. იმას კი ნუ მწერ, პანჩოს რამდენი ფუთი ელაპარაკე, მომწერე ის, **რა გითხრა** და ეს სულ ორი სიტყვით. ისე, რო იწერები: „ბევრი ველაპარაკე" – და არა მწერ, რა უთხარ ან რა გითხრა, სჯობია, არ მოიწერო, იმიტომ, რომ ეს ნერვებს უფრო შლის.

5. პარიზში არავისთანაც არაფერი ჩხუბი არა მაქვს. მიწერ-მოწერა ნელა და ზანტათ მიდის. აი, თოხაძეს მისამართი:

Monsieur Colonel Tokadzé
104, rue d'Assas
Paris 6ᵉ
France.

გამარჯობით, მოკითხვა ყველას.
თქვენი ვანო ნანუაშვილი

32.

ბოსტონი
30 იან., 58

ძმაო საშა!

ეხლა უფრო მეტი მოგროვდა საერთო სალაპარაკო, ვიდრე მანდ რო ვიყავ. ჯერ საერთო საქმეები:

1. მოუარე კარგათ გოგიას. სუსტია, ვერ უძლებს პაპიროზის წევას და ალკოჰოლს. კარგია, ორთავეზედ ხელი ააღებინო. დააჯერე, რომ აღარ იმუშაოს 14 საათი. ცოლ-შვილისთვის გაუფრთხილდეს თავს.

2. ჩემი წიგნები (ორი ცალი) არავის მისცე, ძალიან მჭირია.

3. კომიტეტმა არ დაგაძინოთ ზღაპრებით და დაგვიანებით. „Куй железо пока горячо".[66] დატრიალდი, დღეს დროის და ტელეფონის დაზოგვა არ შეიძლება. დაზოგვის დროც მოვა.

4. ისინი არაფერს და არავის არა ზოგავენ. ხო ხედავ, ლოლა დიასამიძეც კი გადარიეს.

5. უკრაინელებთან საქმე ძალიან მაგრაა. რის თხოვნაც მე მინდოდა, თითონ უფრო მეტი შემომთავაზეს, ვიდრე მე ვიტყოდი. მაგრამ ყველაზედ საინტერესო ის იყო, რო იქ დამხვდა ჩვენი დიდი მეგობარი, ყაზახი[67] იერემენკო. დამინახა

66 „რკინა სანამ ცხელია, მანამ გაჭედეო" (რუს.).
67 უნდა იყოს კაზაკი.

თუ არა, ტელეფონთან გაიქცა და ყვირილი ატეხა. შემაერთა თავიანთ შეფთან გლაზგოვთან,[68] რომელიც შარშან ჩამოვიდა ევროპიდან და მიცნობს ინგლისის ედინბურგის კონფერენციიდან. სიხარულით აღარ იცოდა, რა ექნა, ერთი წელიწადია დაგეძებო, გვჭირია შენი ისეთი საქმე, რაც ჩვენთვის ყველასთვის გააკეთე ედინბურგშიო. რა გიყო, გენაცვალე! საჭიროა, დრო და მანდ ყოფნა. ჩემ სამხედრო მუშაობას უცხოელი მხედრები ყველანი აფასებენ, გარდა ჯინჭარაძე-კობიაშვილის და პოლკოვნიკ სინჯიკაშვილის და ცომაიასი.

ეხლა კერძო. საშა, გოგიას აზრი მე ძალიან მომეწონა რეზინების შესახებ. ეს ერთათ ერთი გამოსავალია. ნურც ამას მიაძინებ. მე სკოლას ვათავებ მარტის ბოლოს. კარგი იქნება, რო შენ მიხვიდე სასწავლებლათ მარტში. სანამ მე გავათავებ სკოლას, შენ მზათ იქნები და მერე მე მივალ. სჯობია ბარათელთან, ვიდრე იმ ნალბანდთან. ის თაღლითია.

მე ვგრძნობ, რომ მოვახერხებ ამ საქმის წარმოებას და განვითარებას. წერილები არ დააგვიანო. უნდა ვიმუშაოთ მთელ გაზზედ.

სათქმელი ძალიან ბევრი და კარგი მაქვს, მაგრამ მოწერა არ შემიძლიან. ორშაფათი ძალიან კარგი დღე გამოდგა. ორი დიდი დათვი დავიჭირე, მაგრამ რა უყო, ამ ოხერ მანძილს და დროს.

თუ შეგხვდეს, მძღნერ ვაჩნაძეს უთხარი: „მე ხელს არ შეგიშლი-თქო. ჯერ გაუშვებ, იმან გაკატაოს და მერე მე დაგამტვრევ, რო ხელის აწევა გაბედე-თქო“.

ჩვენ მოკავშირეების წყალობით, იმის დაწესებულებაშიც ჩვენი საქმე მაგრაა. ჩემი მანევრი მოსწონთ, ვინაიდან ყველა დაპყრობილებს ჰგონებიათ, რომ ქართველები უკვე თავფეხიანათ რუსებთან გაიქცნენო და ძლივს ერთი პროტესტი მოხდაო.

თქვენი ვანო ნანუაშვილი

33.

ბოსტონი
14 ივნისი, 58

ძმაო საშა,

1. როგორც გწერდი, 29 ივნისიდან მაქვს შვებულება. მთავარ საქმეებისთვის აუცილებელია, რომ ერთი კვირა ვიყო მანდ. მანამდის ჩემთვის აუცილებელია მოუცდენრათ[69] ვიმუშაო მთელი თვე, რომ როგორმე საჭირო ფული შევაგროვო. თუ ჩამოვედი 15-ში – გზის ფული, ორი დღე მოცდენა – მთელი ჩემი შვებულება გაფუჭდება და აქ, სახლში უნდა ვიჯდე გამოუსვლელად, ამიტომ 15 არ ჩამოვალ. ორი წელიწადია შვებულება არა მქონია და ამასაც ვერ შევა..ნამ, სულ ერთია, მაგით საქმე წაგებულია, მგონი, უკვე იციან. თითონვე ყველაზედ მაგრებს და მაღლებს, ყველაზედ მაგრა მოხვდება თავში, ვინაიდან ყველანი იმითი არიან დაინტერესებული, ვინ და როგორ ჩაჩეხა ქართული საქმე რუსულ ლიანდაგში.

---

68 ვასილ გლაზკოვი (გლაზგოვი).
69 უნდა იყოს მოუცდენლად.

2. საშა, გამიგე და რაც შეიძლება მალე მომწერე, შეიძლება კიდევ უკანასკნელად ჩამოვიდე შენთან ერთი კვირით შაფათს 28 ივნისს. ხო, გოგიას არ ეწყინება და ეს ხო ურიული ნახალობა არ გამოვა. ნუ მოგერიდება, მომწერე მალე, თუ ეს უხერხულია, მაშინ სხვა ანგარიშია საჭირო. ჩამოვალ ერთი დღით გვიან და დავდგები ქვარიანის ჰოტელში, დავრჩები 4 დღე და არა ერთი კვირა. ეს დროზედვე მომწერე.

3. ჩემი გეგმა ესეთია:

ჩამოვალ 28 ღამეს, როგორც მუდამ.

29 ან 30 ვიქნებით ვახტანგთან.

შემდეგ შაფათს, 5 ივლისს სხდომაა გამგეობისა – არველაძესთან.

4. ეხლა სხვა, კაი ამბავი. მივიღე შენ მიერ გამოგზავნილი წერილი. არ ვიცი, წაიკითხე თუ არა, ყოველ შემთხვევაში, გწერ თარგმანს. ხო გახსოვს, თებერვალში სამხედრო გენერალურ შტაბის აკადემიამ ითხოვა ჩემი წიგნები. ის იყო ხმელეთის არმიის სამხედრო აკადემია გენერალურ შტაბის.

ეს წერილი მოწერილია ჩვენ ორგანიზაციაზედ. იწერება შეერთებული საზღვაო, საჰაერო და ხმელეთის ჯარების სამხედრო აკადემია. ეგრეთ წოდებული „ომის აკადემია“.

აი, რასა გწერთ თქვენა:

Dear Sirs:

პროფესორ დობრიანსკიმ, რომელიც მუშაობს ერთ-ერთ ჩვენ ფაკულტეტზედ გვაჩვენა შემდეგი წიგნი:

„ვანო ჯან ნანუაშვილი, „რუსეთის ძლევა და უძლურება. რა უნდა იცოდეს ყველა პიროვნებამ თავისუფალ ქვეყანაში რუსეთის შესახებ“.[70] ავტორი სცხოვრობს მასაჩუზეცში.[71] წიგნი გამოცემულია 1956 წ. და შეიცავს 342 გვერდს.

ძალიან დიდი მადლობელი ვიქნებით, თუ მოგვცემთ საშუალებას, რომ ერთი კოპიო შევიძინოთ. წიგნი წარმოადგენს ჩვენ საგნის დიდათ ღირებულ მასალას“.


აი, ჩემო საშა, ამაზედ დიდი შეფასება შეუძლებელია. ამაზედ დიდი ავტორიტეტი ამ ქვეყანაში არ არსებობს. წიგნი წაკითხული აქვთ, კრიტიკა გაკეთებული და ისე თხოულობენ. მე იმითი ვამაყობ, რომ ესეთი საქმე სწორედ სინჯიკაშვილს და ჯინჭარაძეებს არ მოსწონთ. იმას აფრიკის სკრიპტებიდან ალბად, ბევრი რამე ვერ ჩაასხეს ცარიელ თავში.


გამარჯობით,
შენი ვ. ნანუაშვილი

---

70 მოგვიანებით, ეს წიგნი დაიბეჭდა სათაურით „What everyone in the free world should know about Russia“, Vantage Press, New York, 1973.

71 უნდა იყოს მასაჩუსეტი.





$10.00

WHAT EVERYONE IN THE FREE WORLD SHOULD KNOW ABOUT RUSSIA

by

Jan V. Nanuashvili

The author's first-hand experience as a former citizen and soldier of Russian Georgia gives him the authority to write about Russia as an imperialist state. To broaden that picture he has made an exhaustive and thoughtful study of domination and expansionism, starting with Ghengis Khan, to Ivan the Terrible, Napoleon and Hitler and now to present day Russia. For Russia he claims the longest domination in history.

As a special example he details the history of his native Georgia, embattled by outside foes, when she finally accepted the protectorate of Russia in 1783. The final non-fulfillment of Russia's obligations and promises led to annexation.

He divides the western world into three camps: The first constitutes the USSR, the second the West, the third the subjugated nations. There is the constant struggle and resistance. Maneuvering for position in the cold war, in the author's opinion, has tended to help Russians. He emphasizes that the nations under Russian domination will eventually fight for their freedom and only with the freedom of all these nations can be founded the durable and solid peace on the Eurasian continent.

The author raises some intriguing questions on the western world's Wars I and II and their inability to curb Russian expansionism. He does conclude that Russia can be contained within her ethnographical borders and the time is ripe for it. *Published by Vantage Press, Inc., 516 West 34th Street, New York, N.Y. 10001.*

VP

ORDER WITH THIS COUPON

Vantage Press, Inc.
516 West 34th Street
New York, N. Y. 10001

Gentlemen:

Please send me_____copies of

_____

fill in title of book

(My payment is enclosed)

Name_____

Address_____

City_____State_____

ივანე (ვანო) **ნანუაშვილის** წიგნის შესაძენი კუპონი (**პაატა ნაცვლიშვილის** ბიბლიოზეუმი, თბილისი).

კუპონის მეორე მხარე.

34. ასლი

ბოსტონი
6 ოქტომბერი, 58

საყვარელო ძმაო საშა,

ეს სამი დღეა ვფიქრობ შენ წერილის შინაარსზედ და მსურს გაგიზიარო ყველაფერი აზრები, რაც თავში მომდის, თუმცა ახალს სპეციალურად ვერაფერს გეტყვი.

1. ყველაზედ წინ და პირველი დააყენე შენი საქმე. ხო იცი, თუ აქ სიბერეში უკაპიკოთ დარჩი, გარდა პირადი გაჭირებისა, ვერაფერს ვერ გააკეთებ ვერც საზოგადო საქმეში და ვერც ვერავის გამოადგები. იმავე დროს, ეს ჩვენი „პირის ზიარება“ მეგობრები პირველი გკრავენ წიხლსა და პირველნი დაგიწყებენ აბუჩად აგდებასა. ხო ხედავ, რა ხალხი გვახვევია გარშემო, ზოგს ნამუსი აკლია და ზოგს ჭკვა და ეს სულ ერთია, თუ რამეს უამურობით აფუჭებს, თუ სირეგვენითა. აბაშიძეს რო ჰკითხო, ის რო არა ყოფილიყო, მე თავსაც ვერ გამოვყოფდი. მაგათ რო ჰკითხო, მთელ საქმეს აკეთებდნენ ვახტანგი, ლადო და გაჟონია და ყველაფერი შესწირეს საქმეს.

მარტო შენ და მე არ შევწირეთ არაფერი. ეხლა კი ხედავ კარგათ, რომ მთელი ორგანიზაცია მარტო ჩვენ კისერზედ იდგა.

კალიფორნიაში წასვლა კარგა გამოიანგარიშე და კარგა გამოთვალე, თუ იქ ფეხი დაგიცდა, ფეხზედ ვერასოდეს ველარ დადგები. მე მგონი, აქ ცოტა რო გასძლო, ცოტა მუშაობით, ცოტა უმუშევრობის დახმარებით, როცა კი კონიუნკტურა გამოსწორდება, საკუთარ საქმეს აქაც აამუშავებ.

2. ვახტანგს ჩემთვის არაფერი მოუწერია, ხო იცი, დიდი კაცია და ესეთ პატარა საქმეებისთვის არა სცალია. გითხარი ერთხელ, როგორ უყურებენ მაგას ქუთათელაძეები.[72]

3. საშა, მაგრა გადაათვალიერე ყველაფერი და ლადოს ის წერილი, საქართველოში რო აბიზღებდა, უეჭველად იპოვე და აქ გადმომიგზავნე. ეს მათრახი აქ უნდა იყოს შენახული. ეს აუცილებელია, თუ თავზედ წავიდა, მაგრა უნდა დავახეთქო ტრაკზედ. ეს უეჭველად იპოვე და გადმომიგზავნე.

4. ძალიან გთხოვ, უეჭველად გამიკეთო ბარათაშვილის საქმე. რომ რამე ცნობა მიიღოს ოჯახიდან. იქ იკითხონ არა მაგის გვარზედ, არამედ სიმამრისა.[73] ერთხელ კიდევ გწერ მისამართს:

ფალიაშვილის ქუჩა №42

ნიკოლაძე.

5. ეხლა მესამე სათხოვარი, უკრაინელების ჟურნალში „Ukrainian Quarterly" მორიგე გამოშვებაში (არა ივნისისა), იქნება კარგი რეცენზია ჩემ წიგნზედ პროფესორ დობრიანსკისა. და ამ რეცენზიით უნდა ვცადო კიდევ ერთხელ წიგნის გამოცემა. გთხოვ, იყიდო ეს უკრაინელების წიგნების მაღაზიაში ერთ-ერთ შაფათს, შეიძლება დაავიწყდათ გამოგზავნა. აი, იმ მაღაზიის ადრესი.

East 7th Street. ეს არის ნომერი 39 ან 41, უკრაინელების ეკლესიის პირდაპირ. ეს ვანოსთან[74] ახლოა (მეშვიდე ქუჩა). თუ გამოვიდა, იყიდე ერთი ცალი და გამოგზავნე, დანარჩენს მე თვითონ გამოვიწერამ.

გამარჯობით,
შენი ვანო ნანუაშვილი

35.

ბოსტონი
18 ოქტომბერი, 58

ძმაო საშა,

მივიღე შენი წერილი. როგორც ვხედავ, საქმე პირველად გამოიყურება სერიოზულად და საქმეს მიემგზავსება. თუ ყველაფერი ეგრეა კალიფორნიაში და ეს არ არის ქართველულათ[75] შეფერადებული. მაშ, უნდა წახვიდე. ჩემი რჩევა შემდეგია:

---

72 იგულისხმება ბიძინა და დავით (დათა) ქუთათელაძეები.

73 ილია (ილიკო) ნიკოლაძე.

74 ივანე (ვანო) კობახიძე.

75 უნდა იყოს ქართველურად.

წადი, მთელ შენ თანხას ერთბაშათვე ნუ დახარჯავ. შეინახე რეზერვი, სანამ ყველაფერს კარგათ არ გაიცნობ და ფეხზედ არ დადგები. თუ მართლა საკუთარი რამე მოაწყე, ეს ძალიან კარგი იქნება.

მეც ველარ უძლებ 5 წელიწადი ყოველ დღე მუშაობას. ნახე და, თუ რამის მოწყობა შეიძლება, მეც ჩამოვალ. ჩემთვის თუ მოხერხდა კვირაში 100 დოლ. გაკეთება, მაშინ მეც წამოვალ. მართალია, მე ვაჭარი კაცი არა ვარ, მაგრამ საქმის ორგანიზაცია და გაყოლვა ვიცი. ხედავ, აქედანაც ვერ ჩავდივარ ნიუ იორკში ექვს თვეზედ ხშირად. კალიფორნიაში რომ კვირაში 80 ან 100 დოლარი გავაკეთო, იქიდანაც ჩამოვალ ექვს თვეში ერთხელ. ეს მოიფიქრე და მომწერე.

მანველიშვილთან კავშირი, რაც შეიძლება, მჭიდროთ დაიჭირე: ეცადე, უეჭველად ჩახვიდე ვაშინგტონში.

გადეეცი მას ჩემი წერილიც და ის ორი ჟურნალიც.

მომწერე მაგის მისამართი. მინდა, გავაბა კავშირი მაგასთან.

იმ ჩვენ მეგობრებმა არ ჩაიჯვეს. ბრძოლა გრძელდება. მე რომ მანდ ვიყო, ყველაფერს სულ სხვა გზაზედ დავაყენებდი, მაგრამ რას იზამ?

სანდროს ჩამოყვანით ცხადია, რომ ჩვენ საკითხით დაინტერესებულნი არიან, მაგრამ ისეა აქ ყველაფერი წაბილწული, რომ გზა და კვალი ველარ გაიგნეს.

გამარჯობით,
შენი ვანო ნანუაშვილი

ზალდასტანიშვილი გივის ტელეფონი: CI 6 5500 1006.[76]

36.

ბოსტონი
19 ოქტომბერი [58]

ძმაო საშა,

გუშინ დავწერე ერთი წერილი, მაგრამ მოვიდნენ ჩემთან პოლონელი სტუმრები, ცოტა გადაჰკრეს და ერთმა წაიღო ჩემი წერილი. მე ჩავაგდებ ფოშტაშიო. მეშინიან, ხო არ დაავიწყდა და ამისთვის ვწერ მეორე წერილს. დაახლოვებით იგივეა. თუ ის მიიღე, მაგრამ მაინც წაიკითხე, ვინაიდან შიგა და შიგ ბევრი ახალი აზრები მომივიდა.

ჯერ საზოგადო საქმე:

1. ძალიან კარგათ მოგიწყვია მანველიშვილის საქმე. მომწონს. უეჭველად უნდა შეხვდე ერთხელ კიდევ და დინჯათ. თუ ის არ ჩამოვიდა, შენ უნდა წახვიდე ვაშინგტონში. ესეთ საქმეებში ძნელია ფულის დაზოგვა.
2. გადეეცი, ან გადაუგზავნე ჩემი ორივე ჟურნალი.
3. მომწერე მისი მისამართი.
4. გივი აბა, რას შეგატყობინებდა. ის ჩვენი კაცი არას დროს არა ყოფილა. ყველაფერში ძირს გვითხრიდა, როგორც ორგანიზაციას, ისე პირადათ ყველას და სპე-

76 მიწერილია ალექსანდრე სულხანიშვილის ხელწერით.

ციალურად მე. ყველა მარკაზედ დაფურთხების ფულიც კი აიღო, მოიპარა ჩვენი ბიბლიოთეკა, ჩვენი არქივი, გაიკეთა კარიერა და მიჯდა.

შენი საქმე:

როგორც ვხედავ კალიფორნიაში წასვლის საქმე სერიოზულათა ზდგას. მაშ წადი. მეეწყე, მაგრამ შენი პატარა თანხა ერთბაშათ არ ჩააბა სულ მთლათა საქმეში.

ჩემი პირადი პირობები იგივეა, რაც შენი, მხოლოდ უფრო ცუდათ.

მე ამ ძაღლების ბუდიდან რო დამითხოვონ სიმშილით მოვკვდები. ნახე, შენ რო ფეხი მოიკიდო, მერე ჩემზედაც იფიქრე. ვაჭარი კაცი არა ვარ, მაგრამ საქმის ორგანიზაცია და გაყოლა ვიცი და არც მუშაობაში დამაკლდება ხასიეთი. კვირაში რომ 100 დოლარის გაკეთება შემეძლოს სიამოვნებით წამოვიდოდი. სულ ერთია, შენ რო წახვალ, მე აქედან წელიწადში 1-2 მეტათ აღარ წავალ ნიუ იორკში და ეს ხო მანდედანაც მოვახერხებ, თუ ცოტა მეტი ჯამაგირი მექნება.

ეხლა გთხოვ:

ბარათელის კავშირი თბილისთან უეჭველად მომიწყე. ადრესი ხო გახსოვს: თბილისი, ვერა, ფალიაშვილის ქუჩა №42.

იმისი სიმამრი: ილიკო ნიკოლაძე.

მეორე: არველაძეს წერილი საქართველოში.

მესამე: ალბათ, მე თითონ წამოვიღებ ჩემ რკინის ყუთს მანდედან.

გამარჯობით,
შენი ვ. ნანუაშვილი

37.

ბოსტონი
17 ნოემბ., 58

ძმაო საშა,

მივიღე ერთი მეორეზედ შენი ორი წერილი. შემეშინდა, ალბათ რამე სპეციალური უბედურება მოხდა-მეთქი, რო საშა ორ წერილს ერთათა ჰგზავნის-მეთქი.

ჯერ კერძო თხოვნები:

1. არ დაივიწყო ბიძინა ბარათაშვილის თხოვნა თბილისიდან. ამას არკი ეშინიან, სცხვენიან, იქ ცოლი და შვილი არიან და აქ ითხოვა ცოლი.

2. ნახე და გამომიგზავნე „Ukrainian Quarterly". იქ ჩემ წიგნის შესახებ უნდა იყოს დაწერილი და ეს მჭირია წიგნის გამოსაშვებათ. მათი წიგნების დუქნის მისამართი შემდეგია: 7th Street, სახლის ნომერი 37 ან 39. მათი ეკლესიის პირდაპირ.

3. საშა, ჩემი ლანძღვისა ნურც გეშინოდეს და ნურც გრცხვენიან. მე რო დაგლოცო, რაში გამოგადგება, არც ხალხის პროტექცია მაქვს და არც ღმერთისა, ლანძღვა კი ხშირად გამოგადგება, ეს შენვე კარგათ იცი, მე რო გლანძღავ წვრილები გლოცავენ. სულ სხვაა ლადოს საქმე. ის, საერთოთ ძალიან მურტალ საქმეში გადაიჩეხა. მას გაჩერება სჭირია. მე მომწერა ძალიან მყრალი წერილი და მე დღეს ვწერ სრულიად მოურიდებელ წერილს ყველა მის სისულელეების და სიმურტლის დასახელებით. ამ წერილის ასლს ვახტანგს გაუგზავნი. ეხლა ლადო ცდილობს, გამოიყენოს შენი და ვახტანგის დამდურება. ელაპარაკე ვახტანგს ჯერ ტელეფო-

ნით, მერე წადი, წააკითხე ეს წერილი და ელაპარაკე. თქვენ შორის გაუგებრობა უნდა მოისპოს.

წერილების წერაში იცოდე, რომ ყველა ჩვენ წერილს **მაგათი კაცი ჰკითხულობს და უთარგმნის დამახინჯებულათ. ეს კაცი ბაგრატიონის პროტექციითაა მოწყობილი.**

ეხლა საქმე:

მე ორგანიზაცია არა მაქვს მიტოვებული. მე დღეს ვმუშაობ დაპყრობილ ერების საერთო ჟურნალის გამოშვებაზედ ინგლისურ ენაზედ. ეს ყველაფერს ფეხზედ დააყენებს და მაშინ დავცხობთ ყველას. შალიკაშვილსაც მაშინ მოხვდება.

4. მაგათ პასუხი ხო გახსოვს, აქ უკვე დაწერილი მაქვს. შენ ნურაფერს დასწერ და ნურც შეუტევ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას. მე მსურს გამოვიყენო შენ რო იცი ის ცნობა პრეზიდენტობაზედ. ამისთვის მჭირია ნებართვა და აი, რა უნდა გააკეთო:

წადი იმ ბიჭთან და ჩემთვისა სთხოვე შემდეგი:

„ვანო სთხოვს საბანიძეს (ხო იცი, ჩემი ძველი მეგობარი) რომ პრეზიდენტის ამბავის გამოყენება შეეძლოს შინაურ საქმეში-თქო". ის თითონ ჰკითხავს ან შენ წაგიყვანს საბანიძესთან. ამ ბიჭის მისამართი და გვარი შენ გაქვს მანდ. გარდა ამისა, ქუჩა ხო იცი, რამდენჯერ მიცდიდი ხოლმე, ყოველ შემთხვევაში, სახლის ნომერი არის 33. არც ტელეფონის დარეკვა, არც მიწერა არ შეიძლება, უნდა შენ თითონ მიხვიდე, იმის სახელი იგივეა, რაც ჩემი.

როცა ამ ცნობის დაწერვა შემეძლება, მაშინ ვკითხავ ეროვნულ-დემ. პარტიის ლიდერებს – იღებს პარტია პასუხის გებას თუ არა. თუ იღებს, მაშინ გამოვაქვეყნებ მათ თხოვნას, რომ ეგენი არსად გაუშოვო.

წულაძეს მისამართი შემდეგია: Tsouladzé, 288, rue de Vaugirard, Paris XV, France. მაგრამ მე მგონია, რომ სჯობია, დავწეროთ მანქანაზედ აქა. გივი არ მოგეშველება, იმიტომ რომ სალია მაგათთან მორიგებულია. გარდა ამისა, შენ არ იცი, შენ და გოგია მანდ ზღაპრებით მოგატყუილეს. ეგენი მორიგდნენ რუს მონარხისტებთან და მიეყიდნენ იმათ. ამიტომ სცხოვრობს სინდიკელი ვასკა ნაკაშიძესთან. თვით რუსი მონარხისტებიც დღეს მუშაობენ კრემლისთვის, რომ კრემლმა ქვეყნიერება დაიპყროს.

ახვლედიანიც გატყუილებთ, ეს ჩაწყობილი ფაქტია. ლეო[77] და ახვლედიანი ბიძაშვილები არიან და თეიმურაზთან საუცხოვო განწყობილებაში არიან. ესევე ზალდასტანიშვილიც.

გაიგე, ერთხელ და სამუდამოთ, სოლიკო ზალდასტანიშვილი ეს მამა იყო, ჰქონდა თავის გზა და აზრი. შვილებს[78] ეს არა აქვთ და ეგენი გადაბმულნი არიან მაგათზედ. ცომაიებს და ელზეებს[79] მაგათ ვერ ჩამოაშორებ. ამაზედ დროს დაკარგვა უაზროა.

ქაღალდები კარგათ ჩაგიწყეს.

ტოლსტოის კომიტეტის მდივნის არჩევა თავმჯდომარეთ – ეს საქართველოსთვის ბრძოლაზედ იურიდიულ უფლებების დაკარგვაა და ხელის აღება. სჯობია ლეოს არჩევა ან უბრალო ქუჩის რუსისა, ვიდრე ტოლსტოის კომიტეტის მდივნისა.

---

77 ლეონიდე (ლეო) დუმბაძე.

78 გივი და ოთარ ზალდასტანიშვილები (ზალდასტანები).

79 ელისაბედ (ელზა, ლიზა) მდივანი.

რუსებს სწორეთ ეს უნდათ და სწორედ ამას ამზადებდა ორი წელიწადი ვანო კობახიძე. ეხლა თქვენ თითონვე გინდათ შესთავაზოთ.

„ის უჩვენოთ ვერაფერს იზამსო“ – ეს ზღაპარი მესმის 7 წელიწადი და ის კაცი შვიდი წელიწადი ყველაფერს უჩვენოთ აკეთებს. მაგალითებს ეხლა აქ არ დავწერ.

ვინც იმას ხმას მისცემს, მას უფლება აღარა აქვს საქართველოსთვის ბრძოლისა.

მე ამაზედ ხელს ვერ ავიღებ. ის გავა თუ არა თავმჯდომარეთ, მე გამოვალ ოფიციალურათ საზოგადოებიდან და მოკლე ხანში დავცხობ დაპყრობილ ერების საერთო ფრონტიდან.

თქვენ რაც გსურდეთ, ისა ჰქენით. ბოლო ის იქნება, რომ რამოდენიმე ხნის შემდეგ დაარსდება სხვა ქართული საზოგადოება, ხოლო თქვენ დარჩებით ტოლსტოის კომიტეტის ნაწილათ.

აი, ესაა ყველაფერი.

გაზეთებს ცოტა გვიან გამოგიგზავნი.

დატრიალდი და პასუხი მალე მომწერე. იმ ბიჭის პასუხი და პრეზიდენტობისა. რა გიყო, მანდ რო ვიყო, ყველაფერი ორ დღეში გაკეთდებოდა, მაგრამ 50 დოლარი არა მაქვს და ვერ გავიღებ. მე უკვე პურის ფულზედა ვყაირათობ აქა.

გამარჯობით,
შენი ვანო

38.

ბოსტონი
22 ნოემბერი [58]

ძმაო საშა,

ეს წერილი კარგა წაიკითხე და გოგიასაც წააკითხე.

1. **იცოდე სამუდამოთ, რომ ყველა ჩვენ წერილს, ჩვენი მოწინააღმდეგეების კაცი უთარგმნავს ამერიკელებს, სათანადოთ ამახინჯებს** შინაარსს და თავიანთათვისაც იყენებენ. ესევე ტელეფონის ლაპარაკს. პირადათ მე, ამისი არ მეშინიან, იმიტომ რომ ჩემ წერილების შემოწმებული ინგლისური ასლი აქ ინახება დაინტერესებულ ამერიკელების მიერ და ღმერთმა ჰქნას, რომ რამე დაამახინჯონ შინაარსიდან.

აქაურ კონსტიტუციის იმედი ნუ გაქვს. მაკარტი სენატორი იყო, მაგრამ რაკი კომუნისტებს ებრძოდა, ტელეფონში რეკორდო ფონი ჩაუდეს. ის რომ კომუნისტების მაგივრათ მემარჯვენეებზედ ყოფილიყო გადაკიდებული, ამას არ უზამდნენ.

2. შენი გამოგზავნილი ჟურნალები დაიკარგა. არ მოვიდა. მოგეხსენებათ, რომ თუ ეს განზრახ არ ჩაიდინეს, ამერიკულ ფოსტაში არაფერი იკარგება.

3. **გთხოვ, უეჭველად წახვიდე უკრაინელების დუქანში** (წიგნების მაღაზია) და მიყიდო 3 ცალი „Ukrainian Quarterly“. ის, რომელიც გამოვიდა ივნისის ნომრის შემდეგ. საშა, ეს ჩემთვის ისეთი მთავარი საქმეა, რომ თუ შენ არ გააკეთე, მე ვიქნები იძულებული ჩამოვიდე და თუ ამაზედ დამაკარგვინე 50 დოლარი, ამას ველარ გაპატიებ.

ეხლა მთავარი:

4. გთხოვ, გივი კობახიძეს და კოკი ბარათელს სთხოვო ცალკე ცალკე მოკლე ჩამოთვლა ყველა იმისი, რაც დაიწერა საქართველოს წინააღმდეგ დაწყობილი 1956 წლიდან.

ჟურნალის სახელი, ავტორის გვარი, თარიღი, ორ სტრიქონიანი შინაარსი.

მაქვს საშუალება უპასუხო ინგლისურ პრესაში. როგორც ხედავ, ნელ-ნელა კედელი გავარღვიე და მომავალში გვექნება მუდმივი ხმა ინგლისურ ენაზედ დაწერილ პრესაში. ამით დაიწყობა ჩვენი, საერთოთ დაპყრობილ ერების ნონ სტოპ შეტევა ე. ი. შეუჩერებლივი ნასტუპლენიე.

ეხლა შინაური საქმეები:

ყაბულსა ხარ იმაზედ, რაც მოგწერე, თუ არა შენი წერილის საპასუხოდ. ამას შენებურათ ბანზედ ნუ აგდებ. მე აქ ყოველ დღე-ღამის 2 საათამდის ვმუშაობ და აბდა-უბდა ლაპარაკისთვის ერთი წუთის დაკარგვაც არ შემიძლიან.

თუ ყაბულსა ხარ გააკეთე შემდეგი:

1. გაიგე გივისგან დაბეჭდვის საკითხი. აქ მიმიოგრაფზედ და მანქანაზედ.

2. მერე უნდა წახვიდე იმ ბიჭთან, რომ პრეზიდენტობის ცნობის გამოყენება შემეძლოს.

თუ ამაზედ ყაბული ხარ, მე წინასწარ უნდა ვიცოდე, რომ ჯერ მე მივწერო ბიჭსა და მერე შენ მიხვიდე.

მე მასთან ერთ ახალ საქმეს ვაკეთებ და ეგ ძალიან კარგათ მუშაობს და დიდ საქმეს აკეთებს...[80]

39.

ბოსტონი
23 ნოემბერი [58]

საშა,

მეც სწორედ შენი ამბავი დამემართა. წუხელ დავწერე წერილი შენთან და დღეს დილით ჩავაგდე, მაგრამ დამავიწყდა მთავარის მოწერა ე. ი. თეიმურაზის არჩევნები.

პირადათ თეიმურაზის წინააღმდეგ არაფერი მაქვს, მაგრამ **ტოლსტოის კომიტეტის მდივნის არჩევა ქართულ სათვისტომოს თავმჯდომარეთ ეს იურიდიული ცნობაა იმისი, რომ ქართული სათვისტომო ტოლსტოის კომიტეტის ნაწილია და მხოლოდ განყოფილება.**

ამის შემდეგ ტოლსტოის კომიტეტს სრული უფლება აქვს, საცა უნდა იქ გამოვიდეს საქართველოს სახელით და კოლონიის არც ერთ წევრს არა აქვს უფლება ხმა ამოიღოს.

რათ იკრავთ ხელებს და რათ იკეტავთ გზას. ამ საქმეში, ვერ გავყვებით ვერც აჩიკო ახვლედიანის და ვერც ახალგაზრდა ზალდასტანის პოლიტიკურ მომზადებას.

ამისთვის გთხოვთ, ჯერ ეს აუხსნათ თითონ თეიმურაზს და მის მოციქულებს. მერე ჩვენ ორგანიზაციამ საერთო კრებაზედ განაცხადოს **ეს ოფიციალურათ და თავი შეიკავეთ ხმის მიცემიდან, თუ სხვა კანდიდატი არა გყავთ** და ყველაფერი ეს შეიტანეთ ოქმში. დეე, გავიდეს უმცირესობის ხმით. მაშინ ჩვენ ორგანიზაციას ექნება საშუალება და უფლება თავისუფალ მოქმედების.

80 წერილი აქ წყდება.

თუ ამას არ იზამთ, მაშინ „შვილებო“ ნუ გეწყინებათ, ჩვენი ბილიკები სამუდამოთ შორდებიან ერთი მეორეს. მე განვაცხადებ ოფიციალურ პროტესტს პირადათ, გამოვალ სათვისტომოდან და დავარტყამ დაპყრობილ ერების საერთო ფრონტიდან. ნახავთ, რომ ბრძოლასაც მოვიგებ, დაარსდება ახალი ორგანიზაცია და რუსებს ქართულ საქმიდან და საერთოდ დაპყრობილ ერების საკითხიდან ძირიან ფესვიანათ ამოვაგდებ. მაგრამ ვინც როდესმე ტოლსტოის კომიტეტს რამეში მხარი დაუჭირა – აღარსად გავაჭაჭანებ.

გამარჯობით,
შენი ვანო

ეს წერილი წააკითხე გოგიას. როცა 1956 ქართული ახალგაზრდობა საქართველოს განთავისუფლებისთვის იხოცებოდა, აქ ბებერი ზაქები რუსებზე ჰყიდიან საქართველოს და ძველ პოლიცმეისტარის სისტემით მხოლოდ პანაშვიდების და სადღეგრძელოების უფლებასღა იტოვებენ.

40.

Boston
27 ნოემბერი [58]

№1

საშა!

რას გაიტრუნე და დადექი თავ წაკუზული? დღეს წავიკითხე მერამდენჯერმე სინდიკელის მყრალი გაზეთი.[81] ხო ხედავ, სულ ნახალურ პროვოკაციაზედ გადავიდა. ეს იმიტომ, რომ სჯერა, რო მოაწყო ორ მხრიანი ჯაშუშობა მოსკოვთან და ამერიკელების შუა.

საჭიროა, დაიბეჭდოს ჩემი დამზადებული წერილი და გივის დამატებითი პასუხი. მე გივის უკვე მივწერე. არაფერი პარიზი არ არის საჭირო, ეს აქვე უნდა დაიბეჭდოს. შენ ხმის ამოღება არა გჭირია, მარტო უნდა დატრიალდე.

აბა, ამ გაზეთის მერე როგორღა ლაპარაკობ ზალდასტანიშვილთან, რომელსაც ამ გაზეთზედ ხელი უწერია. სულ გიჟათა გთვლიან და ქათმის საკენკით გატყუილებენ. ეს სულ ერთი ბრბოა.

წადი ბიჭთან და სთხოვე ჩემი სახელით, რომ საბანიძემ იმ ჩემ მეორე მეგობარმა მითხრას – შემიძლიან თუ არა პრეზიდენტობის საქმის გამოყენება. მე მიპასუხე მხოლოდ ერთი სიტყვით „ხო“, ან „არა“. მე უკვე მივწერე.

– ეს უეჭველად გააკეთე, თორემ პირდაპირ შამზიზღდები თუ ესეც მიაჯვ-მააჯვი და ჩააფუჩეჩე.

– უეჭველად მიყიდე და გამომიგზავნე უკრაინული ჟურნალი, რომელსაც გთხოვდი. მთელი მომავალი საქმე ამაზეა დამოკიდებული.

---

81 იგულისხმება გაზეთი „ქართული აზრი“, გამოდიოდა ნიუ-იორკში 1955-1974 წწ., რედაქტორი დ. სინდიკელი (სინჯიკაშვილი, სინჯიყელი, შინჯიკელი, შინჯიკაშვილი).

შენ მიერ გამოგზავნილი ჟურნალები დაიკარგა. გთხოვ, ყველა ჩვენი წერილები გამოგზავნო **ზაკაზნოი,** თორემ სინდიკელის დაბიზღების გამო ხსნიან და იკარგება.

ყველა წერილს დაუსვი ნომერი, რომ ვიცოდეთ რომელი დაიკარგა. ეს წერილი არის №1.

41.

ბოსტონი
1 დეკემბერი, 1958

ძმაო საშა,

ძალიან შემაშინა და დამაღონა შენმა ავადმყოფობამ. მე არ მეშინიან ავადმყოფობისა თითონ, მე მეშინიან შენი და შენი ხასიეთისა, შენ არ იცი თავის მოვლა და ესაა, რომ აძნელებს ყველა ავადმყოფობას და გმატებს ახალ გაძნელებებს, თორემ თითონ ეგ არაფერია. მოუარე თავს. მთავარი ძილია, ნუ დეეთრევი ღამე სხვაგან და რაც შეიძლება მეტი დრო მოიპოვე დასასვენებლათ და ძილისთვის.

ეხლა რაც შეეხება საქმეს:

1. ყველაფერი, რასაცა მთხოვ, უკვე წინდაწინაა გაკეთებული და მომზადებული. დღეს მქონდა ტელეფონი ბიჭისგან. ჩემი მეგობარი გელოდება და მიხვალ პირდაპირ იმასთან. ჯერ დაურეკე ტელეფონი.

იმის ტელეფონი: SU 7-5557.

სახელი – ადამ. გვარი – კოც.

მისამართი: 14 West 64th Str.

New York 23. NY.

ჯერ დაურეკე. ეტყვი, რომ კაპიტან ნანუაშვილის დავალებით სთხოვ შეხვედრას. ეტყვი შენ სახელს და გვარს (ალექსანდრე არა საშა). იცის და გელოდება. ჩინით პოლკოვნიკია. არის ყოფილი ფინანსთა მინისტრი. ძალიან ჭკვიანი და მებრძოლი კაცია. ქართველები ძალიან უყვარს. იცნობს პირადათ და აქვს საკუთარი დახასიეთება ყველა ჩვენ მთავრობის წევრებისა და მხედრებისა.

შეხვედრისას ეტყვი მოკლედ შემდეგს:

„ვანო რო აქ იყო, ნახა, რომ გომბეშო[82] ნასტუპლენიეზედ გადმოვიდა. ბოსტონში წასვლის წინ მითხრა: თუ გომბეშომ არ გააჩერა თავის იერიში, ერთი არგუმენტით შევაჩერებთ და მიამბო საიდუმლოთ პრეზიდენტობის ამბავი. ეხლა მთხოვს, რომ თქვენ ნება მოგვცეთ ამ არგუმენტის გამოყენებისა. უთქვენ ნებართვოთ ეს არ უნდა ვანოს. ვანო თხოულობს შემდეგს: როცა საჭირო იქნება, ორ მოწამეს მიიყვანს იმ კაცთან და იმ მოწმეებთან დაამტკიცოს იმ პიროვნებამ, რომ გომბეშომ თავის თავი დაასახელა, როგორც პრეზიდენტი“. ყველაფერი იქნება სრულ დისკრეციაში და საიდუმლოებაში. ის პასუხს, ალბათ, რამოდენიმე დღის მერე მოგცემს. შენ მოიწერე ან „ხო“ ან „არა“ (ლაპარაკობს რუსულად).

---

82 იგულისხმება დიმიტრი (დიტო, მიტო) სინჯიკაშვილი (სინდიკელი, სინჯიყელი, შინჯიკელი, შინჯიკაშვილი).

2. მე გივის ორი წერილი მივწერე. პარიზი დააგვიანებს. ბოლოს ბოლოს თუ არაფერი გამოვიდა, ერთს მაინც გავაკეთებთ. ჩამოიტანე ქართული მანქანა და მე დავწერ, მერე შენ ეს დააბეჭდინე მანდ.

3. ბიჭმა დიდი საქმე გააკეთა, შედეგები უკვე არის და იქნება უკეთესი. აი, მაგალითათ მილვოკიში[83] საქართველოზედ დასწერეს ცუდი წერილი, თითონვე მთხოვეს პასუხის გაცემა. პასუხს მიიღებენ პოლონურ და ინგლისურ ენაზედ პრესიდან. აბა, ეს წინათ როგორ შეიძლებოდა. ეხლა ყველაფერზედ უპასუხებთ და მალე გვექნება ჩვენი პრესაც.

4. მართალი ხარ, საჭიროა ორგანიზაცია. მაგრამ ქართული ორგანიზაცია უყურებს საგარეო ორგანიზაციებს, თუ იქ მაგრა იდგება, ქართველებსაც სურთ მუშაობა, თუ იქ არაა არაფერი, არც აქ უნდათ მუშაობა. ეგრევე წინაუკმოთ. ისე რომ ორთავე ერთი მეორეზედა ჰკიდია. მე ამიტომ პირველ ძალას საგარეო საქმეებს ვატან. იმ საქმეებს, რომ გავიტანთ, მაშინვე ჩვენ ორგანიზაციასაც გავაცოცხლებთ. ეს ორთავე განუყოფელი საქმეა.

5. ზალდასტანებთან კავშირი იქნება. მათ დედამ[84] დაიწყო სიარული ბ. ბარათელთან. ჩემზედაც სამდურავი ეთქვა, მაგრამ ეს უნდა თითონვე შეიგნონ და იცოდნენ, როცა სინჯიკაშვილის რიგში ზდგანან, რიკოშეტები უეჭველად მოხვდებათ.

6. როცა თეიმურაზი დასტოვებს იმ სამსახურს, მაშინ სხვა საქმე იქნება, მაგრამ დღეს იქ არის და ამ ფაქტის ეფექტს პოლიტიკურათ ვერ ავიცდენთ თავიდან პოლიტიკურათ. ეს ფაქტი იურიდიულათ ხსნის ქართულ საკითხს და უმორჩილებს რუსეთს.

მაშ საბოლოოთ უნდა გააკეთო შემდეგი:

1. გამოარკვიო პრეზიდენტობის საკითხი.
2. გამომიგზავნო უკრაინული ჟურნალი (3 ცალი).
3. ბარათაშვილის ოჯახის ამბავი ავთანდილის საშუალებით.

პასუხი ჯერ უნდა იყოს საერთოთ ორგანიზაციის სახელით, გაგრძელება პირველ ნაწილისა და მერე ყველა დაინტერესებულებმა საკუთარი პირადი პასუხი დასწერონ. ეროვნულ-დემოკრატებს მე გავჭედამ მაგრა. მე მოვთხოვ, რომ პრეზიდენტობის საკითხზედ ორ თვეში მოგვცენ პასუხი, რა პოზიცია უკავიათ, ვინაიდან გომბეშო აქ თავს ეროვნულ-დემოკრატათ აცხადებს. თუ პასუხი არ იქნება, მაშინ გამოვაქვეყნებ მათ საიდუმლო დოკუმენტებს. ე. ი. გომბეშო ოფიციალურად უნდა გამოაგდონ პარტიიდან, თუ არა, ვაცხადებ რეზოს და ვაჩნაძეს წერილებს. ეგ შპიონები არსად არ გაუშოვო.

მე ერთი კორიანტელი მაქვს აქა:

1. უნდა დავწერო პასუხი საქართველოზედ.
2. უნდა გავათავო 2 წერილი უკრაინელებისთვის.
3. უნდა მოვამზადო დიდი წერილი დაპყრობილ ერების პირველ ნაშრომისთვის.
4. უნდა მოვამზადო შენი პასუხი.
5. ამასთან ერთად უნდა ვიმუშავო 7 დღე, თორემ 42 დოლარით ვერ ვიცხოვრებ. დღე-ღამეში მჭირია 36 საათი.

გამარჯობით,
შენი ვანო ნანუაშვილი

---

83 იგულისხმება ჟურნალი „The Milwaukee Journal“, გამოდიოდა მილუოკში (უისკონსინის შტატი) 1882 წლიდან.

84 მარიამ (მარი) ხირსელი.

42.

ბოსტონი
7 დეკემბერი, 58

ძმაო საშა,

როგორა ხარ? გამაგრდი, გულს ნუ გაიტეხ და მთავარი: მოუარე ჯანმრთელობას. პირადი ჩხუბი ჩვენ არას დროს არ მოგვსვლია და არც მოგვივა. პოლიტიკურ ჩხუბს გულთან ნუ მიიტან ახლოს. დღეს, სხვათა შორის, არა მაქვს არაფერი შენი გასალანძღავი და ეს, ცოტა არ იყოს, მენანება.

ეხლა საქმე: გივისთან უკვე მოვრიგდით. 1. ჯერ ერთი უნდა დაიწეროს საერთო პასუხი ორგანიზაციის სახელით.

2. პირადი პასუხი გივისა.

3. პირადი პასუხი შენი, თუ გსურს და კიდევ ორი სხვა კაცი დასწერს.

მე უმთავრესად მიმაჩნია საერთო პასუხი. ის, რაც უკვე დაწერილი მაქვს და ზედ პრეზიდენტობის საკითხი. ამ ნიადაგზედ მოვთხოვთ პასუხს ეროვნულ-დემ. პარტიას: „სცნობს გომბეშოს პრეზიდენტათ თუ არა“, ვინაიდან გომბეშო აქ ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის აქაურ ლიდერათ არის ცნობილი. ამ კითხვას თავის ვადა ექნება. თუ პასუხი არ მოვიდა, ან სცნეს პრეზიდენტათ, მაშინ გამოვაცხადეფ იმ წერილებს, საცა მთხოვდნენ, რომ ცენტრში არსად გაუშოვო.

ეხლა: დაურეკე და წადი ადამ კოცთან. ყველაფერი მოწყობილია აქედან. უკვე მომწერა, არც ბიჭი გჭირია, არც არავინ. ელოდება შენ ტელეფონს და მისვლას. ხუთშაფათის გარდა, ყოველ დღე შეგიძლიან დარეკვა. ერთხელ უკვე მოგწერე, ყოველ შემთხვევისთვის, ეხლაცა გწერ და ამ წერილს ვგზავნი დაზღვეულს.

Adam Koc (ქართული გამოთქმით ადამ კოც).

ტელეფონი: SU 7-5557 (შეიძლება იყოს SV 7-5557).

ადრესი: 14 West 64th Str.

New York 23. NY.

ყველაზედ კაი გზა გაქვს კოლუმბია ცირკლიდან.[85] იქვე ახლოა.

ეტყვი: ვანო უკანასკნელათ რო იყო, აქ ნახა, რომ გომბეშო დიდ შეტევაზედ გადმოვიდა (იმან იცის, რათა აქვს დიდი გული). ამიტომ მითხრა საიდუმლოთ, რომ თუ არ[86] გაჩერდა, პრეზიდენტობის ფაქტით შევაჩერებთო. მიამბო საიდუმლოთ და ეს საიდუმლოება შენახულია. ეხლა გთხოვთ, რომ მისცეთ ნება ამის გამოყენებისა. პიროვნება საიდუმლოთ იქნება შენახული. მხოლოდ თუ საჭირო იქმნა, ორ მოწამეს მივიყვანთ საკითხავად, რომელნიც საიდუმლოებას დაიცვენ. ამის მოწერა წერილში კაპიტან ნანუაშვილს არ უნდა. ამიტომ მე მგზავნის, რო გითხრათ.

ეს მალე გააკეთე და შემატყობინე. უამისოთ, მე საქმეს ხელს არ ვახლებ.

გამარჯობით,
შენი ვანო ნანუაშვილი

---

85 Columbus Circle is a traffic circle and heavily trafficked intersection in the New York City borought of Manhattan, located at the intersection of Eight Avenue, Broadway, Central Park South (West 59th Street), and Central Park West, at the southwest corner of Central Park (ინგ.).

86 კურსივით გამოყოფილი სიტყვა ხელნაწერში გამოტოვებულია.

გთხოვ, ყველაფერი ეს მალე გააკეთო და პასუხი მალე მაცნობო.

ლადოს მაგარი პასუხი მივწერე. ყოველ გვარ ცერემონიის გარეშე. ვიცი, ახტება და დახტება. დააჯვას დედამიწას, სანამ მაგას თითონ არ დააჯვამს ვინმე თავზედ – საიქიოს მესანთლე იქნება. ამ წერილის ასლი გაუგზავნე ვახტანგს. შენ ვახტანგს ელაპარაკე პირადათ, რა გწყინს. წააკითხე ეს წერილი და ამის წინა წერილი. იმან წაგაკითხოს ჩემი წერილის ასლი.

ჩვენი ორგანიზაცია ახალად გაცოცხლდება იმის შემდეგ, როცა დაიწყება დაპყრობილ ერების პრესა, მაგრამ არა იმ გამგეობით, როგორც ეხლა. ყოველ შემთხვევაში, საქმე ისეა დაწყობილი, რომ თუ ამომიდგებით გვერდში ძალიან კარგი იქნება, თუ არა და მაინც მარტოკა ვეყოფი. ჩემმა ხუთი წლის ბერის და ტუსაღის სტატუტზედ ცხოვრებამ ბოლოს ბოლოს თავისი გააკეთა და მიაღწია.

ლანძღვისა ნუ გეშინიან. ჩვენი ჯიბგირები მხოლოდ იმას ლანძღავენ, ვინც რამეს აკეთებს და რაც უფრო მეტს აკეთებს. განდიმ ინდოეთი გაანთავისუფლა და მესამე თვეში მოჰკლეს და პამპულა ნეჰრუ[87] პოლიტიკოსობს მაგრა.

პასუხი, პასუხი მალე. თუ დააგვიანე, მერე მე ხელს არაფერს მოვავლებ და ისე გიპასუხეფ, როგორც ჯორჯაძე.[88]

გამარჯობით,
შენი ვანო ნანუაშვილი

43.

ბოსტონი
12 დეკემბერი, 1958

ძმაო საშა,

მივიღე შენი წერილი არჩევნების და უკანასკნელ პირად და საერთო მოვლენების შესახებ. საერთო მოვლენები ჩვენ სასარგებლოთ ეწყობა და ეხლა გვჭირია დინჯი და უნერვებო ხანგრძლივი გეგმით სისტემატიური მოქმედება.

მე ერთი გეგმა დიდი ხანია მაქვს და ვანხორციელებ მარტოკა შორეულ ხაზით, ჯერ საგარეო პოლიტიკაში. მე იმიტომ გარეთ პოლიტიკაზედ გადავიტანე მთავარი წნევა, რომ ჩვენ პატარა კოლონიაში, გინდ ეს ჯიბგირები არ იყვნენ და სრული გამარჯვებაც მოვიპოვოთ, საერთო მდგომარეობას ვერ შევქმნით.

როცა საერთაშორისო მდგომარეობას ჩვენ სასარგებლოთ დავაბრუნებთ – მაშინ ამ ჯიბგირებსაც გავაჩუმებთ და საგარეო ასპარეზზედ მარტო ჩვენი ორგანიზაცია გავა.

აი, ეს საქმე უკვე მოხდა და გაკეთებულია, ყველა ნაწილები ცალკე ცალკეა მზათ. ეხლა მონტაჟია მხოლოდ საჭირო და ეხლა დამიგდეთ ყური.

ყველაფერი ეს, შენ და გოგიამ შეინახეთ საიდუმლოთ. რის გახმაურებაც იქნება საჭირო და როდის, ამას მე თითონ მოგწერთ ხოლმე და მხოლოდ დასახელებულ საგანს გადახადეთ ხოლმე ფარდა. ისეთი მოქმედებაა საჭირო, რომ მოწინააღმდე-

87 ჯავაჰარლალ ნერუ.

88 უნდა იგულისხმებოდეს დიმიტრი ჯორჯაძე.

გეებმა ვერასოდეს წინასწარ ვერ გამოიცნონ ჩვენ მოქმედების ხაზი. ვისაც შეგნება, მოთმენა და ნდობა არა აქვს, საცა უნდა იქ გადახტეს და იმ სხვა ბანაკში მოხვდება კისერში. ეს ჩვენთვის უკეთესი იქნება.

ეხლა მდგომარეობა:

1. დაარსდა მანდ პრესის საზოგადოება (ამას უკვე გწერდით). თებერვალში გამოვა ჩვენ დაპყრობილ ერების კვარტალის ჟურნალი. იქ მაგათ დუხი არ იქნება. ეს საქმე ჩემი პროექტია. მე მსურდა მხოლოდ გზის გახსნა პრესაში, ამას მოავლეს ხელი ამერიკელებმა და აქციეს საფინანსო დაწესებულებათ.

მთელ ბოლშევიკურ პრესას მივიღებთ მუქთათ და გაუკეთებთ ჩვენ ახსნა-განმარტებას. გარდა ამისა, გავცემთ პასუხს, რაც რუსეთზედ იქნება დაბეჭდილი და კერძოთ, საქართველოზედ. ყველა ეს დაიბეჭდება ინგლისურ ენაზედ და დაპყრობილი ერების ენებზედ.

საზიზღარი წერილი დასწერა საქართველოზედ მილვოკის ჟურნალმა თბილისის 1500 წლის თავზედ. მე მთხოვეს, პასუხის გაცემა. პასუხი დაწერილია. დაიბეჭდება ყველა ენებზედ. ამაზედ დღეს კრინტი არ დასძრათ, მაგრამ როცა გადმოგცემთ ნაბეჭდებს, დიდი პრაპაგანდა უნდა გააკეთოთ. დეე, გაიგონ, რომ პრესაში გზა გავხსენით და რუსების პოზიცია აქ ჩვენმა ორგანიზაციამ გაანგრია. **მაგრამ დღეს ჩუმათ.**

2. მივიღე შენ მიერ გამოგზავნილი უკრაინული ჟურნალები. შიგ გვერდ 278-280 მოთავსებულია, პროფესორ დობრიანსკის გარჩევა ჩემი წიგნისა. არის ქებათაქება, როგორც პოლიტიკურ და სამხედრო მეცნიერების წიგნისა. სწერს, რომ ეს ძალიან საჭირო სახელმძღვანელოა ჩვენ სამხედრო აკადემიებისთვისო. თითონ დობრიანსკი, ხო იცი, არის პროფესორი ვაშინგტონის უნივერსიტეტის და ამით გაერთიანებულ საზღვაო, საჰაერო და ხმელეთის გენერალურ შტაბების აკადემიისა. ყველა ეს კეთდება, როგორც ჩვენ ორგანიზაციის მიერ გამოცემულ ჩემ ნაწარმოებისა.

შენ მიერ გადმოგზავნილი წერილები, არ ვიცი, წაიკითხე თუ არა. ჩემ წიგნებს თხოულობენ უტახის და ალბერტის (კანადის) უნივერსიტეტები. ეს მე-14 უნივერსიტეტი. გამოცემის ორი წლის შემდეგ დავიწყების მაგიერ, ამ ურეკლამო წიგნს ეხლა თხოულობენ ყველანი. რა უყო! არ მოსწონთ მხოლოდ ბონდოიას,[89] ლადოიას და ქიზიყელ გომბეშოს.

საგარეო ნიადაგზედ მაგრა ვდგევართ და ეგენი თავიანთ ლეოთი და თეიმურაზით კრინტს ვერ გააცუებენ. გომბეშოც ხო უცხოელებმა გაჭედეს.

აი, ამ ჰორიზონტებიდან დახედეთ ზევიდან ქვეით ჩვენ შინაურ საქმეებს.

საშა, იმოქმედე დინჯათ, უნერვებოთ, მაგრამ არც ერთი ნაბიჯი უაზრო და უკან დასახევი არ გააკეთო.

კოცი ნახე. იმის გვარი არის Koc, სახელი – Adam. ტელეფონის წიგნში ესე ეწერება Koc Adam. წერილზე ვწერ წინაუკმოთ, ტელეფონის ასოებს კარგათ ვერ ვარჩევ. ხელით იყო დაწერილი ან არის: SU 7-5557, ან SV 7-5557, ყოველ შემთხვევაში, ნახე წიგნში.

პასუხი აქ უნდა დაიწეროს მანქანაზედ. თუ მანდ ვერ მოხერხდეს, მეტი გზა არ არის, აქ უნდა ჩამოიტანო.

იქნება პასუხი გომბეშოს მოქმედების სრულ დახასიეთებით. მის პრეზიდენტობის გამო, ეროვნულ-დემოკრატებს დაუსვამ ულტიმატუმს, რომ ამოიღონ ხმა, რო ეგ აქ, როგორც პარტიის კაცი თავს პრეზიდენტათ აცხადებს. ამის მერე, მეორე წერილში დაუსვამ კიდევ ერთ ულტიმატუმს სხვა საგანზედ, რომ კუდის მოქნევის საშუალება არა ჰქონდეთ და მერე გამოვაქვეყნებ მაგით დოკუმენტებს.

---

89 ბონდო (ბონდოია) კეკელია.

არჩევნების შედეგი მაგათი სრული გამარჯვებაა:

ბარათელი, გაბუნია, ლეო და ზალდასტანი გომბეშოს ბრმა თითები არიან. თეიმურაზი და ჯინ-ტრაშაძე (როგორც თითონ სწერს თავის გვარს) – რუსების ხმაა. საწყალი ვაჩნაძე ქათმის საკენკია, რომლითაც გატყუილებენ. დღეს ეს არ მაშინებს, ჩაუჯვი მაგათ ქვაბში, რომელიც საცივით სავსე ჰგონიათ. იქეიფონ კიტრის ნაფრცქვენებზედ კიდევ ექვსიოდე თვე.

ვახტანგი ვიცი, რა მძღნერსაც მიირთმევს დანა-ჩანგლით. სურს მაგათ ე. წ. არისტოკრატიაში შესვლა. გადაიბირა თავის ორ ნათესავ ლეოს და ახვლედიანის მიერ მაგის რეგვენ ტვინის მასაჟმა. ერთი 4 წერილზედ არ მიპასუხა, მაგასაც მოუვა ის დღე, რომ კარებს დაგვიკაკუნებს და მაშინ მივცემთ ლეოს მისამართს.

ჩემი მდგომარეობა: საუბედუროთ, მეც ავათა ვარ, 5 წლის ყოველ დღე ღამის მუშაობამ თავისი ხელი დაადო ყველაფერს და გული მღალატობს.

აუარებელი ამოცანები მომცა საწერათ პრესის ორგანიზაციამ. ეს საქმე ჩემი დაწყობილია და აბა, უარს ხო ვერ ვეტყვი. ველარ ვერევი და ვასწრობ საქმეს. ამის გამო, სამსახურსაც ვცდები შიგა და შიგ, რაც ჯამაგირსაც მაკლებს. ე. ი. უკანასკნელ ბრძოლაში საჭიროა მუშაობა მთელ გაზით პლუს კიდევ ზედმეტი, რაც კი შეიძლება. ვისმეს რო შეეძლოს რამეში დამეხმაროს. აი, რეგვენ ვახტანგს რო შეეძლოს რამის დაწერა, ჩემზედ წინ გავწევდი და ჩემზედ მაღლა ავწევდი. იმას კი ჰგონია, ის რო არ იყოს, მე ვერსად გამოვჩნდებოდი. დააჯოს დედამიწას თავის კაბინეთის პარადნი კიბეებზედ.

მომწერე რა მისამართი აქვს ეხლა სახლის ფონდს. ვიხდი თვიურათ 10 დოლარს. მინდა გადავიხადო 50 დოლ.

ქართველიშვილის დაპატიჟებაზედ: აქედან ვერავინ ჩამოვალთ. მე ფული არა მაქვს, არც დრო და ისიც ვერ ჩამოვა.

მე ვიცი, რომ ჩვენ მაინც გავიცნობთ ერთმანეთს და ისიც ისეთ დროს, რომ ქართველიშვილისთვის უფრო სასიამოვნო იქნება და არც მე ვიქნები გლახა მათხოვარას მდგომარეობაში.

გამარჯობით,
თქვენი ვ. ნანუაშვილი

ეს წერილი წაიკითხეთ დინჯათ შენ და გოგიმ და მოფიქრების შემდეგ მომწერეთ საერთო აზრი.

44.

ბოსტონი
11 იანვარი, 59

ძმაო საშა და გოგი,

თქვენ ალბათ, გგონიათ, რომ გავჩუმდი და ყველაფერზედ ავიღე ხელი. სრულებითაც არა! ჩემ რასპისანიაში ყველა საქმე თავის ჯერზედ მიდის. მართალია, გრძელდება, მაგრამ რა უყო, 5 წელიწადია ვმუშაობ დღე და ღამე და ვერაფრის აჩქარება ვერ შემიძლიან.

ამ კვირია ვათავებ წერას ამერიკელებისთვის და შეუდგები პასუხის წერას. პასუხი ძალიან მაგარი იქნება და კარგათ დასაბუთებული. სინჯიკაშვილს ბოლოს ბოლოს მოვხსნით ნიღაბს.

პასუხის დაწერა ჩემია, მაგრამ მის დაბეჭდის ტეხნიკა და დაგზავნა შენი. ეს ეხლავე მოამზადე:

1. გახსოვდეს, სანთლის კლიშეს ინგლისურად რა ჰქვიან – stensil (სტენსილ).

2. დაბეჭდვა შეიძლება ფლაშინგში რუზველტის ქუჩაზედ, ან ნიუ იორკში Columbus Circle-ზედ.

3. გვერდი დაჯდება 60-80 ცენტი.

ეხლა სხვა: შენ მომწერე, რომ გადმოგზავნე ჩემი ჟურნალები. მე არაფერი მომივიდა. გზაში დაიკარგა. თუ შეგრჩა, ძალიანა მჭირია ლონდონისთვის ის ამერიკული ჟურნალი ჩემზედ, რო სწერს „National Review“. იქაც გაუგიათ და ძალიან მთხოვენ. დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩვენ ბითურებზედ რადიოში.

რო არ დაიკარგოს, ამ წერილს დაზღვეულს ვგზავნი.

გამარჯობით,
თქვენი ვანო ნანუაშვილი

45.

[უთარიღო]

...საშა,[90] ბრძოლის ერთ-ერთ ყველაზედ სერიოზულ მომენტში ვიმყოფებით. ნერვები უნდა მაგრად დავიჭიროთ და არ დავკარგოთ. პოლიტიკურ და საზოგადო საქმეებში ლანძღვამ გული არ უნდა გაგიტეხოს. ილია ჭავჭავაძე მოჰკლეს და იესო ქრისტე კი ჯვარზედ აცვეს მხოლოდ იმისთვის, რომ სიმართლისთვის იბრძოდნენ.

გამოსავალი ბოლოს ერთი დარჩება. რუსებთან წავლენ სინდიკელ-ლეოს ჯგუფი სიკო ერისთავთან[91] ერთად.

ჩვენ ჩვენი ორგანიზაცია გვექნება და ეს ორგანიზაცია იქცევა ქართულ საზოგადოებათ. და საბოლოვო ქართულ ლელოსაც ეს გაიტანს.

კარგია, თუ ლადოს პირადათ ნახავ და იმასაც წაუკითხავ ამ წერილს. ეს ეხლა ხტუნობის გუნებაზეა, მაგრამ როცა ნახავს, რო ყ..ზე მაღლა ვერ ახტა, თავის ტრაკზედ დეეტევა ისიც.

გამარჯობით,
შენი ვანო

მანველიშვილის მისამართს მერე გამოგიგზავნი.
ლადოს წერილი მანახე.
ეს წერილი შეინახე მომავლისთვის.

გამარჯობით,
თქვენი ვანო

---

90 წერილის დასაწყისი დაკარგულია.

91 სვიმონ (სიკო) სიდამონ-ერისთავი.

46.

[უთარიღო]

რეზოს ურთიერთობა:

1. იუნკერთა ორგანიზაციის ლონდონის სექციამ 1948 წელს დაავალა რეზოს, რომ ეთავნა შეექმნა პარიზში ინტერპარტიული ორგანო, რომელშიც ყველა პარტიები იქნებოდნენ წარმოდგენილი და თუ რომელიმე პარტიას არ ენდომებოდა, რეზოს საქმე ისე დეეყენებინა, რომ ეს გათიშვა იმ პარტიის ინიციატივით ყოფილიყო.

რეზოს ეს ძალიან გეეხარდა და წერილობით მადლობაც გადამიხადა. მთელი მისი კორესპონდენცია შენახულია ლონდონში. ამ ორგანოს წარმომადგენლათ ნანუაშვილი იყო დანიშნული.

დასაწყისში რეზო ლოიალური იყო. მერე გამოგზავნა ლონდონში ორი წარმომადგენელი: ა. მეტრეველი და დემეტრაშვილი. ესენი ლონდონში იყვნენ ერთი თვე, ნანუაშვილი არა ნახეს და წარმომადგენლათ, თავის სურვილით, დანიშნეს ყიფიანი.

ეს იცის კარგათ და თითონვე ნახა შანშიაშვილმა, რომელიც იმ დროს ლონდონში იყო. იუნკრებს ისეთ ორგანოს შექმნა არ სურდათ, სადაც დემეტრაშვილს და მეტრეველს ესეთი უფლებები ექნებოდათ.

ამის შემდეგ რეზოს არავითარი პრეტენზიები არ უნდა ჰქონდეს, რომ ნანუაშვილმა სრულიად თავისუფალი ხელით დაიწყო მოქმედება. ესეთ მანევრებით ჩვენ ვერავინ დაგვაბამს.

2. თქვენი უკანასკნელი ე. წ. სამხედრო ჟურნალი შემდეგ შეცდომებს შეიცავს:

– „ჭაბუკის ცრემლი“ არას დროს არ გამოსულა. ეს იყო ბედნიერი განზრახვა პირველ პოლონურ ჯგუფის და განზრახვა, განზრახვათ დარჩა, თუმც სახელი ძალიან მქუხარე იყო, მაგრამ მაინც კარგია, რო არ დაივიწყეთ.

– გამოვიდა მხოლოდ საბერძნეთში ორი ნომერი „ატროყებული ტვინი“-ს მხოლოდ და მხოლოდ ლ. მახარაძეს თავდადებული მუშაობის გამო.

– ვარშავაში 1923 წელში. ეს იყო სანახევროთ დაწერილი ნანუაშვილის და მათიკაშვილის მიერ.

– გამოდიოდა 11 წელი „მხედარი“. ყველაზედ მეტი რიცხვით და ყველაზედ მაღალი ხარისხით ნანუაშვილის წერილები იყო. ამ 11 წელიწადში, 9 წელიწადი ნანუაშვილი იყო უკანასკნელის რედაქტორი და ორგანიზაციის მდივანი და თქვენ ამას რაღაც მოსაზრებით ჰმალავთ და ვითომ ივიწყებთ. რათ გიკვირთ, რომ ნანუაშვილიც ამის გამო გვერდზედ გტოვებთ?! ბოლშევიკების პოლკოვნიკებს არ ივიწყებთ და ქართველ პატრიოტებს კი გვერდზედ სტოვებთ. ეს რა მიზნისთვისაა?

რათ გიკვირთ მერე, რომ გვერდზედ დატოვებული ნანუაშვილი მთელ თავის უნარით სხვებთან მუშაობს. ჩამოიყვანეთ თქვენი საყვარელი მათიკაშვილი, იქნება, რამე გაგიკეთოთ. რუსული ანდაზაა: „Не плюй в колодец: пригодится воды напиться“.[92]

92 „იმ ჭაში არ უნდა ჩააფურთხო, საიდანაც წყალს სვამ“(რუს.).

აბაშიძე ვახტანგ (?-1963), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. მეორე მსოფლიო ომისა (1939-1945) და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ავთანდილი, ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

ამაშუკელი-კობიაშვილი კირა ზაქარიას (შაქრო) ასული (1910-1994), ემიგრანტი. დიმიტრი ბაქრაძის (1826-1890) შვილიშვილი, ზაქარია (შაქრო) ბაქრაძის (1869-1938) ქალიშვილი (ატარებდა დედის გვარს), სვიმონ (სიკო) კობიაშვილის (1902-1976) მეუღლე, ელენე (მაიკო) (1936-2010) და ზურაბ (დ. 1942) კობიაშვილების დედა.

ამილახვარი ალექსანდრე (ალექსი, ალიკა, ალიკი) ვლადიმერის ძე (1879-1968), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი (1917-იდან). პირველი მსოფლიო ომისა (1914-1918) და ესპანეთის სამოქალაქო ომის (1936-1939) მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ამილახვარი ნიკოლოზ (კოლა, კოლია) (?-1959), ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს დამფუძნებელი წევრი (1931).

არველაძე ვლადიმერ (ლადო) სიმონის ძე (ფსევდ.: ს. ს., ანჩარი, დამკვირვებელი, ანი, ქაცვია მწყემსი და სხვ.), (1908-1975), ევროპასა და აშშ-ში მოღვაწე მწერალი. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ დამფუძნებელი წევრი (1952).

არსენიძე რაჟდენ (მიშა) მათეს ძე (ფსევდ.: მიშა, რ. არიოსი, არ. რაჟდენიძე, რ. რაჟდენიძე, რაჟდენ რაჟდენიძე, რაჟდენ, რ., რ. -ა., რ. ა., რ. მ-ა, რ-ძე და სხვ.) (1880-1965) იურისტი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917), ამიერკავკასიის სეიმის (1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა (1918) და საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919) წევრი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრი (1919-იდან), სტამბოლის პოლიტიკური კომისიის წევრი და ჟურნალ „თავისუფალი საქართველოს“ რედაქტორი (1921-1923), საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის საზღვარგარეთის ბიუროს მდივანი (1923-იდან), ჟურნალების: „ბრძოლა“ (1925-იდან) და „სოციალისტური აზრი“ (1934-იდან) რედაქტორი, მიუნხენის რადიო „ევროპის განთავისუფლების“ (შემდგომ რადიო „თავისუფლება“) ქართული სექციის რედაქტორი (1952-იდან).

ახვლედიანი არჩილ (აჩიკო), ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

ახმეტელი (ახმეტელაშვილი) **მიხეილ** (მიშა) კონსტანტინეს ძე (ფსევდ.: Konstantin Michael) (1895-1963), ფილოსოფოსი, პუბლიცისტი, პოლიტოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოვეტოლოგიის გერმანული სამეცნიერო სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელი. ავტორი წიგნისა „Die Agrarpolitik der Sowjet-Union und deren Ergebnisse“ (Berlin, 1936).

ბაგრატიონ-მუხრანელი თეიმურაზ (თემო) კონსტანტინეს ძე (1912-1992), სამხედრო პირი, იურისტი, დიპლომატი და საზოგადო მოღვაწე. იუგოსლავიის სამეფო ლეგიონის საარტილერიო პოლკის ოფიცერი (1932-იდან), მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) მონაწილე, „ქართულ-ამერიკული ლიგის“ თავმჯდომარე (1950-იდან), „ტოლსტოის ფონდის“ აღმასრულებელი დირექტორი (1979-იდან), თავმჯდომარე (1984-იდან).

ბარათაშვილი (ბარათელი) **ბიძინა**, ბოსტონში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

ბარათელი სანდრო (ნამდვ. სახელი და გვარი – გიორგი მიხეილის ძე პიტავა) (1911-1985), ნიუ-იორკში მცხოვრები ემიგრანტი. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ დამფუძნებელი წევრი (1952).

ბარათელი კოკი, ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

ბაქრაძე ივანე (ვანო) ტრიფონის ძე (1900-1970), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. „იუნკერთა კავშირის“ წევრი (1928-1932), „ქართველ მხედართა კავშირის“ წევრი (1933), მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ბეგლარა, ნიუ-იორკში მცხოვრები ემიგრანტი.

ბელოსელსკი-ბელოზერსკი სერგეი სერგეის ძე (1895-1978), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის როტმისტრი, აშშ-ს საჰაერო ძალების მაიორი. პირველი (1914-1918) და მეორე მსოფლიო (1939-1945) ომების მონაწილე, „რუსეთის გათავისუფლების კომიტეტის“ თავმჯდომარე ნიუ-იორკში (1950-იდან).

ბერია ლავრენტი პავლეს ძე (1899-1953), საბჭოთა პოლიტიკური, პარტიული და სახელმწიფო მოღვაწე. საბჭოთა კავშირის მარშალი (1945), სსრკ სოციალისტური შრომის გმირი (1943).

გაბაშვილი რევაზ (რეზო) ალექსანდრეს ძე (ფსევდ.: რ. გ., რაე, ღამურა, დამსწრე, ყველგან დამსწრე და სხვ.) (1882-1969), ელექტროინჟინერი, პუბლიცისტი, ჟურნალისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი წევრი (1917). საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტის წევრი (1918), საქართველოს ინტერპარტიული ცენტრის ე. წ. „საერთო ფრონტისა“ (1925-იდან) და „კავკასიის“ ჯგუფის წევრი (1934-1939). ავტორი წიგნისა „რაც მახსოვს“ (1959).

გაბუნია სერგო, ყოფილი სამხედრო ტყვე. გაზეთ „ქართული აზრის“ (1955-1974) ავტორ-თანამშრომელი.

განდი მოჰანდას კარამჩანდ (მეტსახელი: „მაჰათმა“ – „დიადი სული“) (1869-1948), ინდოელი ადვოკატი, პოლიტიკოსი და მწერალი, ინდოეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, განდიზმის ფუძემდებელი.

გაჟონია ისიდორე, ემიგრანტი. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ დამფუძნებელი წევრი (1952).

გლაზკოვი (გლაზგოვი) **ვასილ** გრიგორის ძე (1908-1984), ყუბანელი კაზაკი. პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. საზღვარგარეთის კაზაკთა ნაციონალური ცენტრის ხელმძღვანელი, ჟურნალ „Вольное казачество“ (პრაღა, 1927-1934, პარიზი, 1934-1939) და გაზეთ „Казачий вестник“-ის (პრაღა, 1941-1945) ავტორ-თანამშრომელი.

გოლდმანი ილია იაკობის ძე (1888-1963), იურისტი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, სოციალ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შრომისა და მომარაგების მინისტრის ამხანაგი (1919-იდან), „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ გამგეობის წევრი (1952).

დადეშქელიანი თენგიზ (ნიკოლოზ) ალექსანდრეს (ციოყ) ძე (1899-1961), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის ოფიცერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. ალექსანდრე (ციოყ) დადეშქელიანისა (1862-1910) და ბარბარე (ბაბილინა) ერისთავის (1847-1922) ვაჟი, ეკატერინე-ჩიჩი (კატი) (1890-1977), ნინო (ნინა) (1892-1931), თამარ (1897-1915), ჩეფყან (გიორგი) (1900-1919) და ისლამ (სიმონ) (?-1903) დადეშქელიანების ძმა, მარიამ (მარუსია) ორბელიანის (1899-1947) მეუღლე, გულნარა (ირინე) (1923-1996) დადეშქელიანის მამა.

დადიანი ლევან (ჯონჯი) გრიგოლის (გიტა) ძე (1897-1963), სამხედრო პირი, კავკასიის „ველური დივიზიის“ ოფიცერი, პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მონაწილე. გრიგოლ (გიტა) (1866-1913) და ოლღა (ციცუ) დადიანების ვაჟი, გრიგოლ (1892-1924), მარიამ (ჟოჟო) (?-1942), ნინო (ნინა) (1894-1962), კონსტანტინე (ჯუგუ) (?-1943), ქეთევან (მიცი) (1899-1926), თამარ (1903-1952) და დავით (1905-1931) დადიანების ძმა; პირველი ქორწინება (1939): ედნა კარლტონ-დადიანი (1899-1981), მეორე ქორწინება (1955): ელეონორა ჰეივენს ენტონი-დადიანი (1898-1969).

დადიანი მიხეილ (მიშა, ბუჭუ) ნიკოლოზის ძე (ფსევდ.: მიხა წყემელი, ფარნაოზ მეგობრიშვილი) (1898-1975), სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი, ვერმახტის არმიის ობერ-ლეიტენანტი. „იუნკერთა კავშირის“ წევრი (1928-1932), „ქართველ მხედართა კავშირის“ (1933) წევრი, მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) მონაწილე, რადიო „ამერიკის ხმის“ ქართულ რედაქციის თანამშრომელი.

დემეტრაშვილი ალექსანდრე (სანდრო) (A. Demetra), სასულიერო და საზოგადო მოღვაწე. მიუნხენის უკრაინული ეკლესიის მოძღვარი, პროტოპრესვიტერი (1951-იდან), ჟურნალ „Вера, Надежда, Любовь“-ის (1950-1956) რედაქტორი.

დიასამიძე ელენე (ლოლა, ლელა, ლოლია) გრიგოლის ასული (1900-1968), ემიგრანტი. გრიგოლ (გიგო) დიასამიძისა (1870-1960) და სოფიო ხიმშიაშვილის (1897-1906) ქალიშვილი, ელიზბარ ვაჩნაძის (1895-1958) მეუღლე, ნინო ვაჩნაძის (დ. 1939) დედა.

დობრიანსკი ლევ ევგენის ძე (1918-2008), ამერიკელი ისტორიკოსი, ეკონომისტი და დიპლომატი, ფილოსოფიის დოქტორი (1951-იდან), ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტის პროფესორი (1948-1987). აშშ-ს ნაციონალური სამხედრო კოლეჯის პედაგოგი და სახელმწიფო დეპარტამენტის თანამშრომელი (1957-1958), აშშ-ს ელჩი ბოჰემიის კუნძულებზე (1982-1986).

დუმბაძე ლეონიდე (ლეო) (1901-1962), ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე, „საბჭოთა კავშირის არარუს ერების გამათავისუფლებელი საბჭოს“ ხელმძღვანელი, ჟურნალ „The Voice of Free Georgia“-ს ავტორ-თანამშრომელი (1953-1957).

ვაჩნაძე დავით (დათა) ვლადიმერის ძე (ფსევდ.: დ. კახელი, ეკალი, დონვინი და სხვ.) (1884-1962), პოლიტიკური, სამხედრო და საზოგადო მოღვაწე, რუსეთის არმიის პორუჩიკი (1907-იდან), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლკოვნიკი (1918-იდან), საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი დამფუძნებელი (1917). საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი (1917), 1918 წლის სომხეთ-საქართველოსა და 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომების მონაწილე. 1924 წლის თებერვალში თურქეთიდან დახმარების მიღების მიზნით, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის არალეგალური ცენტრალური კომიტეტის დავალებით საიდუმლოდ გაემგზავრა კონსტანტინეპოლში. 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების დამარცხების შემდეგ სამშობლოში აღარ დაბრუნებულა, ემიგრაციაში დარჩა. ავტორი წიგნისა „ქართული ეროვნული ძირები და რუსული ბოლშევიზმი“ (მიუნხენი, 1957).

ვაჩნაძე დავით (დოლიკა) (1902-1994), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ყოფილი იუნკერი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. „იუნკერთა კავშირის“ წევრი (1928-1932), რადიო „თავისუფლების“ ქართული რედაქციის თანამშრომელი (1952-იდან).

ზალდასტანიშვილი (ზალდასტანი) **გივი** სოლომონის (სოლიკო) ძე (1919-2007), ბიზნესმენი და პოლიტიკური მოღვაწე, აშშ-ს რესპუბლიკური პარტიის წევრი, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (1951), აშშ-ს ქართველი ახალგაზრდობის ასოციაციის პრეზიდენტი (1966-იდან).

ზალდასტანიშვილი (ზალდასტანი) **ოთარ** სოლომონის (სოლიკო) ძე (1922-2005), უცხოეთში მოღვაწე ინჟინერ-მშენებელი, ბიზნესმენი და მეცენატი.

ზალდასტანიშვილი (ზალდასტანოვი) **სოლომონ** (სოლიკო) კონსტანინეს ძე (1891-1941), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის პოლკოვნიკი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილე. ავტორი წიგნისა „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“ (თბილისი, 1989).

ზაქრაძე მამია (მამანტი) (1920-2023), ემიგრანტი. ნიუ-იორკის კავკასიური სახლის „ალავერდის“ პრეზიდენტი (1964-1996).

ზურაბიშვილი ლევან ივანეს ძე (1906-1975), ინჟინერი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. საფრანგეთში მცხოვრებ ქართველ სტუდენტთა კავშირის თავმჯდომარე (1928-იდან), ქართველ უმუშევართა დამხმარე კომიტეტის მდივანი (1930-იდან), „ქართველ ახალგაზრდათა წრის“ ხელმძღვანელი (1934-იდან), „თავისუფალ ქართველთა კავშირის“ თავმჯდომარე (1974-იდან), ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე (1949-1951, 1961-1975).

თამარ მეფე (დაახლ. 1160-1213, სხვა ცნობებით 1210, 1207), საქართველოს მეფე 1184-იდან. გიორგი III-ის ასული.

თოხაძე ნიკოლოზ (კუკური) გიორგის ძე (1901-1975), სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, საფრანგეთის უცხოური ლეგიონის პოლკოვნიკი. „იუნკერთა კავშირის“ წევრი (1928-1932), ჟურნალ „მხედარის“ ავტორ-თანამშრომელი(1929-1937). 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

იერემენკო გიორგი ლევის ძე, ყუბანელი კაზაკი. პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე. ამერიკაში მცხოვრებ კაზაკთა სახალხო კავშირის თავმჯდომარე, ჟურნალ „Вольное казачество“-ს (პრაღა, 1927-1934, პარიზი, 1934-1939) და გაზეთ „Казачий вестник“-ის (პრაღა, 1941-1945) ავტორ-თანამშრომელი.

კაპანაძე იასონ რომანის ძე (1874-1962), ოჰაიოს შტატის ქალაქ კლივლენდში მოღვაწე ქართველი სასულიერო პირი, პროტოპრესვიტერი. კლივლენდის წმიდა თეოდოსის ტაძრის წინამძღვარი (1902-იდან), ამერიკის საეკლესიო საზოგადოების თავმჯდომარე (1903-1907), კაპელანი (1914-1918), სიონის საკათედრო ტაძრის კანდელაკი (1919-იდან). აღსანიშნავია, რომ 1922 წლის მარტში გენუის კონფერენციისადმი მიმართული საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ამბროსი ხელაიას მიერ შედგენილი მემორანდუმი საზღვარგარეთ მღვდელმა იასონ კაპანაძემ გაიტანა. დაიღუპა ავტოკატასტროფაში 1962 წლის 15 აპრილს მეუღლესთან ერთად.

კარლტონ-დადიანი ედნა (1899-1981), ლევან (ჯონჯი) დადიანის (1897-1963) მეუღლე.

კეკელია ბონდო (ბონდოია), ნიუ იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

კვალიაშვილი მიხეილ (მიშა) ივანეს (ვანო) ძე (ფსევდ.: კვა-ლი, მ. კვა-ლი, ისკრინსკი, პოკროვსკი და სხვ.) (1901-1981), სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პოდპოლკოვნიკი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის“ კავალერი. „იუნკერთა კავშირის“ წევრი (1928-1932), ჟურნალ „მხედარის“ ავტორ-თანამშრომელი (1929-1937), მეორე მსოფლიო ომისა (1939-1945) და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. ავტორი მოგონებისა „იუნკრები“ ნიკოლოზ მათიკაშვილთან ერთად (ჟურნ. „ივერია“, №32, პარიზი).

კვარაცხელია პავლე დიმიტრის ძე (ფსევდ.: ნაური) (1883-1973), უცხოეთში მოღვაწე აგროკულტუროლოგი, მეცნიერი, პედაგოგი და პუბლიცისტი. ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს თავმჯდომარე (1932-იდან), „ქართველ-ამერიკელთა ლიგის“ ვიცე-თავმჯდომარე (1950-იდან).

კვინიტაძე (ნამდვ. გვარი – ჩიქოვანი) **გიორგი** (გიგა) ივანეს ძე (1874-1970), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. რუსეთის არმიის პოდპოლკოვნიკი (1915-იდან), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალ-მაიორი (1918-იდან), რუსეთ-იაპონიისა (1904-1905) და პირველი მსოფლიო (1914-1918) ომების მონაწილე, სომხეთ-საქართველოს ომის დროს სადახლო-შულავერის ფრონტის საველე შტაბის უფროსი (1918), ახალციხე-ახალქალაქის მაზრების გენერალ-გუბერნატორი და ქართული გარნიზონის სარდალი (1919), ქართული სამხედრო სკოლის უფროსი (1919), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამხედრო მინისტრის თანაშემწე (1918-1921), 1921 წლის 16 თებერვლიდან საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

კობახიძე გივი (ოქროპირ) ალექსანდრეს ძე (ფსევდ.: გ. ხერგაის ძე, გ. შაორისპირელი, გივი შაორისპირელი, გ. შაორელი, გივი შაორელი, გორდა მახვილაძე, გ. მახვილაძე, გიორგი ალანიძე, გ. ალანიძე, ომარ თალია, ო, მართალია, ახალი შეფიცული, ადამ იანიშვილი, ადამიანიშვილი, მიმომხილველი, ქრონიკოსი, ჟამთა აღმწერელი, გ. კ-ძე, თედო რაჭველიშვილი, გივი კობი, მალხაზ წკადელი, G. ALANIDSE და სხვ.) (1919-1991), აშშ-ში მოღვაწე ექიმი, ლიტერატორი, ისტორიკოსი და ჟურნალისტი. ასამდე ნარკვევის, სტატიისა და შრომის ავტორი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

კობახიძე ივანე (ვანო), ბიზნესმენი. ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს სათვისტომოს მდივანი (1931-იდან), თავმჯდომარე (1973-იდან).

კობიაშვილი სვიმონ (სიკო) ვლადიმერის ძე (ფსევდ.: ირაკლი ბარამიძე) (1902-1976), სამხედრო პირი, იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. „იუნკერთა კავშირის" წევრი (1928-1932), მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

კოცი ადამ იგნაციი (ფსევდ.:Witold, Szlachetny, Adam Krajewski, Adam Warmiński და სხვ.) (1891-1969), პოლონელი ჟურნალისტი, სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პოლონეთის არმიის პოლკოვნიკი (1924-იდან), პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი. პირველი მსოფლიო ომისა (1914-1918) და პოლონეთ-რუსეთის ომის (1939) მონაწილე, გაზეთ „Gazeta Polska"-ს რედაქტორი (1929-1931), პოლონეთის ბანკის მმართველი (1936), ფინანსთა მინისტრი (1939), პოლონეთის სეიმისა (1928-1930, 1930-1935, 1935-1938) და სენატის (1938-1939) წევრი.

კუნიჰოლმი (კუნიხოლმი) **ერიკ,** „ბოლშევიზმისაგან გათავისუფლების ამერიკული კომიტეტის" პოლიტიკურ საქმეთა ხელმძღვანელი.

ლანგე ოსკარ რიშარდ (1904-1965), პოლონელი ეკონომისტი, დიპლომატი.

ლომიძე ვიქტორ (ვახტანგ) (1900-1956), სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, პოლონეთის სამხედრო-საზღვაო ძალების საკონტრაქტო ოფიცერი, როტმისტრი. ხომალდ „Griffin"-ის (1935-იდან) კაპიტნის მოადგილე, კაპიტანი (1939), პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

მათიკაშვილი ნიკოლოზ (ნიკო, კიკო, მიკოლაუ) ლავრენტის ძე (ფსევდ.: ნ. მა-ლი; თიკუნი: მოლტკე) (1900-1993), სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, მაიორი, პოლონეთის უმაღლესი სამხედრო ორდენის „ვირტუტი მილიტარის" კავალერი. „იუნკერთა კავშირის" გამგეობის წევრი (1928-1932), ჟურნალ „მხედარის" ავტორ-თანამშრომელი (1929-1937), მეორე მსოფლიო ომისა (1939-1945) და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. ავტორი მოგონებისა „იუნკრები" მიხეილ კვალიაშვილთან ერთად (ჟურნ. „ივერია", №32, პარიზი).

მაკართური (მაკარტური) **დაგლას** (1880-1964), ამერიკელი სამხედრო მოღვაწე. ფილიპინების არმიის ფელდმარშალი (1936-იდან), ამერიკის არმიის გენერალი (1944-იდან), აშშ-ს საზღვაო ძალების მთავარსარდალი წყნარი ოკეანის აუზში (1944-1945), მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდალი (1945-1951), გაეროს ჯარების მთავარსარდალი (1950-1951).

მაკარტი ჯოზეფ რეიმონდ (1908-1957), ამერიკელი პოლიტიკოსი, რესპუბლიკელი სენატორი ვისკონსინის შტატიდან (1947-1957).

მანველიშვილი ალექსანდრე (სანდრო) სტეფანეს ძე (ფსევდ.: ანდრო დოლიძე, ყარამანი, ალი-ბაბა, ბაბა, ლეგიონერი ალავერდელი, ჟამთა-აღმწერელი და სხვ.) (1904-1996), ისტორიკოსი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ორგანიზაცია „თეთრი გიორგის" ლიდერი და იდეოლოგი. 14 წიგნის და მონოგრაფიის ავტორი, არაერთი ჟურნალ-გაზეთის დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი.

მახარაძე ვლადიმერ (ლადო) (?-1939), სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. „იუნკერთა კავშირის“ წევრი (1928-1932), ჟურნალ „ატროკებული ტვინი“-ს რედაქტორი (1922). დაიღუპა ომში.

მდივანი ელისაბედ (ელზა, ლიზა) სიმონის (სვიმონ, სოსიკო) ასული (1914-?), ემიგრანტი. სიმონ (სვიმონ, სოსიკო) მდივნისა (1876-1937) და ელენე (ნელი) ნაკაშიძის (1888-?) ქალიშვილი, ალექსანდრე (საშა) ცომაიას (1907-1956) მეუღლე.

მეტრეველი არჩილ, ინჟინერი, ჟურნალისტი და მთარგმნელი. ქართული სტამბის დამაარსებელი ბერლინსა და მიუნხენში.

მოლიერი (ნამდვ. სახელი და გვარი – ჟან ბატისტ პოკლენი) (1622-1673), ფრანგი დრამატურგი, პოეტი, მსახიობი და თეატრალური მოღვაწე, „მაღალი კომედიის“ ჟანრის ფუძემდებელი.

მრელაშვილი გიორგი (გიგა) სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ნაკაშიძე ვასილ (ვასო, ვასკა) ნიკოლოზის ძე (1901-1965), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის პორუჩიკი. ყუბანის 1-ლი ლაშქრობის მონაწილე (1918), ულანთა ლეიბ-გვარდიის მე-2 ესკადრონის მეთაური (1920), მეორე მსოფლიო ომის დროს იბრძოდა საფრანგეთის იატაკქვეშეთში მომქმედ მებრძოლთა რიგებში. ომის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა ნიუ-იორკში.

ნანუაშვილი ივანე (ვანო) (ფსევდ.: ვ. ნა-ლი) (1902-1974), სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. „იუნკერთა კავშირის“ გამგეობის წევრი (1928-1932), ჟურნალ „მხედარის“ ავტორ-თანამშრომელი (1929-1937), „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ დამფუძნებელი წევრი (1952). ავტორი წიგნისა „The Strength and Weakness of USSR. What everyone in the free world should know about Russia“ (Boston, Mass., 1956); „What everyone in the free world should know about Russia“ (Vantage Press, New York, 1973).

ნერუ ჯავაჰარლალ (1889-1964), ინდოეთის სახელმწიფო, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ინდოეთის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი. ინდოეთის პირველი პრემიერ-მინისტრი (1947-1964).

ნიკოლაძე ილია (ილიკო), ბიძინა ბარათაშვილის (ბარათელი) სიმამრი.

რამიშვილი აკაკი (კაკი) ნოეს (ნაუმ) ძე (1916-1999), ექიმი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე. ნოე (ნაუმ) რამიშვილისა (1881-1930) და მარიამ (მარო) გოგიაშვილის (1888-1972) ვაჟი, ბენიამინ (ბენო) (1907-1989), ნინო (ნინა) (1920-2011) და თამარ (1926-1949) რამიშვილების ძმა, მაია (მაიკო) კვალიაშვილის (დ. 1943) მეუღლე.

საბანიძე, ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

სალია კალისტრატე (კალე) ზოსიმეს ძე (1901-1986), ისტორიკოსი, ქართველოლოგი და საზოგადო მოღვაწე. ხმელთაშუა ზღვის აუზის ქვეყნების აკადემიის წევრი (1968), საქართველოს საისტორიო საზოგადოების საპატიო უცხოელი წევრი (1977), საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საპატიო აკადემიკოსი (1983).

სიდამონ-ერისთავი სვიმონ (სიკო) კონსტანტინეს ძე (1892-1964), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი. პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მონაწილე, მდინარე ჰუძონის ნაპირზე (კლოდ-სპრინგის რაიონი) კავკასიური სახლის „ალავერდი“ ერთი-ერთი დამფუძნებელი და მისი პირველი პრეზიდენტი (1937-1964).

სინჯიკაშვილი (სინდიკელი, სინჯიყელი, შინჯიკელი, შინჯიკაშვილი) **დიმიტრი** (დიტო, მიტო) ალექსანდრეს ძე (ფსევდ.: ივერიელი, ტფილისელი, ორბელი და სხვ.) (1907-1976), ჟურნალისტი, პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წარმომადგენელი. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მონაწილე. ჟურნალ „ახალი ივერიის“ თანარედაქტორი (1927-1939), მეორე მსოფლიო ომის დროს გაწვეული იყო ფრანგულ ჯარში, ტყვედ ჩავარდა და გერმანული არმიის „ქართულ ლეგიონს“ შეუერთდა. ომის შემდეგ ცხოვრობდა იტალიაში, საბოლოოდ კი ამერიკის შეერთებულ შტატებში დამკვირდა. ნიუ-იორკში დაარსა ქართული სტამბა (1955), გამოსცემდა ყოველთვიურ გაზეთს „ქართული აზრი“ (1955-1974).

სტალინი (ნამდვ. გვარი – ჯუღაშვილი; პარტიული ფსევდ.: კობა) იოსებ (სოსო) ბესარიონის ძე (1878-1953), საბჭოთა პოლიტიკური და სახელმწიფო მოღვაწე. საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსი (1945-იდან), საბჭოთა კავშირის გმირი (1945), სსრკ კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური (პირველი) მდივანი (1922-1953).

სულხანიშვილი ალექსანდრე (საშა) კონსატანტინეს (სეხნა) ძე (Alexsander Soulkhan; ფსევდ.: ალი სულთანი, სანდრო არაგველი; თიკუნი: ყურბანა, შუშუ) (1896-1990), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გვარდიის ლეიტენანტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი და თანაშემწე. 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის, 1922 წლის ფშავ-ხევსურეთისა და 1924 წლის აგვისტოს აჯანყებების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. ავტორი წიგნებისა: „ხმა სიმართლისა – წითლების მოქმედება ნიუიორკის ქართულ სათვისტომოში“ (მიუნხენი, 1962), „ჩემი მოგონებანი“ (სან-ფრანცისკო, 1981), „რა ხდებოდა მეტეხის ციხეში ქართველებ შორის 1923 და 1924 წლებში და ილიას მკვლელობის სინამდვილე“ (სან-ფრანცისკო, 1985), „ჩემი პასუხი“ ჟორდანიას მემკვიდრეებს“ (სან-ფრანცისკო, 1987), „შეფიცულთა რაზმის ცხოვრება საფრანგეთში 1924 წლის ნოემბრიდან“ (სან-ფრანცისკო, 1987).

სულხანიშვილი ივანე (ვანო), ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

სუმბათაშვილი (სუმბათოვი) **მიხეილ** ალექსანდრეს ძე (1885-1954), სამთო ინჟინერი, დიპლომატი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე. ბორჩალოს მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლი (1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი შვეიცარიაში (1918-იდან), ქართული ლეგაციის წარმომადგენელი ინგლისში (1920-1924).

ტარსაიძე ალექსანდრე გიორგის ძე (1901-1978), აშშ-ში მოღვაწე ბიზნესმენი, პუბლიცისტი და მწერალი. კომპანია „Parfums Chevalier Garde“-ს მფლობელი სერჟ ობოლენსკისთან ერთად.

ქართველიშვილი ალექსანდრე მიხეილის ძე (Alexander Kartveli) (1896-1974), უცხოეთში მოღვაწე ავიაკონსტრუქტორი, აშშ-ის ავიამშენებლობის ერთ-ერთი პიონერი, ავიაკომპანია „Republic Aviation Corporation“-ის ვიცე-პრეზიდენტი და მთავარი ინჟინერი.

ქვარიანი ნიკოლოზ (კოლა, კოლია) ნესტორის ძე (1903-1980), პროფესიონალი მოჭიდავე, მსახიობი და მოჭადრაკე.

ქორქაშვილი თამარ გიორგის ასული (1879-1956), ნიუ-ჯერსიში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი. გენერალ გიორგი ქორქაშვილის (1865-1916) მეუღლე, ვლადიმერ (1897-1979) და მიხეილ (იმონ) (?-1969) ქორქაშვილების დედა.

ქუთათელაძე ბიძინა (ფსევდ.: ენ-გურ, ბ-ნა ქ-ძე, ბი-ნა ქუ-ლაძე, ქუ-ძე და სხვ.) (1889/90-1969), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის კაპიტანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. „ქართველ მხედართა კავშირის“ წევრი (1933), ჟურნალ „მხედარის“ ავტორ-თანამშრომელი (1929-1937), მეორე მსოფლიო (1939-1945) ომისა და 1944 წლის ვარშავის აჯანყების მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. **ქუთათელაძე დავით** (დათა) (1894-?), სამხედრო პირი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის ოფიცერი, პოლონეთის არმიის არტილერიის მაიორი. მეორე მსოფლიო ომის (1939-1945) მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ღოღობერიძე გიორგი (გოგია, გოგი), ემიგრანტი. „საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის ამერიკული საბჭოს“ დამფუძნებელი წევრი (1952).

ყიფიანი ალექსანდრე (ადამ ყიფიანი) (ფსევდ.: ალ. ყ-ი) (1885-1968), სამხედრო პირი, იურისტი, საქართველოს დემორატიული რესპუბლიკის არმიის პორუჩიკი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, პორუჩიკი. პირველი მსოფლიო ომისა (1914-1918) და 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომის მონაწილე, პოლონეთ-საქართველოს საზოგადოების მდივანი ვარშავაში (1925-იდან), პოლონეთის სამხედრო სამინისტროს ოუსტიციის დეპარტამენტის თანამშრომელი (1938-იდან).

ყრუაშვილი ასლან, ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს დამფუძნებელი წევრი (1931).

შალიკაშვილი დიმიტრი იოსების (სოსიკო) ძე (ფსევდ.: დ. შა-ლი, შალი) (1896-1978), სამხედრო პირი, რუსეთის არმიის კაპიტანი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის მაიორი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი. პირველი (1914-1918) და მეორე (1939-1945) მსოფლიო ომების მონაწილე. იოსებ (სოსიკო) შალიკაშვილისა (შალიკოვი) (1847-1903) და ნინო (ნინა) სტაროსელსკაიას (?-1930) ვაჟი, დავით (1886-1940) და თამარ (1888-1955) შალიკაშვილების ძმა, მარია რიუდიგერ-ბელიაევას (1906-1978) მეუღლე, იოსებ ოთარ (დ. 1933), ჯონ მალხაზ დეივიდ (1936-2011) და ნინო ალექსანდრა გაალ (დ. 1940) შალიკაშვილების მამა.

შანშიაშვილი გიორგი (1902-1978), ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

შელია, ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი ემიგრანტი.

ჩელინსკა-კვალიაშვილი სტანისლავა (სტასია), მიხეილ (მიშა) კვალიაშვილის (1901-1981) მეუღლე, ნინო (დ. 1942), მაია (დ. 1943) და მანანა (დ. 1945) კვალიაშვილების დედა.

ჩხენკელი ალექსი აკაკის ძე (1905-1985), სამხედრო პირი, საფრანგეთის უცხოური ლეგიონის ვიცე-პოლკოვნიკი, საფრანგეთის საპატიო ლეგიონის ორდენისა და საბრძოლო ჯვრის კავალერი.

ცომაია ალექსანდრე (საშა) ვასილის (ბასილი) ძე (ფსევდ.: ახალი ივერიელი, ს. ც-ა, ა. ც. და სხვ.) (1907-1956), პუბლიცისტი, ჟურნალისტი და პოლიტიკური მოღვაწე. 1924 წლის აგვისტოს ანტისაბჭოთა აჯანყების მონაწილე. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

წერეთელი მიხეილ (მიხაკო, მიხა) გიორგის ძე (ფსევდ.: მ. სანგალა, ალაროდიელი, ვრაცი, Bâton, um camarade და სხვ.) (1878-1965), მეცნიერი, ისტორიკოსი, ლინგვისტი, პუბლიცისტი, სოციოლოგი, პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, „ეროვნული ერთობის დარაზმულობა „თეთრი გიორგის“ ლიდერი (1925-1940). „საქართველოს გათავისუფლების კომიტეტის“ თვალსაჩინო წევრი (1914-იდან), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელი გერმანიასა და სკანდინავიის ქვეყნებში (1918-1919), „ქართული სამოკავშირეო შტაბის“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ბერლინში (1943-1945), ქართული პატრიოტული ორგანიზაციის „ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის“ დამფუძნებელი წევრი (1942).

წერეთელი ირაკლი (კაკი) გიორგის ძე (ფსევდ.: ი. წ-ლი, ირ. წ., კ კ-ი, ყვირილელი და სხვ.) (1882-1959), პოლიტიკური მოღვაწე, იურისტი, პუბლიცისტი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი. რუსეთის მე-2 სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი ქუთაისის გუბერნიიდან, სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე (1906), რუსეთის კოალიციური მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის, შემდეგ კი შინაგან საქმეთა მინისტრი (1917), რუსეთის დამფუძნებელი კრების დეპუტატი (1917), საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917), ამიერკავკასიის სეიმის (1918), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პარლამენტისა (1918) და საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

წულაძე ვასილ (ვასო) ქაიხოსროს ძე (თიკუნი: Давленый) (1889-1969), პოლიტიკური მოღვაწე, რსდმპ წევრი (1906-იდან). ბათუმის ნავთობსარეწი ქარხნის მუშათა მოძრაობის, გურიის გლეხთა მოძრაობისა და 1905 წლის რევოლუციის მონაწილე, ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი (1911-იდან), რსდმპ ამიერკავკასიის საოლქო კომიტეტის წევრი (1915), საქართველოს ეროვნული საბჭოს (1917), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა პარლამენტისა (1918) და საქართველოს დამფუძნებელი კრების (1919) წევრი. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ჭავჭავაძე ილია გრიგოლის ძე (1837-1907), მწერალი.

ჭავჭავაძე (ჭავჭავაძევი) **სპირიდონ** მიხეილის ძე (1878-1952), სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, რუსეთის არმიის პოლკოვნიკი (1916-იდან), საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენერალ-მაიორი (1918-იდან). რუსეთ-იაპონიის ომისა (1904-1905) და პირველი მსოფლიო ომის (1914-1918) მონაწილე, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არმიის გენშტაბთან არსებული სარემონტო სექციის უფროსი (1918-1921), 1924 წლის აგვისტოს აჯანყების მთავარსარდალი. 1924-იდან პოლიტიკური ემიგრანტი. 1947 წელს დაბრუნდა სამშობლოში. 1951 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ დააპატიმრა და 25 წელი მიუსაჯა. გარდაიცვალა ტყვეობაში 1952.

ხირსელი მარიამ (მარი) (1896-1982), ემიგრანტი. სოლომონ (სოლიკო) ზალდასტანიშვილის (1891-1941) მეუღლე, გივი (1919-2007) და ოთარ (1922-2005) ზალდასტანიშვილების (ზალდასტანები) დედა.

ჯავახიშვილი გიორგი (გოგი, გოგია) (1900-1979), სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, პოლონეთის არმიის საკონტრაქტო ოფიცერი, კაპიტანი. „იუნკერთა კავშირისა“ (1928-1932) და „ქართველ მხედართა კავშირის“ (1933) წევრი, მეორე მსოფლიო (1939-1945) ომის მონაწილე. 1921-იდან პოლიტიკური ემიგრანტი.

ჯინჭარაძე (ჭინჭარაძე) **ალექსანდრე** (საშა) დავითის ძე (1896-1970), სამხედრო პირი, ყოფილი იუნკერი, საფრანგეთის უცხოური ლეგიონის მაიორი. პირველი მსოფლიო (1914-1918) ომის მონაწილე, გაეროს სამხედრო დამკვირვებელი კაიროში, ბეირუთსა და იერუსალიმში (1948-იდან), ჩრდილო აფრიკული ათასეულის უფროსი ავსტრიაში (1952-1954), ნიუ-იორკის ქართული სათვისტომოს მდივანი (1955-1962).

ჯორჯაძე დიმიტრი ალექსანდრეს ძე (1898-1985), პროფესიონალი ავტომრბოლელი, ბიზნესმენი. „ქართველ თავად-აზნაურთა კავშირის“ თავმჯდომარის მოადგილე (1933-იდან). პირველი ქორწინება (1937): ოდრი ემერი (1904-1971), მეორე ქორწინება (1954): სილვია ეშლი (1904-1977).

ბელა გზირიშვილი

კონსტანტინე გვარჯალაძის მიმოწერა

ქართული პოლიტიკური ემიგრაციის ისტორიის კვლევისათვის

1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოს საბჭოთა ოკუპაციის შემდეგ, როცა საბჭოთა რუსეთმა ვერაგულად დაარღვია 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება და მოახდინა მის მიერვე აღიარებულ ქვეყანის ოკუპაცია-ანექსია, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრების ნაწილი ემიგრაციაში წავიდა საფრანგეთში. ემიგრაციის მიზანი იყო აქტიური პოლიტიკური ბრძოლის წარმოება დამოუკიდებლობის აღსადგენად. ეს ბრძოლა ძირითადად დიპლომატიურ საშუალებებს მოიცავდა და გულისხმობდა ევროპული წამყვანი სახელმწიფოებისა და სხვადასხვა სოციალისტური ორგანიზაციების ინფორმირებას იმ საშინელი პროცესების შესახებ, რომელსაც ანექსირებულ საქართველოში ჰქონდა ადგილი. ამ გზით ცდილობდა ჟორდანიას მთავრობა მსოფლიოს ყურადღების მიპყრობას ქართული საკითხისადმი.

ქართველი ხალხი არ შეგუებია სახელმწიფოებრიობის დაკარგვას,რაც საქართველოში საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ 1921-1924 წლებში მძლავრი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობით გამოიხატა.

ბრძოლას ქვეყნის შიგნით თუ საერთაშორისო დიპლომატიურ არენაზე ერთი მიზანი ჰქონდა – საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იყო. ქართველ პოლიტიკურ ემიგრანტებს არ გამოუტოვებიათ არც ერთი დიდი თუ მცირე კონფერენცია ევროპაში, სოციალისტური ორგანიზაციების თავყრილობები თუ სხვა, რომ მათი ტრიბუნიდან რაიმე მიმართვა, განცხადება, მოხსენება არ გაეკეთებინათ საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ.

ეს განსაკუთრებით აუცილებელი გახდა მას შემდეგ, რაც ბოლშევიკებმა სისხლში ჩაახშეს განამათავისუფლებელი ბრძოლის ყველაზე დიდი გამოვლინება – 1924 წლის აჯანყება და ქვეყანას თავს საშინელი ტერორი და რეპრესიები დაატეხეს. აჯანყების ნამდვილ არსს საბჭოთა ხელისუფლება მსოფლიოს უმალავდა და მას მხოლოდ თავადაზნაურთა ამბოხად წარმოაჩენდა. ამიტომ ქართულმა ემიგრაციამ თავი არ დაზოგა, რომ ევროპას შეეტყო საქართველოში მიმდინარე რეალური პროცესების შესახებ.

ამ მოვლენებთან უშუალოდ დაკავშირებელი აღმოჩნდა ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე კონსტანტინე გვარჯალაძე. ის 1921-1925 წლებში იყო ემიგრირებული მთავრობის დიპლომატიური წარმომადგენელი თურქეთში და შესაბამისად, იმყოფებოდა საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ეპიცენტრში: მას ორმაგი მისია დაეკისრა – დიპლომატის და აგენტის: ის, როგორც დიპლომატი, ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ჩვენს მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებს ჰქონოდათ რეალური ინფორმაცია მის სამშობლოში განვითარებული ტრაგიკული მოვლენების შესახებ, ხოლო როგორც სამშობლოს დიდი გულშემატკივარი, დიპლომატიურ საფარქვეშ

ასრულებდა შუამავლის როლს საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ორგანიზატორებსა და ნოე ჟორდანიას მთავრობას შორის.

კ. გვარჯალაძემ ერთგვარი მიწისქვეშა რკინიგზა გაიყვანა ევროპიდან თურქეთის გავლით საქართველოში. იგი სანდო პირების მეშვეობით აჯანყების მონაწილეებს უგზავნიდა ფულს საერთო სახალხო გამოსვლის მოსამზადებლად, ასევე, საქართველოში წინააღმდეგობის მოძრაობის ხელმძღვანელებს აწვდიდა უმნიშვნელოვანეს ცნობებს თურქეთსა და ევროპაში არსებული პოლიტიკური მდგომარეობისა და მთავრობის მიერ განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ამ ყველაფრის დასტურია მის პირად არქივში აღმოჩენილი წერილები, იგი გამოვლინდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის მოღვაწეობის ამსახველ ჰარვარდისა და ლევილის დოკუმენტებში და ამჟამად დაცულია ცენტრალურ საისტორიო არქივში (ფონდი 2114). სწორედ აქ მოვიძიეთ ძალზე საყურადღებო ცნობები ემიგრანტული ისტორიის ჩვენთვის საინტერესო პერიოდზე, 1921-1925 წლებზე.

ამ მხრივ, საყურადღებოა 1924 წლის მძლავრ ანტიბოლშევიკურ აჯანყებაზე კ. გვარჯალაძის წერილები, რომლის ადრესატებიც არიან როგორც ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები, კონსტანტინე კანდელაკი, ნოე რამიშვილი, ასევე საქართველოში მყოფი სხვა „ძვირფასი მეგობრები“, რომელთა სახელებსაც ავტორი შეგნებულად არ ასახელებს. ამ მასალის შესწავლით დავადგინეთ, რომ გვარჯალაძე აქტიურად იყო ჩაბმული აგენტურულ საქმიანობაში, იგი იყო მთავარი ინფორმატორი და შუამავალი ემიგრანტულ მთავრობასა და საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზატორებს შორის. დოკუმენტებში ის მოხსენიებულია ისეთი პარტიული სახელებით, როგორიცაა „ვახტანგი“ და „ფარნაოზი“, ასევე ფარული სახელებით გვხვდებიან სხვა პირებიც: „თადეოზი“ (ნოე რამიშვილი), „ფრანსუა“, „ვალენტინი“ და „მარკი“ (ნოე ხომერიკი), „ლუარსაბი“ (ლევან ფაღავა), „ტერენტი“ (ვალიკო ჯუღელი) და სხვები. მათთან გვარჯალაძეს საქმიანი მიმოწერა ჰქონდა, სადაც დაწვრილებით აშუქებდა საქართველოსა თუ მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს.

ხსენებული მასალის ანალიზი საშუალებას გვაძლევს, რომ ის თამამად ჩავთვალოთ პირველწყაროებად და საკმაოდ სანდო დოკუმენტებად, რადგან მათი ავტორი თვითონ არის მომსწრე, თვითმხილველი და მთავარი მოქმედი პირი იმდროინდელი სხვადასხვა პროცესის. ის არა მარტო დეტალურად აღწერს მომხდარ ამა თუ იმ ისტორიულ მოვლენას, არამედ კრიტიკულად უდგება სხვადასხვა ფაქტს და აფასებს მას პოლიტიკური მოღვაწის პოზიციებიდან.

კ. გვარჯალაძეს ასევე ეკუთვნის მნიშვნელოვანი წიგნი „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში“, რომელშიც დაწვრილებითაა განხილული ქართული ემიგრანტული მთავრობის ქვეყნიდან წასვლის, მის მიერ განხორციელებული იმ ღონისძიებების ისტორია, რომელიც გულისხმობდა ევროპის ქვეყნების და საზოგადოებრიობის მაქსიმალურ ინფორმირებას საქართველოში დატრიალებული ტრაგედიის შესახებ, ტრაგედიისა, რომლის მთავარი რეჟისორი და განმახორციელებელიც საბჭოთა რუსეთი იყო. ეს წიგნი, შეიძლება ითქვას, ერთადერთია ემიგრანტულ ლიტერატურაში საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მთავრობის საქმიანობს შესახებ. კონსტანტინე გვარჯალაძე, როგორც უშუალო მონაწილე ამ საქმიანობის, ევროპაში ემიგრანტული მთავრობის მიერ განხორციელებულ დიპლომატიურ და იდეოლოგიურ ღონისძიებებს დადებითად აფასებს.

ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის დაწყების წინ საქართველოში განსაკუთრებით სასიცოცხლო იყო სამი უმნიშვნელოვანესი საკითხის ცოდნა-გაანალიზება: პირველი – რა მდგომარეობა იყო საქართველოს უახლოეს მეზობელ ქვეყნებში, რა პოზიციებს დაიკავებდნენ ისინი საქართველოსთან მიმართებაში თუ იგი აჯანყდებოდა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ (აქ განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო თურქეთის პოზიცია, დაიცავდა იგი ნეიტრალიტეტს, თუ თვითონვე შეეცდებოდა უწინდელი გავლენის აღდგენას კავკასიაში, მითუმეტეს, რომ დიდი დრო არ იყო გასული ყარსის ხელშეკრულებიდან, რომლის ძალითაც საქართველოს ისტორიული ტერიტორიები ბოლშევიკებმა თურქეთს გადასცეს. აჭარას ეს ქვეყანა ასევე თავის საკუთრებად თვლიდა და როგორც კი ხელსაყრელ დროს ნახავდა, ის აუცილებლად დაიკავებდა ბათუმს. ამიტომ დიდად მნიშვნელოვანი იყო საქართველოსათვის, აჯანყების დაწყების შემთხვევაში თურქეთი ვის მხარეს დადგებოდა).

მეორე საკითხი გულისხმობდა იმის ცოდნას, თუ როგორი იქნებოდა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების დამოკიდებულება საქართველოსადმი, რამდენად შეძლებდნენ ისინი ჩვენი ქვეყნის დახმარებას და მისი ინტერესების დაცვას, ხოლო მესამე საკითხი მოიცავდა, თვით ბოლშევიკური რუსეთის შიგნით არსებული წინააღმდეგობების ცოდნას და მათ გამოყენებას საქართველოს სასარგებლოდ.

თითქმის ყველა ეს საკითხი საკმაოდ კარგადაა გაშუქებული გვარჯალაძის წერილებში სტამბოლიდან საქართველოში „ძვირფასი მეგობრებისადმი“(საქმე #18). დიპლომატი ადრესატებს დაწვრილებით აღუწერს თურქეთსა და ევროპაში იმ დროს (1922-1923 წწ.) განვითარებულ უმნიშვნელოვანეს მოვლენებს: „კონფლიქტი აღმოსავლეთში კიდევ არ დამთავრებულა. საბერძნეთი სასტიკად დამარცხდა. ინგლისმა ის აქეზა-აქეზა, დიდხანს თავისი მიზნების განსახორციელებლად ხმარობდა, მერმეთ, დაუხმარებლად დატოვა და ის დამარცხდა. ოსმალეთი გამარჯვებით მთვრალია და ცდილობს, შეურიგებელი პოლიტიკა აწარმოოს. საფრანგეთსა და იტალიას სურთ ოსმალეთში და სხვა მუსულმანურ ქვეყნებში სიმპათია მოიპოვონ, ამიტომ ოსმალეთს უჭერენ მხარს. აქტიურ პოლიტიკას ოსმალეთის წინააღმდეგ მხოლოდ ინგლისი აწარმოებს, მაგრამ ინგლისი ოსმალეთთან ომს მაინც გაურბის. ომმა უკვე დაღალა ყველა და ახალი ომის დაწყება ძნელია...ოსმალეთთან ომის ატეხვა ნიშნავს მთელ სამუსულმანო ქვეყნებთან შეტაკებას და ყველგან ინგლისის წინააღმდეგ ცეცხლის გაჩაღებას. ინგლისი ფრთხილობს და უნდა საზოგადოებრივ აზრს დაუმტკიცოს, რომ არა ის იწყებს ომს, არამედ მას აიძულებენ ომს. ამით აიხსნება ის, რომ ის სათათრეთს ჯერჯერობით ამდენს აბედვინებს. მეორე მხრივ, სათათრეთი სარგებლობს მით, რომ ფრანგები და იტალიელები აღმოსავლეთის პოლიტიკაში ინგლისელებს მხარს არ უჭერენ ...ეხლა საზავო ნოტების ბჭობაში არიან“.[1]

საქმე ის იყო, რომ პირველი მსოფლიო ომის დასრულებისა და მუდროსის ზავის დადების შემდეგ, ოსმალეთის მოსახლეობაში ძალზე იმატა უკმაყოფილებამ და საპროტესტო განწყობამ. წინააღმდეგობრივი მოძრაობის ლიდერად იქცა გენერალი მუსტაფა ქემალი, ხოლო ეპიცენტრად ანატოლია. ანტანტის ქვეყნებს ზავის პირობების შესრულების უზრუნველყოფისთვის არც საკმარისი ძალები გააჩნდათ და არც სურვილი. ამის ფონზე თურქული მოძრაობის ჩახშობა იკისრა საბერძნეთმა,

1 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

რომელსაც ანატოლიასთან მიმართებით საკუთარი ინტერესები გააჩნდა, ანატოლიაში ბერძნული მოსახლეობის რაოდენობა მაღალი იყო. საბერძნეთის ჯარები სმირნაში გადასხდნენ 1919 წლის 6 მაისს. მაგრამ ამ ომში საბერძნეთი თურქეთთან დამარცხდა, თუმცა ვერც თურქეთმა ისარგებლა გამარჯვებით, რადგან მძიმე იყო მისი საშინაო ვითარება: თურქეთში დიდი შინაგანი ბრძოლები მიმდინარეობდა ქემალისტებსა და სულთნის მომხრეებს შორის.

ქემალისტებს პოლიტიკური მოკავშირედ ბოლშევიკური რუსეთი მოევლინათ. მათი საგარეო ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა: საბჭოთა რუსეთი ახლად გამოდიოდა საერთაშორისო ასპარეზზე და წამყვანი სახელმწიფოებისგან დიპლომატიურ აღიარებას ელოდა, ხოლო თურქეთს, როგორც მსოფლიო ომში დამარცხებულ ქვეყანას, ანტანტის წინააღმდეგ ძლიერი მომხრე ესაჭიროებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა გამარჯვებული ქვეყნები თავიანთი ინტერესების შესაბამისად ჭრიდნენ და კერავდნენ მსოფლიო პოლიტიკურ რუკას.

რუსეთ-თურქეთის ურთიერთობები პირდაპირ გავლენას ახდენდა საქართველოზე. კ. გვარჯალაძე აღნიშნულ წერილში წერდა: „რუსეთ-სათათრეთის კარგი დამოკიდებულება გრძელდება. ჯერ-ჯერობით არავითარი საბუთი არ გვაქვს ვიფიქროთ, ეს დამოკიდებულება შეიცვალოს მანამდე, სანამ ზავის რატიფიკაცია არ მოხდება... ევროპის მთავრობებმა ვერ გაიგეს თუ არსებობს, ან რა სახის ჩუმი ხელშეკრულება არსებობს რუსეთსა და სათათრეთს შორის. თურქეთში სიტყვით ჩვენი წინააღმდეგნი არ არიან. ომს რომ მოვამთავრებთ დასავლეთის ფრონტებზე, მერმედ კავკასიის საკითხს მივაქცევთ ყურადღებასო...მათი ნეიტრალიტეტის საკითხი ჩვენს მიმართ არ არის გარკვეული“.[2]

ქართველმა დიპლომატმა კარგად უწყოდა, რომ თურქეთის ჯაშუშებით სავსე იყო საქართველო. ამ პერიოდში კავკასიაში განსაკუთრებით გააქტიურდა ენვერ-ფაშას მოძრაობა.[3]

ენვერ ფაშა უპირისპირდებოდა ქემალისტებს და მოკავშირეს კავკასიის მუსლიმებში ეძებდა. ეს ფაქტი აუცილებლად უნდა გაეთვალისწინებინათ საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურებს, რადგან ერთიანი სახალხო გამოსვლა გულისხმობდა მასში არა მარტო საქართველოს, არამედ აზერბაიჯანის და კავკასიის მთიელების მონაწილეობას და ამ შემთხვევაში ენვერის მოძრაობა დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა ამ გზაზე. კ. გვარჯალაძე წერდა: „ენვერის მოძრაობას დიდი სიფრთხილით უნდა შევხვდეთ, გავარკვიოთ თუ რაშია საქმე...მერმედ შევეცადოთ ენვერთან მოქმედების კოორდინაციას და მისი ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ გამოყენებას...ჩვენ დავაბარეთ თადეოზს, რომ მისი ჩამოსვლისას მოელაპარაკოთ აზერბაიჯანელებს, გააბათ კავშირი ენვერთანაც ....თურქები ცბიერი ხალხია და დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ არ მოვტყუვდეთ“.[4]

როგორც ვხედავთ, კავკასია თანაბრად აუცილებელი გეოსტრატეგიული სივრცე იყო როგორც თურქეთის, ასევე რუსეთისთვის და ქართველებისთვის დიდი სიფრთხილე იყო საჭირო, რომ არ მოხვედრილიყო „ორ ჩაქუჩს შორის“.

---

2 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

3 ენვერ-ფაშა – ოსმალეთის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, პანთურქიზმის იდეოლოგი და პრაქტიკაში გამტარებელი.

4 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

ემიგრანტული მთავრობა განსაკუთრებით ემზადებოდა გენუისა და ლოზანის საერთაშორისო კონფერენციებისთვის, რომლებსაც უნდა გადაეწყვიტა ბევრი უმნიშვნელოვანესი საერთაშორისო საკითხი, მათ შორის რუსეთის ვალების საკითხიც. ამდენად, აქ, საბჭოთა რუსეთი, რომელიც იბრძოდა საერთაშორისო დე იურედ აღიარებისთვის, ერთ-ერთ მხარედ უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი. ამაზე აქტიურად იმუშავა ემიგრანტულმა მთავრობამ, თუმცა იგი არ დაუშვეს კონფერენციებზე. ქართველი პოლიტიკური მოღვაწეები მაინც ცდილობდნენ, რუსეთს დამოუკიდებელი საქართველოს ნაცვლად რომელიმე ხელშეკრულებაზე არ მოეწერა ხელი საქართველოს სახელით. ეს ყველაფერი კარგადაა ასახული კ. გვარჯალაძის წერილებში, რომლებშიც ავტორი გულისტკივილით აღნიშნავდა: „ჩვენმა მთავრობამ მიიღო ყოველგვარი ზომები, რომ დავეშვით ამ კონფერენციაზე. ფრანგებმა დიდი ენერგიით დაგვიჭირეს მხარი, მაგრამ ინგლისელები არიან წინააღმდეგნი, როგორც ეს გენუაში იყო...მარტო რუსეთი მოიწვიეს ჯერ-ჯერობით. რუსები ალბათ თან წამოიყვანენ უკრაინის და საქართველოს დელეგატებს, როგორც ეს გენუაში ქმნეს... აქ მოგვინდება ბრძოლა. ყოველგვარი ზომები უნდა მივიღოთ, რომ ისენი არ იქნან დაშვებული რამეზე ხელი არ მოაწერონ და მით არ იქადაგონ, ამავე დროს ვცდილობთ, რომ ჩვენ ვიქმნათ მოსმენილი“.[5]

ეს კონფერენციები თითქოს უკანასკნელი იმედი იყო ქართული ემიგრაციისათვის მსოფლიოს ყურადღების საქართველოსთვის მისაპყრობად. ნოე ჟორდანია კ. გვარჯალაძეს წერდა: „ჩვენი ბედის ერთადერთი გადამწყვეტია ჩვენი ხალხი, მაგრამ ის ამოდენა ტვირთს ვერ აიღებს. საჭიროა აზერბაიჯანი და მთა მას მაინც გვერდში უდგეს. რასაკვირველია, ამ კონფერენციის დროს თბილისს რომ ავიღებდეთ და საქართველოს გავანთავისუფლებდეთ, გადამჭრელ როლს ითამაშებდა ეს, ვინაითგან რუსებს აიძულებენ, მორიგებით გაათავონ საქმე. აქ მხოლოდ ერთი მინუსია, თურქები ბათომში შეიჭრებიან და გამოვა ის, რომ ჩვენი განთავისუფლება მოასწავებს ბათომის დაკარგვას. აქ მხოლოდ კონფერენციას შეუძლია ითამაშოს როლი და აიძულოს ოსმალეთი ამა თუ იმ დათმობაზე. ...კონფერენციის ხანა საუკეთესო დროა გამოსვლისთვის დიპლომატიის თვალსაზრისით თუკი საზოგადოდ ამ გადამჭრელ ნაბიჯს აპირებენ ამ ნახევარ წელიწადში. ოსმალეთი, ალბათ, პირდაპირ ჩარევას ვერ გაბედავს, საფრანგეთი არ დაანებებს, აზერბაიჯანს ეგებ ხელიც კი შეუწყონ არაოფიციალურად“.[6]

როგორც ამ წერილიდან ირკვევა, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში არსებობდა აზრი, ლოზანის კონფერენციის მიდინარეობის დროს მომხდარიყო საერთო სახალხო გამოსვლა საქართველოში, მასში ასევე მონაწილეობას მიიღებდა აზერბაიჯანი და მთა. თუ აჯანყებულები თბილისს დაიკავებდნენ, შესაძლებელი იქნებოდა, ხმა მიეწვდინათ კონფერენციაში მონაწილე წამყვანი ქვეყნებისთვის. მაგრამ ქართველების იმედი არ გამართლდა – ემიგრანტული მთავრობის წარმომადგენლები არც კი დაუშვეს ლოზანის კონფერენციაზე.ცნობილია, რომ გენუის კონფერენციამ უკანონოდ ჩათვალა რუსეთის მოქმედება საქართველოს მიმართ, მაგრამ საქართველოს დემოკრატიული მთავრობის დელეგაციას არ მისცა შეკრებაში მონაწილეობის უფლება, არც ყურად იყო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქ ამბროსი

---

5 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

6 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

ხელაის მიერ გაგზავნილი მემორანდუმი, რომელიც დეტალურად აღწერდა ქვეყნის გასაბჭოების შემდეგ აქ შექმნილ კრიტიკულ და სავავალალო მდგომარეობას.[7]

კონსტანტინე გვარჯალძის წერილები გაჟღენთილია ოპტიმიზმით და დიდი იმედით, რომ ევროპა საქართველოს არ გაწირავდა და საჭირო მომენტში გვერდში დაუდგებოდა. ასეთი მსჯელობის მიზეზს ქმნიდა ევროპაში „ბოლშევიკური აჩრდილისადმი შიში", რომელიც განსაკუთრებით გერმანიაში იგრძნობოდა. პირველი მსოფლიო ომის შემდეგ ამ ქვეყანაში მრავალმა პრობლემამ იჩინა თავი. მას მძიმე ტვირთად დააწვა რეპარაციის გადახდა, რამაც გააძლიერა რადიკალური ნაციონალიზმი. მდგომარეობა ამძაფრებდა დამცირების შეგრძნება-გერმანელებს აგრესორებად თვლიდნენ. აქ არნახულად გაძლიერდა საბჭოთა კავშირის გავლენა, თუმცა მცირე ხნით. სწორედ ამაზე საუბრობს კონსტანტინე გვარჯალაძე ერთ-ერთ წერილში, სადაც იგი ამბობს: ბოლშევიკები „ფიქრობდნენ, გერმანიის წარმოუდგენელი გაჭირვებით ისარგებლებდნენ და გამწარებულ და დამშეულ გერმანელებს დემაგოგიური ლოზუნგებით გაიტყუებდნენ. მაგრამ გერმანია რუსეთი არ არის და მის ექპერიმენტებს ვერ აყვება. ...კომუნისტებმა გერმანიაში ერთი საქმე გააკეთეს: მთელი გერმანია დააფრთხო კომუნისტების აჩრდილმა და თუ ამას მივუმატებთ იმას, რომ დღევანდელ მთავრობას არც ისე ადვილად შეუძლია ეკონომიკურ-ფინანსური კრიზისისგან გერმანიას თავი დააღწევინოს, გასაკვირი არ არის, რომ გერმანიის ხალხის სულისკვეთება ამ ბოლო ხანებში გამემარჯვენდა".[8]

ქართველი დიპლომატი ნოე ხომერიკს წერდა, რომ 1923 წლისთვის ევროპაში დიდ არეულობას ჰქონდა ადგილი, რადგან საფრანგეთმა რური დაიკავა უბრძოლველად და მას გერმანია ვერც კი შეეწინააღმდეგა და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოუგვარებელი პრობლემაა, ომის დაწყებას ვერავინ ბედავს. „გერმანიაში შექმნილმა მდგომარეობამ დიდად წაათამამა გერმანიის ნაციონალისტები... დემოკრატებსა და ნაციონალისტებს შორის დღეს გერმანიაში დიდი ბრძოლაა. სოციალ-დემოკრატები უსასტიკესად გმობენ საფრანგეთის იმპერიალისტურ საქციელს, ამავე დროს გააფრთებით ებრძვიან თავიანთ მემარჯვენეებს და მათ ომიანობის სურვილებს".[9]

საქართველოში „ძვირფასი მეგობრებისადმი" გაგზავნილ წერილში კ. გვარჯალაძე აღწერს რა ევროპის პოლიტიკურ ვითარებას, აღნიშნავს, რომ „რუსის საკითხმა ევროპაში ყველა სხვა საკითხი დაჩრდილა. თან სანამ საფრანგეთ-გერმანიას შორის ასეთი დიდი განხეთქილება სუფევდა, ამით მოსკოვი ინტრიგნობდა და ამ კონფლიქტის გაღრმავებას ეტრფოდა. ერთი მხრით, გერმანია ცდილობდა, ვითომ რუსეთთან კავშირის დაკავებით, რაპალოს ხელშეკრულებით საფრანგეთი დაეშინებინა და დათმობებზე წამოეყვანა, მეორე მხრივ, საფრანგეთიც შეეცადა რუსეთს გაარშიყებოდა, მიუხედავად იმისა, რომ მილიერანი-პუანკარე დღესაც შეურიგებელნი არიან ბოლშევიკებისადმი, სცენაზე გამოიყვანეს ფინანსური წრეები, რომლებიც ელაპარაკებიან ბოლშევიკების აგენტებს, ამ გზით ფრანგები ცდილობდნენ, ერთი მხრით, ვითომ რუსების დაშორებას გერმანელებისაგან, მეორე მხრით გერმანელების დაშინებას რუსეთთან კავშირით და მით გერმანიის კომპრომისებზე

---

7 სურგულაძე ა., სურგულაძე პ., საქართველოს ისტორია 1783-1990. საკითხავი წიგნი, თბ., 1991, გვ. 247-248.

8 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

9 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 20.

დათანხმებას. მაგრამ ამ დიპლომატიური თვალთმაქცობით არსად არაფერი გამოვიდა. გერმანელებმა და რუსებმა ბევრი ილაყბეს, ხელშეკრულებებიც დაწერეს, მაგრამ გერმანიის კაპიტალი მაინც ვერ ბედავს, გასწიოს დიდი რისკი და ავანტიურისტების ქვეყანაში მუშაობა დაიწყოს... არც ფრანგები-რუსების ლაპარაკიდან გამოვიდა რამე... და ბოლოს, დაიბადა ტენდენცია, თვითონ ერთმანეთში მორიგდნენ საფრანგეთი-გერმანია... შეიძლება იქ მალე რუსეთის ცნობის საკითხი დადგეს, მაგრამ ვერავითარი ცნობა რადიკალური რუსეთის მდგომარეობას ვერ შეცვლის... ევროპის ყველა ქვეყნებში კომუნისტების პრესტიჟი და ძალა წარმოუდგენლად დაეცა".[10]

მაგრამ ქართველი დიპლომატის იმედები არ გამართლდა. პირველი მსოფლიო ომის შედეგებმა ევროპაში მწვანე შუქი აუნთო რადიკალური მემარჯვენე და მემარცხენე იდეოლოგიების, მათ შორის კომუნისტების გავლენის ზრდას. წამყვან სხელმწიფოებში დაიწყო ახალი მიმართულებების და კავშირების ძიების პერიოდი, სადაც უპირატესი გახდა საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობის დამყარება. 1922 წელს გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის დაიდო რაპალოს ხელშეკრულება, რომელიც მომავალში მიმართული იქნებოდა დასავლეთის წინააღმდეგ. ცალკე საფრანგეთი და ინგლისი ეძებდნენ პოლიტიკური ურთიერთობის საშუალებებს რუსეთთან, რადგან ეს ომისაგან დაზარალებული ქვეყნებისთვის გარკვეულ ეკონომიკურ პერსპექტივებს ქმნიდა.

ომისაგან დანგრეული ევროპისთვის საქართველო არ იყო საინტერესო. ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა პატარა პაიკი საერთაშორისო პოლიტიკის დიდ საჭადრაკო დაფაზე. და ეს ყველაფერი იმით დაგვირგვინდა, რომ ჯერ 1933 წელს პარიზში საქართველოს მთავრობის ლეგაცია გაუქმდა, რადგან რუსეთსა და საფრანგეთს შორის გაფორმდა თავდაუსხმელობის პაქტი და იმავე წელსვე დაისვა საკითხი საბჭოთა რუსეთის მიღებისა ერთა ლიგაში, რაც შემდეგ წარმატებით განხორციელდა.

შემდეგ კ. გვარჯალაძე იძულებული გახდა ეღიარებინა რუსეთის გამარჯვება საერთაშორისო ურთიერთობებში. იგი 1924 წლის თბერვალში „ლუარსაბს" (გ. ფაღავას) წერდა: „თქვენ გაინტერესებთ რუსეთის საქმეები საერთაშორისო ასპარეზზე. ...დღეს ევროპაში რუსეთის ცნობის საკითხი ერთნაირად აქტუალური საკითხია. ყველა ცდილობს, რუსეთის ბაზარი მომავლისთვის ხელში ჩაიგდოს და იქ სათანადო ადგილი დაიკავოს. ამიტომ სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური წრეები ერთმანეთს ეჯიბრებიან, მაგრამ ჯერ ამ შეჯიბრებიდან არაფერი გამოსულა. ...ამ ახლო მომავალში ევროპის ზოგი დიდი და პატარა სახელმწიფოები იცნობენ რუსეთს".[11]

მართლაც ევროპის ქვეყნებმა საბჭოთა კავშირი ერთიმეორის მიყოლებით აღიარეს საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. თუმცა ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ემიგრანტული მთავრობა ხელს იღებდა დიპლომატიური ბრძოლის გაგრძელებაზე. კ. გვარჯალაძე წერდა „ძვირფას მეგობრებს" საქართველოში: „ინგლისში მიდიან ირაკლი და აკაკი,[12] შეიძლება მათთან წავიდნენ ჩვენი მეგობრები ბელგიელები და ფრანგები. ესენი იმუშავებენ, რომ თუ ინგლისის მუშათა პარტია დღევანდელ პირობებში რუსეთს არ წაუყენებს მისი ცნობის პირობით საქართველოდან ჯარის გაყ-

10 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

11 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 21.

12 იგულისხმებიან ირაკლი წერეთელი და აკაკი ჩხენკელი (ავტ.).

ვანას და ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენას, ყოველ შემთხვევაში საქართველო არ იცნას რუსეთის ფაგლებში. შექმნილ მდგომარეობაში ესეც დიდი რამ იქნება“.[13]

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1921-1924 წლების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ ერთმანეთთან მჭიდრო ურთიერთკავშირში იყო. ამ ბრძოლის მესვეურებს შეგნებული ჰქონდათ, რომ მხოლოდ საკუთარი ძალების ვერაფერს გახდებოდნენ იმ უზარმაზარ სახელმწიფოსთან, რომელმაც სამოქალაქო ომში ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა თეთრგვარდიელებზე და პრეტენზიას აცხადებდა რუსეთის იმპერიის წინანდელი საზღვრების აღდგენაზე. ამიტომ სჭირო იყო საქართველოს შიგნით თუ საზღვარგარეთ ქართველებს შორის კოორდინებული მუშაობა და ყველა ხელსაყრელი ვითარების გამოყენება დასახული მიზნის მისაღწევად.

გარდა მსოფლიოს დახმარებისა, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციას გამარჯვების რწმენას აძლევდა ის არეულობა და შინაგანი წინააღმდეგობა, რაც ლენინის გარდაცვალების შემდეგ ბოლშევიკურ რუსეთში სუფევდა. კ. გვარჯალაძე წერდა „ლუარსაბს“: დღეს ბოლშევიზმის იდეა ისედაც ...თანდათანობით კოტრდება. ...დღეს ტროცკის იცილებენ თავიდან, ხვალ ალბათ კიდევ ვინმე სხვებს მოიცილებენ და შორს აღარ არის ის დრო, როცა ესენი ერთმანეთს დაერევიან ...ბოლშევიკებს ვისიმე თანამშრომლობა კი არ სწადიათ, არამედ ყველას სრული დამორჩილება უნდათ“.[14]

ქართველი მოღვაწის მოსაზრება რუსეთის დასუსტებაზე არ გამართლდა. 1920-იან წლებში სტალინმა შეძლო ძალაუფლების განმტკიცება და ქვეყნის ერთადერთ ბელადად იქცა. საშინელი ტერორის ბატონობის პირობებში განადგურდა ბურჟუაზიისა და მიწათმფლობელთა ფენა, აიკრძალა რელიგია და მთელი საბჭოთა კავშირი დაემორჩილა მძლავრ იდეოლოგიურ მანქანას, რომელიც ყოველგვარ „ბურჟუაზიულ გადმონაშთს“, და პირველ რიგში, თავისუფალ აზრს ებრძოდა. ეს ყველაფერი ხდებოდა ქვეყნის შიგნით ისე, რომ მსოფლიომ არც კი იცოდა ამ რეპრესიების არსებობა. ის კი არა, დასავლელი ინტელექტუალები ინტერესითა და მღელვარებით ადევნებდნენ თვალყურს ბოლშევიკების საქმიანობას. მწერლები და ხელოვანები ჩადიოდნენ მოსკოვში, რათა თავისი თვალით ენახათ სოციალისტური საოცრება და წარმოდგენაც არ ჰქონდათ რა ფასად დაუჯდა ეს ყველაფერი იმპერიაში შემავალ ხალხებს.[15]

როგორც კ. გვარჯალაძის წერილებიდან ირკვევა, ქართულ პოლიტიკურ ემიგრაციაში განიხილებოდა საქართველოს ბოლშევიზმისგან განთავისუფლების რამდენიმე ვარიანტი. ნოე რამიშვილისადმი 1923 წლის 12 აგვისტოთი დათარიღებულ წერილში კ. გვარჯალაძე საუბრობს ეროვნულ-დემოკრატების ერთ-ერთი გეგმის შესახებ, რომელიც გულისხმობდა ძალების გაერთიანებას თეთრგვარდიელებთან და მის ხელმძღვანელ დიდ მთავარ ნიკოლოზ ნიკოლოზის ძესთან. მისი ცნობით, ლაპარაკია საერთო აჯანყებაზე საქართველოში, „ნაციონალ-დემოკრატ ჩოლოყაშვილზე და დამოუკიდებლობის კომიტეტის სამხედრო ცენტრზე, ლაპარაკია რუსის

---

13 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

14 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 21.

15 აბდალაძე გ., კვიტაიშვილი ნ., კუპატაძე ბ., ჯანუაშვილი ქ., უახლესი ისტორია. თბ., 2008, გვ. 75-94.

ხულიგანებისა და ქართველების ძალთა კოორდინაცია-კოოპერაციაზე, რომ ქართველები ამ დროს თავის საზღვარს გასცილდებიან და რუსეთს შეესევიან ბოლშევიკების დასანგრევად და ყველა ამ მიზნებისთვის ბატონი ვეშაპელი ხულიგანებს შესთავაზებს საქართველოს, როგორც სამოქმედო ბაზას და ბოლოს, იძლევა გარანტიას, რომ დააკმაყოფილებს რუსეთის თავდაცვით ინტერესებს კავკასიის საზღვრებზე".[16]

რაც შეეხება თვით სოციალ-დემოკრატების მიერ გაზიარებულ გეგმას, რომელის ავტორადაც შესაძლებელია საკუთრივ კონსტანტინე გვარჯალაძეც მოიაზრებოდეს, ქართველ დიპლომატს დეტალებში მოცემული აქვს ნოე რამიშვილისადმი 1923 წლის 8 ნოემბრით დათარიღებულ წერილში, სადაც იგი წერს: საერთაშორისო მდგომარეობა მეტად დახლართულია, შესაძლებელია გერმანიის ამბებმა რუსეთიც ჩაითრიოს, „ამ მომენტით ჩვენც უნდა ვისარგებლოთ და ამისთვის შესაფერად ვემზადოთ", თუ გერმანიამ რუსეთი ჩაითრია სამოქმედოდ, ის პოლონეთს დაეცემა პირველად, „დასავლეთის საზღვრებზე რუსეთის ამოქმედება გაატიტვლებს მათ ფრონტს ჩვენში: რუსები იძულებულნი იქნებიან ჯარი გაიყვანონ ჩვენგან დასავლეთით. ამით ჩვენი საქმე გაადვილდება. ...ჩვენ უნდა ვისარგებლოთ ყველაფერ ამით და პოლონეთის ჩვენ საქმეებში აქტიურად ჩარევას ვეცადოთ. ვფიქრობ, რომ სრულიად მიზანშეწონილი იქნება, რომ პოლონეთში მყოფ ჩვენ ოფიცრობასთან ერთად თვით პოლონელების მცოდნე და ჩვენში ნამყოფი ოფიცრებიც გამოვიყოლოთ. ...ბათომში გავაკეთოთ პოლონეთის საკმაო ძალის დესანტიც კი. ამას თავისთავად მოყვება პოლონეთის მიერ იარაღის მოცემა, ამას კი შეიძლება მოყვეს მათი ჩვენთან სამხედრო კავშირი. ...პოლონეთის მიერ ჩვენ ფრონტზე მოქმედება იქნება ერთნაირად იმის გარანტიაც, რომ თურქები ჩვენ მუხანათურად უკნიდან ველარ დაგვეცემიან. ...პოლონეთის ასეთი კავშირი ჩვენთან იქნება იმის თავდები, რომ ფრანგებიც დაგვიჭერენ ჩვენ მხარს. ...პოლონეთის მოქმედება ჩვენ ფრონტზე ვერ გამოიწვევს ვერც ინგლისის და ვერც თურქების დიდ პროტესტს, რადგან ამას არ ექნება ჩვენში მოკალათების და რამე სერიოზული ოკუპაციის ხასითი..." ეს პოლონეთის ინტერესიც იქნება, რომ რუსეთის წინააღმდეგ სხვადასხვა ფრონტი გაიხსნას, რაც გააადვილებს მის დამარცხებას.[17]

სახალხო გამოსვლა გათვლილი იყო ხელსაყრელ მომენტზე, როცა იგი რუსეთში არსებული პრობლემებითა და შიდა არეულობით ისარგებლებდა და საქართველო, აზერბაიჯანი და ჩრდილოეთ კავკასია ერთიანი ძალებით აჯანყდებოდა. გვარჯალაძე წერდა რამიშვილს: „არის ნამდვილი ცნობა, ბუდიონის მე-4 დივიზია პირველი ოქტომბრიდან პეტროგრადშია. ცხენოსანთა ბრიგადა „ვცაიკა მოსკოვში მივიდა და იქ იმყოფება. ბუდიონის მე-14 დივიზია ჩერნიგოვშია"... რომ ეს იმას ადასტურებს, რომ ბოლშევიკებს სატახტო ქალაქებში საქმე კარგად არ აქვთ და ამაგრებენ, ასე ხდებოდა ნიკოლოზის დროსაც, და „თუ ჩვენ ხალხს არ დაკარგვია ამოძრავების უნარი, რუსეთის შინაგანი თუ გარეგანი გართულებით სარგებლობა აუცილებელი რამ იქნება. „ფრანსუა" იწერება, რომ ემზადებიან და მოხერხებულ დროს უცდიან, რომ ელოდებიან ემიგრანტული მთავრობის დახმარებას.[18]

---

16 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

17 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

18 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

და მაინც ამ ბრძოლაში მთავარი იყო ქართველი ხალხის შემართება და მისი დაუოკებელი სწრაფვა საბოლოო თავისუფლებისკენ. 1924 წლის 4 თებერვლით დათარიღებულ წერილში ნოე რამიშვილისადმი გვარჯალაძე ამ ფაქტს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს. იგი წერს: „ჩემთვის ყველაზე უდიდესი საკითხია, თუ რამდენად საქართველო, აზერბაიჯანი და მთა თავის ამოცანას შეასრულებენ. ...ამ ფაქტს ევროპაში ყველა გაუწევს ანგარიშს მაკდონალდიც, პუანკარეც და სხვებიც. ...ჩვენ დასახმარებლად და მხარის დასაჭერად ყველა ამოიღებს ხმას".[19]

ამ წერილებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატებს კარგად ჰქონდათ გააზრებული აჯანყების გეგმა, რომელიც გულისხმობდა საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ერთიან გამოსვლას და უცხოეთის ქვეყნების, განსაკუთრებით კი პოლონეთის აქტიურ მხარდაჭერას. პოლონეთზე ასეთი აქცენტის გაკეთება არ იყო შემთხვევითი, რადგან, ჯერ ერთი, პოლონეთი თვით ელოდა რუსეთისგან თავდასხმას და მეორეც, აქ იყო თავმოყრილი ემიგრირებული ქართველი სამხედროების დიდი ნაწილი და მათ დიდი დახმარების გაწევა შეეძლოთ სამშობლოსთვის. გვარჯალაძის წერილებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აჭარის საკითხს, როლისადმიც თურქეთის ინტერესი განსაკუთრებული იყო. 1921 წლის ყარსის ხელშეკრულებით ყარსისა და არდაგანის ოლქები თურქეთს გადაეცა, ხოლო ბათუმის საკითხი განისაზღვრა აჭარისთვის ფართო ავტონომიის მინიჭებით საბჭოთა საქართველოს ფარგლებში, თუმცა ამანაც ვერ ათქმევინა უარი თურქეთის ხელისუფლებას ამ რეგიონზე. ეს კარგად ჰქონდა გააზრებული ემიგრანტულ მთავრობას და როცა საერთო სახალხო აჯანყების მომზადებაზე იყო საუბარი, უპირველეს საფრთხეებში თურქეთის საკითხი იდგა. თუ როგორი იქნებოდა მისი პოზიცია ამ პერიოდში – იგი დაიცავდა ნეიტრალიტეტს, თუ მისთვის ხელსაყრელ დროს ჯარებს შეიყვანდა აჭარაში.

ეს საკითხი გაჟღერებულია გვარჯალაძის არაერთ წერილში. დიპლომატი წერდა ნოე რამიშვილს, რომ იგი შეხვდა ფევზი ფაშას, რომელიც „არის ოსმალეთის ჯარის სარდალი, კაბინეტის წევრი", ქემალის მარჯვენა ხელი და ყველაზე უფრო დაახლოებული მასთან. მისგან დიპლომატმა მიიღო დაპირება, რომ თურქეთი არ აპირებს არაფერში ხელის შეშლას და მართალია, იგი ვერც აშკარად და ვერც ფარულად ვერ დაეხმარება საქართველოს, მაგრამ ჰპირდება თურქეთის სრულ ნეიტრალიტეტს, რადგან საქართველოს თავისუფალი არსებობა მათთვის დიდ ინტერესს წარმოადგენს, ერთადერთი პრობლემაა აჭარა, რომელიც თხოულობს ავტონომიას და თუკი ამას საქართველო მისცემს, მეტი სადაო არაფერი იქნება.[20]

რა თქმა უნდა, თურქეთის ბოლომდე ნდობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ალბათ აღნიშნულ სიტუაციაში სხვა გზა არც არსებობდა.

რაც შეეხება საკუთრივ აჯანყების შესახებ წერილებში დაცულ ინფომაციას, იგი შედარებით მწირია. რადგან მთავარი პრობლემა იყო კავშირის პრობლემა საკუთრივ აჯანყებულებთან და ხშირი ღალატის შემთხვევები. საოკუპაციო რეჟიმი ამ კუთხით აქტიურად მუშაობდა. მისი ჯაშუშებით სავსე იყო თურქეთი და ევროპა. საბჭოთა სპეცსამსახურები მოწინააღმდეგეების მიმართ სხვადასხვა მეთოდს იყენებდნენ: ან ცდილობდნენ ცრუ დაპირებებით, ვითომდა შემორიგებით ემიგრანტე-

19 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

20 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

ბის გადაბირებას (გრიგოლ ვეშაპელის შემთხვევა), ან უკვეთავდნენ პოლიტიკურ მკვლელობას, როგორც ეს მოხდა მაგალითად ნოე რამიშვილის შემთხვევაში და ხოლო საკუთრივ საქართველოში მიმართავდნენ ფართო რეპრესიებს, რომელსაც საგანგებოდ მალავდნენ. ერთ-ერთ წერილში კ. გვარჯალაძე წერდა ნოე რამიშვილს, რომ მან ვინმე მუჰამედასგან შეიტყო თითქოს „ბათომში 22, თბილისში 18 კაცი ჩამოუხრჩვიათ. ფაქტია, ბოლშევიკები ყოველნაირ ზომებს იღებენ, რომ ცნობები საზღვარგარეთ არ გამოუშვან".[21]

რეპრესიებმა განსაკუთრებული სახე მიიღო 1924 წლიდან, როცა უკვე იყო მომხდარი გამოსვლები სვანეთში, ფშავ-ხევსურეთში და სხვა კუთხეებში.

მოღალატეები არასოდეს აკლდა საქართველოს და ამ მხრივ არც 20-იანი წლების მოძრაობა იყო გამონაკლისი, მითუმეტეს ცნოფილი ფაქტია, რომ ბოლშევიკურმა რუსეთმა ქართულ ემიგრაციას ბრძოლა გამოუცხადა არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ ევროპაშიც, სადაც აქტიურად მოქმედებდნენ მისი აგენტები და ეწეოდნენ ემიგრანტების გადაბირება-მოსყიდვას. ამ მხრივ ყველაზე ცნობილი ფაქტია გრიგოლ ვეშაპელის შემთხვევაც, რომელიც არერთხელ ყავს ნახსენები თავის წერილებში დიპლომატს. მას მიმდევრები საქართველოშიც გამოუჩნდნენ. კონსტანტინე წერდა რამიშვილს: „შენ ქე გწერდი მგონი ხოშტარიას კომბინაციაზე, რომ მან ჩიჩერინს და სხვა ბოლშევიკებს მოსკოვში აღუთქვა ნაციონალ-დემოკრატების პარტიის გადაბირება და ამ პარტიის მოღვაწეების სპარსეთში და სხვადასხვა ადგილებში გაწვევა და მით მათი მუშაობისთვის ჩამოცილება. როგორც ამბობენ, ხოშტარია შეეცადა თურმე ჩოლოყაშვილის გატყუებას იქით, მაგრამ ის ვაჟკაცია და გაიძვერებს არ აყვა".[22]

1923-1924 წლებით დათარიღებულ თავის წერილებში კონსტანტინე გვარჯალაძე აფრთხილებდა საქართველოში მყოფ აქტივისტებს, რომ მათ რიგებში არიან პროვოკატორები და ამიტომ დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. ერთ-ერთ წერილში „ძვირფას მეგობრებს" იგი ატყობინებდა შემდეგ ფაქტს, რომ სამი დღის წინათ აქ გამოიარა ვიღაც მარკოზ ტუღუშმა, ახალგაზრდა ფედერალისტების წარმომადგენელმა. გამოგზავნილია ვითომ მათ მიერ აქაური ჩვენი ამბების გასაგებად, „ამ ყმაწვილმა იცის თქვენი საიდუმლოებანი. გადმოგვცეს აქ, რომ ბოლშევიკ ლომინაძეს სცოდნია თქვენი კონფერენციის მოწვევა, რომელსაც დაესწრნენ გიგი, ტერენტი და რომელსაც თავჯდომარეობდა არჩილი. ჩამოვიდნენ გრიგოლეთის გზით და სთქვეს, აჯანყება დანიშნული იყო თებერვლისთვის, მერმედ გადასდვეს მაისისთვისო. საშიში ვინმე ახლობელი არ იყოს პროვოკატორი. მიაქციეთ ამას ყურადღება".[23]

არ ცდებოდა კ. გვარჯალაძე, როცა ღალატზე საუბრობდა. ბოლშევიკებმა ერთი მეორის მიყოლებით ჩაიგდეს ხელში საქართველოში ჩასული სოციალ-დემოკრატი აქტივისტები. იგი რამიშვილს წერდა: უცილობლად სამხედრო ცენტრშია გამყიდველი, რადგან ჩავარდნენ ნოდია, ბენია, გოგიტა, ვალიკო, რომ შესაძლებელია აქ ოფიცრების ხელიც ურევია, რადგან მათგან არავინ ჩავარდნილა და ისინი თავის დროზე მენშევიკებს დაუპირისპირდნენ. ამიტომ ძალზე დიდი სიფრთხილეა საჭირო.[24]

---

21 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

22 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

23 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

24 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

როცა 1924 წლის აჯანყებაზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით თვით იმ მუშაობას, რასაც საქართველოში ეწეოდნენ წინააღმდეგობის მოძრაობის ადგილობრივი მესვეურები. როგორ ცნობილია, პოლიტიკური წინააღმდეგობის გასაწევად აუცილებელი იყო პოლიტიკური ორგანოს შექმნა. 1921 წლიდან ქართულმა პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს კონსულტაციები და 1922 წლის აპრილში შეიქმნა „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ (დამკომი), რომელშიც ყველა ძირითადი პოლიტიკური პარტია იყო წარმოდგენილი. შეიქმნა „სამხედრო ცენტრი“, ჩამოყალიბდა პარტიზანული რაზმები და სხვ.

საქართველოში პარიტეტული ორგანიზაციის შექმნის მიუხედავად, გაერთიანება გაძნელდა ერთმანეთთან მუდმივ დაპირისპირებაში მყოფ ქართულ ემიგრაციაში. თუმცა ამისი მცდელობა არაერთხელ იყო. მიუხედავად იმისა, რომ ემიგრანტებს გათავისებული ჰქონდათ გაერთიანების საჭიროების აუცილებლობა საერთო საქმეში გამარჯვებისთვის, მათ ვერ გადალახეს ვიწრო პარტიული ინტერესები და გათითოკაცებულნი დარჩნენ.

კონსტანტინე გვარჯალაძე ზემოთ მოხსენიებულ წერილში წერდა: „ნაციონალ-დემოკრატების წრეებში თანდათან ფეხს იკიდებდა ფაშისტური სულისკვეთება. ამ ხალხმა აქ, საზღვარგარეთ, დაჰკარგა ყოველივე იმედი, მათ დიდად შორსმჭვრეტელი ხალხი და პოლიტიკურად გაწვრთნილი არასოდეს ჰყოლიათ. ...მათში პიროვნული კინკლაობა, შენ-ჩემობა უფრო არის გამეფებული, ვიდრე სხვა რამე. ისინი დღეს იმდენად საქართველოს განთავისუფლებაზე და ჩვენი ხალხის ბედზე იმდენად არ ფიქრობენ, რამდენად იმაზე, თუ როგორ მოიმზადონ აქედანვე ნიადაგი თავის პარტიის ბატონობისათვის ჩვენში, ისინი ყველაფერს შესწირავენ, თვით ჩვენ დამოუკიდებლობასაც კი“.[25]

რამდენჯერმე გადადებული აჯანყების საბოლოო თარიღად დაითქვა 1924 წლის 29 აგვისტოს ღამის 2 საათი, როცა საქართველოს ყველა რეგიონში ერთდროულად უნდა დაწყებულიყო გამოსვლები. თუმცა აჯანყებულთა შორის კოორდინაცია გართულდა და დათქმულ დროზე ერთი დღით ადრე, 28 აგვისტოს ღამით გამოსვლები დაიწყო ჭიათურაში. 29 აგვისტოს აჯანყება მაინც დაიწყო საქართველოს ყველა კუთხეში, მაგრამ შექმნილ სიტუაციაში, როცა ყველგან კბილებამდე შეიარაღებული ჩეკას რაზმები ახერხებდნენ ლოკალური გამოსვლების ჩახშობას, იგი განწირული აღმოჩნდა დამარცხებისთვის.

საბჭოთა რეპრესიების კიდევ ერთმა საშინელმა ტალღამ გადაუარა საქართველოს: აჯანყების მონაწილეებს და მათ ხელშეწყობაში ეჭვმიტანილებს ყოველგვარი გამოძიებისა და სასამართლოს გარეშე ხვრეტდნენ. თან ამას ისე აკეთებდნენ, რომ მსოფლიოს არ შეეტყოთ სისხლიანი ანგარიშწორებისა და ქვეყანაში გამეფებული საშინელი ტერორის შესახებ. ამას არაერთხელ აღნიშნავს თავის წერილებში კონსტანტინე გვარჯალაძე. 1924 წლის 25 ოქტომბრით დათარიღებულ ერთ-ერთ წერილში იგი წერს: „ჩვენმა მტრებმა რა ზომები არ მიიღეს, რომ საქართველო ევროპისგან მოეწყვიტათ და არავითარი ამბები იქიდან არ გამოსულიყო. პირველი სექტემბრიდანვე დაიწყო ყალბი დეპეშების გაგზავნა მათი სააგენტოს საშუალებით ევროპაში. სწერდნენ, რომ მენშევიკებმა მოახდინეს ავანტიურა ერთ პატარა ქალაქში ჭიათურაში, სადაც ორი-სამი საათით ჩაიგდეს ძალაუფლება ხელშიო. იყო ცდა აგრეთვე ზოგ

25 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

სხვა ადგილებშიც მოეწყოთ გამოსვლა მენშევიკებს, მაგრამ ქართველ გლეხობამ იარაღით ხელში იმ წამსვე მოახდინა მათი ლიკვიდაციაო. მენშევიკების ავანტიურას მხარს უჭერდნენ მხოლოდ თავადები, მეფის ოფიცრები და კომერსანტებიო. მთელმა გლეხობამ, ქართველი ხალხის დიდმა უმეტესობამ მენშევიკების ავანტიურა ზიზღით დაგმო და მათ იარაღით გაუსწორდაო. საბჭოთა მთავრობამ თფილისში მიიღო ზომები, წესრიგი დაიცვას მთელი საქართველოს ტერიტორიაზე და არ დაანებოს გლეხობას, ექსცესებს მიმართოს თავადაზნაურობის წინააღმდეგ. ბოლშევიკების ცინიზმს, ცუღლუტობას საზღვარი არ ჰქონია".[26]

რეპრესიების და გაუსამართლებლად დახვრეტის მიზეზს ბოლშევიკებს აძლევდა კიდევ ის ფაქტიც, რომ აგვისტოს გამოსვლის სისხლში ჩახშობას არ მოყოლია უცებ სიმშვიდის ჩამოვარდნა საქართველოში. აჯანყებულები პარტიზანულ ბრძოლის ტაქტიკაზე გადავიდნენ და იბრძოდნენ ბოლომდე, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე, თუმცა ყველაფერი უკვე ამაო იყო. ვინმე იოსება ატყობინებდა გვარჯალაძეს 9 სექტემბრამდე გურიაში დატრიალებული უბედურების შესახებ, შემდეგ თვითონაც იქედან გაიქცა და ამიტომ აღარანაირ ინფორმაციას არ ფლობდა. ასევე უცნობი იყო აღმოსავლეთ საქართველოს ამბებიც, რომელსაც ჩეკისტები საგულდაგულოდ მალავდნენ.

ამის მიუხედავად ევროპამ მაინც შეტყო საქართველოში დატრიალებული სისხლისღვრის შესახებ. „ევროპის პრესა აშუქებდა საქართველოში ბოლშევიკების ჩადენილ სიმხეცეს. ...შვეიცარიის ეკლესიებშიც კი საქართველოზე მსჯელობდნენ. ბელგიის პარტიის ცენტრალური კომიტეტი არათუ საპროტესტო რეზოლუციებს უგზავნიდა მოსკოვის მთავრობას და მის განყოფილებას კომინტერნს, არამედ სპეციალურ აფიშებს აკრავდა ბრიუსელის ქუჩებში ჩვენ შესახებ, – წერდა კ. გვარჯალაძე.[27]

მაგრამ მდგომარეობის შემსუბუქება საქართველოში ვერავინ და ვერაფერმა შეძლო და აჯანყების დამარცხების შემდეგ ევროპას ლტოლვილების ახალი ტალღა მიაწყდა. კ. გვარჯალაძე ნოე რამიშვილისადმი გაგზავნილ ერთ-ერთ წერილში აღნიშნავდა: „გვაქვს ცნობები, რომ მრავალი ხალხი გადმოვიდა არდაგანში. ...ხალხი ტიტველია, საზაფხულო ბლუზებში გამოქცეულან, სულ ფეხშიშველები არიან და კაპეიკი ფული არ აბადიათ, – პირდაპირ შიმშილობენ. არ იციან, რამდენი კაცია...ყველა ესენი ალბათ გურულები არიან".[28]

მოდიოდნენ და მოდიოდნენ ლტოლვილები თურქეთში და ამას ბოლო არ უჩანდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ როცა ემიგრანტებით სავსე გემი შემოვიდოდა სტამბოლში, თურქები მათ ნაპირზე არ უშვებდნენ, პირდაპირ მარსელისაკენ მიმავალ გემზე სვამდნენ. აქ განსაკუთრებული ფუნქცია იტვირთა კონსტანტინე გვარჯალაძემ. იგი უზრუნველყოფდა გამოქცეულებს საბუთებით, ელემენტარული საარსებო საშუალებებით და საფრანგეთში მყოფ თანამემამულეებსაც წერდა, ყურადღება მიექციათ იქ ჩასული ქართველებისთვის. სუფევდა საყოველთაო გაჭირვება და შიმშილი. ლტოლვილების რიცხვი ისეთი დიდი იყო, მათ ემიგრანტული მთავრობისგან მოძიებული სახსრები არ ყოფნიდათ და იყო საყოველთაო უკმაყოფილება. გვარჯა-

---

26 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

27 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 18.

28 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

ლაძე ამის თაობაზე წერდა ნოე რამიშვილს: „ლტოლვილების პირისპირ შეხვედრა არც ისე სასიამოვნოა, ყველა მეტად ცუდ პირობებში მოდიან. აქ ბევრის იმედები აქვთ, დიდ და ყოველმხრივ დახმარებას ელოდებიან. და ბოლოს კი ბევრ ვერაფერს იღებენ. ...რაც შეეხება ლტოლვილების აქეთ მასიურ დენას, ამის შესახებ უკვე მიწერილი მაქვს, რომ მიიღონ ზომები და შეაჩერონ ის“.[29]

მაგრამ ვინ შეაჩერებდა სიკვდილსა და ტერორს გამოქცეულ ბედკრულ ადამიანებს და ისინიც მოდიოდნენ და მოდიოდნენ. მათ ვერც კი წარმოედგინათ, რომ მათთვის ემიგრაცია სიცოცხლის ბოლომდე გაგრძელდებოდა და სამშობლოს მონატრულები უცხო მიწაში ჰპოვებდნენ განსასვენებელს.

კ. გვარჯალაძის წერილები იმითაცაა საინტერესო და მნიშვნელოვანი, რომ მასში არა მარტო კარგად და ობიექტურადაა გაშუქებული იმ პერიოდის ისტორიული მოვლენები, არამედ ეს მოვლენები შეფასებული და გაანალიზებულია საკმაოდ კრიტიკულად დიპლომატის და პოლიტიკოსის პოზიციებიდან, რაც ამ დოკუმენტებს პირველხარისხოვანი ისტორიული წყაროს მნიშვნელობას ანიჭებს.

ავტორი არ კმაყოფილდება მხოლოდ ამბების თხრობით, არამედ წინასწარ ვარაუდობს იმ შედეგებსაც, რასაც შესაძლებელია მომავალში ჰქონდეს ადგილი. იგი განსაკუთრებით დაინტერესედა იმ მიზეზებით, რამაც 1924 წლის აჯანყების დამარცხება გამოიწვია. მან გამოკითხა გამოსვლის მეთაურები ქაქუჩა ჩოლოყაშვილი და სპირიდონ ჭავჭავაძე და დაასკვნა, რომ „არავითარ ავანტიურისტულ გეგმებს ადგილი არ ქონია. საუბედუროდ, ვერ შეძლეს თავისი გეგმის განხორციელება. სჩანს ხელმძღვანელობა არ იყო რიგიანი და თან პროვიკაციამ ჩაღუპა ეს მოძრაობა“.[30]

აანალიზებდა რა აჯანყების დამარცხების მიზეზებს ამ გამოსვლების უშუალო მონაწილე სოლომონ ზალდასტანიშვილი, თავის ნაშრომში „საქართველოს 1924 წლის ამბოხება“, აღნიშნავდა რომ „აგვისტოს აჯანყებისთვის ორნაირი მუშაობა იყო საჭირო: საგარეო და შინაგანი, საგარეო, ან დიპლომატიური მუშაობისთვის უნდა ეზრუნა ემიგრაციაში მყოფ სათანადო ორგანოებს, დანამდვილებით კი მას მთავრობის ორი პირი აწარმოებდა. შინაგანი, ე.ი. ხალხის დარაზმვისა და აჯანყებისთვის აუცილებელი პირობების შექმნისთვის –დამოუკიდებლობის კომიტეტი საქართველოში“, მაგრამ გარკვეული მიზეზების, შეუთანხმებელი მოქმედების გამო ვერ მოხერხდა კოორდინირებული მუშაობა და აჯანყება დამარცხდა.[31]

ამრიგად, კონსტანტინე გვარჯალაძის მიმოწერა არის უმნიშვნელოვანესი პირველწყარო ქართული ემიგრაციის ისტორიის მონოგრაფიული შესწავლისთვის. კ.გვარჯალაძე აღმოჩნდა უშუალოდ დაკავშირებული 1921-1924 წლების ტრაგიკულ მოვლენებთან და დაგვიტოვა ბევრი ისეთი ცნობა, რომელიც ავსებს საქართველოს უახლესი ისტორიის უცნობ ფურცლებს. და ეს იმ ფონზე, როცა მრავალი ფაქტი ჩვენი ემიგრაციის ისტორიისა ჯერ კიდევ უცნობია და შეუსწავლელი, ხოლო ბევრი უმნიშვნელოვანესი მოვლენა თუ საზოგადოებრივი მოღვაწე შეუფასებელი მეცნიერთა მიერ და ელის დღის სინათლეზე წარდგენას და სათანადო ადგილის მიჩენას ჩვენს უახლოეს მატიანეში.

---

29 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

30 საქართველოს ეროვნული არქივი, ცენტრალური საისტორიო არქივი, ფონდი 2114, ანაწ. 1, საქმ. 68.

31 ზალდასტანიშვილი ს., საქართველოს 1924 წლის ამბოხება, თბ., 1989, გვ. 49.

BELA GZIRISHVILI

The correspondenc of Konstantine Gvarjaladze For the research of the Georgian politikal emigration

Summary

After the Bolshevik occupation of Georgia in February-March 1921, the government of the First Republic of Georgia and part of the Constituent Assembly emigrated to France. The purpose of emigration was to continue the struggle for the restoration of Georgia's independence with the support of European leaders, which included various diplomatic activities and the maximum awareness of the European public. This became especially necessary after the Bolshevik authorities had plunged into blood the greatest manifestation of the Georgian National Liberation Movement-the revolt of 1924, and after its defeat, Europe was hit by a new wave of Georgian refugees.

Konstantine Gvarjaladze, a prominent political figure, was directly linked to these tragic events. He was a diplomatic representative of the government who immigrated to Turkey (1921-1924) and served as a mediator between the government and the rebels. He did not only send money to rebels to prepare a public movement but also provided the Georgians with important information about the political situation in Turkey and Europe and the measures taken by the governments.

This article represents correspondence kept in Konstantine Gvarjaladze's personal archive with both the emigrant government and the participants of the National Liberation Movement in Georgia, so their scholarly discussion is crucial for the in-depth studying of the history of Georgian emigration.

ვასილ დუმბაძე და მისი წიგნი

ვასილ (ვასო) დუმბაძე – საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი ამერიკაში, მორგანთა ბანკის ფინანსისტი, მიხეილ ჯავახიშვილის რომანის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ მთავარი გმირის ერთ-ერთი პროტოტიპი დაიბადა 1882 წელის ოზურგეთის მაზრის სოფელ შემოქმედში, მღვდლის, ცნობილი მგალობლის დავით დუმბაძის ოჯახში. 1901 წელს დაამთავრა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, 1906 წელს – ლაიფციგის უნივერსიტეტის საინჟინრო ფაკულტეტი. მუშაობდა მეგობრის მამის, კავკასიის მეფისნაცვლის, ილარიონ ვორონცოვ-დაშკოვის მამულების მმართველად. მეფისნაცვლისა და იმპერატორთან დაახლოებული გენერალი ბიძების წყალობით, იგი პეტერბურგის უმაღლესი წრეების წევრი გახდა. მის პოპულარობას ხელს უწყობდა გარეგნობა, მომხიბვლელობა, განათლება, ეკონომიკური ტალანტი და ევროპული ენების ცოდნა. იყო რამდენიმე მნიშვნელოვანი საინჟინრო პროექტის ავტორი, თუმცა მეცნიერების ნაცვლად, ვასომ კომერციას მოჰკიდა ხელი და მალე გაითქვა სახელი იმდენად, რომ მორგანთა რუსეთ-ამერიკის ბანკის დამფუძნებელთა შორის, გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა და ამერიკაში რუსეთის ელჩ ბახმეტევის გარდა, ისიც აღმოჩნდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს იყო ნიკო დადიანის მიერ შექმნილი ქართველ დაჭრილ ჯარისკაცთა საზოგადოების გამგეობის წევრი. მნიშვნელოვანი როლი შეასრულა პეტროგრადში ქართული ეკლესიის დაფუძნებაში, სხვა ქართველებთან ერთად, იბრძოდა ილია ჭავჭავაძის დაწყებული საქმის დასაგვირგვინებლად – რუსეთის იმპერიის ფარგლებში საქართველოს ავტონომიის მისაღწევად. სამხედრო მინისტრ სუხომლინოვთან და მის ცოლთან დაახლოებით, ხელთ იგდო მსხვილი სამხედრო დაკვეთები, საიდანაც დიდი საკომისიო რჩებოდა. მიხეილ ჯავახიშვილის რომანის გმირად და ცნობილ ავანტიურისტად – „აფერისტ დუმბაძედ“ ის სეპარატული ზავის დასადებად ნიკოლოზ II-ის მიერ გერმანიაში მისმა საიდუმლო მისიით გაგზავნამ და ე .წ. „ჭურვების სკანდალმა“ აქცია, როცა 15 მილიონ ოქროს საფასურად რუსული ქვემეხებისათვის უფრი დიდი კალიბრის ყუმბარები შეუკვეთა და ყუმბარების გარეშე დარჩენილი კარპატებამდე მისული რუსული ჯარი იძულებული გახადა უკან დაეხია. ამის გამო დუმბაძეს სიკვდილი მიუსაჯეს, რაც მერე კატორღით შეუცვალეს.

რუსეთის 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ დუმბაძე გათავისუფლდა, ჯერ კიევში წავიდა, მერე – ევროპაში. 1921 წლის საქართველოს ოკუპაციის მერე ემიგრაციაში დარჩა და 1924 წელს ამერიკაში ჩავიდა. 1925 წელს ნიუ-იორკში საქართველოს ეკონომიკური და აზერბაიჯნის დიპლომატიური წარმომადგენლობის ეგიდით, ინგლისურ ენაზე გამოსცა წიგნი „კავკასიის რესპუბლიკები“, რომელმაც მიიპყრო არა მარტო ამერიკული საზოგადოების, არამედ ქართველ ემიგრანტთა ყურადღება და საფ-

რანგეთში მყოფმა საქართველოს ემიგრირებულმა მთავრობამ ის ამერიკაში თავის წარმომადგენელად დანიშნა.

საქართველოს ოკუპაციის გასახმაურებლად, რადგან ამერიკა საქართველოს რუსეთთან ნებაყოფილობით შეერთებულ ქვეყნად თვლიდა, ვასილ დუმბაძის თაოსნობითა, სენატორ ჰენრი ვილსონის თავმჯდომარეობით და ცნობილ ამერიკელ მოღვაწეთა მონაწილეობით, დაარსდა „ამერიკული საზოგადოება კავკასიისათვის“. ორგანიზაციის მიერ შექმნილმა განთქმულ იურისტთა კომისიამ შეისწავლა საქართველოს წარსული, არსებული მდგომარეობა და დაადგინა მისი „დამოუკიდებლობის უდაო უფლება და ევროპაში გახიზნულ დემოკრატიულ მთავრობის კანონიერება“. 1929 წელს ცნობილი დიპლომატ ლეონ ვილსონის თავმჯდომარეობით შეიქმნა „საქართველოს უფლებების დაცვის კომიტეტი“. ამ ორგანიზაციების მუშაობის წყალობით წარმომადგენელთა პალატასა და სენატთან, ამერიკის შეერთებული შტატების ხელსუფლებამ აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და დიპლომატიური წარმომადგენლად ვასო დუმბაძე დაამტკიცა, სახელმწიფო ხარჯით კი საქართველოზე 361-გვერდიანი წიგნი გამოსცა, 22 დამატებით და 17 ფოტოთი. საქართველოსათვის ამ ბრძოლაში ვასო არ დაუზოგავს სახსრები და ენერგია. 1933 წელს საფრანგეთმა ცნო საბჭოთა კავშირი, გაუქმდა საქართველოს მთავრობის ლეგაცია და შეწყდა საქართველოს მთავრობის, საელჩოებისა და საკონსულოების უფლებამოსილება, დუმბაძემ საქართველოს საკითხი დაყენება ახალარჩეული პრეზიდენტის რუზველტის წინაშეც სცადა, მაგრამ ევროპაში მწიფდებოდა დიდი ომი და ამერიკის ადმინისტრაციას საქართველოსთვის აღარ ეცალა. ვასილ დუმბაძე კი დიდხანს ასრულებდა ამერიკაში საქართველოს არაოფიციალური და არააკრედიტირებული ელჩის როლს. ეს მით უფრო საშური იყო, რომ ევროპაში 1929-1933 წლების ეკონომიკური კრიზისის „დიდი დეპრესიისა“ და 1932 წელს იაპონიის მიერ მანჯურიის ოკუპაციის შემდეგ, სადაც ბევრი ქართველი ცხოვრობდა, ამერიკაში ქართველ ემიგრანტთა რიცხვი მკვეთრად გაიზარდა.

ვასილ დუმბაძე იყო 1931 წელს ნიუ-იორკის სათვისტომოს დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი, ოთხგზის იყო მისი თავმჯდომარე. 1938 წელს აისლიპში შეძენილი სათვისტომოს სახლი ვასილ დუმბაძემ თავისი ხარჯით გაარემონტა, გააწყო ავეჯით, გააშენა ბალ-ბოსტანი. დუმბაძის დახმარებითა და თანადგომით, ამერიკაში ჩავიდა არაერთი ქართველი, რომელთაც შემდეგ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ამერიკის ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში. ზრუნავდა ქართველ ემიგრანტთა ახალ თაობაზე და ევროპაში სხვადასხვა ამერიკული უნივერსიტეტებიდან საცხოვრებლით, კვებითა და სტიპენდიით უზრუნველყოფილი ადგილები ჩაჰქონდა. გარდაიცვალა 1943 წელს ამერიკაში. დასაფლავებულია ნიუ-იორკში.

ვასილ დუმბაძის საშუალო ფორმატის ეს წიგნი „კავკასიის რესპუბლიკები –პატარა დემოკრატიები, რომლებიც მსოფლიომ დაივიწყა“ პირველად გურამ შარაძემ ჩამოიტანა თბილისში და მის მიერვე დაარსებულ ქართული ემიგრაციის მუზეუმში დააბინავა. წიგნი დიდი არაა, სულ 48 გვერდს შეიცავს, მაგრამ შინაარსითაც და სტრუქტირითაც საინტერესოა. წიგნის ყოველი გვერდის ველებზე გატანილია ტექსტის მონაკვეთების სათაურები. თსუ ამერიკის ინსტიტუტის მაგისტრანტებს შევთავაზე მისი თარგმნა. ლუკა ჯინჭარაძემ თარგმნა წიგნის შესავალი და ორი თავი. სქოლიოში ნომრით ჩამოტანილია მთარგმნელის შენიშვნები, ვასილ დუმბაძის მიერ არჩეული ვარსკვლავით – თავად ავტორის შენიშვნები.

რუსუდან დაუშვილი

ვასილ დუმბაძე

კავკასიის რესპუბლიკები – პატარა დემოკრატიები, რომლებიც მსოფლიომ დაივიწყა

წინასიტყვაობა

ბევრი რამ დაწერილა იმის შესახებ, თუ რა მოვლენები განვითარდა კავკასიაში რუსეთის იმპერიის დაშლის შემდგომ. გამოქვეყნებული ანგარიშების უმეტესობა გერმანულ, ფრანგულ და რუსულ ენებზეა, რომლებიც ძირითადად ეხება ამ ქვეყნების საქმიანობას და მათ ურთიერთობას კავკასიასთან.

წიგნები და სტატიები, რომლებიც დაიწერა ინგლისურ ენაზე, ზოგ შემთხვევაში, საკმაოდ ყოვლისმომცველია, თუმცა ბოლომდე არ არის გამოვლენილი ის მამოძრავებელი ძალები, რამაც გამოიწვია კავკასიის რესპუბლიკების ჩამოყალიბება, ძირითადად ძველი ქართული სამეფოს ტერიტორიულ საზღვრებში. მსგავსი სტატიები, რომლებიც გამოჩდა ამერიკულ გამოცემებში, უმეტესად ფრაგმეტული და ესკიზურია.

გამოქვეყნებული ლიტერატურის დიდ ნაწილს არ აქვს უწყვეტობა და, სამწუხაროდ, ჩანს ზედაპირული ცოდნა არა მხოლოდ წარსულის, არამედ პოლიტიკური ისტორიისა კავკასიის ქვეყნების, რომლებიც ახლა გაერთიანებულნი არიან კავკასიის რესპუბლიკების ფედერაციაში და დღეს დაპყრობილნი არიან მოსკოვის წითელი არმიისა და საბჭოთა დიქტატურის მიერ.

კავკასიის სახელმწიფოთა ბრძოლის ნარატივი – შეინარჩუნონ ეროვნული დამოუკიდებლობა და საერთაშორისო ურთიერთობები – აქამდე არ იყო თავმოყრილი ერთ ნაშრომში.

ამ „ჩაძირული“ ეროვნებების საერთაშორისო მნიშვნელობისა და ევროპასა და ამერიკასთან ურთიერთობის გადაუჭრელ პრობლემების გათვალისწინებით, მოვამზადე ეს მოკლე მოხსენება, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა გამოსვლებს და საუბრებს, არაფორმალურ სადილებს თუ ვახშმებს, ყველგან სადაც მიწვეული ვიყავი, მეტროპოლიტენში, უნივერსიტეტში, ლოტუსში, იურიდიულ თუ ნაციონალურ რესპუბლიკურ კლუბებში, აგრეთვე ეროვნულ სამოქალაქო ფედერაციაში და მთელ ნიუ-იორკში.

ხელმეორედ დაბადებული ხალხი

ცენტრალური ევროპის ახალი რესპუბლიკემა, რომლებიც გამოეყვნენ რუსეთის, გერმანიის და ავტსტრიის იმპერიებს პირველი მსოფლიოს შემდეგომ, მოიპოვეს ეროვნული დამოუკიდებლობა, შექმნეს უწყვეტი ჯაჭვი ფინეთიდან ჩეხოსლოვაკიამდე. რუსეთის უკიდურეს სამხრეთ საზღვარზე იმყოფებიან სხვა არარუსი ხალხები, რომლებიც უახლეს ისტორიაში ცნობილი არიან, როგორც კავკასიის რესპუბლიკები. ისინი იკავებენ ევროპისა და აზიის უძველეს სავაჭრო გზას შავ და კასპიის ზღვებს შორის, მოიცავენ კავკასიის ტერიტორიას, რომელიც ვრცელდება კავკასიონის ქედის ჩრდილოეთ კალთებიდან, თვით ქედის ჩათვლით, ჩრდილოეთ სპარსეთისა და თურქეთის საზღვრებამდე. გეოგრაფიულად უტოლდება ნიუ-ინგლენდს და ნიუ-იორკს, დაახლოებითი 14 მილიონი მცხოვრებით.

დიდი სახელმწიფოების დაუდევრობა

ცენტრალური ევროპის გარდაქმნაში დიდმა სახელმწიფოებმა მფარველობა გაავრცელეს ახალ ბუფერულ ქვეყნებზე გერმანიასა და რუსეთს შორის, მაგრამ მათ კავკასიის ახალ რესპუბლიკებს ფორმალური აღიარების გარდა სხვა არაფერი მისცეს. ამ სამწუხარო უგულებელყოფის შედეგი იყო კონფლიქტის დაჩქარება ახლო აღმოსავლეთში, რომელიც არ შემცირებულა მას შემდეგაც კი, როდესაც მსოფლიოში მშვიდობა დამყარდა. არ გადაწყდა კავკასიის აღიარების საკითხი, რაც მათ ნომინალურად ართმევს სუვერენულ უფლებებს.

მნიშვნელოვანი ამერიკელებისთვის

მიუხედავად იმისა, რომ დიდი სახელმწიფოების სამშვიდობო კონფერენციაზე შეთანხმდნენ – ახალ დემოკრატთა უმეტესობას, რომელთა დამოუკიდებლობაც ომში ხელახლა დაიბადა და კავკასიის ხალხებს მარტო დგომა არ შეეძლოთ, არ გააჩნდათ მუდმივი დაცვა, თუმცა ისინი ომში იბრძონდნენ მოკავშირეთა მხარეს. ბოლშევიკური რუსეთისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ისინი გახდნენ ორივეს – მოსკოვის ტერორისტული ღალატისა და სამხრეთელი მეზობლის, თურქების მუქარისა და შემოსევის მსხვერპლი. ახალ რესპუბლიკებს ევროპისა და ამერიკის დაპირებულ მხარდაჭერის იმედი ჰქონდათ, რომლებმაც მათი დამოუკიდებლობა აღიარეს.[1] მაგრამ დიდი სახელმწიფოები არასაკმარის დახმარებას და არაეფექტურ სავალდებულო დაცვას უწევდნენ ამ სახელმწიფოებს მათივე აღიარებულ სუვერენიტეტის და დამოუკიდებელობის შენარჩუნებაში.

დღეს ახლო აღმოსავლეთის კავკასიის ეს რესპუბლიკები ბოლშევიზმის გამანადგურებელი მმართველობის ქვეშ იტანჯებიან. აქვთ ეროვნული არსებობის შენარჩუნების პრობლემა, რომლის უფლებაც მათ აქვთ თვითგამორკვევითა და საერთაშორისო აღიარებით. ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან დაინტერესება შორს მიმავალი მნიშვნელობისაა ევროპასა და ახლო აღმოსავლეთში მშვიდობისა და ვაჭრობის, აგრეთვე ჰუმანიტარული, რელიგიური და ეკონომიკური მიზნით. ეს მიზეზები მთელ ცივილიზებულ სამყაროს ეხება, რადგან ბოლშევიზმის უღმერთო და ქაოტური არეულობის გავრცელება ყველას პრობლემაა.

მსოფლიო რევოლუციის ინკუბუსი [2]

კავკასიაში არსებული ვითარება არ არის შორეული და ბუნდოვანი თეორემა, არამედ ის აქტუალური და ცოცხალი საკითხია, რომელიც გავლენას ახდენს მსოფლიოს ცენტრებზე და ეხება მსოფლიო ეკონომიკურ ცხოვრებას, კომუნიზმის დამანგრეველ სოფიზმებს, მესამე ინტერნაციონალს და ასევე მოსკოვის დოქტრინას მსოფლიო რევოლუციაზე, რაც ასევე სახიფათოა ევროპული და ამერიკული ცივილიზაციისთვის, რადგან მათ აჩვენეს, რომ აზიანებენ რუსეთს, კავკასიას და ემუქრებიან ახლო და შორეულ აღმოსავლეთს. ეს დოქტრინები და მათი მიმდევრების საქმიანობა საერთაშორისო ხასიათისაა. ისინი აცხადებენ

---

1 აშს-ს სამხრეთ კავკასიის რესპუბლიკების სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა არ უღიარებია (რედ.).

2 ინკუბუსი – ღამის მითოლოგიური დემონი, რომელიც კავშირში შედიოდა მძინარე ქალებთან, ამ კავშირის შედეგად კი იბადებოდნენ ან მოჩვენება-ბავშვები ან ზებუნებრივი ძალის მქონე კამბიონები (მაგ. მერლინი არტურის ლეგენდიდან).

ნებისმიერი ფორმის ხელისუფლებისა და რელიგიის იძულებით დანგრევას და „პროლეტარიატის დიქტატურისა“ და გასაბჭოებული ათეიზმის არარელიგიური კულტის დამყარებას.

კავკასიაში ბოლშევიზმი მეფობს. მოდით, გადავხედოთ სურათს და განვიხილოთ ამ ხალხების ისტორიული, პოლიტიკური, ეკონომიკური წარსული და აწმყო, ცივილიზებული სამყაროს ყურადღების ცენტრში ყოფნის მათი პრეტენზია, რადგან ისინი მიეკუთვნებიან იმ ხალხებს, რომლებიც „წარმოადგენენ საუკუნის უდიდეს ჰუმანიტარულ შესაძლებლობას“ და რომელთა ბედზეა დამოკიდებული „მშვიდობა მთელ მსოფლიოში და მსოფლიოს გზაჯვარედინზე, ომის გავრცელების ფოკუსში ისტორიის დასაწყისიდან“.[3]

II

მათი დიდი ბუნებრივი სიმდიდრე

კავკასია, რომლის სამხრეთი ნაწილი 20 საუკუნის მანძილზე იყო საქართველოს უძველესი სამეფო და კიდევ უფრო ადრე კოლხეთისა და იბერიის მიწები, ედემის ბაღის ლეგენდარული ადგილი და არიული რასის აკვანი, ახლა 4 რესპუბლიკადაა დაყოფილი. მათ შორისაა: აზერბაიჯანი თავისი უზარმაზარი ნავთობის საბადოებით ბაქოში კასპიის ზღვაზე; საქართველო თავისი დიდი მანგანუმის საბადოებით, ამიერკავკასიის რკინიგზის დასავლეთ ტერმინალითა და მილსადენებით შავ ზღვაზე; ჩრდილოეთ კავკასია, ბუფერული სახელმწიფო რუსეთის სამხრეთით გროზნოს ნავთობის საბადოებით, რომელმაც განიცადა დენიკინის არმიისა და ბოლშევიკების დარბევა; ველური ქურთების მიერ დაპყრობილი სომხეთი – საშინელებისა და შიმშილის სცენა, რომელიც ჯერ კიდევ უხმობს დასახმარებლად მოწყალე სამყაროს.

მათი სტრატეგიული მნიშვნელობა

ცნობილია, რომ ამ რეგიონებს ომის დროს მოკავშირეებისა და ცენტრალური ძალებისთვის დიდი სტრატეგიული და მატერიალური მნიშვნელობა ჰქონდა. თურქებმა გადალახეს სომხეთის მთები და ვაკეები, რათა გაეფართოებინათ ოსმალეთის იმპერია კავკასიის ქედამდე; 1918 წლის ზაფხულში გერმანიამ, დიდი კონფლიქტის წინა, დღეს უშედეგოდ სცადა საქართველოში ფეხის მოკიდება; ბრიტანულმა ჯარებმა გადალახეს სპარსეთის მაღალი უღელტეხილები ბაქოს დასაცავად, საქართველოს დასახმარებლად ბოლშევიკური საფრთხისგან და მისი ექსპანსიისგან ინდოეთში; და, ბოლოს, მოსკოვმა წითელი არმია გაგზავნა კავკასიის მთების გავლით კასპიისა და შავი ზღვების სანაპიროზე, რათა დაებრუნებინა ის, რაც რუსეთის იმპერიამ დაკარგა და კარი გაეხსნა ბოლშევიკებისათვის მცირე აზიასა და ინდოეთში შესაღწევად.

იმ კრიტიკულ დღეებში, როცა ევროპის არსებობას საფრთხე ემუქრებოდა, ახლო აღმოსავლეთში ვითარების გასაღები ამიერკავკასია იყო. კავკასიის რესპუბლიკების სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა არ შემცირებულა, თუმცა მათი დამოუკიდებლობა ვერ შეინარჩუნეს და თავისუფლების ნაცვლად, რომელიც მათ ჰქონდათ – ჩეკას მმართველობისა და მოსკოვის დიქტატურის მიერ დაწესებულ რეჟიმის გავლენას განიცდიან.

---

3 გენერალ ჰარბორდის 1919 წლის რაპორტი ახლო აღმოსავლეთში არსებულ ვითარებაზე.

მათი წასვლის უფლება

კავკასიის რესპუბლიკებს რომ უფლება აქვთ, იცხოვრონ და შეინარჩუნონ დამოუკიდებელი სახელმწიფო, ამას ისტორია მოწმობს. მათი ტერიტორია და ხალხები არასოდეს დაუპყრიათ წინა ეპოქის დამპყრობლებს, არასოდეს შერწყმია რუსეთის იმპერიას ან მუსლიმურ თურქეთს. მიუხედავად უცხო ურდოებთან შერევისა, მათ მაინც შეინარჩუნეს ენა, რასობრივი იდენტობა, რელიგიური და ეროვნული სტატუსი 2000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში.

საქართველოს გმირული ბრძოლა

ყველა აღმოსავლური რასა, ბაბილონიდან დაწყებული წარუმატებლად ცდილობდა გაბატონებულიყო კავკასიაზე, რომლის ისტორიაც 5000 წელს ითვლის. ქრისტიანობა საქართველოში შემოვიდა II საუკუნეში და IV საუკუნის დასაწყისში მიიღეს სახელმწიფო რელიგიად, რომელმაც შეცვალა ცეცხლთაყვანისცემა. XI საუკუნეში კავკასიის ვიწრო ყელი,[4] ძველად ბუნებრივი სავაჭრო გზა ევროპასა და აზიას შორის, მონღოლთა შემოჭრით იქცა ბრძოლის ველად. XV საუკუნეში, თურქების მიერ კონსტანტინოპოლის აღებით, ქრისტიანული ევროპისგან იზოლირებული საქართველოს სამეფო მრავალსაუკუნოვანი ბრძოლის ეპიცენტრში აღმოჩნდა მუსლიმთა და სპარსელთა ურდოებთან, რომლებიც ანადგურებდნენ მის ხალხს, წვავდნენ ქალაქებსა და სოფლებს და საფრთხეს უქმნიდნენ მის არსებობას.

ამ საუკუნეთა ისტორია ცხადყოფს ქართველი ხალხის გმირობასა და არაჩვეულებრივ ვაჟკაცობას. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ძლევამოსილი მეფის ერეკლე II-ის დიდება მთელ ევროპაში გავრცელდა. პრუსიის მეფე ფრიდრიხ დიდს უყვარდა მასთან თავის შედარება: „მე ევროპაში ვარ, ხოლო უძლეველი მეფე ერეკლე აზიაშია“, – იკვეხნიდა იგი. ქართველი მეფისადმი მისი თაყვანისცემა იმდენად დიდი იყო, რომ მან ბრძანა დაებეჭდათ სამხედრო მედლები ერეკლეს პორტრეტით და წარწერით: „იბრძოლე, როგორ საქართველოს ლომი“.

მეგობრული ხელშეკრულება რუსეთთან

ისლამურ რელიგიასთან მუდმივი წინააღმდეგობის მიუხედავად, გამანადგურებელი მტრების სიმრავლემ აიძულა საქართველო მიემართა ქრისტიან მეზობელი რუსეთისათვის მფარველობისა და ალიანსისთვის. მისი მიმართვიდან გაჩნდა 1783 წელს ეკატერინე დიდთან დადებული „მეგობრობის ხელშეკრულება“, რომლის პირობები აცხადებდა ორი ხალხის თანაბარ სუვერენულ უფლებებს და რუსეთი გარანტიას აძლევდა, მოპყრობოდა საქართველოს მტრებს, როგორც საკუთარს და დახმარებოდა მას თურქების მიერ მიტაცებული ტერიტორიის დაბრუნებაში. სანაცვლოდ, საქართველოს მეფემ პირობა დადო, რომ რუსეთი კონსულტაციას გაუწევდა საგარეო პოლიტიკაში. მაგრამ რუსეთს არ შეუსრულებია ამ ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები. როდესაც ამ ალიანსით განრისხებული თურქები და სპარსელები შემოიჭრნენ საქართველოში, იგი დახმარების გარეშე დარჩა მტრების წინაშე.

---

4 ორიგინალ ტექსტში ვასილ დუმბაძე იყენებს სიტყვას „isthmus“ იშთმუსი, რაც ლექსიკონების მიხედვით გეოგრაფიაში აღნიშნავს „ყელს“, ხმელეთის ორი ნაწილის შემაერთებელი მიწის ვიწრო ზოლს: Isthmus of Panama – პანამის ვიწრო ყელი. „ისთმოსის ყელი“ (დღეს – კორინთოს ყელი) ერქვა ცენტრალური საბერნეთიდან პელოპონესის ნახევარკუნძულზე გადასასვლელს და იქიდანაა ეს ტერმინიც.

რუსული პოლიტიკის მიზანი გამოხატულია დოქტორ დილონის წიგნში „რუსეთის დაბნელება“, რომელშიც ის რუსი დიპლომატის სიტყვებს ციტირებს: „ჩვენთან მოვიდა საქართველოს სამეფო და მოკავშირეობა გვთხოვა. ჩვენ გავაკეთეთ ეს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ქართველებისთვის მძიმე დღეები დადგა. სპარსელები თავს დაესხნენ, ისინი მოითხოვდნენ ჩვენს აქტიურ დახმარებას, როგორც თანასწორები და მოკავშირეები. მაგრამ ჩვენ ვუპასუხეთ, რომ ძალიან დაკავებული ვიყავით სხვაგან და მივატოვეთ ისინი ბედის ამარა. ამის შემდეგ სპარსელების თავდასხმიდან ყოველი სამიდან ორი კაცი დახოცეს, რის გამოც ფაქტობრივად ერი სისხლისგან დაიცალა. „მაშინ ქართველები ჩვენთან მეორედ მოვიდნენ, არა როგორც თანასწორნი და მოკავშირეები, არამედ როგორც თავმდაბალი მთხოვნელები“.

საქართველოს ანექსია რუსეთის მიერ

რუსეთის მიერ საქართველოს დამორჩილების მეთოდი ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. ცარისტულმა ხელისუფლებამ არ დააყოვნა, ისარგებლა ქართული სახელმწიფოს დასუსტებით. 1801 წელს, 1783 წლის ტრაქტატის აშკარა დარღვევით, მან შემოიერთა საქართველოს სამეფოს მთელი ტერიტორია და ამ განკარგულებით იგი რუსეთის პროვინციად გამოაცხადა. ამ უზურპაციით ამაყად იკვეხნიდა რუსეთის იმპერატორი „ქართველთა მეფის“ ტიტულით. ინგლისმაც და საფრანგეთმაც ოფიციალურად გააპროტესტეს უკანონო ანექსია.

საქართველო ფაქტობრივად არ იყო დაპყრობილი რუსეთის მიერ. დარღვეული იყო, მხოლოდ საკავშირო ხელშეკრულება, რომელსაც საქართველომ ხელი მოაწერა. ის საქართველომ კეთილსინდისიერად დადო, რუსეთის იმპერატორმა კი შეძლო საქართველოს სამეფო თავის კვერთხისთვის დაემორჩილებინა. ის, რომ რუსები საქართველოს ბატონ-პატრონები გახდნენ გამარჯვებულ ომში, ეს არ არის ისტორიული ფაქტი. საერთაშორისო სამართლის დარღვევით, რუსეთმა დაამყარა თავისი დომინირება ამ ნაწილზე, ისევე როგორც კავკასიაზე. რუსეთის მიერ საქართველოსთვის დაქვემდებარება დასრულდა სამეგრელოს (1803 წ.) და იმერეთის (1810 წ.) ადრე დამოუკიდებელი სამთავროებისა და ძველი ქართული სამეფოს ნაწილების შემოერთებით.

ქართველები მაღალ თანადებობებზე მეფის მთავრობაში

მცირედი მიღწევის მიუხედავად, საქართველო რუსეთის ერთგული დარჩა, რამაც უზრუნველყო მისი ქრისტიანული რელიგიის შენარჩუნება. საქართველოს ანექსიის შემდეგ რუსეთის მთავრობაში ბევრი კავკასიელი გახდა ცნობილი.

იმპერიის ჯარებში, აგრეთვე, გუბერნატორები, კავკასიელები მაღალ თანამდებობებს იკავებდნენ და გავლენას ახდენდნენ რუსეთის ბედზე. რუსეთის გამოჩენილი პრემიერ-მინისტრი ვიტე,[5] რომელიც ამერიკაში კარგად არის ცნობილი რუსეთ-იაპონიის ომის დროს პორტსმუთის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, თავის მოგონებებში (ტ. III, გვ. 37 და 44) მაღალ შეფასებას აძლევს კავკასიელე-

5 სერგეი ვიტე. დაბადებული საქართველოში. ვასილ დუმბაძე ამ სახელმწიფო პოლიტიკურ მოღვაწეს თავის ორიგინალ ტექსტში მოიხსენიებს როგორც „რუსეთის პრემიერ მინისტრს“ (Russian Prime Minister, Witte). ვიტე რუსეთის იმპერიის ფინანსთა მინისტრი იყო 1892-1903 წლებში, მინისტრთა კომიტეტის თავმჯდომარე 1903-1906 წლებში და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე 1905-1906 წლებში. პრემიერ მინისტრის თანამდებობა რუსეთში მაშინ არ იყო, თუმცა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობა შეესაბამება ევროპული პრემიერ მინისტრის წოდებას.

ბის ერთგულებას, პატიოსნებას და სიმამაცეს, რომლებმაც ასობით და ათასობით, როგორც ის მოიხსენიებს, დაღვარა სისხლი რუსული ხმლის პატივსაცემად. კავკასიელმა გენერლებმა დატოვეს რუსეთის სამხედრო ისტორიაში გამორჩეულად ბრწყინვალე კვალი.

ბრძოლა მოკავშირეებთან

თუმცა კავკასიის მეფისნაცვლები, ჩინოვნიკები ძირითადად რუსები იყვნენ, რადგან ცარისტული მთავრობა ატარებდა არარუსული უმცირესობების ეროვნული გრძნობების შელახვის პოლიტიკას ადგილობრივი ადმინისტრაციის რუსებისთვის დაწესებით. ამრიგად, მეფის დროს ქართველები და სხვა კავკასიელები, გარდა მცირე ნაწილისა, ვინც დამორჩილდა რუსიფიკაციის პოლიტიკას და დათმო მშობლიური ენა და ტრადიციები, იშვიათად ახერხებნენ თავიანთი შესაძლებლობები უშუალოდ თავისი ქვეყნის კეთილდღეობისთვის გამოეყენებინათ. თურქეთის მიერ დაპყრობილი პროვინციების გასათავისუფლებლად საქართველომ რუსეთს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა XIX საუკუნეში თურქეთის წინააღმდეგ 3 ომში და ბოლოს 1914 წელს, როდესაც საქართველომ, კავკასიის ფრონტზე მებრძოლი ქართული სპეციალური მოხალისეთა რაზმების გარდა, მოახდინა 200.000-მდე საუკეთესო მებრძოლის მობილიზება. ამ ქართველებს, რომლებიც მიჰყვნენ რუსეთის მოწოდებას, შეესრულებინათ თავიანთი მოვალეობა, არ მიეცათ უფლება დაეცვათ საკუთარი ქვეყანა თურქებისგან, და ისინი გაგზავნეს აღმოსავლეთ პრუსიის და გალიციის მინდვრებში დასაღუპად. მთლიანობაში ერს ჰქონდა რწმენა, რომ მოკავშირეთა საქმის გამარჯვება უკეთესი იქნებოდა საქართველოსა და კაცობრიობის მომავლისთვის.

იმპერიული მმართველობის რღვევა

რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციისა და მეფის რუსეთის დამხობის შემდეგ, კავკასიის მეფისნაცვალს შეუწყდა უფლებამოსილება. პეტროგრადის დროებითმა მთავრობამ ამიერკავკასიის, მათ შორის საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის უმაღლეს კომისრად დანიშნა დუმის დეპუტატი აკაკი ჩხენკელი,[6] ქართველი პატრიოტი და სოციალ-დემოკრატი, თავისი მრწამსის გამო კავკასიიდან რამდენჯერმე გადასახლებული მეფის რეჟიმის დროს.

მხარი დაუჭირა რუსეთის მთავრობას

რევოლუციამ საქართველოს საზოგადოების საუკეთესო ნაწილს იმ თავისუფლებისა და სუვერენიტეტის დაბრუნების იმედი გაუჩინა, რისი უფლებაც მათ კანონიერად ჰქონდათ, თუმცა დროებითი მთავრობის პოზიციამ მოსპო ეს მოლოდინი. მიუხედავად რუსი ლიბერალების ადრინდელი დაპირებებისა, რომ გამოასწორებდნენდნ ცარისტული ადმინისტრაციის მიერ საქართველოსადმი მიყენებულ უსამართლობას, დროებითი მთავრობა ცდილობდა ცარიზმის იმპერიალისტური პოლიტიკის გაგრძელებას და ეწინააღმდეგებოდა არარუს ეროვნებათა თვითგამორკვევის მოთხოვნის დაკმაყოფილებას. მიუხედავად იმისა, რომ ამან ძალიან გააღიზიანა ქართ-

6 აკაკი ჩხენკელი იყო რუსეთის დროებითი მთავრობის მიერ შექმნილი ამიერკავკასიის საგანგებო კომიტეტის (ოზაკომ-ის) წევრი. თავმჯდომარის პოსტი კი რუს ვ. ხარლამოვს ეკავა (რედაქციის შენიშვნა).

ველი ნაციონალისტები, ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები თავდადებით განაგრძობდნენ საქმიანობას დემოკრატიული რუსეთის შესაქმნელად.

დროებითი მთავრობის მეთაურმა ერთ-ერთმა გამოჩენილი ქართველი, სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი დეპუტატი, სოციალ-დემოკრატი წერეთელი თავის კაბინეტში მიიწვია. სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი და ლიდერი დუმაში ჩხეიძე აირჩიეს მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ, რომელიც რეალურად მართავდა რუსეთს. ამ საბჭოდან საბოლოოდ გაჩნდა ბოლშევიკური მოძრაობა, რომელიც ქართველმა სახელმწიფო მოღვაწეებმა წერეთელმა და ჩხეიძემ ნათლად იწინასწარმეტყველეს და რის შესახებაც ამაოდ აფრთხილებდნენ საბჭოს წევრებს. ბოლო მომენტამდე ისინი ცდილობდნენ თავიდან აეცილებინათ მოსალოდნელი კატასტროფა, მაგრამ მათი ძალისხმევა პეტროგრადში წარუმატებელი აღმოჩნდა და დაბრუნდნენ საქართველოში, სადაც მნიშვნელოვანი მონაწილეობა მიიღეს ბოლშევიზმთან დაპირისპირებული ეროვნულ-დემოკრატიული მთავრობის ორგანიზებაში.

ტრანსკავკასია უარს ამბობს ბოლშევიკურ მოსკოვთან შეერთებაზე

1917 წლის ოქტომბერში, როდესაც ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს ძალაუფლება პეტროგრადსა და მოსკოვში, ამიერკავკასიაში შედეგად ქაოსი მოჰყვა ყველა ადმინისტრაციული, სასამართლო და სამხედრო ინსტიტუტების გაქცევას საზღვარგარეთ, რომლებიც შეუერთდნენ ძველი რუსეთის აღსადგენად ორგანიზებულ თეთრ ჯარებს.* რუსეთის ძველი ადმინისტრაციის დაშლამ საქართველო გაათავისუფლა ახალი ხელისუფლების წინაშე ყოველგვარი ვალდებულებისაგან და საკუთარი რესურსები მოიძია.

ამრიგად, რუსულ მმართველობაში მყოფი ხალხების ეროვნული დამოუკიდებლობა ავტომატურად აღდგა. ვითარებამ, რომელიც მოითხოვდა ორგანიზებას და თავდაცვას, აიძულა საქართველოსა და კავკასიის სხვა მცხოვრებთა ლიდერები და ხალხები, თავიანთ თავზე თავადვე ეზრუნათ, განსაკუთრებით საზღვრებთან თურქების მიახლოებისას, რათა უზრუნველეყოთ მათი ეროვნული ცხოვრების გაგრძელება და განვითარება. ამიერკავკასია 1917 წლის 15 ნოემბერს გაერთიანდა ამიერკავკასიის კომისარიატში, რომელმაც 1918 წლის თებერვალში შექმნა ერთიანი კრება – სეიმი.

თარგმნა **ლუკა ჯინჭარაძემ**

---

* „იმავე დღეს რუსმა ჯარისკაცებმა, რომლებიც გათავისუფლდნენ მეფისა და ბიუროკრატიული ავტოკრატიის უღლისაგან და ბრმად მიიღეს ბრბოს ავტოკრატიის მაცდური, მაგრამ უფრო მძიმე უღელი, ჯგუფურად დაიწყეს უკანდახევა თურქეთის ფრონტიდან, უარი თქვეს ყველა ოცნებაზე – დაეპყროთ ან დაეცვათ ტერიტორია, რომელიც მათ არ აინტერესებდათ, მორიგ ვიზიტზე ადგილობრივ მოსახლეობასთან. ბევრმა სამხედრო მატარებლის სახურავზე იმგზავრა ზამთრის საშინელ სიცივეში, ზღვიდან 6000 ფუტის სიმაღლეზე. რუსეთის უსაზღვროების გარეგნული სიდიადე, რომელიც შიშს იწვევდა, გერმანიაშიც კი, „გაცვდა“, – მაინარდ ოუენ უილიამსის სტატიებიდან, National Geographic ჟურნალის თანამშრომელი, 1918 წლის ოქტომბერი.

ქაქუცა ჩოლოყაშვილი – 135

შალვა ამირეჯიბი

ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილი
1888-1930 წწ.

ქაიხოსრო ჩოლოყაშვილი ეკუთვნოდა საქართველოს ისტორიაში დიდათ ცნობილ ჩოლოყაშვილების გვარს, რომელმაც მრავალი ღვაწლი დასდო სამშობლოს.

დაიბადა მამაპაპეულ ს. მატანში 14 ივლისს, 1888 წ. და იყო შვილი თავადის იოსებ და დარია ჩოლოყაშვილების. სწავლა მიიღო ტფილისის სათავადაზნაურო ქართულ გიმნაზიაში. ოცდაერთის წლისა რუსულ ჯარში იქნა გაწვეული, სამხედრო ბეგარის მოსახდელათ და მსახურებდა ტვერის დრაგუნთა პოლკში, საიდგანაც დაბრუნდა სახლში ოფიცრის ხარისხით. 1913 წელს შეირთო ილია მეღვინეთუხუცესის შვილი ერთად ერთი ასული ნინო და დაბინავდა მამულში. 1914 წელს, დიდი ომის ატეხის დროს, როგორც ოფიცერი, ისევ ჯარში იქმნა გაწვეული და მთელი ომი ბრძოლის ველებზე გაატარა. 1914 წელს დაჭრილ იქმნა ავსტრიის ფრონტზე და გადაყვანილი კავკასიის ფრონტზედ. როგორც დაჭრილი, ის უფროსობდა ზურგის ჯარის ასეულს და ამ დროს დაიწყო ოსმალეთის ჯარის იერიშები სარიყამიშზედ. რუსის ჯარი ცოტა იყო და ოსმალები აშკარად სჭარბობდნენ. მათ უკვე შემოუარეს რუსებს ზურგიდან და აი, ამ დროს იღებს იგი ბრძანებას, თავის მუშა-ჯარისკაცებს თოფები დაურიგოს და ფრიად სტრატეგიული მნიშვნელობის „არწივის ბუდის“ მთა ოსმალებისაგან უკან დაიბრუნოს. ჩოლოყაშვილმა ეს ბრძანება ბრწყინვალედ შეასრულა და „არწივის ბუდე“ დაიბრუნა. ოსმალებმა ისევ განაახლეს „არწივის ბუდის“ იერიშები, ჩოლოყაშვილი ფეხში დაიჭრა. მას წინადადებას აძლევენ, უმფროსობა სხვას გადასცეს და თითონ ლაზარეთში წავიდეს. იგი თავის პოზიციაზე რჩება და ისევ იღებს ჭრილობას, მაგრამ ამ ხელად მკერდში და ფრიად მძიმეს, მაგრამ „არწივის ბუდე“ მას რჩება.

მძიმედ დაჭრილი ჩოლოყაშვილი თავს წმ. ნინოს ქართულ საავადმყოფოში ირჩენს და როდესაც ქართული ცხენოსანი რაზმი არსდება, ერთი პირველთაგანი შედის მასში. ამიერიდან იგი სპარსეთის ფრონტზედ არის. აქ მან შეასრულა თავისი შესანიშნავი რეიდი. თავისი ასეულით მან გაიარა მესოპოტამიის უდაბნო და ინგლისელებს შეუერთდა.

დადგა საქართველოს დამოუკიდებლობის ხანა. ის უკვე ქართულ ჯარებში მსახურობს და ამ ხნიდგან, როგორც ერთი შესანიშნავი ოფიცერთაგანი, მონაწილეა

ყველა იმ ომებისა და სამხედრო საქმეების, რომელიც დამოუკიდებელ საქართველოს ჰქონდა.

1921 წელს, ეროვნული კატასტროფის დროს, როდესაც რუსეთის წითელმა ლაშქარმა საქართველო დაიკავა, ის საქართველოში რჩება.

მის თავში იბუდებს საქართველოს განთავისუფლებისა და მტერთან იარაღით შებმის აზრი. ამის მზადებას, პირველი მებრძოლი ჯგუფის შედგენას და იმ პირობებში ამ მეტად ძნელი საქმის მოწყობას მთელ წელიწადს ანდომებს. ამ დროს საქართველოში მძაფრი ტერორი მძვინვარებს. იჭერენ ყველას და განსაკუთრებით სამხედრო პირებს. ჩოლოყაშვილი პირველთაგანი სწერია დასაჭერ პირთა სიაში. დაგვიანება აღარ იქნებოდა და 1922 წლის მარტის 12-ს თავისი „საქართველოს შეფიცულებით“ ჩოლოყაშვილი ტყეში გადის.

ეს ნიშნავდა ბოლშევიკურ რუსეთთან ომის გამოცხადებას. მალე იმავე წლის ივნისში ქ. სიღნაღთან, ბოლშევიკების ძალებთან პირველი დიდი შეტაკებაც მოუხდა და დაიწყო ის გმირული ეროვნული ბრძოლა, რომლის დროშა ჩოლოყაშვილი იყო.

ამ დღიდან ქართველი ერის გულის ყური, მისი მამულიშვილური ზრახვა, ქაქუცა ჩოლოყაშვილთან, მის გმირულ რაზმთან და იმ სხვა რაზმების მოქმედებასთან იყო გადაბმული, რომლებიც მისი გასვლის შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეში გაჩნდა. ვისაც მამულისათვის გული უცემდა და ბრძოლისათვის მკლავი უჭრიდა – ქაქუცასაკენ იწევდა. მაგრამ პარტიზანული ბრძოლის სისტემა ნებას არ იძლეოდა, რომ ჩოლოყაშვილს დიდი რაზმი ჰყოლოდა, ან ყველა ეს რაზმები ერთად ჰყოლოდა. ბრძოლისათვის მნიშვნელობა ჰქონდა არა მარტო მებრძოლ რაზმში ყოფნას, არამედ კარგად მოწყობილ კავშირს, სურსათისა და იარაღის მიწოდებას, საიმედო ბინების ქონას, პოლიტიკურ პარტიებთან ურთიერთობას და საზოგადოთ ხალხის დახმარებას, ხალხის სიმრავლე – აი, აქ სჭიროდა ამ ძნელსა და რთულ საქმეს და ბრძოლის მსურველთა ამ უამრავობამაც აი, ეს ფუნქციები დაინაწილა, შეიქმნა და გაიზარდა ჭეშმარიტად ის დიდი კავშირი ბრძოლისა, რომლის სიმტკიცე თვით ხალხის წიაღში იდო.

ეს ორგანიზაცია რომ მართლა ხალხური და მართლა ძლიერი იყო, „ხევსურეთის აჯანყების“ დროს გამოჩნდა, რომელიც 1922 წელს, თითქმის მთელ საქართველოს აჯანყებად არ იქცა. რუსის წითელმა ჯარებმა ხევსურეთი გადასწვეს, მაგრამ ჩოლოყაშვილი და მისი რაზმი ვერ მოსპეს.

შეიქმნა ისეთი ვითარება, როცა ჩოლოყაშვილს დროებით უნდა შეენელებინა თავისი მოქმედება. ამითი ისარგებლა მან და ჩაჩანში გადავიდა, რათა ჩრდილოეთ კავკასიის მთიელებთან კავშირი გაება. იმავე წლის ღვინობისთვეში საქართველოში დაბრუნდა და ბოლშევიკებმაც განაახლეს მისი დევნა.

ერთი შეტაკების დროს მოკლულ იქმნა მისი ძმა სვიმონი-სიკო, რომელიც გასვლისთანავე მის რაზმში იმყოფებოდა. ქაქუცამ ძმა ტყეში დამარხა და ბრძოლა განაგრძო. კიდევ სხვა შეტაკების გამო, რომლის დროს ბოლშევიკების მდევარი სასტიკად დაამარცხა, დატუსაღებულ იქმნა მისი მეუღლე და ორი მისი პატარა ასული. გაშმაგებული ბოლშევიკები მისი უფფროსი ასულის ცოცხლად დამარხვას მოითხოვდნენ, ეს აღარ მოხდა, მაგრამ სამაგიეროდ, დაატუსაღეს ჩოლოყაშვილის დედა, სიდედრი და სიმამრი. უკანასკნელი 1924 წლის აჯანყების დროს დახვრიტეს კიდეც.

1923 წლის ქრისტეშობისთვეს ჩოლოყაშვილი თავისი ორი შეფიცულით ტფილისში გაჩნდა. ეს იყო ყველაზე თამამი საქციელი. ეს ჩამოსვლა გამოწვეული იყო

დამოუკიდებლობის კომიტეტთან პირისპირ მოსალაპარაკებლად და აჯანყების საერთო გეგმის შესამუშავებლად. რა იცოდა ბოლშევიკურმა ჩეკამ, რომ ის, ვისაც კიდით-კიდემდე ეძებდა, ერთი კვირა ტფილისში სცხოვრობდა და ახალის გეგმით და ახალის ენერგიით ტფილისიდგან მშვიდობით გავიდა.

დადგა ბოლოს 1924 წელიც. ჩოლოყაშვილი მანგლისის მიდამოებში დაბანაკდა და ტფილისთან გამუდმებული კავშირი ჰქონდა. 24 აგვისტოს „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ და გენერალი სპირიდონ ჭავჭავაძე ტფილისიდგან ჩოლოყაშვილის ბანაკში გავიდნენ.

28 აგვისტოს, ბედენის მთაზედ, „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი“ თავმჯდომარემ, კ. ანდრონიკაშვილმა ქაიხოსრო-ქაქუცა ჩოლოყაშვილს აჯანყების დროშა გადასცა და ღამით დაიწყო აგვისტოს გმირული და სახელოვანი აჯანყება, რომელმაც ახალი ფურცელი შეიტანა ქართველი ერის ისტორიაში.

ეს აჯანყება დამარცხდა. ჩოლოყაშვილმა და მისმა რაზმებმა საქართველო დასტოვეს. აღარ არის დღეს თვით ჩოლოყაშვილიც, მაგრამ დროშა, რომელიც მას ეჭირა, ისევ ფრიალებს; ხმალი, რომელსაც ის იქნევდა, ისევ ელავს. მისი სახელი სამუდამოთ გადაბმულია ქართველი ერის ბრძოლის ისტორიასთან დამოუკიდებლობისათვის და ამ ისტორიაში ის შევა, როგორც მისი ბრწყინვალე ეროვნული გმირი!

ეს მოკლე ბიოგრაფია დაწერილია ჩემ მიერ 2 ივლისს, 1930 წ.

შალვა ამირეჯიბი (1886-1943), წიგნი მეორე, თბ., 1998, გვ. 128-130.

ირაკლი მახარაძე, ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი. 1880-1924: მემრიალური ალბომი, თბ., 2020.

გიორგი კალანდია, ქართველები მსოფლიო ისტორიაში, ტ. 1-15, თბ., 2020-2021.

აკა მორჩილაძე, გრიგოლ ლორთქიფანიძე. 1881-1937, თბ., 2021.

მარიამ მარჯანიშვილი, დერჩის ქვების ღაღადისი, თბ., 2021.

პაატა ნაცვლიშვილი, ცხოვრება გიორგი ნიკოლაძისა, ორ წიგნად, თბ., 2021-2022.

ართვინი და ართვინის რეგიონი: წარსული და თანამედროვეობა. ისტორიულ-ფილოლოგიური ნარკვევები, ქუთაისი, 2022.

გიორგი სოსიაშვილი, არბო, პარიზი, ლიმა, თბ., 2022.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი, ლადო არველაძე - უცნობი ქართველი ემიგრანტი მწერალი, თბ., 2023.

გენერალი გიორგი კვინიტაძე, ჩემი პასუხი (ნოე ჟორდანიას „ჩემი პასუხის“ გამო), ქართულიდან ფრანგულად თარგმნა ოთარ პატარიძემ, თბ., 2023.

სალომე ჭანტურიძე, **ანტონ ვაჭარაძე**, აკაკი ჩხენკელი. 1874-1959: მემორიალური ალბომი, თბ., 2023.

ჟურნალის ავტორები

ბელა გზირიშვილი – თბილისის 108-ე საჯარო სკოლის წამყვანი მასწავლებელი, ისტორიის აკადემიური დოქტორი

რუსუდან დაუშვილი – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

გოჩა კუჭუხიძე – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

პაატა ნაცვლიშვილი – გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიური დოქტორი.

ავთანდილ ნიკოლეიშვილი – ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

ნიკოლოზ ნიკოლოზიშვილი – სრულუფლებიანი და საგანგებო ელჩი, ისტორიის დოქტორი.

რუსუდან ნიშნიანიძე – ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

მაია ცერცვაძე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ისტორიის აკადემიური დოქტორი.

ლალი ცომაია – გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის მუზეუმის საგამომცემლო განყოფილების კურატორი, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი.

ლუკა ჯინჭარაძე – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაგისტრანტი

ოთარ ჯანელიძე – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ილიას უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი